ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ



პროგრამის ხელმძღვანელი და
მთავარი რედაქტორი **ზაზა აბზიანიძე**

ლევან მენაბდე

სულხან-საბა ორბელიანი

●

სულხან-საბა ორბელიანი

მოგზაურობა ევროპაში

თბილისი – 2012

UDC (უაკ) +821.353.1-94
+910.4(4)



„საოჯახო ბიბლიოთეკა“

ISSN 1987-989X
ISBN 978-9941-438-03-5

რედაქტორისაგან

ჩვენი საგამომცემლო პროექტის მორიგი ტომი ეძღვნება იმ მართლაც დიდ ქართველს, რომლის პოლიტიკური და ლიტერატურული მოღვაწეობა ქრონოლოგიურად XVII-XVIII საუკუნეების მიჯნას ემთხვევა, მაგრამ თავისი უნიკალური როლით საქართველოს ისტორიასა და კულტურაში, თავისი ფასდაუდებელი ფილოლოგიური მემკვიდრეობით დღემდე გაუნელებელ ინტერესს იწვევს. ჩვენი ეს მარადიული თანამგზავრი სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725) გახლავთ.

„დიდი ქართველების“ ახალგამოცემული ტომი რამდენადმე განსხვავდება წინამდებარე გამოცემათაგან. ეს განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ სულხან-საბას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველ მონოგრაფიას, რომელიც ძველი ქართული ლიტერატურის ცნობილ მკვლევარს, პროფესორ ლევან მენაბდეს ეკუთვნის, „დაეუწყვილეთ“ ქართული ავტობიოგრაფიული პროზის პირველი ნიმუში — „მოგზაურობა ევროპაში“ — ხატოვანი დღიური იტალიასა და საფრანგეთში სულხან-საბა ორბელიანის სამწლიანი (1713-1716) დიპლომატიური ვიზიტისა. ვაი, რომ უშედეგოდ დამთავრდა საბას „მავედრებელი მისია“ — ვერც საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო XIV-მ და ვერც რომის პაპმა კლემენტო XI-მ ვერ გამოიხსნეს სპარსთა კლანჭებიდან ტყვედპყრობილი ვახტანგ VI და მისი ქვეყანა.

„ამასობაში „მეფე-მზე“ ლუდოვიკო ჩაესვენა და მასთან ერთად ეფემერული იმედები ვახტანგის შველისა,— წერდა „მოგზაურობის...“ პირველი გამოცემის წინათქმაში პროფ. სოლომონ იორდანიშვილი,— შერჩა საბას მხოლოდ პაპის კლემენტოს ფეხზე კოცნანი, მისგან ნაბრძანები მრავალი კარგი სიტყვა, თავისის ხელით ნაბოძები ძელი ჭეშმარიტი, აქატის კრიალოსანი ოქროთი გაკეთებული და ზედ „ცოდვათა შესანდობლად“, წმინდათა ნაწილებიანი ოქროს ხატი, რაც სამშობლოსთან მოახლოვებული, სხვა ბარგ-კარავ-მოფენილობასა და სამოც ფლურთან ერთად, გონიოს ბეგმა წაართვა... ასე უნაყოფოდ დასრულდა დიდის ტანჯვით დაწყებული საბას დიპლომატიური მოგზაურობა ევროპაში“.

ამ ნაღვლიანი დასკვნის საპირწონედ მხოლოდ იმას თუ დავუმატებთ, რომ ერთადერთი განძი, რომელიც განსწავლული აბსოლუტიზმითა და კათოლიციზმით განხიბლულ, იმედგაცრუებულ დიპლომატს საქართველომდე ჩამოჰყვა, მისი სამოგზაურო დღიური იყო. სწორედ ის დღიური, რომელიც ახლა ჩვენს ხელთაა და სულხან-საბასადმი მიძღვნილ მონოგრაფიასთან ერთად ცხადლივ გვაგრძნობინებს ჩვენი დიდი წინაპრის კალმის მადლს, მზერის სიღრმესა და სულის სიმაღლეს...

ზაზა აბზიანიძე

სულხან-საბა-ორბელიანი

დიდი ქართველი მწერალი და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი ცნობილ ქართველ ფეოდალთა შთამომავალი იყო. მამის მხრივ იგი ეკუთვნოდა ბარათაშვილ-ორბელიშვილთა უძველეს და უძლიერეს გვარეულობას, დედის მხრივ — არაგვის ერისთავთა სახელგანთქმულ სახლს. მისი ოჯახი ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალური ოჯახი იყო ქართლში, ახლოს იყო სამეფო კართან და აქტიურად იყო ჩაბმული ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიკურსა და კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში.

სულხან-საბა ორბელიანის მამა ვახტანგ ორბელიშვილი (ზოგი დოკუმენტით ბარათაშვილ-ორბელიშვილი, ყაფლანიშვილი...) დიდი თავადი და დაწინაურებული მოხელე იყო; ვახტანგ მეხუთემ (1658–1675) „ერთგულისა და წესისაებრ მრავალფერად თავდადებით“ სამსახურისათვის მისცა „მდივან-ბეგობა ქართლისა, ქალაქისა, საბარათაშვილოსა, სომხითისა და თათრისა“ და „სამართლის ქმნა“ დაავალა.

სულხან-საბა ორბელიანი დედის მხრივაც დიდ ფეოდალურ გვარს ენათესავებოდა. მწერლის დედა თამარი იყო ასული ზაალ ერისთავისა, შვილიშვილი არაგვის მრისხანე მებატონის ნუგზარ ერისთავისა.

ვახტანგ ორბელიშვილმა და თამარმა დიდი ოჯახი შექმნეს. მათ ჰყავდათ სამი ასული და რვა ძე (სულხანი, ერასტი, ვახუშტი, ყაფლანი, ზურაბი, დიმიტრი, ნიკოლოზი, ზაალი). ზოგი მათგანი გამოჩენილი მოღვაწე იყო — მდივანბეგი, სახლთუხუცესი, სარდალი, მღვდელმთავარი, დიპლომატი, კალიგრაფი, მწერალი და სხვ.

1658 წლის 3 ნოემბერს ამ ოჯახში დაიბადა ქართული კულტურის დიდი მოამაგე სულხან ორბელიანი.

სულხანის დაბადების ადგილი — სოფელი ტანძია (ქვემო ქართლში, მაშავრის ხეობაში) მამამისის „სამკვიდრო“ იყო. პატარა სულხანმა ბავშვობა იქ გაატარა, ხოლო შემდეგ საგვარეულო მამულში (დმანისში) გადავიდა საცხოვრებლად.

მომავალმა მწერალმა შესაფერისი განათლება მიიღო. ცნობილი ფეოდალის ვაჟსა და დიდი კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების მქონე ოჯახის შვილს ყველა ხელს უწყობდა, ყველა ეხმარებოდა. მისი აღზრდა-განათლების საქმეს ვახტანგ მდივან-ბეგთან ერთად ქართლის უფლისწულებიც ხელმძღვანელობდნენ.

მამამისს უშუალო მონაწილეობა მიუღია სულხანის აღზრდაში, უსწავლებია დაქსელილი და ხვეული მრგვლოვანი დამწერლობა. სულხანმა მშვენივრად შეისწავლა წერა-კითხვა, გაიწაფა საღვთო წერილის კითხვაში, დახელოვნდა გალობაში. მწვრთნელად სულხანს მიჩენილი ჰყავდა მცხეთელი ბერუკა ზედგენიძე, ხოლო გალობის მასწავლებლად — გიორგი იაშვილი.

სულხანის სწავლა-აღზრდის შესახებ საინტერესო ცნობები შემოუნახავს ერთი ძველი ხელნაწერის ავტოგრაფულ მინაწერს: „მე, ბარათიანთ დიდის ორბელის შვილის, ყაფლანის ძის, საქართველოს ბრჭეთმთავრისა და მოსამართლეთუხუცესის, პატრონის ორბელ ვახტანგის პირმშომან ძემან, ჯერეთ ყრმაკაცმან, სულხან, დავიწყე ძილისპირთა და გალობათა სწავლა.

მწვრთიდა მცხეთელი ზედგინიძეთ სახლის ძე ბერუკა და სიმღერის სრულობას მწვრთიდა იაშვილი გიორგი. მზდიდა სათუთად და ნებიარად, ვითაც შვენის თავადთა ძეთა... ვიყავ სწავლისა ფრიად მოყვარე“.

სულხანს გულმოდგინედ დაუწყია სწავლა. ცნობილი ქართველი მეფისა და პოეტის ვახტანგ მეექვსის (1675—1737) სიტყვით, სულხანი „სიყრმითგან იყო მუდამად სიბრძნის სწავლისა მსახველი“.

სულხანს ბრწყინვალე ნიჭი ჰქონდა, ამიტომაც შესანიშნავად შეუსწავლია სასულიერო დისციპლინები და საერო ზნეობანი, ღვთისმეტყველება და ფილოსოფია, სათანადოდ შეუთვისებია ბუნებისმეტყველება, მაგრამ განსაკუთრებით ფილოლოგიას დასწაფებია.

სულხანმა დიდი ნიჭი გამოიჩინა ენათა შესწავლაში; დიდებულად შეისწავლა მშობლიური ენა, კარგად იცოდა უცხო ენებიც. მართალია, ერთგან მორიდებით შენიშნავდა: „მე ქართულისა ენისაგან კიდე, სხვა ენა არ ვიცოდიო“, მაგრამ მისი ცნობილი „ლექსიკონიდან“ ვგებულობთ, რომ სულხანმა იცოდა თურქული, სომხური, უფრო ნაკლებად — ბერძნული, ლათინური, იტალიური და სხვა ენები.

ამრიგად, მომავალმა იგავთმწერალმა და ლექსიკოლოგმა მიიღო ენციკლოპედიური განათლება. იგი სათანადოდ გაიწაფა სამხედრო-პრაქტიკულ დისციპლინებშიც, დაეუფლა იმდროინდელი ქართველი დიდებულებისათვის სავალდებულო სამხედრო ხელოვნებას.

სულხან ორბელიანის, როგორც მომავალი მწერლის ჩამოყალიბებაზე, მის სულიერ თვისებათა წრთობასა და ხასიათის გამოკვეთაზე დიდი გავლენა მოახდინა ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიკურმა და კულტურულმა მდგომარეობამ, ქართლის სამეფო კარმა.

სულხანის დაბადების წელს ქართლის ტახტზე ავიდა როსტომ მეფის (1632–1658) შვილობილი, თეიმურაზ მუხრანბატონის ვაჟი ვახტანგი. მისი გამეფებით დაიწყო მუხრანბატონების, — ბაგრატიონთა გვარეულობის უმცროსი შტოს, — ბატონობა ქართლის ტახტზე. ამ შტომ მრავალი გამოჩენილი მოღვაწე მისცა სამშობლოს. აქედან იყვნენ ცნობილი სარდლები, მწერლები, მეცნიერები (გიორგი მეთერთმეტე, არჩილი, ვახტანგ მეექვსე, ვახუშტი...)

ვახტანგმა ადრევე გაითქვა სახელი, როგორც ჩინებულმა მეომარმა. იგი ჯერ ქართლის გამგედ დანიშნეს, ხოლო შემდეგ, როსტომის გარდაცვალებისთანავე, — ქართლის მეფედ.

ვახტანგ მეხუთე ენერგიულად ებრძოდა მოწინააღმდეგეებს, ყოველგვარ ხერხს მიმართავდა ურჩი ფეოდალების ასალაგმავად. ამავე დროს ძალზე ცდილობდა ერთგულთა შემოკრებას, სათავადოების შემომტკიცებას.

მეფის უფლებების განმტკიცება-გაძლიერების მიზნით ვახტანგი ნათესაურ კავშირს ამყარებდა დიდ გვარეულობებთან. მას ცოლად ჰყავდა ჯერ ყაფლან ორბელიშვილის ასული, სულხან ორბელიანის მამიდა როდამი, ხოლო შემდეგ შაჰის ბრძანებით შეირთო როსტომ მეფის ნაცოლარი, ლევან დადიანის და მარიამი. თავის უფროს ძეს — არჩილს ცოლად შერთო ქეთევანი, თემურაზ პირველის შვილის დათუნას ასული (ამით არჩილმა კახეთის ტახტის პყრობის უფლება მოიპოვა), ლევანს — ქაიხოსრო გურიელის ასული თუთა, ლუარსაბს — რევაზ არაგვის ერისთავის ასული მარიამი.

ვახტანგი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ ქართლის მართვით. მან დასავლეთ საქართველოსა და კახეთსაც მიხედა. ქართლის გავლენა ქართულ სამეფო-სამთავროებზე გაიზარდა.

ვახუშტის თქმით, ვახტანგმა „მოიწყო ქართლი და კახეთი. იმერნი ჟამად ეპყრნეს, ჟამად მსახურებდნენ და უსმენდნენ, მესხნი მორჩილებდნენ“.

ვახტანგის საქმიანობა მრავალმხრივი იყო. მან აღაშენა და განავსო ქართლი, თრიალეთი, ტაშირი, აბოცი“. მის დროს ქართლში შედარებით მშვიდობიანობა იყო, გარეშე მტერთა თავდასხმები აღარ ხდებოდა, მაგრამ ირანელთა ბატონობა და თავადთა ძალმომრეობა კვლავ სულს უხუთავდა მშრომელ მოსახლეობას.

ქართლში უცხოელთა ბატონობამ საზოგადოების მაღალი ფენების ხრწნა გამოიწვია. ხშირი იყო დიდებულთა გამაჰმადიანების შემთხვევები.

მოსახლეობას მძიმე ტვირთად აწვა სახელმწიფო და კერძო საბატონო ვალდებულებანი. მიუხედავად ამისა, სამეფოში შედარებით მშვიდობიანობა იყო და მწარმოებელი კლასიც ინტენსიურად შრომობდა. ამის შედეგად, ქართლი ეკონომიკურად აღმავლობის გზას დაადგა. გამრავლდა მოსახლეობა, კიდევ უფრო გაცხოველდა ვაჭრობა, საგრძნობლად გაძლიერდა ხელოსნური წარმოება, მეტი ყურადღება მიექცა ქალაქების კეთილმოწყობას.

ვახტანგ მეხუთის დროს შესამჩნევად გაძლიერდა და განმტკიცდა სამეფო კარი, რომლის დიდებასა და ბრწყინვალებას აღტაცებაში მოჰყავდა უცხოელი მოგზაურებიც კი. სასახლეში მომრავლდნენ მგოსნები და მომღერლები, განვითარდა სახოტბო პოეზია.

ქართლის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად შემოქმედებითი ძალების გამოცოცხლება შესამჩნევი გახდა საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაშიც. გაიზარდა ინტერესი მეცნიერებისა და კულტურისადმი, მეტი ყურადღება მიექცა სწავლა-განათლების საქმეს, იმატა ქართველ მწიგნობართა რიცხვმა. სხვათა შორის იმ ხანის ქართველთა განსწავლულობას საგანგებოდ აღნიშნავდნენ უცხოელები. მაგალითად, ერთი უცხოელის სიტყვით, „ქართველებს აქვთ დიდი და საოცარი ცოდნა, თუმცა თავიანთი სამშობლოდან არსად გადიან“.

როგორც ჩანს, მაჰმადიანური გარემოცვისა და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის შესუსტების მიუხედავად, ქართველები მაინც ახერხებდნენ განათლების დონის ამაღლებას.

სულხან ორბელიანი ამ ეპოქაში აღიზარდა, ამ ხანაში დავაჟკაცდა, ამ გარემოში დაუნჯდა მისი გონება, სამეფო კარზე მიიღო აღზრდა, ვახტანგ მეხუთისა (მამიდას მეუღლისა) და მისი შვილების (მამიდაშვილების) გარემოში.

ვახტანგ მეხუთეს კარზე, დროის შესაფერად, საკმაოდ კარგად იყო დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმე. მემატიანის ცნობით, ვახტანგმა თავისი შვილები აღზარდა „სახელმწიფოსა სწავლითა და სიბრძნე-მეცნიერებითა. პირველად განსწავლნა საღმრთოთა წერილთა სწავლა-თარგმანებათა და განმარტებათა მიერ, ხოლო უმეტესად საეროთა და სავაჟკაცოთა მხედრობითა გამოცდილობითა ყოვლითურთ, სამამაკაცო ზნეობითა ესრეთ სახედ, რომ არასოდეს არ აღზრდილ არს საქართველოსა შინა, მათებრივ არცა ძენი მეფეთანი და არცა დიდებულთანი“. დამოწმებულ სიტყვებს ადასტურებს ვახტანგის ძეთა ჩინებული განათლება და კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობის მრავალმხრივობა. მეფის შვილები ფიზიკურად ძლიერი, გონებაგახსნილი და ფრიად განათლებული მოღვაწენი იყვნენ. მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ არჩილი, გიორგი და ლევანი.

არჩილი (1647–1713) იყო „კისკას, მშვენიერ, მობურთალი, მოისარი“. ფიზიკურ სიძლიერესა და მოხდენილ გარეგნობასთან ერთად მას ჰქონდა დიდი ლიტერატურული ნიჭი და მაღალმხატვრული გემოვნება. ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიაში მას თვალსაჩინო და საპატიო ადგილი უჭირავს. ის იყო ახალი ლიტერატურული მოძრაობის მეთაური, ისტორიულ-ეროვნული თემატიკის ბრწყინვალედ დამმუშავებული, ენის სიწმინდისათვის თავგამოდებული მებრძოლი, გამოჩენილი პოეტი და დიდაქტიკოს-მორალისტი.

სულხანი საკმაოდ სარგებლობდა არჩილის დახმარებით. ნიჭიერი მგოსანი, რომელმაც შთამომავლობას დაუტოვა ზნეობათა კოდექსი „საქართველოს ზნეობანი“, ზრუნვას არ აკლდება თავის ბიძაშვილს, სულხან ორბელიანს. აღსანიშნავია რომ სულხანსა და არჩილს ლიტერატურული პაექრობაც ჰქონდათ.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი როლი სულხანის აღზრდაში შეასრულა ვახტანგ მეხუთის მეორე ძემ — გიორგი ბატონიშვილმა, შემდეგ ხანაში ქართლის მეფე გიორგი მეთერთმეტემ (1676–1688, 1703–1709).

სულხანი გიორგი ბატონიშვილის ზედამხედველობით იზრდებოდა, გიორგი მის საპატიო აღმზრდელად ითვლებოდა. მოგვიანო ხანის წყალობის წიგნში ვახტანგ მეექვსე სულხან ორბელიანს „მეფის გიორგის გაზრდილს“ უწოდებდა. სულხან ორბელიანი, — უკვე გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე და დახელოვნებული მწერალი, — „ქილილა და დამანას“ წინასიტყვაობაში საგანგებოდ აღნიშნავდა, რომ „გიორგი მეფის დედის ძმისწული იყო და მისგანვე შვილურად გაზრდილი და განსწავლებული“.

არჩილი და გიორგი დიდად ეხმარებოდნენ სულხანს, აქტიურად მონაწილეობდნენ მის გონებრივსა თუ ფიზიკურ აღზრდაში.

სულხან ორბელიანის აღზრდაში წილი უდევს ვახტანგ მეხუთის მესამე ვაჟს ლევან ბატონიშვილსაც.

ქართლის მეფის კარზე ყოფნა და ბატონიშვილებთან სიახლოვე გარკვეულ უფლებებს ანიჭებდა სულხან ორბელიანს. მას თავისუფლად შეეძლო გაეცნო უძველესი ხელნაწერები, ჩაბმულიყო კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობაში და წვლილი შეეტანა ეროვნული კულტურის საგანძურში.

სულხან ორბელიანმა შესანიშნავად გამოიყენა ქართლის მეფის კარზე მოპოვებული მდგომარეობა. ორბელიანთა ძლიერი გვარეულობის წარმომადგენელმა და სამეფო კართან დაახლოებულმა პირმა მეუღლეც შესაფერისი მოძებნა: ჯერ შეირთო დარეჯან ბაგრატიონი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ (1683 წ.) — სამცხის ათაბაგის ასული თამარი.

ღრმად განსწავლული და ფრიად განათლებული სულხან ორბელიანი აქტიურად ჩაება ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მეფე-ბატონიშვილთა დახმარებასა და მფარველობას ის ერთგულებით უპასუხებდა. მთელი თავისი შემდგომი საქმიანობის, პოლიტიკური თუ დიპლომატიური მოღვაწეობა, მან ვახტანგ მეხუთის შთამომავლობის კეთილდღეობისათვის ბრძოლას შეალია.

ვახტანგ მეხუთის გარდაცვალების შემდეგ ქართლის ტახტი

გიორგი მეთერთმეტემ მიიღო. გიორგის გამეფებისთანავე ქართლში მკვეთრად იჩინა თავი ანტიირანულმა განწყობილებამ. ვახტანგ მეხუთის შვილები მამის გზით აღარ მიდიოდნენ, ისინი შაჰის თუნდაც მოჩვენებითი მორჩილების წინააღმდეგნი იყვნენ და დამოუკიდებლობისაკენ ისწრაფოდნენ. სულ მალე საგრძნობი გახდა, რომ სეფიანთა სახელმწიფო პოლიტიკური და ეკონომიკური დაქვეითების გზას ადგა. შაჰ-სოლეიმანს ერთობ გაუჭირდა მეამბოხე ხანების დამორჩილება და ხელისუფლების განმტკიცება. ქართველმა მამულიშვილებმა დრო იხელთეს.

არჩილი რუსეთს დაუკავშირდა, გიორგიმ აღმოსავლეთ საქართველოს მოთავეობა იკისრა. ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა, ქართული სამეფო-სამთავროების შეკავშირების იდეა რეალურად ისხამდა ხორცს. გიორგი მეფემ ძირითად ამოცანად ურჩი დიდებულების დათრგუნვა, ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით შეკავშირება და დამპყრობელთა წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლა დაისახა. მან აქტიურად გააჩაღა ანტიირანული საქმიანობა.

სულხან ორბელიანი გიორგი მეფის ერთგული ქვეშევრდომი იყო, მისი ჭირისა და ლხინის თანაზიარი. განათლებულსა და დაწინაურებულ დიდებულს ტახტის მემკვიდრის — გიორგის ძმისშვილის, ლევან ბატონიშვილის ვაჟის ვახტანგის აღზრდა დაევალა. ეს დავალება მან პირნათლად შეასრულა. ამან დიდი სახელი და ავტორიტეტი მოუპოვა. ამავე წლებში შეუდგა იგი „სიბრძნე სიცრუეზე“ მუშაობას.

სულხან-საბა ორბელიანი ნაყოფიერი მწერალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ „ერისაგან იყო და წარჩინებული და სოფლისა საქმისაგან უცალო“, მაინც პოულობდა დროს ლიტერატურული და ფილოლოგიური მუშაობისათვის. დიდი ცოდნით, ენციკლოპედიური განათლებითა და საქმის სიყვარულით მან უაღრესად მნიშვნელოვანი კულტურულ-ლიტერატურული საგანძური შექმნა. მისი მემკვიდრეობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. იგი მოიცავს მხატვრულ შედევრსა და ბრწყინვალე მეცნიერულ შრომას, დოკუმენტურ პროზასა და შესანიშნავ ლექსს. მწერლის შემოქმედებითი ძალა განუზომელია.

სულხან-საბა ორბელიანის ფასდაუდებელი კულტურულ-ლიტ-

ერატურული მემკვიდრეობიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია „სიბრძნე სიცრუისა“. ეს უკვდავი წიგნი შარავანდედით მოსავს იგავთმწერლის დიად სახელს. „სიბრძნე სიცრუისა“ იმთავითვე შევიდა ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდში და საპატიო ადგილი დაიმკვიდრა.

„სიბრძნე სიცრუისა“ იგავ-არაკთა საინტერესო კრებულია. ფაბულარული თხრობის ფონზე ოსტატურად გაშლილი, ორიგინალურად მოფიქრებული და ღრმა იდეურობით აღბეჭდილი არაკები ერთმანეთთან დაკავშირებულია გარკვეული იდეით. იგავ-არაკებთან ერთად თხზულებაში უხვად გვხვდება აფორიზმები, სენტენცია, გამოცანა, შეგონება, ანდაზა და სხვ.

„სიბრძნე სიცრუისა“ ქართული მხატვრული ლიტერატურის შედევრია. სულხან-საბა ორბელიანს მხოლოდ ეს თხზულება რომ დაეწერა, ამითაც საპატიო ადგილს დაიჭერდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

„სიბრძნე სიცრუის“ ავტორს მოქმედ პირებად მრავლად ჰყავს გამოყვანილი ფრინველები და ცხოველები. აზრის ალეგორიული გადმოცემა კიდევ უფრო აძლიერებს წიგნის შემეცნებით-აღმზრდელობით ხასიათს. იუმორისტულ-სატირული ხერხი მეტყველებისა მეტად საინტერესოს ხდის თხზულებას.

იგავ-არაკული ჟანრის ძეგლები ადრეული ხანიდან გვხვდება. ამ ჟანრის დამწყები ბერძენი ეზოპეა. მას მრავალი მიმდევარი და მიმბაძველი გამოუჩნდა ძველ საბერძნეთში, მონათმფლობელურ რომში, შუა საუკუნეების ფეოდალურ სახელმწიფოებში. სოციალ-პოლიტიკური ვითარება მწერალს იძულებულს ხდიდა გადატანით გამოეთქვა თავისი აზრი. იგავ-არაკისათვის ძირითადი იყო დიდაქტიკურ-მორალური ელემენტი. ამის გვერდით მოცემული იყო არსებული ნაკლის გაკიცხვა, საზოგადოებრიობის მანკიერი მხარის გამოვლინება და დაგმობა.

ცნობილია მრავალი კრებული იგავ-არაკებისა: „ქილილა და დამანა“, „ბახთიარნამე“, „თიმსარიანი“, „მელის წიგნი“ და სხვ. „სიბრძნე სიცრუისა“ თამამად უდგება მხარდამხარ მსოფლიოში სახელგანთქმულ კრებულებს და საპატიო ადგილსაც იჭერს მათ გვერდით.

სახელწოდება „სიბრძნე სიცრუისა“ შესანიშნავად მოფიქრე-

ბული და მიზანშეწონილად გააზრებულია. სიცრუეში, ზღაპარში ორგანულადაა ჩაქსოვილი სიბრძნე.

თხზულების სათაურს ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძემ მიაქცია ყურადღება. „საბა ორბელიანმა რომ თავისი ზღაპრები დასწერა,— წერდა ილია,— სიბრძნე სიცრუის წიგნი დაარქვა. მე ხშირად ჩავფიქრებულვარ ამ უცნაურს სახელს წიგნისას. მართლაც, სადაც სიბრძნეა, იქ სიცრუეს რა ხელი აქვს? სიბრძნესთან სიცრუე რა მოსატანია? რა სიტყვის მასალაა? რა უგავთ ერთმანეთსა? საბა ორბელიანი — ეს ბრძენი, დარბაისელი კაცი, რათ იკადრებდა სიბრძნეში გაერია სიცრუე? ან რა სახარბიელო სახელია სიცრუე?

მე ვფიქრობ, რომ საბა ორბელიანს ამის თქმა უნდოდა: მე ზღაპარს გეუბნები და სიბრძნეს კი გამცნებო. ზღაპარი მოგონილი ამბავია, არამართალი, მაშასადამე, სიცრუეა. ამ მხრით წიგნი საბა ორბელიანისა სიცრუეა. ის სიცრუე კი არა, რომელიც სწამლავს და ჰშხამავს ადამიანს და სიცრუის მთქმელს უფრო სთხრის და აუწმინდურებს, ვიდრე სხვას. ის სიცრუე კი არა, რომელსაც აუღია ურცხვად თავი და ქურდულად იკბინება გესლიან მორიელსავით და რომელიც ასე საზიზღარია და სამართლიანად დევნილი ყოველ პატიოსან კაცისაგან.

საბა ორბელიანის სიცრუე ზღაპარია, არაკია, იგავია. იგავი, არაკი, ზღაპარი ამისთანა სახეა, კანია აზრისა, რომელიც საჭკუო და საზნეო ჭეშმარიტებას ზედმიწევნით გვიხატავს ხორცშესხმულად, ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწურთნის, ავსა და კარგს გვანიშნებს ერთმანეთში გასარჩევად. საბა ორბელიანის სიცრუე... უცოდველია, უმწიკვლოა, უბოროტოა, უბრყვილოა. იგი ნამუსიანია, არც არავისა ჰმტრობს, არც არავისა ჰგმობს. ამაზე მეტსაც ვიტყვით, იგი მადლიანია იმ მხრით, რომ აზრის ამხსნელია, მაუწყებელია, გაგების გზა და ხიდია, ცოცხალი ხატია, ხელთქმნილი დიდის გრძნეულებით“.

თხზულების მოკლე შინაარსი ასეთია: იყო ერთი სახელოვანი და ფრიად გამოჩენილი ხელმწიფე ფინეზი. მას მრავალი კეთილი საქმე ჩაედინა; მისი „სიკეთისა და სიქველისაგან ეგოდენი მოწყალებანი შეეკრიბა გულსა თვისსა, თავად არ აღირაცხოდა“. საქვეყნოდ ცნობილი იყო მისი სიუხვე, ლმობიერება და ალერ-

სიანობა, ასევე განთქმული იყო მისი შეუბრალებლობა და უმოწყალობა მტერთა მიმართ.

ფინეზს ჰყავდა ჭკვიანი და განსწავლული ვეზირი სედრაქი. გონიერსა და ბუნებით კეთილ კარისკაცს სამეფო კარზე კარგი სახელი ჰქონდა. მეფესაც ძალზე უყვარდა ერთგული ვეზირი და სათანადო ანგარიშს უწევდა მის რჩევას, მფარველობდა და ჯეროვნად სწყალობდა.

სამეფო კარზე მოღვაწეობდა მეორე კარისკაცი რუქა — ვერაგი და მუხანათი, ცბიერი და მზაკვარი, ბოროტი და დაუნდობელი საჭურისი. სასახლეში მას კარგი ადგილი ჰქონდა მოპოვებული და თავგამოდებით ცდილობდა მის შენარჩუნებას. გულჩქარი და ფიცხელი სეფეთუხუცესი ყველას გესლავდა. მისი ავი და ბოროტი ბუნება არავის ინდობდა.

უძეო ფინეზი მემკვიდრის უყოლობით ძალზე შეჭირვებული იყო. მეფემ დიდი სიმდიდრე გასცა, განძი გლახაკებს დაურიგა, „რათა ევედრონ ღმერთსა ძეობისა მისისათვის".

რუქას არ მოსწონდა მეფის სიუხვე და ხელგაშლილობა. უწუნებდა საძოვრის გაცემას; „რომელსა მეფეთაგანსა გარდაუგია სალარო ესეოდენიო", — ეუბნებოდა ის ფინეზს.

სედრაქი მეფის მხარზე იყო და ამართლებდა მეფეს: „ვერც ასეთს იქმს კაცი, რომ სხვას არ ექნას და არც კარგსა საქმესა ღმერთი დაუკარგავს".

გავიდა ხანი. ფინეზს შეეძინა ძე. უფლისწულს ჯუმბერი უწოდეს. როდესაც ის წამოიზარდა, მეფემ თავის ერთგულ სედრაქს აჩვენა. ამ უკანასკნელმა ჯუმბერი დალოცა და უსურვა „გულისხმიერება ვირისა, ერთგულობა ძაღლისა და ძალა ჯინჭველისა".

მეფემ თავისი პირმშო აღსაზრდელად მიაბარა გონიერ ჭაბუკს ლეონს. ამან ჯერ ჩამოართვა მეფეს პირობა, რომ განუკითხავად არ დაისჯებოდა და შემდეგ იწყო ტახტის მემკვიდრის აღზრდა.

ლეონმა „აღაშენა სახლი სამეფო" და დაიწყო წვრთნა უფლისწულისა. ასწავლიდა განუწყვეტლივ, ზრდიდა საკმაო სიმკაცრით. მეფის სასახლეში „აღარ მიიყვანის ხშირად." როდესაც ლეონი ნადიმობდა, — ეს კი ზოგჯერ სამ დღე-ღამეს გრძელდებოდა, — ჯუმბერი მწდედ იყო, ღვინის მიმწოდებლად. აღმზრდელმა

ის „არც დასვა და არც არა აჭამა.” ასეთმა ყოფამ ძალზე დაქანცა ჯუმბერი. „ფეხზე დგომითა და შიმშილით ესრეთ ულონო იქმნა, ქვე დაეცა და შეწუხდა“. ლეონმა მხოლოდ ამის შემდეგ დართო მას ნება პურის ჭამისა.

აღმზრდელი ნადირობის დროსაც ასევე სასტიკად მოექცა უფლისწულს. თვით ცხენზე შეჯდა, ხოლო „ჯუმბერს ხელთ ქორი შეუსვა, უცხენოდ წინ წაიმძღვანა, საღამომდინ არბენინა“. მეორე დღეს მწევრები ჩააბარა და „მთათა და გორათა არბენინა“. გატანჯულ ჯუმბერს „ფერხთსაცმელი გასცვივდა და ფეხები დაუსქდა, სისხლმან დენა დაუწყო“. მესამე დღეს ლეონმა მას შიკრიკობა დაავალა. ჯუმბერი გადაიღალა, „მეტად დაშვრა, მალმალ დაეცემოდის“, მაგრამ ლეონი არ მოეშვა და სადგომამდის არბენინა.

ლეონი არც ცემას აკლებდა აღსაზრდელს; ერთ დღეს შეიპყრა ჯუმბერ უბრალოდ და ერგასი ჯოხი ჰკრა და დიდად ჰგვემა“.

ცბიერ რუქას ადრევე არ მოეწონა ლეონი. ის „დიდი მტერი იყო ლეონისა“ და კიდეც აბეზღებდა მეფის წინაშე. ერთხელ აღშფოთებით მოახსენა ფინეზს: „ამისთანა მეფის ძის ზრდა ვის უნახავს და ან ვის ასმია? შიმშილითა დაბნედილა და ფეხზე დგომით ტერფი დახეთქია“. სედრაქი ლეონს მფარველობდა, მაგრამ, როცა რუქამ მეფის შვილის ცემა გაიგო, ვეღარ შეძლო.

რუქა მეფეს ეახლა და განრისხებულმა მოახსენა: „ღმერთს მრავლის ღონისძიებით ძე სთხოვე. მან წყალობა მოგივლინა. შენ მიეც ერთსა ღვთის წყრომით აღვსებულსა კაცსა. შეუპყრია, ასი არგანი უკრავს, რა ბრალი ჰქონდა? ეგრე ავად არის, ღამემდინ სულს ვერ მიატანს და ლეონ შენ ძედ ისვი და ჩვენად პატრონად“.

აღშფოთებულმა ფინეზმა დაიბარა ლეონი. მეფის მრისხანებას საზღვარი აღარ ჰქონდა. „ცეცხლისა ალი მისის ჯავრის კვამლსა მიჰრიდებდა, მეტის გაშმაგებისაგან ძრწოდა“. ვერაგი საჭურისი არ ცხრებოდა, „ცეცხლის გზებას უმატებდა“. მეფის ბრძანებით ლეონი „თრევით მოიღეს“. მეფე მის მოკვლასაც აპირებდა. ლეონმა, პირობისამებრ, საკითხის გარკვევა და განხილვა მოითხოვა, „მოველ და ვისამართლოთო“.

მეფე დაწყნარდა. ლეონმა იწყო საუბარი, ლაპარაკობდა შესან-

იშნავად, „თუ რამ იცოდა, რაღას დღისთვის დაეჭირებოდა?“ მან დაიწყო თავის მართლება, თავისი აღმზრდელობითი მეთოდების დასაბუთება:

მეფემ რომ კარგად მართოს სახელმწიფო და ჯეროვანი ხელმძღვანელობა გაუწიოს ხალხს, საჭიროა კარგად ესმოდეს ხალხის გულისწადილი და ზრახვა. მას უნდა ჰქონდეს გამოცდილი მრავალგვარი ჭირი და ვაება. მეფემ უნდა იცოდეს, რა სიძნელე დგას მსახურთა წინაშე, რა სიმწარე სდევს მათ ცხოვრებას. მაგრამ მეფე თვით თუ არ გამოცდის ყოველივე ამას, საიდან გაიგებს? „თუცა ეგოდენ ხანს ფეხზე არა მდგარიყო, რამცა იცოდა მონათა, მსახურთა და მწდეთა ჭირი, თუ ზემდგომსა რა გარჯა აქვს? თვით მეფე ზის, უნებს აღდგება, უნებს დაჯდება. მათი სამსახური ვითა სცნას, რას მიიჭირვებენ მისთვის? დღე ყოველ ზე დგანან და დაითმენენ. თუცა შიმშილით არ მომყმარიყო, რამცა იცის, გლახაკთა და უღონოთა შიან, ანუ სხვათა ვისმე საჭმელი აკლს? იგი ყველას კეთილსა სჭამს და სვამს, არ მიიმშევს“.

ლეონმა იცის, რომ მდიდარს ღარიბისა არა გაეგება, რომ ლხინმყოფი ძნელად გაიგებს ჭირსმყოფის ვაებას. „მაძღარი კაცი მომყმარს პურს წვრილად უფშვნეტდა და ზედა დაჰყვედრიდა: რად ღორულად სჭამო!“

საჭიროა მეფემ იცოდეს, რა გასაჭირში არის მისი ბაზიერნი და შიკრიკნი. მას უნდა ესმოდეს სასჯელის სიმკაცრე. ჯუმბერს „თუცა უცხენოდ სლვა და ფეხშიშვლობა არ გამოეცადა, ბაზიერთა, შიკრიკთა და ყოველთა მკვირცხლთა ჭირნი რითა სცნას, რომლითა სიბრალულითა შეიბრალებდა? იგი მერანთა ანუ თოხარიკთა ცხენთა ჯდეს, გინა ეტლითა ვიდოდეს. არგნისა სიმწარე არ ენახა, რა გამწყრალიყო მონათა ზედა, ებძანა ასისა და ორასისა კვრა, სხვათათვის მეტი და სხვათათვის ნაკლები, თვით მცირე სატანჯველი ეგონებოდა. აწ ყოველთა გლახაკთა, უღონოთა და მდაბალთა ჭირნი მისწავებია და ამისა შემდგომად ნახეთ თქვენცა, რა არის სასწავლოდ მისსა?“

ფინეზმა მოისმინა ლეონის „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“ და მოიწონა მისი საქმიანობა.

ლეონის წინააღმდეგ გაილაშქრა რუქამ, ხოლო ამ უკანასკნელის ავი ზრახვისაგან ლეონის დაცა ითავა სედრაქმა. მისი

დევიზი იყო: „არცა ჯუმბერ ულეონოდ და არცა ლეონ უჯუმბეროდ“. დაიწყო მძაფრი კამათი. მასში მონაწილეობდა მეფე და სპეციალურად მოწვეული ჯუმბერიც. მეფეს მოეწონა თავისი მემკვიდრე და მისი აღმზრდელიც. გამარჯვება ლეონს ხვდა წილად, ბოროტი რუქა ძლეულ იქნა.

თხზულების სიუჟეტური რკალი მტკიცედ შეკრული და სავსებით დასრულებულია.

„სიბრძნე სიცრუისა“ დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის ნაწარმოებია. ავტორის იდეალს არსებული წყობილების გამოჯანსაღება, ზნეობრივად დაავადებული საზოგადოების განკურნვა წარმოადგენს.

სულხან-საბა ორბელიანი გადაჭრით ილაშქრებდა ყოველგვარი უზნეობის წინააღმდეგ. მწერალი თვით იყო მორალური სიწმინდის განსახიერება და ზნეობრივი სისპეტაკის დაცვას სხვისგანაც მკაცრად მოითხოვდა. სწორედ ამიტომ წამოსწია მან წინა პლანზე ზნეობის საკითხები.

სულხან-საბა ორბელიანი დაუნდობლად ამხელდა და დაუზოგავად კიცხავდა უვარგის მეფეებს. მისი აზრით, „მრავალნი მწყემსნი უმჯობეს არიან უგვანთა მეფეთა“.

ერთ არაკში („უმოწყალო შირვანშა“) გაკიცხულია ქვეყნის მაოხრებელი და გამაპარტახებელი, უსამართლო და უმოწყალო მეფე, რომელიც არავის არ აძლევდა გასაქანს, მომჩივანთ კლავდა, ყველაფერს ნაცარტუტად აქცევდა. მისი საქციელი დაგმობილია, მეფე შერცხვენილი და გამათრახებულია.

სხვა არაკში („ხალიფა და არაბი“) ნაჩვენებია მეფის სიხარბე და გაუმაძღრობა. ავტორი ასეთ მეფეს უპირისპირებს მშრომელ, გამრჯე, პატიოსანსა და ალალ-მართალ არაბს. ბაღდადის ხალიფას ამ არაბმა უკანასკნელი სამი თხა დაუკლა და მიართვა. ხალიფამ პატივისცემის გადახდა აღუთქვა, მაგრამ არაბმა არა ითხოვა რა. შემდეგ არაბმა განძი იპოვა, მაგრამ ხალიფამ წაართვა. ვეზირის პირით სულხან-საბამ ამხილა ხალიფას უწესო ქცევა: „ერთს გლახაკს არაბს სამიოდენ თხა ჰყვანდა და შენ დაგიკლა, ბოძება უბრძანე და არა გთხოვა. ღმერთს მაგისთვის მიუცია და მასაც შენ ართმევ?“

სულხან-საბა მოითხოვდა მეფის განსწავლულობასა და გონიერებას. ამის გარეშე მეფე საქმეს ვერ გაუძღვება, მოვალეობას ვერ შეასრულებს ხარისხიანადო.

მეფეს მსახურებზე მეტი ჭკუა და განათლება უნდა ჰქონდეს. მწერალი ერთ გმირს მეფისთვის შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს: „თუცა ყმანი ჭკუათ მყოფნი გყვანან, იგინი ამეფე და შენ მათ დაემონე“.

საყურადღებოა, რომ ავტორი ზოგჯერ თამამად ალაპარაკებს ჯუმბერსაც. უფლისწული მამას ეუბნება: „რა გინდ დიდებული და მძლავრი მეფე იყო, სცან ესე: მიწა ხარ და მიწად მიიქცევი“.

სულხან-საბა განათლებული აბსოლუტიზმის მქადაგებელია. მისი აზრით, მეფე უნდა იყოს ზრდილი, თავაზიანი, გონიერი, გამჭრიახი, განათლებული, წინდახედული, შორსმჭვრეტელი, განმსჯელი, მოსამართლე, დიდბუნებოვანი, ქველმოქმედი, კეთილი და სწორად გამგებელი, მტრის რისხვა და ერთგულთა მფარველი, კაცთმოყვარე და ხალხის გულისნადების შემცნობი.

პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი მესაჭე მორალურად და ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანი უნდა იყოს — ასეთია სულხან-საბა ორბელიანის მრწამსი. ამიტომაც მას მთელი კოდექსი აქვს მოცემული მეფეთა საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის.

„სიბრძნე სიცრუის“ პრაქტიკულ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა განუსაზღვრელია. მის ავტორს სხვა მიზნებთან ერთად კონკრეტული პირის — ვახტანგ ლევანის ძის სასწავლო-აღმზრდელობითი ამოცანებიც ამოქმედებდა. იგავთმწერალი თავის პრაქტიკულ საქმიანობას წიგნში თეორიულად ასაბუთებდა და ამართლებდა. თავის კრებულში მან მეფის იდეალი დასახა. მისი აზრით, მეფე უნდა ყოფილიყო დიდბუნებოვანი ადამიანი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით გამსჭვალული ერთსულოვანი საზოგადოების ღირსეული წინამძღოლი. აი, ასეთ მეფედ ზრდიდა და ამზადებდა იგი ვახტანგს.

მეფის კარისკაცი, მწერლის აზრით, უნდა იყოს ფრთხილი და წინდახედული, მისი ყოველი ნაბიჯი უნდა იყოს მოზომილი და მოფიქრებული, კარისკაცს უნდა ესმოდეს, რომ „მეფესთანა მყოფი კაცი და ზამთარ დიდ ცეცხლთან მჯდომი სწორია. თუ ახლოს

ზის, სიცხე დასწვავს და თუცა შორს წავა, ყინვა დაჰზარავს“. მეფის ახლო მყოფ პირს, კარგ კარისკაცს ბევრი სიკეთის ქნა შეუძლია — „ხელმწიფეთა წინა მდგომი კაცი სანთელია, თავსა თვისსა დასწვავს და სხვათ განუნათლებს“, კარისკაცს უნდა ჰქონდეს დიპლომატიური ნიჭი, შეეძლოს მეფის გულის მოგება და საკუთარი აზრის შენიღბვა, შესწევდეს თვალთმაქცობისა და საზრიანობის უნარიც. კარისკაცის „ორის თვალისაგან ერთი ასეთი მხედველი უნდა იყოს, რომე ასის თვალისაგან უმეტეს ხედვიდეს და მეორის თვალით ბრმისაგან უბრმესი იყოს; აგრეც ცალი ყური ასმინოს და ერთი ყური დაიყრუვოს; გული ფუნდუკისაგან უდიდე ჰქონდეს, რაც ყურიდან შევიდეს, დაიგროვოს და შეინახოს; რომელიც არ ვარგიყოს, გაგონილი არა თქვას და რომელიც კარგი და ჭკუათ საფერი იყოს, იგი გამოიღოს და თქვას; ასეთი ენა ჰქონდეს, თაფლი და სამსალა ორივე სდიოდეს“.

კარისკაცმა ანგარიში უნდა გაუწიოს მეფის პირად აზრს, „რომელი კაცი უყვარდეს, იგი არ შეასმინოს, თვარა სიყვარულით არ შეისმენს“ და მასვე ავნებს; „ვისიც სიტყვა ეამება“, ის უნდა უქოს, თორემ თუ უძაგა, „არ ეძაგება“ და შერისხავს.

კარისკაცისათვის მოხერხებულობა და მახვილგონიერება აუცილებელია. საინტერესოა ერთი არაკის შინაარსი: ლავდიკიის ბრმა მეფეს საკუთარი მხატვარი ჰყავდა. ის ძალზე სძულდა და დასჯის მიზეზს ეძებდა. ერთ დღეს საკუთარი სურათის დახატვა მოსთხოვა. შეძრწუნდა მხატვარი: „თუ ბრმა დავხატო, მომკლავს: ვით მკადრეო, და თუცა ორთვალი მომკლავს: როდის არს მსგავსი ჩემიო?“ ბოლოს მოძებნა გზა; მეფე ირემზე მონადირე დახატა, თოფით, თვალმოხუჭული. ასეთი ხერხით გადაირჩინა თავი ხელოვანმა კარისკაცმა და მეფის გულიც მოიგო.

ამრიგად, კარისკაცი ვალდებული იყო მეფის ავიც კარგად ეჩვენებინა, მანკი ღირსებად წარმოეჩვენა.

სულხან-საბა ორბელიანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გონიერსა და გამჭრიახ ვეზირს.

სასახლეში არიან ბოროტი და კეთილი ვეზირები. ზოგი ვერაგი ვეზირი თავის მდგომარეობას სხვათა საზიანოდ იყენებს და ბევრს ვნებას აყენებს სხვებს. მუხანათი კარისკაცები ცდილობენ მეფეს შეაძულონ ერთგული პირი, აბამენ ინტრიგის ქსელს („ინ-

დოთ მეფე და ვაზირნი"). ამიტომ დიდი სიფრთხილეა საჭირო, „მეფის საყვარელსა კაცსა სხვანი სძულობენ და ხრიკითა მასცა შეაძულებენ".

თხზულების გმირები გადაჭრით ილაშქრებენ ავი და ანგარებით აღსავსე კარისკაცის წინააღმდეგ. მეფე ფინეზი, სათნო და კეთილი სედრაქი, ბრძენი ლეონი და განსწავლული ჯუმბერი მთელი სისასტიკით ესხმიან თავს რუქას. რუქა კაცთმოძულეა. შენ „ყოველი კაცი გიყვარს და მე ყველანი მძულან", — ეუბნება იგი სედრაქს. ბოროტი კარისკაცი ეკამათება მეფეს, ებრძვის სედრაქს, პირველ ნახვისთანავე გესლავს ლეონს: „დიდად ბედუკეთური თურე ხარ და უკუღმართიო". ფლიდსა და გაიძვერა, ცბიერ და გაქნილ რუქას არ სწამს სიკეთე, კარგის მოქმედება. მისი აზრით, „არას კაცსა კარგის მოქმედებისათვის კარგი არ უქმნია". ამიტომაც ის სიკეთეს არავის არ უკეთებს.

სულხან-საბა ორბელიანი საჭურისს უპირისპირებს დიდად განსწავლულსა და გონიერ სედრაქს. ეს სიკეთის მქნელია, ესმის სიკეთის ფასი და მნიშვნელობა; სწამს, რომ სიკეთე არ დაიკარგება, „კარგისათვის ავს ვინ უზამს კაცს", თუ არა ბოროტი და ავიო. სედრაქის მტკიცებით, კაცს „კარგსა საქმესა ღმერთი არ დაუკარგავს".

ბოროტი კარისკაცის გადამტერებას შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს კაცს. სულხან-საბა მოითხოვდა მტრისადმი შეუბრალებლობას. ამავე დროს საგანგებოდ ახასიათებდა შენიღბულ მტერს და მოითხოვდა სიფრთხილეს. სულხან-საბამ კარგად იცოდა, რომ „მტერი რა კაცსა მტრობით ვერას დააკლებს, დაემოყვრების და მით გაუსრულებს მტერობას". ამიტომაა საჭირო სიფრთხილე; მუდამ საფრთხის წინაშე ყოფნა მოითხოვს ძალთა მობილიზაციასა და დაძაბვას. მართალია, „ყოველი მტერი იმის ცდაშია, რომე დრო შემოიგდოს და წაახდინოს", მაგრამ „დიდს მტერს კაცი ან შეეხვეწება და ან გარდაეხვეწება, სწორ მტერს ან პასუხს უზამს, ან მოუფრთხილდება", ხოლო მცირე მტერი დროს ელის და მალულად ხაფანგს ამზადებს, შენიღბულია და საშიში: „ცოტა მტერი ცეცხლსა ჰგავს, ნაცარში დამალულსა, არა ჩანს და რა გაქექ, ხელს დაგწვავს; ცოტა მტერი რა კაცზე დროს იშოვნის, აღარას ღონით არ გაუშვებს, არ გადარჩესო; ცოტა მტერი ორმოსა ჰგავს,

თივას ქვეშ დამალულსა, რა შესდგე, ჩავარდები. ამისათვის უფრო უნდა ყოველი კაცი ცოტას მტერს უფრთხილდეს, საფათერაკო იგია“.

ავი გულისა და ავი ენის პატრონს ბევრი ავის მოტანა შეუძლია. სულხან-საბა ორბელიანი ენას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ენას მიიჩნევდა ყველაზე უტკბესად და ყველაზე უმწარესად. ერთმა ხელმწიფემ უტკბესი საჭმელი მოითხოვა, ვეზირმა შემწვარი ენა მიუტანა და აამა. შემდეგ მეფეს უმწარესი საჭმელი მოესურვა, ვეზირმა კვლავ ენა მიართვა. გაოცდა მეფე: „მწარე ვითხოვე, ენა მომიტანე და ტკბილი ვითხოვე და ენა მომიტანე“. ვეზირმა უპასუხა: „არცარა ენის უტკბოსი იქნების და არცარა ენის უმწარესი პირსა ყოვლისა ქვეყნისასაო“.

ენის სიმწარე რამდენჯერმეა აღნიშნული. ერთ დათვს ძმობილი კაცის ცოლმა აწყენინა, „ენით დაკოდა.“ დათვმა მეგობარს სთხოვა, ცული დამკარ თავშიო. ძმობილმა ყოყმანის შემდეგ დაჰკრა და გაუხეთქა თავი. დათვი ტყეში წავიდა, გაიმთელა თავი და შემდეგ შემოხვდა ძმობილს: „შენის ცულით დაკოდილი თავი გამიმთელდა და შენის ცოლის ენით დაკოდილი გული არაო“.

სულხან-საბას კარგად ესმოდა, რომ „ენით მოკვდება კაცი, სხვით არა. უდღეოდ ენით მკვდარი ენამ ვეღარ აღადგინოს და აღარც ენით წყლულს ელხინოს“.

სულხან-საბა ორბელიანი დიდ როლს ანიჭებდა მასწავლებელს. მისი აზრით, აღზრდა-განათლების საქმეში მასწავლებლის მნიშვნელობა განუზომელია, მასზე ბევრი რამაა დამოკიდებული; დახელოვნებული ოსტატი სათანადოდ გაწაფავს აღსაზრდელს.

თხზულებაში საგანგებოდაა ხაზგასმული მასწავლებლის საპატიო და სასახელო საქმიანობის უაღრესი მნიშვნელობა. ჯუმბერი გაბედულად ეუბნება მამას: „ჩემს სიკეთეს მე ნუ მაკვეხებ და ნურც მე მადებ; გალატოზმან, რომელმან ნატიფად სახლი აღაშენა, სახლის სიკეთეა, ანუ მაშენებლისა? მხედარმან, რომელმან კვიცი კარგა სადავედ გაწვართოს, კვიცის საქებელია, თუ მხედრისა? შენი ხორცი ვარ და ლეონის გაზრდილი. ჩემი სიკეთე ჩემგან არ არის: აგებულობის საქმე — შენგან და წვრთილობა — ლეონისაგან“.

უფლისწული სხვა შემთხვევაშიც ამაყად აცხადებს: „კარგის ნერგის (ფინეზის — ლ. მ.) ხილი ვარ, ხელოვანის მებაღის (სედრაქის — ლ. მ.) შემვრთილი, ფრთხილის შემნახავის (ლეონის —ლ. მ.) ბარებულიო“.

„სიბრძნე სიცრუისა“ სწავლა-განათლების კეთილმყოფელობის ქადაგებაა.

სულხან-საბა ორბელიანი ერთობას ქადაგებდა. მწერალს კარგად ესმოდა, რომ შეკავშირებაა სახელმწიფოს ძლიერების წყარო. ჟამთა სიავისა და ძნელბედობის ხანის მოღვაწე გამოდიოდა შეკავშირების ლოზუნგით. საყურადღებოა შემდეგი არაკი: „მეფე ვინმე იყო დიდებული. ოცდაათი ვაჟი ჰყვა. რა მოიწია დრო სიკვდილისა მისისა, მოუწოდა ძეთა თვისთა, მოაღებინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრა ერთად და მოზიდა, რათა გატეხოს და ვერ გატეხა. მერმე თითო-თითო მოზიდა და ყოველივე დალეწა. უთხრა შვილთა თვისთა: თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგეხართ, მტერი ეგრე ვერ გაგტეხსთ, ვითა მე წელან შეკრული ისარი ვერ გავტეხე; თუ გაიყრებით, ესრეთ თითო-თითოდ დაგლეწოსთ მტერმან, თავიცა მოსთხაროთ და მოყვარეცა“.

სულხან-საბა ორბელიანი ებრძოდა პარტიკულარიზმს, გმობდა გამთიშველებს და მოქიშპეებს, ამათრახებდა შინა ომის წამომწყებთ, პოლიტიკური ცენტრალიზმის მოწინააღმდეგეებს, კინკლაობის მოთავეებს, ინტრიგის ქსელის გამბმელებს.

სულხან-საბა ორბელიანის იდეალს წარმოადგენდა ერთგული, თავდადებული და გამტანი მეგობარი. აი, რა მხურვალე გრძნობით წერდა ის მეგობრობაზე: „კარგი ამხანაგი ადვილად არ იშოვების, გზაზედ ცუდად არ იპოების, იაფად ვერვინ იყიდის.

ამხანაგი ციხე წყლიანია, ზღუდე მაღალია, სიმაგრე დაურღვეველია.

ამხანაგი ლხინი ფრიადია, სიხარულთა გამამდიდრებელია, სუფრათა შემამკობელია.

ამხანაგი გულთა ნათელია, თვალთა ჩინია, მკლავთა ძალია და ზურგთა მომბმელია.

ამხანაგი მტერთათვის ხმის გამცემია, ჯართათვის მარგებელია და ცოტას კაცთა შემაქცეველია.

ამხანაგი ჭირში მომხმარეა, სნეულებაში მკურნალია, სიკვდილ-

ში თავის წამგებია“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში არც ერთ მწერალს ასე დიდებულად არ შეუმკია მეგობრული გრძნობა. მოტანილი ადგილი მეგობრობის გრძნობის სახოტბო ჰიმნია. სულხან-საბა ორბელიანი ამ ჰიმნით შესანიშნავად ეხმაურება რუსთველის უკვდავი პოემის სახელოვან იდეას.

თხზულებაში გაკიცხულია ყალბი მართლმსაჯულება, მოსამართლეთა მანკიერება. ავტორს მოქმედ პირად ყადი ჰყავს გამოყვანილი, მაგრამ უცხო მოსამართლეში ადვილად შეინიშნება ქართველ მსაჯულთა გახრწნილი სახე. სულხან-საბა ულმობლად ამხელდა მოსამართლეთა ბნელ საქმეებს, პირუთვნელად ამათრახებდა და მწარედ დასცინოდა მათ. საილუსტრაციოდ საკმარისია არაკი „ქოსა და ყადი“. ერთ ქოსას ძროხის გაყიდვა სურდა. ქალაქელმა ვაჭარმა იაფად მოისურვა ძროხის ხელში ჩაგდება და სხვა ვაჭრები მიიმხრო. ქოსას ყველა ეუბნებოდა: ეგ ძროხა კი არა, თხააო. ვაჭარმა მსუნაგი და მექრთამე ყადიც დაითანხმა, სანაცვლოდ ტყავი აღუთქვა. გაწბილებულ ქოსას ძროხა თხად ჩაუთვალეს და დაჩაგრული დააბრუნეს სოფელში. ქოსამ მხოლოდ კუდი წაიღო. ასე უსამართლოდ გადაწყვიტა ეს საქმე ანგარებიანმა ყადმა.

სულხან-საბა გმობს ამ ფაქტს. თხრობა გრძელდება. ქოსამ ხელთ ჩაიგდო ყადი და ძროხის კუდით სცემა. ხან ქალის სამოსით მოევლინა, ხან მექისედ, ხან მეაქლემედ. ბოლოს ძროხის სანაცვლოდ ქოსამ დიდძალი ქონება მიიღო. ხოლო ყადი ავ საქმეს შეეწირა.

გაიძვერა მოსამართლეებთან ერთად მწერალმა ამხილა და გაკიცხა გაქნილი მომჩივნებისა და გაიძვერა ცრუმოწმეების, მატყუარა შუაკაცებისა და ფლიდი მომრიგებლების ავზნიანობა. ასეთ მოსამართლე-მომჩივანს მწერალმა დაუპირისპირა მშვიდი, პატიოსანი და მშრომელი ბრალდებული. ავტორის ჩვენებით, ცილისმწამებელი სასტიკად ისჯებოდა. ეს მომენტი ოსტატურადაა გადმოცემული ერთ არაკში: თხა და მელა დაძმობილდნენ, მოსავალი მოიყვანეს. მელამ ხვავი მოითხოვა, თხას ბზე შეაძლია. ვერ მორიგდნენ. მელამ ბიძა — მგელი მოიყვანა. თხამ ადრევე მოიყვანა

და ბზეში ჩამალა ორი ქოფაკი. როდესაც მსუნაგი მგელი მომჩივან მელას მოჰყვა, ქოფაკები წამოუცვივდნენ და ეცნენ. ავტორის მორალი ცხადია: ყველა ფლიდი და ცრუ მომჩივანი და ბოროტი და მსუნაგი მოწმე-მოსამართლე სასჯელს არ ასცდება და მზაკვრობა არ შერჩება.

სულხან-საბა ორბელიანის მახვილმა და დაკვირვებულმა თვალმა კარგად შეამჩნია მოხელეთა თავგასულობა და უმსგავსი მოქმედებაც. მწერალმა სააშკარაოზე გამოიყვანა სოფლის მაწუხებელი გზირი და დაგმო მისი საქმიანობა.

კლარჯეთის თემს, ერთ სოფელში ყოფილა მეტად ანჩხლი და გაიძვერა გზირი. მისი მზაკვრობით ხალხი იტანჯებოდა. აღსასრულის მოახლოებისას გზირმა სოფლელებს სთხოვა: „მე თქვენთვის ბევრი შემიცოდებია და რადგან ცოცხალს ვერა მაწყინეთ რა, გაფიცებთ ღმერთსა, რა მოვკვდე, თოკი ყელს მომაბით, გამათრიეთ და ხეზედ ჩამომკიდეთო“. სოფლელები ასეც მოიქცნენ, ჩამოკიდეს ბოროტი გზირი. როცა თათრებმა ეს ნახეს, სოფელი დაარბიეს. „ცოცხალმან მოგვთხარა და მკვდარმან აგვაოხრაო“,— ამბობდნენ მოტყუებული და გამწარებული სოფლელები.

„სიბრძნე სიცრუეში“ ფართოდაა წარმოდგენილი ვაჭართა საზოგადოება. მწერალი აკრიტიკებდა ვაჭრების მოქმედებას, სიხარბესა და გაუმაძღრობას, განსაკუთრებული სიმკაცრით ამათრახებდა ძუნწ ვაჭრებს.

ერთმა დიდმა ვაჭარმა „სიბერემდე არა სვა, არა ჭამა, არც არა შეიმოსა“ და ქონება ისე დააგროვა. თავის სალაროსთან მისულს სალაროდან ხმა შემოესმა: „თუცა შენი იყო, დღეისამდე არცა შენ იხმარე და არცა ცოლსა და შვილსა ახმარეო“. მალე ეს განძი ბაღდადელ ხუროს ნაზარას ერგო. მწერლის აზრით, მოუხმარებელი ქონება არაფერია პატრონისათვის, მას ფასი არა აქვს და შეიძლება სხვასაც ჩაუვარდეს ხელში.

ქართული ეკლესიის სიძლიერე მწერალს აიძულებდა მოქმედება სხვა ქვეყანაში გადაეტანა და მოქმედ პირებად არაქრისტიანები გამოეყვანა, მაგრამ თხზულებაში გამოყვანილ პირებში ადვილად შეინიშნება, რომ სულხან-საბა ორბელიანს იმდროინდელი ქართველი სამღვდელოებისათვის დამახასიათებელი ნაკ-

ლოვანებანიც არ გამორჩენია მხედველობიდან.

საინტერესოა ბერად შემდგარი მელას ამბავი. ერთი მელა ნასოფლარში დადიოდა, ლილით სავსე სამღებროს ქვევრში ჩავარდა და შავად შეღებილმა იწყო სიარული. გზაზე შემომხვდარ მამალს მელამ უთხრა: „ჩემნი დღენი ცოდვის ქმნით დავაღამე, ახლა ჭკუა მოვიხმარე, ეს სოფელი გავუშვი, ბერად შევდეგ, იერუსალიმს მინდა წავიდეო“ (ავტორი ირონიულად გვამცნობდა მრავალცოდვიანისა და სიავის მქმნელის ბერად შედგომას. მან იცოდა, რომ ზოგი უღირსი ადამიანი თავის ცოდვას ბერის სამოსით ფარავდა). ასეთი ფლიდობით მელამ შემოიერთა მამალი, ძერა და ოფოფი და „ცოდვათა შენდობა“ დაუწყო.

სულხან-საბა ორბელიანი გმობდა ადამიანის სიხარბესა და გაუმაძღრობას, მსუნაგობას და ანგარებას, მედიდურობასა და ბრიყვობას, რეგვენობასა და უმადურობას.

ერთი ქვის მთლელი („ქვის მთლელი“) გამდიდრდა და გამედიდურდა; „აღარც გლახაკი“ მოაგონდა და „აღარც ღმერთი“; „ესრეთ სიხარბეს“ გაჰყვა. კეთილის მქმნელი და კარგ ბედში ჩამგდები გადაავიწყდა. ამიტომაც დაისაჯა და წერაქვი გაუხდა საძებარი. ავტორის აზრით, „თურმე ყოველი კაცი სიმდიდრეს და პატივს ვერ შეიფერებს, ისევ სიგლახაკე უჯობსო“. სულხან-საბა მკაცრად აფრთხილებდა ასეთი ქცევის ადამიანებს, ხარბებსა და გაუმაძღრებს, მოაგონებდა მათ მოსალოდნელ სასჯელს. ამავე მიზნითაა გამოყვანილი ერთი მცელავი, რომელმაც მეტი მიწისა და თივის მისაკუთრების ცდაში თავიც დაკარგა, სიხარბემ თავი გააგდებინა („თივაზე მოცილენი“). ასევე მკაცრად ისჯება მსუნაგი მელა არაკში „ბერად შემდგარი მელი“. ის ბატის სურვილით იღუპება, მამალსა და ძერასაც ჰკარგავს. „ბევრის ნდომა კაცს ასე წაახდენსო“, — დასძენს სულხან-საბა.

მწერალი ამათრახებდა ფანტაზიორებს, ბაქიებს, მოლაყბეებს. ერთ არაკში გამოყვანილია გლეხი, რომელსაც ერთი ქილა ერბო ჰქონდა („გლახაკი და ქილა ერბო“). მან გამდიდრება მოისურვა, ოცნება იწყო. ფიქრში ქილა გატეხა და ერბო დაღვარა. ასე დაეღუპა გლეხს თავისი ქილა ერბო ზედმეტ სიმდიდრეზე უსაფუძვლო ოცნების გამო.

სულხან-საბა ორბელიანი ამჩნევდა ძველი ადათ-ჩვევების

რღვევას, გრძნობდა, რომ ძველ ადათებს ფასი ეკარგებოდათ. საინტერესოა ყასბისა და მყიდველის არაკი. ერთმა კაცმა ყასაბს ცხვრის ხორცი სთხოვა. გამყიდველმა ირონიულად უთხრა: შენ არ გეკადრება ხორცით სიარული, მსახური გამოგზავნე. „შენის თმის ბეწვი გამომიგზავნე, ვინიშნებ და გამოგიგზავნიო“. იმ კაცმა ასეც გააკეთა; მონას გამოატანა თმის ბეწვი და ხორცი მოსთხოვა: ყასაბმა მონას ასე უპასუხა: „ვაჟო! თვით აქ იყო, წვერიცა და ულვაშიც ზედ ესხა, არამც თუ თმის ბალანი, და ერთი გამოსაცოხნელი არ ვაჭამე, და ახლა ერთის ბალნით ბევრი რათ გავუგზავნოო?“

ბეწვით ანგარიშიანობა დროგადასული იყო. აღებ-მიცემობის ახალი ფორმების დამკვიდრებამ ძველი კარჩაკეტილი მეურნეობის დროინდელი წესი დავიწყებას მისცა. სოციალური ყოფის ცვლამ გამოიწვია მორალის ცვლაც.

სულხან-საბა გულისტკივილით აკვირდება ძველი ადათების გაქრობას. ცხოვრებაში ძირითადი ხდება ანგარიშიანობა. ქორწინებაც კი ანგარებაზეა დამყარებული, მასაც ანგარიშიანობა განსაზღვრავს. ერთ არაკში („მეფე და მჭედელი“) მეფე თავის ძეს ცოლად მოჰგვრის მდიდარი მჭედლის შვილს. დიდებული ხელმწიფე არ თაკილობს, მშრომელის ქალი მიიყვანოს სასახლეში, ოღონდ სიმდიდრე შეიმატოს.

ძველი სოციალ-ეკონომიკური წყობილების რყევამ და ადათ-ჩვევების დავიწყებამ, პრაქტიკული საქმიანობის არსმა და ანგარიშიანობამ გააუფასურა მადლიანი, კეთილი საქმეც. სულხან-საბა მოითხოვდა კეთილსაქმიანობას, ქველმოქმედებას, უძლურთათვის დახმარების აღმოჩენას და ხელის გაწვდენას. სიკეთის ქნა დაუყოვნებლად უნდა ხდებოდეს, დაყოვნება არ ვარგაო.

ერთმა კაცმა ორმოში ჩაგდებული ტყვე მეფე გადაარჩინა, ორმოდან ამოიყვანა, მაგრამ ყოველდღით თავი მოაძულა. გამწარებულმა მეფემ იყვირა: „ვინა ხართ, ამ კაცმან გამაპარაო“. შეიპყრეს და ჰკითხეს, რად იყვირეო: „ვირემ ამომიყვანდა, საყოველთაოთ ამავსო, თუ შინ მიმეწია, კიდევ დამარჩობდა, აქაც ყოფნა ვირჩიეო“, — განაცხადა მან. ყოველდღით აღსავსე თავისუფლებას მეფემ ტყვეობა არჩია.

სულხან-საბა მოითხოვდა გლახაკთათვის დახმარების დროზე აღმოჩენას: „ყოველი კეთილი სიცოცხლეში ქმნას სჯობს და

სიკეთის ქმნას დაეშუროსო“. სხვა ადგილას მეფეს ასეთ რჩევას აძლევენ გმირები: „სალაროც თქვენსავ სიცოცხლეში წინ წაიმძღვანო და გლახაკს უბოძო, ისი სჯობს, თვარა მას უკან გაცემული უკან მიდევნებული ლამპარი იქნებაო“.

„სიბრძნე სიცრუისა“ ალეგორიული ხასიათის ძეგლია. ავტორს განზრახ გამოჰყავს მოქმედ პირებად ცხოველები თუ ფრინველები (თითოეულ მათგანში ადვილად შეიცნობა ადამიანის ხასიათი და თვისება), განზრახ გადააქვს მოქმედება სხვა ქვეყანაში, სხვა ქალაქში (არაბეთი, ინდოეთი, იტალია, საფრანგეთი, ჩინეთი, ბაღდადი, ედესი, თავრიზი, იერუსალიმი, ისპაანი, კონსტანტინოპოლი, შირაზი...), განზრახ გამოჰყავს მოქმედ პირებად მაჰმადიანი უცხოელები (შაჰი, სულთანი, ყადი, მოლა). თხზულებაში აღწერილი ვითარება დამახასიათებელი იყო ქართველთა სამეფოსათვის, მხილებული მანკიერი თვისებანი ქართველებსაც ახასიათებდათ.

სულხან-საბას წიგნს დაჰკრავს სატირულ-იუმორისტული იერი. მწერალი დასცინოდა უხეირო ადამიანებს, მათ ავ საქმეს, ბოროტ თვისებებს. თხზულებაში ერთ მოტირალს ჰკითხეს: „ავზე და კარგზე, საცინალზე და სატირალზე სულ რატომ სტირიო“. მან უპასუხა: „რა ვქნა, ეს სოფელი მოკლეა; ყოველნი კაცნი ამ საწუთროს საქმეს შვრებიან, საუკუნო სასჯელი დაუვიწყებიათ, და მით ვტირი, ყოველნი ჯოჯოხეთს იშენებენო“. მოცინარმა კაცმა კი ამავე კითხვას ასეთი პასუხი გასცა: „ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ავს შვრებიან, კარგს არ იქმონენ. ყოველს კაცს ვუქადაგე, ვურჩიე, ვერა დავაჯერებინე რა და აწ სიცილს ძალი მივეც. მეც რომ ზრუნვით თავი მოვიკლა, რას მარგია, ან რა მათი სარგებელია?“

ირონია, დაცინვა, გაკილვა ხშირია ძეგლში. ერთმა გლახაკმა სიზმარში სამასი ცხვრის გაყიდვა მოინდომა დიდ ფასად, მაგრამ მყიდველს ვერ მოურიგდა. ცილობაში გაელვიძა, შეწუხდა, თვალი მოხუჭა და მყიდველს უთხრა: „ოროლი კირმანეული მომეც, მოგცემო“. სულხან-საბა ირონიულად შენიშნავს: „ანუ ვინღა მისცემდა ვერცხლსა, ანუ ვისღა მიჰყიდდა?“

ერთ დიდ მეფეს ომი ჰქონდა. მის სამზარეულოს ცხრაასი აქლემი ძლივს ძრავდა ადგილიდან. დამარცხდა მეფე, ჯარი

ამოუწყდა. მცირე ხორცი მოხარშა. ძაღლმა ქვაბიდან მოსტაცა. გაეცინა მწარედ: „გუშინ ცხრაასმან აქლემმან ვერა ზიდა ჩემი სამზარეულო და დღეს ერთს ძაღლსა ესუბუქაო“.

ცრემლნარევი სიცილი სხვაგანაც შეინიშნება. ცრემლი მსუბუქი ირონიის საბურველითაა შემოსილი.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ დაწერილია ხალხურ-სასაუბრო კილოთი. მაღალფარდოვანი მწიგნობრული სტილის ნაცვლად მწერალმა სასაუბრო კილო წარმოაჩინა. დიდგვაროვანი ფეოდალი ხალხური ენით გვესაუბრება. მისი ენა მსუბუქი და ადვილად გასაგებია, მოქნილი და დახვეწილია. აზრი სხარტად და მკაფიოდაა გადმოცემული, გამოთქმა მოკვეთილი და ამომწურავია. მეტყველება ლაკონიურია. სიტყვა ნაჭედია, კარგად შერჩეული, მოფიქრებული და გააზრებულია. ლექსიკა დიდებულია, ხალხურთან ახლოა. არის არქაიზმებიც (გვიძს, ხვასტაგი, სპასალარი და სხვ.)

სულხან-საბა ორბელიანისათვის დამახასიათებელია ეკონომია სიტყვისა, ნაჭედობა ფრაზისა, ფერადოვნება სტილისა. ამასთანავე ის იცავდა და ინარჩუნებდა გრძნობის სიცხოველესა და აზრობრივ სრულყოფილებას. მისი ენა მდიდარია აფორისტული გამოთქმებით (მწერალი აქ ხალხთან დიდ სიახლოვეს იჩენს). რამდენიმე მაგალითი: „ქარი ხელითა არ დაიჭირვის, თვალს ზარმაცი ვერ მიეწევის“; „ბედი მომეც და ნეხვთა დამფალ“; „ლოდი მაშინ მძიმეა, რა ადგილს ძევს და რა ადგილით დაიძვრის, გასუბუქდესო“; „რაც სალარო გაქვს, თუ არ იხმარებ, ქვა და ოქრო სწორია კაცთათვის“; „არ ქონება არ ვარგა და ავად ქონება უარესია“; „ქორი ქორსა სჩეკს, ძერა ძერუკასა“.

ასეთი ძველი თქმანი თხზულებაში ხშირია. მათ ახლავს ცნობა: „არაკად თქმულა“ ან „ძველთაგან თქმულა“.

სულხან-საბა ორბელიანს ძირითადად აზრის გადმოცემა აინტერესებდა. „სიბრძნე სიცრუეში“ იდეურ-თემატურობა გაცილებით წინაა წამოწეული, ვიდრე მხატვრულობა. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ სულხან-საბას არ შეეძლო ტექსტის მხატვრულად სრულყოფა. მართალია, ის სიძუნწეს იჩენდა; მხოლოდ რამდენიმე სტრიქონს იმეტებდა ამისათვის; მაგრამ ამ სტრიქონებშიც

კარგად ვლინდება მწერლის მხატვრული შესაძლებლობა, დახვეწილი გემოვნება და გამომსახველობით-აღწერილობითი უნარი.

სულხან-საბა ორბელიანი მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატი და სიტყვაკაზმული მწერლობის სახელოვანი წარმომადგენელია. მან საყოველთაოდ გაბატონებული პოეზიის გვერდით წამოსწია და აამაღლა ქართული მხატვრული პროზა. სულხან-საბა ორბელიანი დიდად დახელოვნებული პროზაიკოსია.

„სიბრძნე სიცრუის“ არაკთა პარალელები სხვადასხვა ენაზე არსებულ ანალოგიურ კრებულებში მრავლად იძებნება („პანჩატანტრა“, „სინდბადი“, „ბარამგურიანი“, „მელის წიგნი“, „მეფეთა სალარო“, „ქილილა და დამანა“), მაგრამ სულხან-საბა ორბელიანს ამ ძეგლების ლიტერატურული გავლენა არ განუცდია. მას არაკები აუღია ზეპირსიტყვიერების წიაღიდან, მისი საფუძველი ქართული ხალხური შემოქმედებაა.

აკაკი წერეთელი ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს წერდა: „საბას მისი იგავ-არაკები ჩვენს ქვეყანაშივე, საერთო ზეპირსიტყვაობისაგან აუღია“.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისა“ ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ბრწყინვალე ლიტერატურული გადამუშავებაა.

თხზულებას ხელნაწერებში შემოუნახავს ასეთი სახელწოდება: „წიგნი სიბრძნე სიცრუისა, ნათქვამი სულხან ორბელიანისა ჟამსა სიჭაბუკისა მისისასა“. ე. ი. დაწერილია ის სულხანის ბერად შედგომამდე, 1698 წლამდე (წინააღმდეგ შემთხვევაში მოხსენიებული იქნებოდა მწერლის მეორე სახელი საბა ან სულხან-საბა). თხზულების ხასიათი, წერის მანერა, იდეოლოგიური მიზანდასახულობა, პირუთვნელი კილო და მამხილებელი ტონიც ამის სასარგებლოდ მეტყველებს. საფიქრებელია, რომ ბერად შემდგარი მწერალი ასე მწარედ ვეღარ გაამათრახებდა სამღვდელოებას (მართალია, ასეთი რამ „ქილილა და დამანაშიაცაა“, მაგრამ, ჯერ ერთი, სულხან-საბა ორბელიანი მასზე ვახტანგის დავალებით მუშაობდა და, მეორეც, მისი მუშაობა მხოლოდ რედაქციული ხასიათისა იყო).

საინტერესოა „ჭაბუკის“ სულხანისეული განმარტება: „ოცის

წლითგან ვიდრე ოცდაათამდე ვაჟს (ეწოდების) ჭაბუკი". მაშასადამე, ჩვენი მწერლის ჭაბუკობა 1678–1688 წლებზე მოდის. ამის მიხედვით ვასკვნით, „სიბრძნე სიცრუის" თხზვა ავტორმა მე-17 საუკუნის 80-იან წლებში დაიწყო — იმ დროს, როდესაც ის ვახტანგ ლევანის ძეს ზრდიდა (საფიქრებელია, დიდი იგავთმწერალი შემდეგაც განაგრძობდა „სიბრძნე სიცრუეზე" მუშაობას). ამავე ხანაში (1685 წ.) დაიწყო სულხანმა ლექსიკონის შედგენა.

ლექსიკონი განსაკუთრებით გამოირჩევა სულხან-საბა ორბელიანის მრავალმხრივ კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობაში. ესაა დიდი მუშაობის ბრწყინვალე შედეგი, ხანგრძლივი საქმიანობის ფრიად სასახელო ნაყოფი.

სულხან-საბა ქართული ენის გენიაა, მისი ლექსიკონი ქართული სიტყვიერი საუნჯის ულევი არსენალია.

ქართულ ენაზე ლექსიკონი ადრეც არსებობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში დაიკარგა. სულხან-საბას წინამორბედი და გზის გამკაფავი ჩვენთვის უცნობია. ის თვით გვაუწყებს, რომ „ქართლის ქვეყანას ლექსიკონი აღარ იპოებოდა"; „ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარა იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო". ლექსიკონის დაკარგვამ ცუდი გავლენა მოახდინა ქართველებზე. ენა წაირყვნა, დამახინჯდა, დაიკარგა მისი დიდებული იერი და ბრწყინვალება. ქართველებს „ვინათგან პატიოსანი ესე წიგნი დაჰკარგოდათ, ენა ქართული თვისთა ნებაზედ გაერყვნათ". ქართული ენა დადგა საფრთხის წინაშე, ეროვნულ ენას კატასტროფა ელოდა. სულხან-საბა ორბელიანი დიდი ეროვნული განცდითა და მწვავე შინაგანი ტკივილით გვამცნობს ამ ფაქტს.

ქართული ენის სიწმინდისათვის საკმაოდ ზრუნავდნენ და ენის დაცვას დიდ ყურადღებას აქცევდნენ გიორგი მეთერთმეტე, არჩილ მეფე და ლევან ბატონიშვილი. სამეფო კარმა ქართული ლექსიკონის შედგენა სულხანს დაავალა. მწერალი გვაუწყებს: „ვახტანგ მეფის ბიძამ, გიორგი მეფემ მიბრძანა ამისი ხელყოფაო", ხოლო სხვაგან გვაცნობებს, რომ „მეფის არჩილისა და მეფის გიორგისა და ბატონის ლეონის... ბრძანებით აღიწერა" ლექსიკონიო.

ქართული ლექსიკონის შედგენა ფრიად ძნელი საქმე იყო. საჭირო იყო ბარბარიზმების განდევნა, ახლის დამკვიდრება, არსებულის განმარტება; ორიგინალური და თარგმნილი ლიტერატუ-

რის ღრმა ცოდნა, ენციკლოპედიური განათლება, დიდი ერუდიცია, საქმის სიყვარული და შრომისათვის გულისდადება, ბევრითობა და მუყაითობა.

სულხან-საბასთვის ასეთი დიდი და პასუხსაგები დავალების მიცემა არ იყო შემთხვევითი. ის იყო ქართული ენის კარგი მცოდნე, ფლობდა უცხო ენებს, ჰქონდა ულევი ლექსიკური მარაგი, დიდი მეცნიერული ნიჭი და შესანიშნავი ალღო.

სულხან-საბამ დიდი მონდომებით მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. შეისწავლა ძველი ტექსტები, გაიცნო უცხო ლექსიკონები. მან არ დაზოგა ენერგია, რომ სრულყოფილი ლექსიკონი მიეღო, რათა ქართველებს ესწავლათ „ენა ქართული შესრულებული და განვრცელებული.“

სულხან-საბა ორბელიანმა მრავალი ლიტერატურული წყარო გამოიყენა. მას კარგად ესმოდა, რომ ძველი ლექსიკა ყველასათვის გასაგები აღარ იყო, ამიტომაც სცადა ყველა სიტყვის ახსნა. მუშაობის პირველ ეტაპზე ის 100-ზე მეტ წიგნს იყენებდა, შემდეგ კიდევ უმატებდა წყაროებს.

ლექსიკონის შემდგენმა გამოამჟღავნა წყაროების გამოყენების დიდი უნარი: ისტორიის, გეოგრაფიის, ბუნებისმეტყველების. ასტრონომიის, ლიტერატურის, ფსიქოლოგიის, ლოგიკისა და სხვა დისციპლინების ღრმა ცოდნა.

სულხან-საბა ორბელიანი უხვად იყენებდა ქართულ ორიგინალურ ლიტერატურას. ლექსიკონში გვხვდება სიტყვები, როგორც წმინდა საეკლესიო ხასიათის ძეგლებიდან („ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, „ნინოს ცხოვრება“, „შიოს ცხოვრება“ და სხვ.), ისე ქართული საერო-მხატვრული თხზულებებიდან. ჯეროვნადაა გათვალისწინებული ლექსიკური მასალა „ვეფხისტყაოსნისა“ (ამირბარი, აჯიღა, ბალახში, კატაბანი, კენარი, მათრახი...), „ამირანდარეჯანიანისა“ (ამირა, ბადრაგა, მეკობრე...) და სხვა ძეგლებისა. საკმაო სისრულითაა წარმოდგენილი ნათარგმნი საერო-მხატვრული ძეგლები: „ვისრამიანი“ (არნი, ემუდა, მუქსარი, ტაბარი...), „როსტომიანი“ (ბაბრაბი, გურზი, გუჰარი...), გამოყენებულია „ქართლის ცხოვრებაც“ (ბუმბერაზი, მაშმელი, ნიჯადი და სხვა).

სულხან-საბა ორბელიანი იყენებდა უცხო ავტორების შრომათა თარგმანებსაც (არისტოტელეს, იოანე დამასკელის, ნემესიოს

ემესელის, დიონისიოს არეოპაგელის, მაქსიმე აღმსარებლისა და სხვათა შრომებს).

სულხან-საბა ორბელიანს ჰყოლია თანამშრომლები. ჩვენთვის ცნობილია ერთი მათგანის სახელი. ესაა სერგიოსი, რომელიც საქართველოში დოსითეოს პატრიარქს მოჰყვა, თბილისში დარჩა და ვახტანგის „მრჩეველ-თანამშრომელი გახდა სასტამბო-სარედაქციო საქმიანობაში“. სერგიოსი სულხან-საბას ეხმარებოდა, მაგრამ დიდად განსწავლული არ ყოფილა და ჯეროვანი დახმარება ვერ აღმოუჩენია ლექსიკონის შემდგენისათვის; სულხან-საბა წერს: „ამა წიგნთა შინა რაოდენთა ადგილთა ბერძნული სიტყვანი სწერია, რომელიც წიგნით შევიტყევ, სწორე დავსწერე. და ერთი მღვდელ-მონაზონი იყო ბერძენი, სერგიოს ერქვა, ცოდნას იჩემებდა, რომელნიმე მისის სიტყვით დავწერე. შემდგომად ვცან: არა იცოდა რა, ვინც საზომს მისწვდეთ, გასინჯეთ. ასე მომიხდა“. გასაგებია, რომ ასეთი „დამხმარე“ პირი ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანდა ლექსიკონის ავტორს. მისი სამუშაო კიდევ უფრო რთულდებოდა და მძიმე ხდებოდა. მას უხდებოდა კოლოსალური შრომის გაწევა. აკი თვითონაც შენიშნავდა: „ფრიადი შრომა დამიცს ამა წიგნსა ზედაო“. ამ მხრივ საინტერესოა „ანდერძნამაგი ამის მუშაკისა ფრიად დამაშვრალისა“, რომელშიც ის მოუცლელობას ჩივის (ის ხომ „ერისაგანი იყო და წარჩინებული და სოფლისა საქმისაგან უცალო“). ეს კიდევ უფრო აძნელებდა ამოცანის დაძლევას და დასახული მიზნის მიღწევას. მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, სულხან-საბას ფარ-ხმალი არ დაუყრია და წამოწყებული საქმე არ შეუწყვეტია.

„რომელნიცა ვიცოდი, დავწერე, და რომელნიცა ძნელი სიტყვანი არ ვიცოდი, ღრმათა წიგნებთა შინა ვიძიე და რომელიმე სხვათა ენათა შევამოწმე და გამოწვლილვით რომელიცა ვპოე, ადვილად თან მოვაწერე, რომელიცა ვერ ვპოე, საცილობელი არ დავწერე, არამედ მუნვე კიდურთა ზედა წითლითა ნიშნად იგივე სიტყვები მოვაწერე, — ნუთუ სხვა წერილთა მისთანა სიტყვა ეწეროს, გამოძიებით იპოება,“ — წერდა ლექსიკოგრაფი.

სულხან-საბა ორბელიანი ცდილობდა ლექსიკონი ყოფილიყო სრული და ამომწურავი, მასში გათვალისწინებული ყოფილიყო ყველა ქართული სიტყვა — ძველი თუ ახალი. მისი ძირითადი

მიზანი ქართული ლექსიკური მარაგის სრულად წარმოდგენა იყო.

ლექსიკონის პირველი რედაქცია სულხან-საბა ორბელიანმა ბერად შედგომამდე (1698 წ.) დაასრულა. ამ რედაქციის რამდენიმე ნუსხაა მოღწეული, ზოგი მათგანი ავტოგრაფულია. ადრეული ნუსხა ავტორს მხოლოდ სულხანის სახელით იხსენიებს („ამა წიგნისა მომღვაწებელსა დიდის ორბელის შვილს სულხანს“ ... და არა საბას, ან სულხან-საბას, როგორც მოგვიანო ნუსხებშია).

პირველ რედაქციაში სიტყვათა რაოდენობა ნაკლებია, მრავალი სიტყვა განუმარტავია (განთიადი, გობი, ზათქი, კოშკი...), წყაროები მითითებული და დამოწმებულია მხოლოდ ძნელ სიტყვებთან (დაფიონა, ქოქი, შორენკეცი...), ზოგი სიტყვა ძალზე ვრცლადაა განმარტებული (ჯაჭვი, ართრონი...), სიტყვათა ნაწილს მოეპოვება თურქულ-სომხური შესატყვისები.

სულხან-საბა ორბელიანი ენერგიულად განაგრძობდა ლექსიკონზე მუშაობას და უცხოეთშიც არ წყვეტდა მას; ლექსიკონის მეორე რედაქცია მწერალმა კონსტანტინოპოლში დაამთავრა. ლექსიკონის ავტოგრაფული ნუსხის ცნობით, ის ნუსხა, რომელიც მეორე რედაქციას წარმოადგენს, ავტორმა გადაწერა 1715 წლის 10 აგვისტოდან 1716 წლის 20 იანვრამდე, როდესაც კონსტანტინოპოლში „ფრანცისის დესპანისას იდგა მრავალ კეთილ ხელშეწყობითა“. სხვათა შორის, ესაა პირველი თარიღიანი ავტოგრაფული ხელნაწერი.

სულხან-საბა ორბელიანმა ლექსიკონის მეორე რედაქციაში სიტყვათა ოდენობა საკმაოდ გაზარდა; განუმარტავ სიტყვათა რაოდენობა შეამცირა; ბევრი მათგანი განმარტა (განთიადი — დილა მოახლოებული, გობი — ხე ამოჭრილი ჭურჭლად, ზათქი — დიდის ხმის გასვლა, კოშკი — წვრილი მაღალი ციხე და სხვ.), მაგრამ ზოგი სიტყვა მაინც განუმარტავი დატოვა (თავქედი, კულა...); გაჭიანურებული განმარტებანი ზოგჯერ შეამოკლა (ჯაჭვი, ჯოჯოხეთი...); პირველ რედაქციაში წყაროთი და დამოწმებით წარმოდგენილ სიტყვათა ნაწილი განმარტა (დაფიონა და სხვა); თურქულ-სომხურ შესატყვისებს დაუმატა იტალიური შესატყვისებიც; მცირედი ოდენობით წარმოადგინა ზმნის პირიანი ფორმები ქცევის ნიშნებითა და ზოგჯერ პრევერბებითაც, სხვადასხვა მწკრივსა და პირში; განმარტებებში შეიტანა მეტი კონკრეტულობა.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ სულხან-საბა ორბელიანი კვლავ განაგრძობდა ლექსიკონზე მუშაობას. მან ერთხელ კიდევ გადანუსხა თავისი ნაღვაწი (1716–1721 წწ.). შემდეგ ძმასთან ერთად განაგრძობდა მუშაობას და ხანგრძლივი შრომის შედეგად დაგვიტოვა ლექსიკონის მესამე რედაქცია.

უკანასკნელ რედაქციაში ლექსიკური მარაგი გაცილებით მეტია; ადრეულ რედაქციაში განუმარტავ სიტყვათა დიდი ნაწილი განმარტებულია (თავქედი – თავკისრის სენი, კულა – ხის სასმისი...); პრეევრბიან ზმნათა რიცხვი გაზრდილია; სიტყვათა რამდენიმე ჩვენება ხშირია.

სულხან-საბა ორბელიანის მუშაობის უკანასკნელი ეტაპის შესასწავლად გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ერთ ავტოგრაფულ ნუსხას, რომელიც გადაწერილია სულხან-საბასა და მისი ძმის ზოსიმეს მიერ 1723-1725 წწ. ამ ნუსხის გადაწერის დამთავრებამდე სულხანი გარდაიცვალა. მან ვეღარ მოასწრო ლექსიკონის უკანასკნელი რედაქციის დასრულება და შესწორება და, როგორც მისი ძმა დიმიტრი წერდა, „კარ ღია, ზღუდე მოძრცვილი დააგდო სიტყვის კონანი“. სულხან-საბამ ეს ნუსხაც გულმოდგინედ დაიწყო, მაგრამ ვერ დაასრულა.

ამ ხელნაწერში სულხან-საბას გარდაცვალების შემდეგ ზოსიმემ ჩაურთო დედნიდან გადმოწერისას გამორჩენილი 50-ზე მეტი სიტყვა და თავის მხრივ დაუმატა 200-ზე მეტი. დამატებული სიტყვები შეიტანა განუმარტებლად (ალიკვალი, აფრინდა...) და განმარტება-დამოწმებითაც (აღშენებული, გამონადები...). ამ სიტყვების გამოკლების შემდეგ დაგვრჩა სულხან-საბასეული უკანასკნელი რედაქცია, რომელზეც ავტორი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მუშაობდა.

ლექსიკონის ნუსხებს სულხან-საბა ორბელიანმა შემდეგი ლექსი დაურთო:

ამ ლექსიკონის რიგები თუ ბრძენმან დამიწუნოთა,
ჩემს დროს ვეძიე, ვერ შევხვდი თქვენთანას დასარწმუნოთა.
ეს რა შევჰკრიბე, მიქებდენ მაშინ, აწ დასამგუნოთა.
და ყურდგლის გამდრეკსა ჯორჯს ძაღლსა არ სდებენ საძაბუნოთა.

აქ ლექსიკონი არ იყო, დაცაეკარგათ ქართველთა.
უკრძალველობით ფურცელი გაებნიაყე ქართ ველთა.
ახლად შევჰკრიბე, შევაწყევ, ჩემი ვიშრომე სულ ხანი.
და საბამან ორბელიანმან, ვის ერად მერქვა სულხანი.

ლექსიკონზე მუშაობაში სულხან-საბას განსაკუთრებული გულმოდგინებით ეხმარებოდა მისი ძმა ზაალყოფილი ზოსიმე ორბელიანი, რომელიც ამზადებდა ნუსხებს, განმარტავდა აუხსნელ სიტყვებს და ა. შ. აქტიურად მონაწილეობდა ლექსიკონზე მუშაობაში სულხან-საბას აღზრდილი ვახტანგ ლევანის ძეც, სხვათა შორის, მან დაუმკვიდრა სულხან-საბას ლექსიკონს სახელი — „სიტყვის კონა“.

მე-18 საუკუნის 20-იან წლებამდე გადაწერილი ლექსიკონების ანდერძნამაგში იკითხებოდა: „ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა“. 1721-1722 წლებში ზოსიმეს მიერ გადაწერილ ნუსხაში დამოწმებულ ფრაზაში „ლექსიკონის“ გასწვრივ ვახტანგმა მიაწერა: „რომელ არს ქართულად სიტყვის კონა“. ეს სახელწოდება სულხან-საბამ მოიწონა, შემდეგდროინდელ ნუსხას „სიტყვის კონა ქართული“ უწოდა და ანდერძნამაგის ზემოაღნიშნულ ადგილს ასეთი რედაქცია მისცა: „ქართულთა ენათა ლექსიკონი აღარ იპოებოდა, რამეთუ ჟამთა ვითარებითა უჩინო ქმნილიყო, რომელსა მეექვსე ვახტანგ მეფემან ქართულად სიტყვის კონა უწოდა“.

ვახტანგი დიდად აფასებდა ქართულ ლექსიკონსა და მის ავტორს. ამას მოწმობს მის მიერ ლექსიკონის ხელნაწერზე მიწერილი ლექსიც:

რადგან დაშვრა ასე საბა, ქება მმართებს აწყა მეცა,
შეუყრია მრავლად სიტყვა, რა ვიხილე, სიბრძნე მეცა;
სად ვნახევდი ასრე კრებით, ქვეყნად მევლო, გინდა მეცა,
და საქმით სცანით, თუ ვისწავლი, ვით ვინაღვლი, კიდეც მეცა.
სიყრმითგან იყო მუდამად სიბრძნის სწავლისა მსახველი,
სამოცდაექვს წელს იკითხა, თქვა: „ვერასი ვარ მმარხველი“.
იარა ბევრი ქვეყანა, ბევრისაც იყო მნახველი.
და ორბელიანმა საბამან სახელითა ქნა სახელი.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს ახასიათებს ანბანის რიგზე გაწყობილი უპრეცერბო და პრეცერბიანი ზმნების პირიანი ფორმების სიმრავლე (ააბი, გააბი, დააბი, შეევაჭრა, წააგო და მრავალი სხვა). ლექსიკონისათვის გამოსავალი საწყისია (დგომა, ზრდა, მღერა, რბევა, სტვენა, ცურვა, ძლევა და სხვ.), მაგრამ ამით ვერ დაკმაყოფილდა ავტორი და ამიტომაც გაზარდა ზმნის პირიანი ფორმების რიცხვი.

ლექსიკონს ახასიათებს „განყოფილებათა შემოკრებულად დაწერა“. ავტორი წარმოადგენს „განყოფილებას“, შემდეგ ჩამოთვლის ცალკეულ სახეობას. ასეა წარმოდგენილი გულისწყრომა (რისხვა, ბორგა, დარილი), დანა (დანაკი, ღინწი, ციღვი), ზოდიაქო (ვერძი, კირჩხიბი, ლომი, სასწორი, თევზი...), თამაშობა (მოასპარეზობა, მღერა, როკვა...), სიცივე (სიო, სიგრილე, სუსხი...), სიცილი (ღიმილი, კასკასი, თქართქარი...) და სხვ. განმარტება ხშირად ძალიან ვრცელია. სულხან-საბა იძულებულია შეკვეცოს და შეკუმშოს; საინტერესოა მიანობის შენიშვნა, „მიანობის განყოფილებათა შემოკრებულად დაწერა აქ მენება. დია მრავალია. სიგრძისათვის არ დავწერე“.

ყურადღებას იქცევს სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სომხურ-თურქულ-იტალიური ნაწილი. პირველი ორი დამახასიათებელია სამივე რედაქციისათვის, იტალიური განმარტებანი ახლავს მხოლოდ კონსტანტინოპოლში გადაწერილ ნუსხას. ესაა პირველი ცდა ქართულ-უცხოური ლექსიკონისა. სულხან-საბას ლექსიკონი არა მარტო განმარტებითია, არამედ თარგმნითიც — უცხო შესატყვისები მიწერილია ქართული სიტყვების გასწვრივ. იტალიურ სიტყვათა ოდენობა 1500-ს აღწევს, სომხურისა და თურქულის — ორიათასამდე (თითოეული). ბევრი ქართული სიტყვა ქართულად აუხსნელია, მაგრამ ახსნილია უცხო ენაზე. ზოგი სიტყვა სამივე ენაზეა განმარტებული. მაგალითად, ქარტა — ქაღალდი: სომხურად — თუხტ, თურქულად — ქაღაზ, იტალიურად — ქარტა.

ლექსიკონის უკანასკნელი რედაქციისათვის დამახასიათებელია გეოგრაფიულ სახელთა შეტანა და სათანდა განედისა და გრძედის ჩვენებით. შეტანილია 250-ზე მეტი სახელწოდება (გორი, აშთარხანი, ვენეცია, მარჩილია, მოსკო...). ზოგი პუნქტის მდე-

ბარეობა მწერალს ვერ დაუზუსტებია (კონსტანტინოპოლი, სივილია, ყაზმინი, შირვანი და სხვა.).

სულხან-საბა ცდილობს მკითხველს მიაწოდოს სრული ახსნა-განმარტება. ის ხშირად უთითებს ამა თუ იმ წყაროს (საეკლესიოს, საეროს, ორიგინალურს, ნათარგმნს). იძლევა ვრცელ განმარტებას, მაგრამ ეგებ საკმაო არ აღმოჩნდესო და ზოგჯერ სისრულისათვის წყაროს ასახელებს.

სულხან-საბას სურს ამომწურავი განმარტების მიცემა, მაგრამ ესმის, რომ ეს ყოველთვის არაა შესაძლებელი. ამიტომ ერთ ადგილას შენიშნავს: „თუცა ესრე სრული ვერა ჰპოო, ერთისა და ორისა კლებისათვის ნუ დაიწუნებთ, სრული გვიან საპოვნარია“.

წყაროთა გამოყენებისას სულხან-საბა ძალზე ფრთხილად იქცეოდა. ხშირად ასწორებს მწერალთა თუ მთარგმნელთა მიერ დაშვებულ შეცდომებს. ამ მხრივ საგულისხმოა რამდენიმე სიტყვის შენიშვნა: „კარქი რიგია სომხურად და ჩვენ მწერლებს ზოგან გაუსინჯაობით კარაქის ნაცვლად კარგი დაუწერია. კარგი კეთილს ჰქვიან, ხოლო კარქი რიგსა“; „რვალი ვიეთთა ნაცვლად სპილენძთასა აღუწერიათ, გასწორება სჯობს“; „ქორეპისკოპოსი უმეცარსა მწერალსა ქართლის ცხორებაში გაურყვნია. ქორიკოზი ქარაგმით ქორეპისკოპოზი ჰგონებია. ქორეპისკოპოსი უსამწყსო ეპისკოპოზს ეწოდების ბერძულად და ქორიკოზი მეფის მონაცვლეს ჰქვიან“:

სულხან-საბა ადვილად არავის უჯერებდა. ის ბევრს კითხულობდა, რომ სიტყვის ზუსტი ახსნა დაედგინა. ხშირად ყოყმანობდა, საკითხს ვერ წყვეტდა და მკითხველს ანდობდა არჩევანს. „იადონი, აედონი — ბერძნულად ბულბულს უწოდებენ და იმერელნი იადონსა ბულბულსავე უწოდებენ... ფრანცას ერთი ჩიტი ვნახე, ბულბულის ტოლი და თეთრმოყვითალო, ზამთარ-ზაფხულ მოუთმენლად ტკბილად მჭრინავი. მე ის მეგონა. ქართველს მოლექსეთაც ბულბული და იადონი სხვა და სხვად უთქვამთ. თქვენ გაარჩიეთ“; „ტროპი — კავშირში ეწერა: ტროპი, რომელ არს ცხოელთ ზურგიო; სხვაში ეწერა: რომელ არს აღშენების ნივთი, რომელ არს ტროპი; მე ორიე ერთი მგონია“.

სულხან-საბას ლექსიკონში მრავალი უცხო წარმომავლობის სიტყვა გეხვდება. ავტორი მათ საგანგებოდ გამოყოფს და შენიშ-

ვნას უმძღვარებს: „სხვათა ენათა“ (აბანოზი, ბაბრი, ბარათი, ბურჯი, ზამბახი, თარეში, თარხანი, ურდო, ჩინი...), „სხვათა ენა მგონია“ (დასტახანი), „ქართული არ არის“ (ამაყი, დიბა, მუხუდო და სხვა.), ქართულს არა ჰგავს“ (გუფთა). სულხან-საბა მრავალი სიტყვის წარმომავლობასაც გვიჩვენებს: სომხურია (არჯასპი, ასპარეზი, ბაგინი, ბემი, კალმასი და სხვა), სომხური მგონია (პაჰაკი), ბერძნულია (იპოდრომი, კარავანი), სპარსულია (დასტამბო, ტაბარძენი), თურქულია (ოდა), ფრანგულია (დუკა, კანაფი, კარაბა), ლათინურია (მონასტერი), რომაულია (მაგისტრო) და სხვა.

ლექსიკონის სისრულისათვის სულხან-საბა არ ერიდებოდა მასში „გლეხურ“ გამოთქმათა შეტანასაც. გვხვდება რამდენიმე მაგალითი „სოფლური“ ანუ „გლეხური“ სიტყვების ხმარებისა: „გულთმისანი – გონებით შემტყობი გლეხურად“: „ვკარგავ – სოფლური სიტყვით: დავჰკარგავ, რომე ვეღარ ვიპოვებ“; „ლმობიერი – გონება მშვიდი და წყნარი გლეხურად“ და სხვა.

საკმაოდაა გამოყენებული ქართველურ ენათა და ქართული ენის დიალექტთა ჩვენებანიც: „დაკავებას უხმობენ გურიულნი დაჭერას“; „კოხუჯი – იმერული ქალამანი“; „მარა – მაგრამ იმერულად“; ოჯიჯი – ბადე მეგრულად“; „ხადილი – იმერულად სამასპინძლო“ და სხვ.

სულხან-საბა ორბელიანი გრძნობდა რა მისი ლექსიკონის უსრულობას, მკითხველებს სთხოვდა ჩამატებას. „თუ ვინმე სხვაგან უცხო სიტყვა ჰპოოთ, ანუ თარგმანი სიტყვისა, გინა წერილთაგან გამოიღოთ, ამა წიგნთა შინა ჩაურთევით, რამეთუ მე მრავალი სიტყვა დამიშთა, რომელიმე არა-სმენითა და წერილთა უნახაობითა, რომელიმე ნუსხითა დაკარგვითა და დავიწყებითა“. შემდეგ ხანაში მის ლექსიკონს რამდენიმე გავრცობ-გამგრძელებელი გამოუჩნდა.

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი იქცა ქართველთა სამაგიდო წიგნად, ხოლო მისი ავტორი აღიარებული იქნა დიდ მეცნიერად.

საყურადღებოა სულხან-საბას ძმის დიმიტრი ორბელიანის სიტყვები მიწერილი ლექსიკონის მოგვიანო ნუსხაზე:

თუ ვისმე გწადის ეს წიგნი, ეგრე გმატსთ ვითა რუსთველსა.

სულხანი ერთგულად ემსახურებოდა ვახტანგ მეხუთის მემკვიდრეებს და ეხმარებოდა მათ ქართლის სამეფო ტახტისათვის გაჩაღებული დინასტიური ბრძოლის დროს. ეს ბრძოლა კი წლების მანძილზე გრძელდებოდა.

ანტიირანული საქმიანობისათვის შაჰმა გიორგი მეთერთმეტე დასაჯა, ქართლი ჩამოართვა და გამაჰმადიანებულ ერეკლე პირველს გადასცა. ტახტმიხდილი გიორგი რაჭას გადავიდა.

ახალი მეფე თბილისს მოვიდა 1688 წელს. მან ქართლში ახალი წესები შემოიღო, გიორგის მომხრენი დაამდაბლა და შეავიწროვა, თავისი ერთგულნი დააწინაურა, ჩვენში დამკვიდრებული ყიზილბაშები აღაზევა.

ქართლიდან ლტოლვილი გიორგი მეთერთმეტე რაჭიდან ოდიშს წავიდა, შემდეგ გურიასა და სამცხეს.

გიორგის მომხრენი ქართლში სასტიკ დევნას განიცდიდნენ, მათ საკუთარ მამულში აღარ ედგომებოდათ, ამიტომაც გარბოდნენ იმერეთსა და სამცხეს.

სულხან ორბელიანი და მისი ძმები, რომლებიც გიორგი მეთერთმეტის მხარეზე იბრძოდნენ ერეკლე პირველის წინააღმდეგ და აქტიურად მონაწილეობდნენ ქართლის ტახტისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში, გიორგის ერთგულნი დარჩნენ; ისინი გიორგის „შერჩნენ და გარდაყვნენ“.

გიორგის დამარცხების შემდეგ სულხანი გაიხიზნა, ახალციხეს დადგა და სიმამრის ოჯახს შეაფარა თავი. იქაც აქტიურ მოღვაწეობას განაგრძობდა, გიორგის მოკავშირეებს ეძებდა. ასეთმა მოქმედებამ სათანადო შედეგი გამოიღო: სულხანმა ათაბეგი გადმოიბირა და გიორგი მეფეს გაუერთგულა.

ერეკლეს პოლიტიკით უკმაყოფილო ქართველი დიდებულები დაუკავშირდნენ გიორგის და ქართლს მოიწვიეს (1691 წ.). დაბრუნებულმა გიორგიმ შემოიკრიბა თანამზრახველნი, ენერგიულად შეუტია ერეკლესა და მის დამცველ ყიზილბაშებს. ტახტის პრეტენდენტთა ბრძოლა კარგა ხანს გაგრძელდა 1695 წელს ირანიდან მრავალრიცხოვანი მხედრობა მოვიდა. „ულონო ქმნილი“ გიორგი იმერეთს გადავიდა.

სულხანი ერთხანს სიმამრთან დარჩა. ერეკლე მეფემ მას ქართლში მამულები ჩამოართვა და სხვას უბოძა. შემომწყრალი

მეფე შურს იძიებდა გიორგის ერთგულ ორბელიანზე.

გიორგი მეთორმეტის ბრძოლას ტახტისათვის წარმატება არ მოჰყოლია. მისი ერთგულნი დაიქსაქსნენ. გაძლიერებულმა ერეკლემ გიორგის მომხრეებს მამულები ჩამოართვა. ზოგი მებრძოლი მოტყდა, ერეკლეს ქედი მოუხარა. გიორგის მომხრეთა რიცხვი შემცირდა. დევნილი მეფე სხვა გზას დაადგა, აქტიურ ბრძოლას თავი დაანება და დიპლომატიური ხერხი იხმარა. მან შაჰთან წასვლა გადაწყვიტა. მეამბოხე მეფის შემორიგებით გახარებულმა შაჰმა მემანდარი (–მესტუმრე) აახლა მას და მიიწვია, გიორგი მეთერთმეტე გადმოვიდა იმერეთიდან, მეფეს მისი ერთგული მებრძოლებიც გადმოჰყვნენ. დიდებულები ერეკლემ თავ-თავის მამულებში ჩააყენა, რადგან ასეთი იყო შაჰის ბრძანება. გიორგის თანამებრძოლმა თავადებმა მამულებში ცოლ-შვილი დაასახლეს, თვით კი გიორგის გაჰყვნენ შაჰთან.

ამ დროს ქართლში დაბრუნება მოიწადინა სულხან ორბელიანმაც. მისმა ნათესავებმა ითავეს ერეკლე პირველის გულიწყრომის დაცხრობა და სულხანისათვის პატიების გამოთხოვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია სულხანის ბიძის ასლანის ოჯახის საქმიანობა. ასლანის მეუღლე თამარი ერეკლე პირველის დედის — ელენეს და იყო. ამ გარემოებამ გარკვეული როლი შეასრულა ამ ოჯახის დაწინაურების საქმეში და რამდენადმე გადაწვდა ახლობელთა ბედსაც.

თამარ დიასამიძე-ორბელიანმა თავის დისწულს — მეფე ერეკლეს გახიზნული სულხანის შემორიგება და დანაშაულის პატიება სთხოვა. ნათესაურმა კავშირმა და, შეიძლება მეტად, შაჰის ბრძანებამ გიორგის მომხრეთა შეწყნარება-შეწყალების შესახებ გაჭრა და სულხანს ეპატია დანაშაული.

1696 წლის გაზაფხულზე სულხანი უკვე თავის სამკვიდროშია. დანაშაული ეპატიათ სულხანის ძმებსაც. ერეკლე პირველმა ორბელიანებს მამულები დაუბრუნა.

სამშობლოში დაბრუნებულმა სულხან ორბელიანმა ხელი აიღო პოლიტიკურ საქმიანობაზე და ქართლში გამეფებული რეჟიმის პროტესტის ნიშნად საგვარეულო მამულში ჩაიკეტა. ერთხანს ის აღარ ჩანს პოლიტიკური ცხოვრების არენაზე. მას მხოლოდ იმედი ასულდგმულებდა. სულხანი შაჰის კარზე მყოფი გიორგი

მეთერთმეტის საქმის გამოსწორებასა და ქართლში დაბრუნებას ელოდა, მაგრამ ამაოდ. გიორგი იგვიანებდა. შაჰი მას თავის საქმეს აკეთებინებდა და ქართლში გამოსტუმრებას სულ არ უპირებდა...

ქართლში ერეკლე პირველი გაძლიერდა. მან მალე ისევ დაიწყო გიორგის მომხრეთა დევნა და შევიწროება, მათი მამულების კონფისკაცია. „კვალად დაამდაბლნა ერთგულნი გიორგი მეფისანი და ზოგთა მიუხვნა მამულნი“. გიორგის მომხრეთა ნაცვლად ერეკლემ თავისი ერთგული დიდებულები წამოსწია, ადრე იმერეთსა და სამცხეს გაქცეული, ხოლო შემდეგ პატიმრად თუ გიორგი მეფის მხლებლად ირანს წასული თავადების მამულები თავის ერთგულ მებრძოლებს მისცა.

გიორგი მეთერთმეტის მომხრე დიდებულებს ქართლში აღარ ედგომებოდათ. შევიწროება შეეხო ვახტანგ ორბელიანის ოჯახსაც. სულხანის პოლიტიკური იდეალი დამარცხდა და სანატრელი ოცნება განუხორციელებელი დარჩა. ამიტომ მან გადაწყვიტა მონასტრისათვის შეეფარებინა თავი.

თავის მომავალ სადგომად სულხან ორბელიანმა გარეჯის უდაბნოს იოანე ნათლისმცემლის მონასტერი აირჩია.

1698 წლის 18 მარტს სულხანი გარეჯას დამკვიდრდა, ბერად აღიკვეცა და საბად იწოდა. მრავლტანჯული მამულიშვილი და ღვაწლმოსილი მწერალი ბერად შედგა. დაიწყო მისი დრამატიზმით აღსავსე, მშფოთვარე ცხოვრების მეორე პერიოდი. მეამბოხე და მებრძოლი პოლიტიკური სარბიელიდან საეკლესიო-სასულიერო ასპარეზზე გადავიდა.

მე-17 საუკუნის მიწურულისათვის გარეჯის უდაბნოს მონასტრები დანგრეული და გაპარტახებული იყო. ქვეყნის ძნელბედობამ უდაბნოსაც დააჩნია კვალი. ძველი სადგომები „ჟამთა ვითარებისაგან მოოხრებულიყო“.

1690 წლის 12 მარტს კათალიკოს იოანე დიასამიძის წარდგენით საეკლესიო კრებამ გარეჯის წინამძღვრად ონოფრე მაჭუტაძე დანიშნა. იწყება მონასტრების აღორძინება, ცოცხლდება სამონასტრო ცხოვრება, ჩაღდება აღმშენებლობითი მუშაობა, მრავლდება ბერმონაზვნობა.

ო. მაჭუტაძემ ააშენა ახალი გალავნები, გაამაგრა კოშკები,

შეაკეთა გზები, გააძლიერა თავდაცვითი ნაგებობანი, გაამაგრა ნათლისმცემელი, ლავრა, დოდორქა და სხვ. დაუღლელ წინამძღვარს „მეორედ აღმაშენებელს“ უწოდებდნენ. მან ისე გააძლიერა ცალკეული მონასტრები, რომ წინამძღვრების დაყენებაც კი გახდა შესაძლებელი.

ნათლისმცემლის მონასტერს ო. მაჭუტაძემ გაუმაგრა კედელი და დაუდგა კოშკები. 1702 წელს ნათლისმცემლის წინამძღვრად ხარიტონი განაწესეს. ისიც ძალზე ცდილობდა მონასტრის გაძლიერებასა და ბერთა კრებულის გაზრდას.

მონასტრის მკვიდრთათვის მტკიცე წესები იყო დაკანონებული. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა კათალიკოს იოანე დიასამიძისა და სამღვდელოთა განაჩენი, რომელშიც შემდეგი წერია: „ვინც იქ მდეგი იყოს და ვინც დადგეს, მისის სიტყვის (წინამძღვრის) მორჩილნი და ხელქვეითნი იყვნენ, მონასტერს ერთგულად მიუდგნენ და მდაბლად მსახურონ; ვისაც იქ დგომა და მოღვაწეობა უნდოდეს, მამის მორჩილებით და ნების მყოფელობით იყოს... რაც წირვით ან სხვის მოღვაწეობით რამ იშოონ, უკლებლივ წინამძღვარს მიაბარონ“. ვინც „ამ ჩვენს ბრძანებასა და განაჩენს გარდავიდეს, მონასტერს მართლად არ ემსახუროს, ეს ჩვენი განაჩენი მოშალოს, მონასტრიდამ განიდევნოს და შეჩვენებული იყოს“.

ბერს მონასტრიდან წასვლა არ შეეძლო, ბერმონაზვნული ცხოვრების დატოვების უფლება არ ჰქონდა. 1702 წელს ევდემოს კათალიკოსი, ნიკოლოზ ალავერდელი და იოსებ ნინოწმინდელი წერდნენ: „რომელიც ბერი დავით გარესჯას, თუ ნათლისმცემელს, თუ დოდოს, თუ ბერთუბანს მივიდეს მეტანიად და დასადგომად და მერმე უკუნიქცეს და დაუტევოს თვისი მეტანია მონასტერი და სხვად მონასტრად მივიდეს ჩვენდა შეუნდობლად და ერის გამოურჩევად, წყეულ იყოსო“.

გარეჯის მონასტრებში ძალზე მძიმე პირობები იყო. ბერები ლოცვით ათენებდნენ ღამეებს, სხეულს იგვემდნენ. სენაკებში ცხოვრება იყო „ღამის თევითა, დაუცხრომლად ფსალმუნებითა, გალობითა და შესხმითა სულიერითა და შემდგომად ამისა არა რა იყო ნუგეშინის საცემელი... ხორციელისა საზრდელისათვის მოსარეწელად“. ბერები ყოველთვის ლეკთა თავდასხმის მოლოდინსა და შიშში იყვნენ. ეს გარემოება კიდევ უფრო ამძიმებდა

მათ ცხოვრებას და აუტანელს ხდიდა მას.

ასეთ გარემოსა და ასეთ ვითარებაში ცხოვრობდა საბა ორბელიანი. დიდი მწერალი და საზოგადო მოღვაწე სენაკის ბინადარი გახდა.

ნათლისმცემლის მონასტერში საბას ყოფნის დროს შეინიშნება სამეფო სახლის ზრუნვა მონასტრის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებაზე. საბას აღზრდილმა მეფე ვახტანგ ლევანის ძემ 1707 წელს სოფლები (უზნარიანი, კარუკულმართი) შესწირა ნათლისმცემელს.

ვახტანგს არც შემდეგ დაუკლია ყურადღება მონასტრისთვის. 1708 წელს მისი ბრძანებით დამსხდარან „ორბელისშვილი სარდალი ბატონი ლუარსაბ, ორბელისშვილი მდივანბეგი ბატონი ერასტი“ და სხვანი უზნარიანისა და კარუკულმართის ბეგრის გამოსაღების გასარიგებლად. „ჟამთა ვითარებით აოხრებული“ სოფლები ვახტანგს აეშენებინა, „ახალი ნაშენი“ იყო, „გაბეგრული არ იყო“. ამიტომაც შეიკრიბნენ დიდებულნი. მათ ნათლისმცემლის წინამძღვარი ნარიტონიც მიიწვიეს და ისე „გაბეგრეს“ სოფლები.

ვახტანგის ასეთი ყურადღება ნათლისმცემლის მონასტრისადმი, ორბელიშვილთა (საბას ძმისა და ბიძაშვილის) მონაწილეობა გარიგების საქმეში, დაბოლოს, მონასტრის წარმომადგენლის მიწვევაც იმას უნდა გვანიშნებდეს, რომ საბას ბერად შედგომის შემდეგ ნათლისმცემლის მონასტერი ბაგრატიონ-ორბელიანთა მეთვალყურეობის ქვეშ იყო.

ნათლისმცემლის მეუდაბნოენი ცდილობდნენ ქალაქ თბილისთან მჭიდრო კავშირი დაემყარებინათ, იქ გლეხები ჰყოლოდათ და სადგომი ჰქონოდათ. ამ მიზნით მათ ვახტანგ ლევანის ძესთან თხოვნით გაგზავნეს საბა ორბელიანი. თხოვნამ გაჭრა და 1708 წლის ზაფხულში ვახტანგმა „ერთგულსა და წესისამებრ ნამსახურს, უდაბნოს მყოფს ორბელიშვილს მონაზონს საბას“ და ნათლისმცემლის კრებულს ქალაქში გლეხები უბოძა.

უფრო ადრე წინამძღვარ ხარიტონს, კრებულს და „სულხანყოფილ საბა მონაზონს“ ვახტანგმა და მისმა ოჯახმა საუფლისწულო მიწებიდან სახლის ადგილი მოუჭრა ქალაქს ჩამოსულ ბერთა სადგომად.

ბერები შემდეგაც ცდილობდნენ ქალაქში სადგომის მოპოვებას

და გაფართოებას. ამ მიზნით მათ მამულებიც კი იყიდეს თბილისში 1709 წელს. ნასყიდობის წიგნში საბაც იხსენიება.

1710 წელს დავით ერეკლეს ძესთან მივიდნენ წინამძღვარი ხარიტონი, საბა და სხვანი. „საზრდო და მამული" სთხოვეს. კახეთის მეფემ იორს გაღმა სოფელი ბალბიანი უბოძა.

საბა ორბელიანი აქტიურად იყო ჩაბმული სამონასტრო ცხოვრებაში, დღენიადაგ მონასტრის გაძლიერებისა და განმტკიცების ცდაში იყო. მაგრამ დიდ მოაზროვნეს არ აკმაყოფილებდა ღამისთევა და ლოცვა. მისი შემოქმედებითი უნარი ვერ ჩაკლა გარეჯის უდაბნომ. საბას გენია მონასტერშიც იჩენდა თავს. ნათლისმცემელში ყოფნისას დაწერა საბამ „სწავლანი", რომელშიც ნათლად ჩანს ავტორის მგზნებარე პატრიოტიზმი და მხურვალე მამულიშვილური გრძნობა.

„სწავლანი" ქადაგებათა კრებულია. შედგება 46 ქადაგებისაგან. აქაა სწავლანი ეკლესიისათვის, ეკლესიასა შინა დუმილისათვის, აღსარებისათვის, ზიარებისათვის, სტუმართმოყვარეობისათვის, ვერცხლისმოყვარეობისათვის, სიმშვიდისათვის, გიორგობის დღისა და ქართველების თათრობისათვის და სხვა. ის ძალზე მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის ისტორიისათვის, სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრება-მოღვაწეობის შესწავლისათვის, ქართული ჰომილეტიკური მწერლობის ისტორიისათვის.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „სწავლა გიორგობის დღისა და ქართველების თათრობისათვის". უდაბნოში გახიზნული სულხან-საბა კვლავ მწვავედ განიცდიდა სამშობლოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ძნელბედობას, მას გულს უკლავდა ქართველთა ნაწილის მიერ მამაპაპეული ქრისტიანული სარწმუნოების დაგმობა და ანგარებისა და პატივმოყვარეობის გამო მაჰმადიანობის მიღება. მწერალს კარგად ესმოდა, რომ ძველი სარწმუნოების დაგმობა და დამპყრობელთადმი მიკერძოება გამოიწვევდა ქართველთა ეროვნული ფიზიონომიის გადაგვარებას, ქართული სახელმწიფოებრივი ორგანიზმის გახრწნას და ეროვნულ კატასტროფას. ამიტომაც ის ულმობლად ესხმოდა თავს გამაჰმადიანებულ, გადაგვარებულ ქართველებს, კიცხავდა და გმობდა მათ ქცევას.

„ვის დაუტეობთ და სადა წარხვალთ?“ — ეკითხება აღშფოთებული მწერალი რჯულის დამგმობთ. თქვენ „წახვალთ მცირედისა ნიჭისათვის, გინა მეზობელთა შურისათვის და ნებსით თვისით დაუტევებთ სჯულსა ქრისტესსა“. სამშობლოს სიყვარულით გულანთებული, ქედმოუხრელი მამულიშვილი მრისხანებით მიმართავდა მერყევ და მოღალატე პირთ: თქვენ ვერაფრით გაიმართლებთ თავს. თქვენი განდგომა არც სიღარიბისა და გლახაკობის ბრალია, არც მტერთა მოძალებისა. ამის გაძლება შეიძლებოდა. თქვენ სიმდიდრემ მოგხიბლათ, ოქრო-ვერცხლმა შეგაცდინათ; იხილეთ „მდიდრისა ვისიმე სამოსელი ბრწყინვალე, სტავრა ანუ ოქრო-ქსოვილი, შურისაგან მისისაგან აღივსით“ და ანგარებით შეპყრობილებმა აღიარეთ მაჰმადი. თქვენ არ გესმით თქვენი დანაშაული, არ გაგეგებათ თქვენი ცოდვის სიმძიმე.

„ვაი უგუნურებასა თქვენსა! არა იცით, რამეთუ გვარი კაცისა უადვილეს არის შესამუსვრელად, ვიდრეღა ჭიქა ღვინისა. და სიკვდილი უმახლობელეს არს, ვიდრეღა თვალთა დაწამწამება და სოფლისა ამის დიდება უადვილესად განბნევადი არს, ვიდრეღა ქარისა სისასტიკისაგან ბზე“.

სულხან-საბა ორბელიანს ესმის, რომ რჯულის დამგმობნი მტერს ემხრობიან, მოძმეთ ღალატობენ, სამშობლოს ჰყიდიან, ორგულნი ხდებიან. ამიტომაც სურს მათი გამოფხიზლება, შემობრუნება, შთაგონება. „განიღვიძეთ ძილისაგან მძიმისა, ნუ განსცხრებით შვებითა, ნუ მომედგრდებით გარე ვლითა, ღაღადებითა მცირითა!“

სულხან-საბა ასკეტიკურ-მისტიკურ კრებულშიც არ ზოგავდა სამშობლოს გამყიდველებს. იგი უდაბნოშიც დაუღლელად იბრძოდა ერთიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზმისათვის, ქრისტიანობის სიმტკიცისათვის, პატრიოტული გრძნობის გაღვივებისა და ამაღლებისათვის.

სულხან-საბა ამხელდა სოციალური უთანასწორობის მანკიერებასაც, კიცხავდა მრისხანე და მკაცრ, უმოწყალო და უსამართლო მებატონეებს.

„მეპატრონენი ქვეყნისანი, სისხლთა ყმათასა დასთხევენ, რათა თვით შეიძინონ მსახურებითა მათითა, არა თუ თვისი სისხლი დასთხიონ მონათა თვისთათვის“; „უფალნი სოფლისანი წინაშე

თვისსა მოაკვდინებენ ბრძოლასა შინა მხედრებთა მათთა, არა თუ თვით მოკვდნენ ყმათათვის“.

„სწავლანი“ ლოგიკური გაგრძელებაა „სიბრძნე სიცრუისა“. რაც ძველად იგავ-არაკით იყო ნათქვამი, ახლა საეკლესიო ქადაგებით იქნა გადმოცემული. ქადაგებათა კრებული მწერლის მსოფლმხედველობის გასაცნობად შესანიშნავი წყაროა. ამ შრომას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სულხან-საბას სოციალურ-პოლიტიკური და რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებათა შესწავლისათვის.

ქართლის პოლიტიკური მოვლენების მსვლელობამ მალე მოითხოვა საბას გამოსვლა სამოქმედო ასპარეზზე. სამშობლოს სიყვარულით აღგზნებული საბა კვლავ ებმება ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში და გაძლიერებული ენერგიით უბრუნდება სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას.

ირანის საერთაშორისო-პოლიტიკური ვითარება შესამჩნევად გართულდა. უნიჭო მმართველსა და უნებისყოფო ვეზირებს ქვეყნის გაძღოლა აღარ შეეძლოთ. შაჰ-სულთან-ჰუსეინს გარს ეხვივნენ მლიქვნელი მრჩევლები, მექრთამე მოხელეები. არსებითად ისინი განაგებდნენ სახელმწიფოს, აწარმოებდნენ დიპლომატიურ მოლაპარაკებასა და სამხედრო ოპერაციებს. შაჰის კარის ხრწნა, სასახლის ინტრიგები და კარისკაცთა პირმოთნეობა აუტანელ ატმოსფეროს ქმნიდა სამეფოში. ირანი დაღმავალ გზას დაადგა. გლეხთა მეურნეობა დაეცა და განადგურდა, საქალაქო ცხოვრება მოიშალა, ვაჭრობა შესუსტდა, სახელმწიფო შემოსავალი შემცირდა, ხელოსნობა დაეცა, მშრომელთა ექსპლოატაცია გაძლიერდა. სეფიანთა დინასტიის უკანასკნელმა წარმომადგენელმა სულტან-ჰუსეინმა გადასახადების გაზრდით მოიწადინა მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ სამეფოს გადარჩენა აღარაფერს შეეძლო. შაჰის წინააღმდეგ გაბედულად გამოვიდნენ აღმოსავლეთის პროვინციების მოსახლენი — ავღანელები და ბელუჯები. მეამბოხეებს ხელმძღვანელობდა ყანდაარის (ამჟამად ავღანეთშია) ქალაქის თავი მირვეისი. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა ქირმანი; მეამბოხეთა ლაშქარი ხშირადაც ესხმოდა თავს, არბევდა, აწიოკებდა. ირანელთა მხედრობამ ვერაფერი გააწყო მტერთან.

შაჰმა ქართველთა დახმარებით მოიწადინა ამბოხების ჩახშობა. 1699 წლის ნოემბერში მან გიორგის ქირმანის ბეგლარბეგობა (პროვინციის მმართველობა) უბოძა და შაჰნავაზი უწოდა. გიორგის მხლებელნი გამხიარულდნენ „არა ქირმანისათვის, არამედ საქმისა და წყალობის გამობრუნებისათვის“. ქართლის მეფეს ქართლის ტახტის მიღება სურდა, მაგრამ იმხანად ეს შორეული ოცნება და აუსრულებელი წადილი იყო. რა გაეწყობოდა...

გიორგის ძმამ ლევანმა ქირმანის ბეგლარბეგის ნაიბობა (მოადგილეობა) მიიღო, წავიდა ქირმანს, იახლა ქართველთა მცირერიცხოვანი რაზმი. იმხანად ბელუჯთა ჯარი ბანდარის ქვეყანას არბევდა. ლევანი შეხვდა მტერს. „ახლდა თათარი ავკარგად ექვსასი ოდენ, ქართველნი ორმოცნი“. ქართველი ბატონიშვილი არ შეუშინდა მრავალრიცხოვან მტერს, ვაჟკაცურად წარუძღვა ლაშქარს. „უგანგებოდ ვერსა მიზმენ, შეცამებან ხმელთა სპანიო“, — მოიგონა დიდი რუსთველის სიტყვები, მიეტევანა მტრის ურდოს და „მარბიელნი სპანი დიდნი მოსრნა“.

გიორგი და ლევანი მუსრს ავლებდნენ ბელუჯთა და ავღანელთა ჯარებს. 1701 წელს შაჰმა ლევანს მისცა ირანის მდივანბეგობა, ხოლო მალე მის შვილს ქაიხოსროს — ისპაანის მოურავობა. ლევანმა შაჰს იმერეთს შეხიზნული შვილის — ვახტანგის დახმარება სთხოვა. შაჰმა ერეკლეს მოსწერა: ვახტანგი გადმოიყვანე და საუფლისწულო დაუბრუნეო. ერეკლეს არ ესიამოვნა, მაგრამ „ვერ ურჩ-ექმნებოდა ყენსა“ და ვახტანგი მოიწვია (1701 წ.)

1703 წელს შაჰმა გიორგის უბოძა ქართლი და ირანის სპასალარობა, ყანდაარის ბეგლარბეგობა და გირიშკი. ქართლის საქმეთა გასარიგებლად გიორგიმ ლევანი გამოგზავნა.

ქართლს დაბრუნებულმა ლევანმა ენერგიულად იწყო სამეფოს მართვა. მალე მან გიორგის ჯარი დაახმარა — 1000-მდე მეომარი გაუგზავნა სულხან-საბა ორბელიანის ძმის ვახუშტის მეთაურობით. ამ პერიოდში აქტიურ მოღვაწეობას იწყებენ ვახტანგ ორბელიშვილის სხვა შვილებიც. მდივანბეგის პოსტზე ერასტი ჩანს. სამოღვაწეო არენაზე ჩნდება სულხან-საბა ორბელიანიც.

ლევანი მალე ირანს გაიწვიეს. იგი გზას გაუდგა და თან ვაჟიშვილი იესე წაიყვანა. 1703 წელს ქართლის ჯანიშინობა (მეფის მოადგილეობა) ვახტანგ ლევანის ძემ მიიღო. მისი მოღ-

ვაწეობის, — ჯანიშინობისა თუ მეფობის, — ხანა მრავალმხრივ საყურადღებო და მნიშვნელოვანია.

ვახტანგი იყო დიდად განათლებული მწიგნობარი, გონიერი და გამჭრიახი მმართველი, მართლმსაჯული გამგებელი, ნიჭიერი პოეტი და დახელოვნებული მთარგმნელი, მახვილგონიერი კომენტატორი და ცნობილი მეცნიატი.

ქართლის ახალი გამგებლის მოღვაწეობა მრავალხრივი და მრავალფეროვანი იყო. ვახტანგი გულისყურით ეკიდებოდა როგორც პოლიტიკურ საკითხებს, ისე ადმინისტრაციულ-ეკონომიკურსა და პრაქტიკულ-სამეურნეო საქმეებს. მთელი მისი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ-კულტურული მოღვაწეობა ღრმად იყო გააზრებული. იგი ორიგინალურად მოფიქრებული გეგმითა და პროგრამით მოქმედებდა და ყველაფერს აკეთებდა ქვეყნის პოლიტიკური გაძლიერების, ეკონომიკური მოღონიერებისა და კულტურული დონის ამაღლებისათვის.

ვახტანგის მიზანი საკმაოდ გარკვეული და კონკრეტული იყო: ირანელთა მოჩვენებითი მორჩილების ნიღბითა და მისი ოსტატური გამოყენებით ეროვნული პოლიტიკის გატარება, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა და განმტკიცება. შინაგანი ბრძოლით გაწამებული და გაპარტახებული ქვეყანის ცხოვრების გარდასაქმნელად აუცილებელი იყო ახალი რეფორმების გატარება, მაჰმადიანთა ბატონობისდროინდელ წეს-ჩვეულებათა უარყოფა და დარღვევა. ირანის აწეწილ საქმეებს აღმოსავლეთის პროვინციებში ქართლის სამეფო სახლის გამოჩენილი წარმომადგენლები (გიორგი, ლევანი, ქაიხოსრო) აგვარებდნენ და არსებითად მათ ხელში იყო ქვეყნის ბედი; ამიტომ შაჰი მეტ დათმობაზე მიდიოდა, ქართლს ნაკლებ აწუხებდა, ვახტანგს არ ბორკავდა, ხელს არ უშლიდა და ზოგჯერ იძულებით მხარსაც უჭერდა.

ვახტანგმა დასახული მიზნის მისაღწევად განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია, ერთი მხრივ, ქრთული სამეფო-სამთავროების შეკავშირებასა და დასავლეთ საქართველოს ჩაბმას საერთო-ქართულ საქმეში, ხოლო, მეორე მხრივ, საიმედო დამხმარე ძალისა და მოკავშირის ძებნას; გადაუდებელ ამოცანად დაისახა ყიზილბაშთა თვითნებობის ალაგმვა, ტყვის სყიდვის მოსპობა, მართვა-გამგეობის მოწესრიგება, სამართლის ნორმების დადგენა, ქვეყნის ეკონომი-

კის განვითარება. ვახტანგი ყოველ ღონეს ხმარობდა მშვიდობიანი შრომისათვის სათანადო პირობების შექმნის, მოქალაქეობრივი ცხოვრების მოწესრიგების, ეკონომიური მდგომარეობის გამოსწორებისა და ეროვნული ძალების გამოცოცხლებისათვის.

ვახტანგმა გადააყენა ერეკლეს მომხრე დიდებულები, თავის უფლებებში აღადგინა ერეკლეს მიერ დასჯილი თავადები — გიორგის მოკავშირენი; აღადგინა დარღვეული საეკლესიო სამართალი და, ქართლის კათალიკოსად თავისი ძმის დომენტის არჩევით, ეკლესია შემოიმტკიცა; კახეთს აჰყარა ქართლელ გლეხთა დიდი ნაწილი და ძველ მებატონეებს დაუბრუნა, ქართლს ჩამოასახლა; ააგო და აღადგინა გზები და ხიდები. სასახლეები და ქარვასლები, სარწყავი არხები და ეკლესია-მონასტრები; დააარსა და აამუშავა ქართული სტამბა (1709 წ.), იწყო ქართული წიგნების ბეჭდვა; მოაწესრიგა სახელმწიფო სამართალი და დაადგინა კანონთა კრებული; „სწავლულ კაცთა“ კომისიას გაამართვინა საქართველოს ისტორია და სხვ.

ვახტანგის აღმზრდელი, როგორც აღვნიშნეთ, სულხან-საბა ორბელიანი იყო და მეფის ნაყოფიერი კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობა დიდწილად სულხან-საბას აღმზრდელობითი მუშაობის ბრწყინვალე შედეგი იყო.

სულხან-საბამ გარკვეული როლი შეასრულა ვახტანგის სახლობის აღზრდაშიც. ვახტანგს ის ძალზე უყვარდა, დიდი მოწიწებით იხსენიებდა მას, უწოდებდა „დიდად საყვარელს“, „ყოვლად საყვარელს“, „ბატონ ბიძას“ და სხვ. სულხან-საბაც შენიშნავს. რომ ის იყო „ვახტანგ მეფისა ბიძად და გამზრდელად წოდებული და დიდად საყვარელი“.

ბერად შემდგარი სულხან-საბა აქტიურად ებმება ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებასა და კულტურულ საქმიანობაში. ისაა ვახტანგის პოლიტიკური მრჩეველი და მესაიდუმლე, ისაა ვახტანგის ეკონომიკური და კულტურული რეფორმების სულისჩამდგმელი, ყველა კულტურული წამოწყება ვახტანგისა მეტ-ნაკლებად მისი დიდებული აღმზრდელის სახელთანაა დაკავშირებული.

სულხან-საბას ავტორიტეტი დღითი დღე იზრდება, მისი სახელი და დიდება მატულობს, მისი გავლენა სამეფო კარს სცილდება. ერთი თანამედროვის ცნობით, „სულხან-საბას საქართველოში

გავლენა აქვს ხალხსა და მეფის სასახლეზე".

ირანში მყოფი ქართველთა ლაშქარი განუწყვეტლივ იბრძოდა ავღანელებისა და ბელუჯების წინააღმდეგ. ქართველთა მდგომარეობა მძიმე იყო. ერთი მხრივ ადგილობრივი ჰავა ვნებდა მათ, მეორე მხრივ, მტრის რიცხვს სათვალავი აღარ ჰქონდა. ქართველთა ლაშქარი თავგამოდებით ებრძოდა, უმოწყალოდ ჟლეტდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ ბრძოლებში მრავალი გამოჩენილი ქართველი მამულიშვილიც დაიღუპა.

1709 წლის 21 აპრილს მეამბოხე მირვეისმა ღალატით მოკლა გიორგი მეთერთმეტე. მალე გარდაიცვალა ლევან ბატონიშვილიც (13. V. 1709).

შაჰმა „ქართლი, ერანის სპასალარობა, თავრიზი და ბარდა" უბოძა ქაიხოსრო ლევანის ძეს, რომელიც ერთხანს ისპაანის მოურავად იყო, ხოლო შემდეგ — მდივანბეგის ნაიბად.

ქაიხოსრო მეფეც (1709-1711) სპარსეთში მოღვაწეობდა. მას წილად არ ხვდა ქართლის სამეფო ტახტზე ასვლა. ჯანიშინად კვლავ მისი ძმა ვახტანგი დარჩა.

ქაიხოსრომ სულხან-საბა ორბელიანი გაიწვია. ჩანს, სულხან-საბას სპეციალური დავალება ჰქონდა და მისი მისიაც მალე დამთავრდა. 1710 წლის 1 დეკემბერს წასული 1711 წლის 20 თებერვალს უკან გამობრუნდა და 11 მაისს ქართლს მოვიდა.

ირანის ამბებმა შეაშფოთა ქართველობა. ირანის მტრებთან ბრძოლას ქართველმა მამულიშვილებმა სიცოცხლე შეალიეს, მაგრამ ომს დასასრული არ უჩანდა. ამ ბრძოლებში დაიღუპა ორი ქართველი მეფე (გიორგი მეთერთმეტე, ქაიხოსრო), რამდენიმე ბატონიშვილი (ლევანი, ალექსანდრე) და მრავალი ქართველი დიდებული (თამაზ ორბელიანი, ვახუშტი ორბელიანი და სხვ.). ქართლში გლოვა შეიქნა. დიდებულებმა ბჭობა დაიწყეს. შაჰმა ვახტანგი დაიბარა. ამ უკანასკნელმა ქართლის გამგებლად თავისი ძმა სიმონი დატოვა, მეუღლე და შვილები გორს დაასადგურა და თვით ისპაანის გზას გაუდგა (23. IV. 1712), იახლა ქართველი დარბაისლები „მცირედი", „დიდი იყო სამასი კაცი". მათ შორის იყო სულხან-საბა ორბელიანიც.

შაჰი ვახტანგს ფლიდურად დახვდა, პატივი სცა და ლხინი მოუწყო. ვახტანგი გრძნობდა საფრთხის მოახლოებას. მალე მას

შაჰმა რჯულის დაგდება მოსთხოვა და სანაცვლოდ ქართლის ტახტი აღუთქვა.ვახტანგი არ დათანხმდა და ჯიქურად უპასუხა: „მე მოვედ, რათა არა დამართონ მტერთა და შეირყეს ქართლი. გარნა არიან ძმანი ჩემნი მაჰმადიანნი და რომელი გნებავს, წარავლინე და მე ვიყო წინაშე შენსა“.

შეჭირვებულმა ვახტანგმა გადაწყვიტა ევროპაში ელჩის გაგზავნა და იქაურ ხელისუფალთათვის დახმარების თხოვნა. მისი არჩევანი სულხან-საბა ორბელიანზე შეჩერდა. ვახტანგმა თავისი აღმზრდელი მალე გამოაბრუნა ირანიდან (2. XI. 1712).

ქართლს დაბრუნებული სულხან-საბა ორბელიანი ევროპაში გასამგზავრებლად და ვახტანგის მფარველთა გამოსაძებნად მოემზადა.

დასავლეთ ევროპასთან ქართველებს ძველთაგანვე ჰქონდათ კავშირი. მაჰმადიანთა რკალში მომწყვდეული ჩვენი წინაპრები ცდილობდნენ ქრისტიანი მოკავშირეების შეძენას, შეკავშირებას და ოსმალთა და ირანელთა წინააღმდეგ გაერთიანებულ ბრძოლას. ქრისტიანული დასავლეთი მუდამ ატყუებდა ქართველებს. ევროპას არ სურდა ქართველთა დახმარების გამო ოსმალეთი ან ირანი გადაემტერებინა. ევროპის სახელმწიფოთა მმართველები ნაკლებად იყვნენ დაინტერესებულნი ქართველთა მდგომარეობით. მიუხედავად ამისა, მრავალრიცხოვან მტერთან გაუთავებელი ომებით გადაღლილი ქართველები დახმარებას კვლავ დასავლეთიდან ელოდნენ. ამ იმედით გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში ვახტანგის ელჩი სულხან-საბა ორბელიანი.

1713 წლის 17 აგვისტოს სულხან-საბა ორბელიანი უცხოეთისაკენ წარემართა, „საფრანგეთს გაიპარა“. მისი გამგზავრების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ფრანგი მისიონერი რიშარი. ეს უკანასკნელი ერევნიდან მოვიდა თბილისს, სადაც ქართლის გამგებელმა სიმონმა გააჩერა, შემდეგ გამყოლნი მიუჩინა და შავი ზღვის სანაპიროსაკენ გაისტუმრა. გორში რიშარს შეხვდა სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც საფრანგეთსა და იტალიას გამგზავრებას აპირებდა.

რიშარი და სულხან-საბა გაემგზავრნენ კონსტანტინოპოლისაკენ. ქართველი ელჩი გზაზე დიდად შეწუხდა. მისთვის ძნელი იყო შორი გზა, აღსავსე უსიამოვნო თუ უბედური შემთხვევებით.

კონსტანტინეპოლში რიშარმა სულხან-საბა ორბელიანი წარუდგინა საფრანგეთის ელჩს. დეზალორი საბას ძალზე კარგად შეეგება. თავის სასახლეში დააბინავა და აღუთქვა პირველსავე მარჯვე შემთხვევაში გასტუმრება საფრანგეთისაკენ.

1714 წლის 22 იანვარს ორბელიანი მარსელს ჩავიდა. ქალაქის თავმა იგი დიდი პატივით მიიღო, მაგრამ შორმა გზამ დაღალა ქართველი ელჩი და მისმა ჯანმრთელობამ რიშარი დააფიქრა.

სულხან-საბა ორბელიანი ისე მოქმედებდა, როგორც გაწაფულ დიპლომატს შეეფერებოდა. 1714 წლის 11 მარტს მან წერილი გაუგზავნა კარდინალს (რომში), გააცნო თავისი ჩასვლის პოლიტიკური და რელიგიური მიზეზები, რომის პაპს მფარველობა სთხოვა და სანაცვლოდ საქართველოში კათოლიკობის გავრცელებაში დახმარება აღუთქვა. ამით სულხან-საბას რომის პაპის დაინტერესება და საფრანგეთის სამეფო კარზე მისი ავტორიტეტის გამოყენება სურდა.

ქართლის მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა. ტახტის მემკვიდრე, ისპაანს დატყვევებული ვახტანგი მძიმე ვითარებაში იყო. სულხან-საბა ორბელიანისაგან საიმედო ცნობა არ მოდიოდა. ვახტანგი აქტიურ პოლიტიკაზე ხელს არ იღებდა, ქრისტიანობას არ გმობდა.

ვახტანგს არ აკმარეს ისპაანს ტყვედ ყოფნა, 1714 წლის 10 მარტს „გაათახსირეს“ და ქირმანს გაგზავნეს; ქართლი მის მაჰმადიან ძმას იესეს მისცეს. ვახტანგის მხლებელი ქართველები იესეს აახლეს, ქართლს გამოისტუმრეს.

სულხან-საბა და რიშარი მალე ჩავიდნენ პარიზს. სამეფო კარმა ორი მოსამსახურე შეაგება. ჩასულნი დაბინავდნენ. ორბელიანმა თავისი ჩასვლა კანცლერ ლუი პონშარტრენს (1643-1727) აუწყა.

აპრილში სულხან-საბა ორბელიანმა ინახულა ლუდოვიკო მეთოთხმეტე (1638-1715), გააცნო საქართველოს მდგომარეობა, აუწყა ვახტანგის ტყვეობა, დახმარება სთხოვა და სანაცვლოდ კათოლიკობის წარმატება აღუთქვა.

სულხან-საბა ორბელიანი დიდად ცდილობდა საფრანგეთის იმპერატორის დაინტერესებას საქართველოს ბედით. ამ მიზნით მან შეადგინა საქართველოსა და მეზობელ მხარეთა რუკა და წარუდგინა იმპერატორს. სამწუხაროდ, ვერც საბას მონათხრობმა

და ვერც რუკამ დააინტერესა ქართლის საქმით საფრანგეთის სამეფო კარი.

„როდესაც სულხან-საბა ორბელიანი, ვითარცა საქართველოს სახელმწიფო ელჩი წარუდგა ვერსალში ლუი მეთოთხმეტეს, უკანასკნელი ახალი ნავაადმყოფარი იყო და თავს მეტად სუსტად გრძნობდა. საბამ მიულოცა გამოჯანმრთელება, რაზედაც საფრანგეთის მეფემ უპასუხა, რომ თუმცა იგი გადაურჩა ერთ მტერს — ავადმყოფობას, მაგრამ მას თავს დაეცა მეორე მტერი — სიბერე.

— ეს ადვილი საქმე არაა, სამოც წელს გადაბიჯება! — დაასკვნა ლუი მეთოთხმეტემ, რომელიც უკვე სამოცდაათსაც გადაცილებული იყო.

— ხელმწიფეო, — უპასუხა საბამ, — თქვენი უდიდებულესობა ამ ასაკს ისეთი გრაციით ატარებს, რომ ყველა ისურვებდა ამ ასაკში ყოფნას!

საბას პასუხი მეტად მოეწონათ ლუი მეთოთხმეტესა და მის კარისკაცებს".

როგორც აღვნიშნეთ, 11 მარტს სულხან-საბამ კარდინალს წერილი გაუგზავნა. საპასუხოდ კარდინალმა მისწერა, თქვენი სურვილი და თხოვნა პაპს ვაუწყე, პაპი წერილს უგზავნის ფრანგთა მეფეს და ის დაგეხმარებაო. სულხან-საბამ მიიღო წერილები რომიდან და მაისში მეორედ წარუდგა სამეფო კარს, ლუდოვიკოს პაპის წერილი მიართვა.

მეფემ ამჯერადაც დიდი პატივით მიიღო ვახტანგის ელჩი. მისიონერების გაგზავნას შეჰპირდა, ფულით კი არ დახმარებია.

საფრანგეთისათვის ქართლი ნაკლებად საინტერესო მხარეს წარმოადგენდა; საფრანგეთი უშუალოდ არ იყო დაინტერესებული ქართლის ბედით და არც ირანის მომდურება სურდა. ამიტომ სულხან-საბას ელჩობა უშედეგო აღმოჩნდა.

1714 წლის ივნისის შუა რიცხვებში სულხან-საბა ორბელიანმა დატოვა საფრანგეთი და იტალიისაკენ აიღო გეზი (სურდა რა დასავლეთის დაინტერესება ქართლის ბედით, სულხან-საბა ორბელიანი ადრევე ეზიარა კათოლიკობას; მე-17 საუკუნის 80-იან წლებში სიმპათია გამოამჟღავნა კათოლიკობისადმი, ხოლო ევროპაში ყოფნისას, — პოლიტიკური მოტივებით, — ფორმალურადაც მიიღო იგი).

29 ივნისს საღამოს ორ საათზე ორბელიანი რომში შევიდა და მონასტერში დადგა.

1 ივლისს ეწვია საფრანგეთის კარდინალი. 2 ივლისს პაპმა ეტლი გაუგზავნა: წადი, პეტრეს ეკლესია დაათვალიერე და შემდეგ ჩემთან მოდიო. იწყება მისი მოგზაურობა რომის სიძველეთა დასათვალიერებლად, ეკლესია-მონასტრების გასაცნობად, ძველი ძეგლების სანახავად.

5 ივლისს სულხან-საბა ორბელიანი ეახლა რომის პაპს კლემენტო მეთერთმეტეს (1700-1721). ქართველი ელჩი პაპმა კარგად მიიღო და ტკბილი დაპირებით გამოისტუმრა.

15 ივლისს ბურგუნდიის მეფის ბაღნარში იყო. 17 ივლისს დაესწრო გერმანიის მეფის შვილის კარდინალად კურთხევის ცერემონიალს. 20 ივლისს კარდინალთან იყო, მან კარგად მიიღო, სასახლე დაათვალიერებინა, ზოოლოგიური მუზეუმი გააცნო.

სულხან-საბამ პაპის ბიბლიოთეკაც დაათვალიერა. იქ „ყოვლისა რჯულისა და ყოვლისა ენისა წიგნები იყო“. ქართველმა მწერალმა ქართული წიგნებიც ეძება, მაგრამ ამაოდ. „მრავალი ვეძებე ქართული წიგნები, ვერ ვიპოვე, არსად ჩანდა“,— აღნიშნავს გულდაწყვეტილი.

8 აგვისტოს სულხან-საბა დიდებულთა შვილების აღსაზრდელ მონასტერში იყო, შემდეგ — პაპის სამადლოში. იქ იზრდებოდა სხვადასხვა ეროვნების მრავალი ბავშვი (ბერძენი, სომეხი, არაბი, ეგვიპტელი და სხვა:) მას უთხრეს ქართველებიც გამოგზავნეთო.

17 აგვისტოს ის კვლავ პაპთანაა. დახმარების სათხოვნელად მოსული ორბელიანი პაპმა ლოცვა-კურთხევითა და ცარიელი დაპირებით გამოისტუმრა. „გამომისტუმრა. მიბრძანა: ასე მალე არ გაგიშვებდიო, მაგრამ ვახტანგ მეფის უკითხავად წამოსულხარო, რომ დამეჭირე, იმას გულს დააკლდებაო და წადი მისი საქმე მოიჭირვეო“,— წერს სულხან-საბა.

18 აგვისტოს სულხან-საბა ორბელიანმა დატოვა რომი, გაიარა ფლორენცია, პიზზა, პალერმო, მალტა და 1715 წლის 17-18 იანვარს (ღამით) მოვიდა კონსტანტინოპოლში.

ქართლის ხელმოცარული ელჩი დიდხანს იცდიდა კონსტანტინოპოლში. დაპირებული დახმარება არსად ჩანდა. საფრანგეთის მთავრობას რიშარი ელჩად უნდა დაენიშნა შაჰის კარზე, თითქოს

მას უნდა ეზრუნა ვახტანგის გამოხსნაზე, მაგრამ გარდაიცვალა ლუდოვიკო მეთოთხმეტე და საფრანგეთის მდგომარეობა დაიძაბა, დაპირება დაპირებად დარჩა.

იმედდაკარგულმა და სასოწარკვეთილმა სულხან-საბა ორბელიანმა 1716 წლის 13 მაისს დატოვა კონსტანტინოპოლი. საფრანგეთის ელჩმა ხომალდი უშოვა, წამომყვანს 400 მორჩილი მისცა: სულხან-საბა და მისი მხლებელნი ქობულეთს მიიყვანე, გურიელს ჩააბარე და მათი წერილი ჩამოგვიტანეო. პირობა ჩამოართვა, რომ ხომალდი ხალხით არ დაეტვირთა. ხომალდის პატრონმა ხომალდი პირველსავე შემთხვევაში ოსმალებით აავსო. ქართველი დიპლომატი შეწუხდა. ზევით ადგილი აღარ იყო, ქვემოთ იყო ჩასული. „მაშინვე შევიტყევ სიმუხთლე, მაგრამ რა მექნა, დაბრუნების ღონე აღარ იყო და ტკბილის სიტყვით გვატყუებდა“, წერს ის.

მეხომალდემ ტრაპიზონის ფაშას და გონიოს სანჯახს შეატყობინა, დიდი კაცი მომყავსო, ფრანგები ახლავს და საქონელი მოაქვსო. სულხან-საბას სამი პატრი მოჰყავდა თბილისს. მათ გარდა ახლდა ერთი შირვანს მიმავალი პატრი და განჯას მიმავალი ბურსელი ვაჭარი ხოჯა აივაზი ჩალაბი შვილით.

მგზავრობის მეათე დღეს ხომალდი ათინის (შავი ზღვის სანაპიროზე) მივიდა მეხომალდის სახლებთან. მეხომალდემ გზა აღარ განაგრძო: „მე გურიას ხომალდს ვეღარ წამოვიღებო, აფხაზი აშლილია, მეშინიანო და თუ გინდა პატარას ნავით წავიდეთო, გინდა გურიას, გინდა ახალციხეზედაო“, — უთხრა მგზავრებს. სხვა გზა აღარ იყო. ერთი ნავით სულხან-საბა და პატრები წამოვიდნენ; მეორეთი — აივაზი ჩალაბი. ზღვა აღელდა, ნავები დაცილდნენ ერთმანეთს. აივაზის ნავი ხოფას გააგდო, მეორე ნავს დაეხმარნენ ოსმალნი (ამათ იმერეთიდან ტყვეები მიჰყავდათ კონსტანტინოპოლში), მგზავრნი გამოიყვანეს. „თუ ისინი იქ არ დაგვსწრებოდნენ, სრულ წაგხდებოდით“, — იგონებს მგზავრობით დატანჯული სულხან-საბა. ოთხი დღე სანაპიროზე დაჰყვეს. ზღვა კვლავ ღელავდა.

ნავებით მიაღწიეს ხოფას. იქ გონიოს სანჯახი დახვდა. ნავები შეაგება, დაიჭირა, წაიყვანა. იმ დროს იქ იყო კონსტანტინოპოლში მიმავალი ახალციხის ფაშის დისწული ალიბეგი. მან იხსნა

მგზავრები, გაათავისუფლა და თავის სადგომს წაიყვანა. იმ ღამეს აივაზიც მივიდა, სულხან-საბას აუწყა ალიბეგი ხვალ კონსტანტინოპოლს მიდის და აქაურები კარგ დღეს მაინც არ დაგვაყრიანო. გადაწყვიტეს ოსმალთა მოქრთამვა. ოთხმოცი მარჩილი გონიოს ბეგს მისცეს. დილით ალიბეგმა ცხენები უქირავა, ახალციხის ფაშას კაცი აახლა და არტანუჯისაკენ გამოისტუმრა. აივაზი იქვე დარჩა. მოგზაურებმა ცხენებით მთელი დღე იარეს. ღამე ჩხალას გაათიეს. გონიოს ბეგმა გაისტუმრა რა ალიბეგი, დაედევნა მათ და დილით დაეწია, სულხან-საბას უთხრა, შენი ბარგი გადაარჩიე, ეს ფრანგები მე მომეც, ხონთქრის ბრძანებაა, დასავლეთის კაცი ამ მხარეში არ უნდა შემოუშვათო. ორბელიანმა ეს წინადადება შორს დაიჭირა, არ ჩააბარა პატრები. განრისხებულმა ბეგმა ყველა შეიპყრო, ქონებაც წაართვა...

ენგიჩარებმა ქვეითად მოსიარულე ტყვეები გონიოსაკენ წაიყვანეს, სულხან-საბას აცხელებდა, დაღლილობას ავადმყოფობაც დაემატა. უკანასკნელი გროშებიც წაართვეს. ამ დროს აივაზი წამოეწია, ოსმალებს ფულს შეჰპირდა ტყვეთა განთავისუფლებისათვის. ტყვეები მთის წვერზე დააყენეს, აივაზი ფულისათვის წავიდა. შეაგვიანდა. დაბინდდა. სულხან-საბა იგონებს: „წაგვიკრეს ხელები, თეთრი მოგვატყუეო და იმ ღამეს გონიოსაკენ გაგვგზავნეს. წვიმა და ნისლი. ღამე და ავი დაღმართი. ეშმაკისაგან თუ გაივლებოდა. რას ჭირით ჩავიარეთ, ენით არ ითქმის“. შუაღამეს ერთ სახლში დააყენეს. მივიდა აივაზი, ფულიც მიიტანა. გაანთავისუფლა ქართველი ელჩი და მისი თანამგზავრები. გამოემგზავრნენ. ერთი უბელო ცხენზე მჯდომი ენგიჩარი წამოეწია, სულხან-საბას საწვიმარი წაართვა. სიცივემ და წვიმამ „უარესი უყო“. ნაგალის ხევშიც არ ასვენებდნენ მეკობრენი, ხან სად გადაუდგებოდნენ წინ და ხან სად. ფული სულ აივაზისა იხარჯებოდა. ახალციხის ფაშამაც წაართვა 600 მარჩილი. ბოლოს მოაღწიეს სამშობლოს. „მოვაწიეთ ჩვენს ქვეყანას. მოვედი აბოცს“, — წერს ნაწამები მამულიშვილი.

სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა ევროპაში, — პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით, — უშედეგო აღმოჩნდა; ქართველმა დიპლომატმა თავის სამშობლოს საწადელი ვერ შეუს-

რულა და ძლიერი მფარველი და მოკავშირე ვერ უშოვა, მაგრამ მისმა მოგზაურობამ შესამჩნევად გაამდიდრა ქართული წერილობითი კულტურის საგანძური. სწორედ ამ ელჩობის შედეგად დაიწერა „მოგზაურობა ევროპაში“ – ნაწარმოები, რომელსაც ქართულ სამოგზაურო-მემუარული ხასიათის ძეგლთა შორის პირველი ადგილი უჭირავს.

თხზულება სრული სახით არაა მოღწეული. შემონახული ტექსტი იწყება სულხან-საბა ორბელიანის საფრანგეთიდან გამომგზავრებით და მთავრდება მისი სამშობლოში დაბრუნებით. საფრანგეთში ყოფნა აღწერილი არაა, მაგრამ ტექსტის შესწავლით ცხადი ხდება, რომ მწერალს მოგზაურობის ეს მონაკვეთიც აღუწერია. სულხან-საბა ხშირად იხსენიებს საფრანგეთს, იქაურ ბაღებსა და სასახლეებს.

გასარკვევია თხზულების სახელწოდებაც. ერთ ხელნაწერში იკითხება: „...ფრანცისიდამ წამოსვლა სულხან-საბა ორბელიანისა და იტალიაში შესვლა“. ლენინგრადში დაცულ ხელნაწერს ასეთი სათაური შემოუნახავს: „მიმოსვლაი აფრიკეთსა, იტალიას, ჰრომს და ყოველსავე დასავლეთსა ქვეყანასა სულხან-საბა ორბელიანისა, რომელიმცა თვითოეულად აღწერა თვალით ხილულნი თვისნი – ეკლესია, ქალაქი, ციხე, სოფელნი“.

სულხან-საბას სამოგზაურო ტერიტორია მხოლოდ ევროპით არ შემოიფარგლებოდა. ამიტომაც დასათაურება „მოგზაურობა ევროპაში“ არაა საესებით ზუსტი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ თხზულებას, პირობით, „მოგზაურობა“ ეწოდოს.

სულხან-საბა ორბელიანი ყველაფერს გულდასმით აკვირდებოდა, მას ყველაფერი იზიდავდა და აინტერესებდა. ნიჭიერი მხატვარი კარგად და თვალსაჩინოდ გადმოგვცემდა ნახულსა თუ გაგონილს. ზოგჯერ ის ვერ ასწრებდა და ვერ ახერხებდა ყველაფრის ზუსტად დათვალიერებას და აღწერას. ეს გარემოება აწუხებდა მოგზაურს და გულისტკივილით ათქმევინებდა: „იმ დღეს ამის მეტი ვერა დავწერე რა, ღამე გვესწრა. წამოვედით“; „უცხოდ გარიგებულია, არ დაიწერება“; „ეკლესიის ქებას ვერ დაგიწერ“; „ჯერ იმ საუცხოვე არა მინახავს რა, არ დაიწერება. რა განიშნო?“

სულხან-საბა ორბელიანი ხშირად გვაცნობს თავის აზრს.

შთაბეჭდილებას, სუბიექტურ განწყობილებას. მოგზაურობაში მას ხელს უშლიდა ხანდაზმულობა და ავადმყოფობა: „მე თავათ ბერი კაცი ვიყავი და სნეული და ავი დრო იყო, სიცხე“. ბევრი რამ მოუცლელობის გამო ვერ ნახა და ვერ დაათვალიერა. ამანაც ააღელვა; „მგზავრი ვიყავი. არ გვეცალა სანახავად“, „ფლორენცა მართლა გასინჯვით ვერ ენახეთ, ხანი არ დაგვცალდა“,— იგონებს მოგზაური.

სულხან-საბა გვაუწყებს, რომ მისი მოუცლელობა საქმის ბრალი იყო: „საქმემ არ მოგვახდინა ნახვა, არა თუ ჩემი საქმით,— სოფლის საქმით“.

მოგზაურს ნახული ხშირად აცვიფრებდა. „ჯენევას ეკლესიისა და მონასტრების საქმემ გამაცვიფრა“, „ბაღი და ყაისი მისთანა არსად მინახავს“ და სხვა. მწერალი ზოგჯერ დაღონებით წერდა ამა თუ იმ ძეგლზე: „როგორ ითქმის კაცის ენით მისი შენებულების საქმე“. მისი სურვილი იყო მკითხველის დარწმუნება. ამიტომ ხშირად შენიშნავდა, რომ მართალს ამბობდა და საკუთარი თვალით ხილულს აღწერდა: „ვინც დაიჯერებთ, ეს ჩემის თვალით მინახავს, ვინც არა და თქვენ იცით“, „მართალს გეტყვი, გარედან მისი მსგავსი სასახლე არ მინახავს“.

სულხან-საბას სურს, რაც შეიძლება ამომწურავი თხრობა მოგვცეს, არა გამორჩეს რა. თუ შემთხვევით რამე რჩება სხვა ადგილს ამატებს. „ზემო ფლორენცის ამბავში ერთი ეს დაგვრჩაო“,— წერს ის მოგვიანებით და ერთ ნაკვეთს ამატებს.

სახელოვანმა მწერალმა იცის, რომ „გრძელი ამბავი თავის საწყენია“, ამიტომ გადაჭარბებას და თავმობეზრებას ერიდება, მაგრამ მეტისმეტი ლაკონიურობითაც არ სურს ტექსტის დამახინჯება.

სულხან-საბა ორბელიანი დეტალურად გვამცნობს მოგზაურობის მარშრუტს, გვაუწყებს მოგზაურობის პირობებს. მის თხზულებაში ხშირად გვხვდება ასეთი ცნობები: „ქარი პირისპირ გვცემდა“, „ქარი ჩვენი იყო“, „კაი ქარი იყო“, „ქარმა პირს დაგვიწყო ცემა“, „ქარმა გამოგვაბრუნა“, „უქაროდ დავრჩით“, „ცუდად ვიდექით“. ქარს გარდა ავტორი ზღვის ღელვასაც გვაუწყებს: „დღე და ღამე სულ დიდი ღელვა იყო. დიაღაც გაგვიჭირდა;“ „აგვიღელდა, თორმეტი მილი სრულობით ღელვაში ვიარეთ“. ასეთი

ვითარება ნავით მგზავრობას ართულებდა. „პატარას კატარღით ნაპირ-ნაპირ მივიდოდით“, „ნავი მართლა ვერ იარებოდა“, „ვიარეთ მომცროს ნავით“.

მოგზაურობის მძიმე პირობების მიუხედავად სულხან-საბა ორბელიანს ადგილთა გაცნობისა და აღწერისათვის თავი არ დაუნებებია.

გამოცდილი მწერლის თვალი ყველაფერს ხედავს, ყველაფერს კარგად ამჩნევს. მის ყურადღებას ყოველი წვრილმანი იქცევს, მის თვალს იტაცებს ციხე, კოშკი, სასახლე, ეკლესია, მონასტერი, ბაღი, მინდორი, ველი... მას აღუწერია „მაგარი, კლდიანი“ ციხეები, „კლდიანი ღრმა ხეობიანი“, „მაგარი ადგილები“, „დიდი მაგარი ქალაქები“, „დიდი ციხეები და დიდი მონასტრები“.

ქართველ დიპლომატს ძალზე აინტერესებდა ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი სტრუქტურა. სადაც კი მოხვდებოდა, ცდილობდა გაერკვია მხარისა თუ სამეფოს პოლიტიკურ-საერთაშორისო მდგომარეობა, მისი წარსული და აწმყო, მისი დამოკიდებულება გარე სამყაროსთან, მეზობელ სახელმწიფოებთან, სხვა ხალხებთან.

შორეულ სახელმწიფოებში მოგზაურობისას სულხან-საბა ორბელიანს არ სცილდებოდა საყვარელ სამშობლოზე ფიქრი. მწერალი ხშირად იგონებდა მამულს და მის მომავალზე ოცნებობდა: „ჩემს უკან, ღმერთმა ქმნას, ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქმნასო“. სულხან-საბას ნანახი ადგილები და ადამიანები ზოგჯერ სამშობლოს აგონებდნენ და წყლულს მატებდნენ. მონაკოს ნახვამ მეტეხი მოაგონა. „მოვედით მონაკო ქალაქსა. ზღვაში ერთი კლდე შესულიყო თბილისის მეტეხსავით. სამგნით ზღვა ევლო, ცალგნით — ვიწრო შესავალი, მაგარი ციხე, დიდად და ძლიერად გამაგრებული“. ალიკორნამ ოდიში მოაგონა: „რა ალიკორნის საზღვარში შევედით, დავაკება შეიქმნა, ოდიშის მსგავსი ადგილი ტყიანი, ბრტყელი“. მალტაში „ზღვის პირს ერთი კლდეა ვაკე, უფლისციხის მსგავსი ადვილი საჭრელი“. სულხან-საბა სამოსსა და სასმელსაც აკვირდებოდა და იქაც პოულობდა ქართულის მსგავსს. ერთი ქალის სამოსმა ქართული მოაგონა. „შიშველ ტანს მსხვილი მაზმანური, ქართველი ქვრივები რომ ჩაიცვემდნენ; ასე ჭრელი აცვია“; სიცილიაში „ასეთი ღვინო იყო, ატენური ღვინის

მსგავსი“ და სხვა.

მოგზაური დიდი სიხარულით ხვდება ტყვე ქართველებს (ალიკორნას, მალტას), მაგრამ აწუხებს მათი ბედი.

სულხან-საბა ევროპაში ნახულ ყოველივე კარგს ვახტანგისათვის ისურვებდა, მისთვის მიძღვნა სურდა. ერთხელ დედათა მონასტერში იყო. „ეკლესია მომცრო იყო, მაგრამ საკვირველად საკვირველი შემკული იყო. სულ ფერადი მარმარილო, ამის მეტი რა გითხრა. ვახტანგის კარის ეკლესიად დავნატრე: „მე მიმაძღნობინა მეთქი“, — წერს ავტორი.

საყურადღებოა სულხან-საბა ორბელიანის განცდები ოსმალთა სამეფოსთან მოახლოებისას. აი, რას წერს ის ზმირინის (სმირნა) ახლო მიდამოებზე საუბრის შემდეგ: „სადაც თათარს მიუწევია, იქ ღვთის ნათელი აღარ დამდგარა რა. ამას გაუოხრებია. ნეტავი ნახოთ და ვინც ნახავთ, ჩემს სიმართლეს მაშინ შეიტყობთ“. კონსტანტინოპოლის შესახებ მოგზაური წერს: „სამართალი და სიმშვიდე იქ არც ერთია და არც მეორე“. მწერალი აღფრთოვანებულია მალტელთა ბრძოლით ოსმალთა წინააღმდეგ. ქართველთა დაუძინებელი მტრების — ოსმალების დამარცხება სიხარულით აღავსებს მგზნებარე მამულიშვილის გულს.

სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ უდიდესი მნიშვნელობის ძეგლია. ავტორმა ქართველ მკითხველს პირველად გააცნო დასავლეთი ევროპა, იქაური ხალხის ადათები, ზნე-ჩვეულებანი; მიაწოდა საინტერესო ცნობები (პოლიტიკური, ეკონომიკური, გეოგრაფიული და სხვ.). საყურადღებოა, რომ ავტორმა ეკლესია-მონასტრების აღწერისას დაიცვა სათანადო ზომიერება.

სულხან-საბა ორბელიანის ენა მარტივი, ჩამოყალიბებული და გამართულია.

„მოგზაურობა ევროპაში“ ქართული დოკუმენტური პროზის ბრწყინვალე ნიმუშია, ჩვენი სამოგზაურო-მემუარული მწერლობის უებრო ძეგლია.

სულხან-საბა ორბელიანი, იმედგაცრუებული და სასოწარკვეთილი მოუახლოვდა სამშობლოს. მწერალი ასეთ ცნობებს გვაწვდის: „მაშინ ქართლში მეფედ იესე იჯდა... ნათესაობაც შეეშალა და ვერც ჩემზედ იყო კაის გულითა. მე ვალი მრავალი მემართა

ბურსელის ვაჭრებისა. რომ რაც გზაზე წამართვეს, მათგან ავიღე და იმერეთს მათ აღარ გამიშვეს. ჩემს ძმებსაც კაცი გამოეგზავნათ, ქართლში ჩასვლა დაეშალათ, მაგრამ ღონე აღარ იყო. ჩამოველ. მეფემაც კაი პატივი მცა, მაგრამ ასე სრვა გახშირებულიყო, მრავალი სული ამოეწყვიტა და თბილისიც აყრას და ხიზვნას აპირებდა. ჩემი მოვალეები განჯას აბრეშუმისათვის მიეშურებოდნენ. ივლისის თვე იყო. ქართველი ეპისკოპოსნი და სამღვდელონი რომს წასვლისათვის გამიმტერდნენ და ასე შეკრეს ყოველი: ჩემი ნათესავი და მოყვარე და მეფე-დარბაისელნი, ვერავინ შემომეწია. ვალის მიცემაც გამიჭირდა. თბილისს ერთი დავრდომილი ნათლიდედა მყვანდა კათოლიკე მართლმადიდებელი. მან დაიწყო სიარული; ამს ავს დროს თავისის მოყვრებისა და მეცნიერთაგან რაც ვალი მემართა, სულ მოაგროვა და მოვალეები გაისტუმრა".

სულხან-საბა ქართლში 1716 წლის ივლისში დაბრუნდა. სამეფო ტახტზე ვახტანგის მაჰმადიანი ძმა იესე იჯდა. ეს „იყო ფრიად მიქცეული მაჰმადიანობასა ზედა და მქცევი მათებრ, მდიდარი და ამაყი". მან, როგორც სულხან-საბა აღნიშნავს, „ნათესაობა შეშალა" და ცოლად შეირთო სულხან-საბას ძმის (ერასტი მდივანბეგის) ასული მარიამი. მაჰმადიანმა მეფემ შემდეგ ერეკლე პირველის ასული ელენე შეირთო (1715 წ.).

იესეს მტარვალობამ და უზნეობამ აღაშფოთა ქართველობა. ახალმა მეფემ ქართლის საქმეებს თავი ვერ გაართვა, ლეკიანობა ვერ მოსპო.

ირანის ვითარება კვლავ მძიმე იყო. მტერი მძლავრობდა. შაჰმა ვახტანგი დაიბარა ქირმანიდან (1. VI. 1716), გაამაჰმადიანა, მისცა ქართლის მეფობა და ირანის სპასალარობა, უბოძა თავრიზი და ბარდა. ქართლის მეფის ნაიბობა ვახტანგის შვილმა ბაქარმა მიიღო. ის გადმოვიდა რაჭიდან და მოადგა თბილისს, დადგა მცხეთას (17. IX. 1716), რადგან იმხანად თბილისში ჟამიანობა იყო. იესე კახეთს გაიქცა, მაგრამ შეიპყრეს და თბილისის ციხეში გამოკეტეს.

1717 წლის 1 აგვისტოს ბაქარმა ქართლის მეფობა მიიღო, ვახტანგი შაჰის ბრძანებით კვლავ ირანში დარჩა, იქაურ საქმეს არიგებდა.

სულხან-საბა ორბელიანს სამღვდელო პირებმა შევიწროება

დაუწყეს. გაკათოლიკებული და რომს ნამყოფი ორბელიანი ეჭვს იწვევდა ქართული ეკლესიის წარმომადგენლებში. საეკლესიო ბრძოლას ერთოდა პირადი შუღლიც. მწერალი მძიმე ვითარებაში იყო. განსაკუთრებით გაძლიერდა მისი დევნა ბაქარის დროს.

საგულისხმოა, რომ ეპოქის ვითარებამ და სასახლის კამარილიამ სულხან-საბას და მის აღზრდილ ვახტანგს შორისაც ჩამოაგდო უთანხმოება. სულხან-საბას ცნობით, „ამ სოფლის სიმუხთლემ (ისა და ვახტანგი) ერთმანეთს მოაშორვა და ჩხუბიანმა კაცებმა მათ შუა დიდი დახეთქილება ჩამოაგდო. მეფე მას და მის ძმათზე უბრალოდ მწყრომელი შექნეს“.

სულხან-საბა ორბელიანის კალამს ეკუთვნის სამი ავტობიოგრაფიული არაკი; „მზე და ვარდი“, „ზღვა და დელფინი“, „მეფე და მეძებარი“. ამ არაკებში ოსტატურადაა მოთხრობილი ავტორსა და მის აღზრდილს შორის მომხდარი კონფლიქტის ისტორია.

განსაკუთრებით საყურადღებოა არაკი „მეფე და მეძებარი“. ერთ მეფეს ჰყავდა ძალზე ერთგული მეძებარი. მეფეს ის უყვარდა, არ იშორებდა, აპატიებდა და კარგად ზრდიდა. არც მეძებარი აკლებდა სამსახურს, ღამით სახლს იცავდა, ნადირობისას მხეცის კვალს აგნებდა. კეთილი მეძებარი მეფის სურსათით ზრდიდა სხვა ძაღლებს. ხშირად მეფესაც აწუხებდა მათ გამო („თავს აწყინებდა“), ზოგჯერ არისხებდა კიდეც. სიკეთის ნაცვლად ძაღლებმა ბოროტი მიაგეს. შურით აღბორგდნენ, მეძებარს ცილი დასწამეს, მეფეს შეაბეზღეს და საყვარელი ძაღლი გააგდებინეს. მეფესაც საკმაოდ ავნეს. გავიდა ხანი. „მეფესა ძისის მეძბრისა სახელიცა დაავიწყდა“. გამოჩნდა „ერთი უცხო ნადირი“. მეფეს ძალზე სურდა მისი მონადირება, მაგრამ თავისი საყვარელი მეკვლე მეძებარი აღარ ჰყავდა. მოაგონდა რა თავისი ძაღლი, დაუსტვინა. მოვიდა მეძებარი „ყინვისაგან ფრჩხილდაცვეთილი, შიმშილით თვალდაკლებული და ხმელის ძვლის ღრღნით კბილშემუსრვილი და სიბერითა დღემოკლებული“.

„რითღა უნდა შესძლებოდა ძაღლსა მას შეპყრობა მის ნადირისა?“ — მწუხარებით შენიშნავს სულხან-საბა, რომელმაც თვით განიცადა მსგავსი ტრაგედია.

მწერალს განსაკუთრებით აღელვებდა მოყვარეთა ღალატი და გაუტანლობა:

მტერმან ლოდი მომახვედრა, მოყვარემან ვარდის კონა,
ეგრე მტერმან ვერ მატკინა, მოყვრისაგან შემაღონა!

მას კარგად ესმოდა, რომ ავ ენას ბევრი რამ შეუძლია, ის „მცხოვანსაც და ბრძენსაც ადრე მოატყუებს, თუ არ გასინჯა; თუ არა, გამოუცდელისა რა დასაბრალებია?“.

საბედნიეროდ, ვახტანგმა შეიგნო აღმზრდელის სიმართლე და სცადა მასთან შერიგება. მან სულხან-საბას „ქილილა და დამანას“ თარგმანი გამოუგზავნა და მისი „გემოანად გაჩალხვა“ სთხოვა. სულხან-საბამ ეს თხოვნა ბრწყინვალედ შეასრულა და ვახტანგიც შეირიგა.

„ქილილა და დამანა“ მრავალმხრივ საყურადღებო და ძალზე გავრცელებული ძეგლია. ერთი მეცნიერის შენიშვნით, ის „მსოფლიო ლიტერატურის ძვირფასი მარგალიტია... რომლითაც საუკუნეების განმავლობაში მდიდრდებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თითქმის ყველა ხალხის სულიერი საგანძური“.

„ქილილა და დამანას“ სამშობლო ინდოეთია. ირანის შაჰის ხოსროვ ანუშირვანის (531–579) ბრძანებით ინდური კრებული ფალაურ ენაზე დაუმუშავებია ბარზუის. იმავე საუკუნეში ფალაურიდან (საშუალო სპარსულიდან) ეს ძეგლი სირიულად უთარგმნია ბოდს (ბუდს). ფალაურ ორიგინალზეეა დამოკიდებული „ქილილა და დამანას“ არაბული თარგმანიც VIII საუკუნისა. ფალაური ორიგინალი დაკარგულია, ამიტომ სირიულსა და არაბულ ტექსტებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ. არაბული ვერსია დამუშავებულია იბნ-ალ-მუყაფას მიერ. ეს საფუძვლად დაედვა ტექსტის თარგმანებს ახალ სპარსულსა და ევროპულ ენებზე. ახალ სპარსულ ენაზე ცნობილია რამდენიმე რედაქცია (რუდეგისა –X ს., ნასრ-ულაჰისა – XII ს., ყანისა – XIII ს...), მათგან განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ნასრ-ულაჰის პროზაულმა რედაქციამ.

შემდეგ პერიოდში ჩამოყალიბდა ახალი რედაქცია – „ანვარი სოჰაილი“. ის დაუმუშავებია იბნ-ალი-ალ-ვაიზ-ალმერუფ ქაშიფის (გარდ. 1505 წ.) ემირ აჰმედ ას-სოჰაილის ბრძანებით. შემკვეთის

სახელი ეწოდა ახლად დამუშავებულ კრებულს („ანვარი სოჰაილი“ ნიშნავს „მნათობ კანოპუსს ანუ თაგთაგირს — სამხრეთის ცის კაშკაშა ვარსკვლავს“). „ანვარი სოჰაილი“ ძალზე გავრცელდა. მან „უდიდესი პოპულარობა დაიმსახურა მთელ ისლამურ სამყაროში, ითარგმნებოდა მრავალ აზიურ და ევროპულ ენაზე, იწვევდა ახალ მიბაძვებს და გადამუშავებას“.

ქართული „ქილილა და დამანა“ „ანვარი სოჰაილის“ სახელითაა ცნობილი. ის იგავ-არაკთა კრებულია. ყველაზე ვრცელია ქილილასა და დამანას იგავ-არაკი. ძეგლმაც აქედან მიიღო სახელწოდება.

თხზულებას უძღვის ვრცელი შესავალი, რომელშიც არის ხუთი იგავ-არაკი: ორი ტრედი, ქორის ბარტყი და ყორანი, დედაბრის კატა, სვებედნიერი ჭაბუკი, ვეფხის ბოკვერი და ლომი. შემდეგ მოდის თოთხმეტი კარი.

ქილილა და დამანას ამბავი მოთხრობილია პირველ ორ კარში, შეიცავს 38 იგავ-არაკს. მისი შინაარსი ასეთია: ერთი დიდი ვაჭრის შვილი სავაჭროდ წავიდა სხვა ქვეყანაში. თან ორი აზავერი, — მებარგული ხარი ახლდა „საჭვრეტლად ტურფა ლამაზი... მებრძოლად ლომის სახენი“. ერთს ერქვა შუთურბა, მეორეს — მანდაბა. დიდმა გზამ დაღალა ხარები. ვაჭარი „დიდად ხელს უწყობდა, მაგრამ გზის სიგრძემ და თემით-თემ სიარულმა მოიჭირვა და სიმჭლე ეუფლათ“. გზაზე შეხვდათ ტალახი. შუთურბა შიგ ჩაეფლო. ვაჭარმა „მრავლის ღონისძიებით ამოიყვანა“, მაგრამ ხარს სვლა აღარ შეეძლო. ვაჭარმა ის ერთ მოჯამაგირეს მიაბარა და მოვლა სთხოვა. მომჯობინებული შუთურბა მოჯამაგირეს პატრონთან უნდა მიეყვანა. ორიოდე დღე მოჯამაგირემ შუთურბასთან გაატარა, შემდეგ მარტოობა მოსწყინდა, მიატოვა ის და პატრონს ეახლა, შუთურბას დაკარგვის ამბავი აცნობა. მანდაბამ მეგობრის დაკარგვა ვერ აიტანა და მოკვდა.

მცირე ხანში შუთურბამ „ღონე მოიცა და დაძვრა შეიძლო“, კარგი სათიბი ნახა და დიდხანს სძოვა, „მეტად პოხილად გასუქდა“ და ბღავილი იწყო. „მოსვენებამა და სიხარულით გემოვნებან მაღალი ყვირილი მოანდომა“.

იმ ადგილებში ლომი ცხოვრობდა. ყოველი მხეცი მას ემონებოდა, მას ემსახურებოდა. ლომსაც „მისი უფროსი აღარავინ ეგო-

ნა“. მაგრამ მას „არც აზავერი ენახა, არც ხარის ხმა ასმოდა“. შუთურბას ბღავილმა ის შეაშფოთა, შეაშინა. ლომს არ სურდა მისი შეშინება ხელქვეითებს გაეგოთ, ამიტომაც მარტოობა ირჩია და ჩაიკეტა.

ლომის შეშინება მხეცებმა მაინც გაიგეს. გაიგეს ეს ტურებმაც: ქილილამ და დამანამ.

ქილილა წყნარი, მშვიდი, კეთილი და თავმდაბალი იყო, დამანა — პატივმოყვარე, გაიძვერა, ცბიერი, ფლიდი, ვერაგი.

დამანამ განიზრახა ესარგებლა ლომის მდგომარეობით, მისი შეშინებით და სახელი მოეპოვებინა. ის „სახელის მძებნელი იყო“. ქილილა მას არ უშვებდა ლომთან, არ ურჩევდა სხვის საქმეში ჩარევას, მაგრამ დამანამ დაიჟინა: „მე სანამდისი ლომისაგან დიდების ხარისხს არ ვიშოვნი და მის წარჩინებულთა შიგა არ გავერევი, თავსა განსვენების სასთუმალზე არ დავსდებ და ფერხთა შვებისა საგებელთა ვერ გავიწვდიო“.

დამანა ეახლა ლომს, თაყვანი სცა. ერთგულება აღუთქვა, მომსახურება დაუწყო. როცა გაიგო ლომის შეშინების მიზეზი, ხარის დამორჩილება აღუთქვა. დანაპირი კიდეც შეასრულა. შუთურბა მიჰგვარა ლომს. ამ უკანასკნელს შუთურბა ძალზე მოეწონა; შეიყვარა ის და დაიახლოვა, დააწინაურა და საპატიო ადგილი მისცა.

ბოროტი დამანა აღშფოთდა, შუთურბამ მას გაუსწრო კარზე. დამანამ შურისძიება გადაწყვიტა. კეთილი ქილილა ცდილობდა დაეშალა ბოროტი ზრახვა, მაგრამ ამაოდ. დამანამ შეძლო შუთურბას დაღუპვა.

დამანას მთავარი საწადელი მაინც შეუსრულებელი დარჩა. შემდეგ მისი სიმუხთლე გამომჟღავნდა. „ლომმა და ბრჭეებმა დამანას მაგრა შეკვრა და კრძალულად პყრობა ბრძანეს. მუნით მძორივით თრევით წაიღეს, ბოროტად ტანჯეს და ბლოოდ საპყრობილესა შინა მშიერ-მწყურვალი, დაყროლებული მძორი შეიქმნა და მისის ხრიკისა და ხლართისა და ეშმაურობის ისარი მასვე ეცა. საპყრობილეს ჯოჯოხეთით ჯოჯოხეთის საპყრობილესა ჩაიჭრა“.

დასკვნა ასეთია: „ჩხუბის მოქმედი ბოლო ჟამს უწყალოს საქმით ასრე ორსავ სოფელს სატანჯველს მიეცემა“; „კეთილს კეთილი შეეზღვის, ავს — ავი გარდადებითა“.

„ქილილა და დამანა“ ჯერ კიდევ კლასიკურ ხანაში ითარგმნა ქართულ ენაზე. ამის თაობაზე ჩვენ გვაქვს ვახტანგის პირდაპირი ცნობა: „ჟამსა მას პატიოსნისა და ამაღლებულისა და დიდებულისა, დედათშვენიერებისა, თვითმპყრობელისა და ღმთივგვირგვინოსნისა მეფეთ-მეფისა თამარისა ესე წიგნი ეთარგმნათ, რომელი ცხოვრებასა ქართლისასა წერილ არს“. „ქილილა და დამანას“ კვალს მართლაც ვხვდებით „ქართლის ცხოვრებაში“ (თამარის ისტორიკოსი წერს: „ვითარ ითქმის ინდოთა აღწერილსა ქილილა-დამანასა შინა იგავი ბუთა და ყვავთა...“). ძველ თარგმანს ჩვენამდე არ მოუღწევია. იმავე ვახტანგის თქმით, „მაშინდელი (XIIს. —ლ. მ.) ნათარგმნი ჟამთა ვითარებით დაკარგულიყო“. საფიქრებელია, რომ ძველი ქართული თარგმანი მომდინარეობდა ნასრ-ულაჰის პროზაული ვერსიიდან, რომელიც დამუშავდა 1144 წ. ახლოს.

„ქილილა და დამანამ“ დიდი გამოხმაურება პოვა და ფართოდ გავრცელდა ხალხში. მისმა იგავ-არაკებმა ხალხური ზეპირსიტყვიერების უკვდავ საგანძურში ფრიად საპატიო ადგილი მოიპოვა. ამ საკითხზეც მოგვეპოვება ვახტანგის ცნობა: „რაოდენსაცა საქართველოში ანუ არაკსა და ანუ იგავსა, ანუ ზეპირს მუნასიბსა ლექსსა ახლა იტყვიან უფროსი-ერთი ამაში სწერია“.

განსაკუთრებით ძლიერდება ინტერესი ამ კრებულისადმი აღორძინების ხანაში. მის თარგმნას საკმაოდ დიდი ისტორია აქვს.

აღორძინების ხანაში „ქილილა და დამანას“ თარგმანს ხელი მოჰკიდა კახეთის მეფემ დავითმა (გარდ. 1602 წ.) ცნობილი ქართველი პოეტის, თეიმურაზ პირველის მამამ. ვახტანგს ამ საკითხზე შემდეგი უწერია: „ბატონს დავითს, ბატონის თეიმურაზის მამას, კუსა და მორიელის არაკამდის ეთარგმნა, მაგრამ არც ლექსი გამოელო და ზოგი სიტყვაც დაეკლო და არც დასრულება დასცალებოდა“. აქედან უკვე ჩანს, რომ დავითისეული თარგმანი არც სრული ყოფილა და არც უნაკლო. დავითმა თარგმნა თხზულების მხოლოდ პროზაული ნაწილი, ლექსებს არც შეეხო, პროზის თარგმანი შედარებით ზუსტი და სრულია. ერთი კი შეინიშნება, დავითი მეტად ცდილობდა შინაარსის ზუსტად გადმოცემას და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა მხატვრულ

მხარეს. ამიტომაც მისი თარგმანი ღარიბი გამოვიდა, მხატვრულად ძალზე სუსტი.

დავითისეული თარგმანი ხელთ ჩაუვარდა ვახტანგ მეექვსეს. მას კარგად ესმოდა „ქილილა და დამანას“ მნიშვნელობა და ღირსება, ამიტომაც განიზრახა კახთა მეფის მიერ წამოწყებული საქმის განგრძობა. საამისოდ დამხმარე პირნი მოძებნა. ვახტანგი გვაუწყებს: „მე ის წიგნი ხელად შემომივარდა. ვნახე რომ იყო სიტკბოთი და სარგოთი სრული. რაოდენი ზღაპრის წიგნია და ანუ მსოფლიო სწავლანი არიან, ამისთანა სარგო და საამოდ საკითხავი არ იპოებოდა.

ერთ სპარსსა, რომ მცირედ ქართული ენა და წიგნი ესწავლა, ამის შესრულება უთხარი: მან თარგმნა იწყო: მაგრამ ენის უცოდინარობით ვერც კარგა გამოიღო და გასრულებამდის მეც ისპაანს წასვლა მომიხდა. ისპაანს რომ ჩაველ, მუნ ერთ სომეხს უთხარ, რომ სპარსული ესწავლა, ნაკლების შესრულება, და მან შეასრულა; მაგრამ ლექსი, სიტყვა და გაწყობა ბევრი დააკლდა“.

ვახტანგის თანამშრომლები ვერ ყოფილან კარგი მწერლები. ირანელს ქართული არ სცოდნია კარგად, სომეხს არავითარი სამწერლო მონაცემი არ გააჩნდა. თარგმანი სუსტი გამოვიდა. ირანელმა ძალზე შეამოკლა ტექსტი, სომხის თარგმანში სიუჟეტურ-ფაბულარული თავისებურებაც შეინიშნება.

ვახტანგმა კოლექტიური თარგმანი შეუდარა დედანს და შენიშნა თარგმანის უსრულობა. მან რედაქციული მუშაობაც ჩაატარა ხელნაწერზე, შეიტანა არაერთი ცვლილება. ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერს მრავლად შემოუნახავს ვახტანგის ავტოგრაფული მინაწერები.

ისპაანიდან ვახტანგი გაგზავნეს ქირმანს (1714 წ.) „რა მიველ მუნ, — მოგვითხრობს მგოსანი, — წიგნი სარგონი არ მახლდა, და ცუდად ყოფნა სულისაც მაზიანებელად ვნახე და ხორცის საწუხრადაც. სხვა საქმე არა მქონდა რა და ამის შექცევას გამოვეკიდე“. ის მოეკიდა ამ დიდ საქმეს, გარჯას აღარ მოერიდა, საკმაოდ კეთილსინდისიერად შეასრულა. თავმდაბალი პოეტი წერდა: „თუცა დამეკლოს რამე, ნუ დამგმობთ: ჩემი ჭირი ქვას ჰქონებოდა, დადნებოდა. ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდა“.

თავისი თარგმანის შესახებ ვახტანგი საგანგებოდ შენიშნავდა: „სპარსთ ენაში მეტად ტკბილად და კარგად უთქვამსთ. ამასაც ნახავთ, ლექსი ლექსად გარდმოვთქვი უკლებლად, რომელი ოთხმუხლი იყო, ანუ ორმუხლი, ანუ ერთმუხლი, ანუ ათმუხლი მეტი თუ ნაკლები, და ამბავი—ამბად. მაგრამ ლექსი სპარსული ქართულს ენაში ლექსად არ ითარგმნება, ამბად მოვა, და მე იმავე ამბის გალექსვა მოვინდომე, და ეგებ ლექსი არ მოგეწონოსთ, გასინჯეთ, რომ სხვის კაცისაგან ნათქვამს ამბავს მეორე ისე ველარ იტყვის! სპარსის ლექსის იგავნი ამის უკეთ ქართულად ვერ მოვიყვანე, თვარემ სპარსულში დიაღ გაწყობილია“.

ვახტანგს არ დასცალდა ტექსტის საბოლოო დამუშავება. „კვლავ მიხმეს ისევ ისპაანს; დამრჩა ეს შეუსრულები“, — გულისტკივილით წერდა პოეტი.

ვახტანგმა მის მიერ თარგმნილი „ქილილა და დამანა“ სარედაქციოდ გაუგზავნა თავის კარის მდივანს ონანას და სთხოვა პროზით ნათარგმნი ლექსების გაწყობა.

ონანამ პროზას ხელი არ ახლო, არ შეცვალა. მან მხოლოდ სათანადო ადგილები გალექსა. ამასთანავე უცვლელად გაიმეორა ვახტანგის მიერ ლექსად გაწყობილი მასალა. ამრიგად, მას ეკუთვნის ვახტანგის მიერ პროზაულად თარგმნილი სპარსული ლექსების ლექსად გაწყობა. ონანა საკმაოდ ნიჭიერი პოეტი იყო და დავალებაც საკმაოდ კარგად შეასრულა, „ქილილა და დამანა“ ჯეროვნად გამართა, მაგრამ მალე უკეთესი რედაქცია გაჩნდა.

1716 წლის ივლისში ევროპიდან დაბრუნდა სულხან-საბა ორბელიანი. ვახტანგმა გასაჩალხავად მას გაუგზავნა „ქილილა და დამანას“ საკუთარი თარგმანი.

ცნობილია სულხან-საბა ორბელიანის მიერ დამუშავებული „ქილილა და დამანას“ ავტოგრაფული ნუსხა. მას ახლავს „ანდერძი სულხან-საბა ორბელიანისა დიდად შეჭირვებულ-შეღონებულისა“. ეს ფრიად საყურადღებო დოკუმენტია, შეიცავს საინტერესო ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობებს, გვაცნობს სულხან-საბას ბიოგრაფიის ცალკეულ მომენტებსა და მწერლის განწყობილებას. ამიტომ აქვე მოგვყავს ნაწყვეტების სახით:

„ეს წიგნი ქირმანსა და ისპაანს შეჭირვებაში მყოფსა და უსაქმო მზრუნავს გონების ურვის წამლად მოემუშაკა მეფესა

ქართველთა ვახტანგს — სპარსულისაგან ქართულად ეთარგმნინა.

ამისათვის მრავალს გარჯილიყო და დიდის ჭირით ქართულად გამოელო. და თვითან ზედმიწევნით სპარსული არ იცოდა, და მთარგმნელებიც თავის გუნებისა ვერ იშოვნა, და მირევ-მორევით გადმოეთარგმნათ. სხვას ენის წიგნი სხვას ენაზედ, თუ არ კაის მცოდინარისაგან, გამოთარგმნა ძნელია: ზოგან წინა უკან უნდა მოიყვანოს და ზოგან ართრონი ან მოუმატოს, ან დააკლოს, თვარამ სწორად ისე უგემური მოვა. რა გაეთაებინა, ქართლში სულხან-საბა ორბელიანისათვის გამოეგზავნა და მოეწერა მაღალსა მდაბალი ბოდიშებით:

აწ მოიგონე შენ ჩემი პირველი სიყვარულია,
ეს საქმე კარგა მისაქმე, თვალთ ნუ მოგივა რულია.

და ებრძანა: ეს ჩემი ჭირნახული გაჩალხე გემოანად და სადაც ლექსები ჩართული იყოს, აგრევე ქართულად ლექსები ჩაურთეო.

ეს სულხან-საბა ორბელიანი გიორგი მეფის დედის ძმისწული იყო და მისგანვე შვილურად გაზრდილი და განსწავლული, და ვახტანგ მეფისა ბიძად და გამზრდელად წოდებული და დიდად საყვარელი; ამ სოფლის სიმუხთლემ ერთმანეთს მოაშორვა და ჩხუბიანმა კაცებმა მათ შუა დიდი დახეთქილება ჩამოაგდო. მეფე მას და მის ძმათზე უბრალოდ მწყრომელი შექნეს, და მერმე ეს ბრძანება მოუვიდა, უარი აღარ იქნებოდა, თვარამ მონაზვნისაგან ამისთანა ამბავი უწესოა და ურიგო...

ბერ-მონაზონი რომ მოსეს წიგნის ნაცვლად ქილილა და დამანას აკეთებდეს, ვეჭობ, მეფესაც გაეცინოს".

როდის მუშაობდა სულხან-საბა „ქილილა და დამანაზე"? როგორც ანდერძიდან ვგებულობთ, ვახტანგმა მას ირანიდან შემოუთვალა, იქიდან სთხოვა „ეს ჩემი ჭირნახული გაჩალხე გემოანადო". იმ დროს სულხან-საბა ევროპიდან დაბრუნებული იყო (დაბრუნდა 1716 წ. ივლისში), ხოლო ვახტანგი კვლავ ირანში ცხოვრობდა (1719 წლამდე). ასე რომ, სულხან-საბამ ვახტანგის დავალება მიიღო და მასზე მინდობილი საპატიო და საპასუხისმგებლო საქმე შეასრულა 1716-1719 წწ.

აღსანიშნავია, რომ სულხან-საბას არ უთარგმნია ტექსტი, არა-

მედ აულია ვახტანგის თარგმანი, გადაუმუშავებია რედაქციულად, შეუსწორებია და ლექსები (პროზაულად თარგმნილი) გაულექსავს, სპარსიზმები წაუშლია და რელიგიური ეპიზოდები გადაუკეთებია („სადაც სჯულის წინააღმდეგად ჩნდა, ცოტა რამ ჩალხი ვკარ"), მუსლიმანური ფატალიზმის იდეა ქრისტიანული აღმსარებლობის კვალობაზე შეუცვლია.

როგორც აღვნიშნეთ, სულხან-საბა ორბელიანს ხელთ ჰქონდა ვახტანგისეული თარგმანი და არა ორიგინალი. ამიტომ ვახტანგის თარგმანის დამახასიათებელი ნიშნები აქაც გვხვდება, ის, რაც ზედმეტი იყო ვახტანგის თარგმანში, დარჩა სულხან-საბასეულ რედაქციაში. ხოლო ნაკლული ადგილი, კვლავ ნაკლულად დარჩა. სულხან-საბას რომ ჰქონოდა შესაძლებლობა ვახტანგის თარგმანის დედანთან შეჯერებისა, საფიქრებელია, მისი რედაქციული მუშაობა მაშინ კიდევ უფრო მეტ ნაყოფს გამოიღებდა. სულხან-საბამ შინაარსობრივად გაიმეორა ვახტანგის ტექსტი, ზუსტად გადმოგვცა ყოველი ცალკეული დეტალი, ამავე დროს ძალზე შეცვალა თხრობის სტილი: ახალი სახე მისცა ყოველ წინადადებას, გაწმინდა იგი ზედმეტი სიტყვებიდან.

სულხან-საბამ სპარსული ტერმინოლოგია ქართულით შეცვალა. მაგალითად, ვახტანგის ერთი წინადადება — „ყაფასის ჯინჯილხანაში დაატყვევა", მასთან ასეთ სახეს იღებს: „გალიათა დილეგთა შეამწყვდია". რედაქტორი არ მოერიდა და თამამად გაასწორა ვახტანგის უხერხული გამოთქმები. ასე, მაგალითად, ვახტანგის ეპითეტი კატისა „მჭლე და მტირალი", მან ასე შეასწორა: „მჭლე და მჩხავანი". ცხადია, შესწორება მართებული იყო.

ვახტანგის მიერ ხმარებული სიტყვები (ბაღი, ხერხი, კისერი, კუნძული, ლეკვი, ჯაშუში...) რედაქტორმა შეცვალა არქაულით (წალკოტი, ხრიკი, კინწი, ხერთვისი, ბოკერი, მსტოვარი...)

„ქილილა და დამანას" ორბელიანისეულ რედაქციას დიდ ნაკლად სდევს რიტორიკული ენაწყლიანობით აზრის გაბუნდოვანება. მაგრამ ეს დამახასიათებელია ტექსტის სპარსული დედნისათვის და ამით უნდა აიხსნას. საგულისხმოა, რომ რედაქტორს საკმაოდ ეტყობა მიდრეკილება რიტორიკისადმი.

საინტერესოა რედაქტორის დამოკიდებულება ტექსტის რელიგიურ განწყობილებასთან. სულხან-საბა ცდილობდა დაეძლია

ტექსტი, მიეცა მისთვის გარკვეული იდეური მიმართულება, „გაეჩალხა“ ის ქრისტიანული მორალის შესაბამისად. საყურადღებოა ერთი მომენტი. თხზულებით სოლომონ ბრძენმა სათათბიროდ ადამიანებსა და ცხოველებთან ერთად მიიწვია „ქაჯნი, ქვეწარმავალნი და ფრინველნი“. ამ თხრობამ აღაშფოთა რედაქტორი; მან არშიაზე მიაწერა:

მიკვირს ესეთი ტყუილი რად მორთეს მათ მოჩმახითა,
სალვთო წერილი მოშალეს, კაცნი დააბეს მახითა,
დევ-ქაჯნი გინა პირუტყვნი გვირჩევენ, თქვენ რა სახითა,
ამის მორწმუნეს დაეცა მეხი თვალდასანახითა!

პირველად უკანასკნელ ტაეპში ეწერა, „ამისსა მთქმელსა...“ მაგრამ შემდეგ სულხან-საბას შეშინებია, მკითხველს „მთქმელში“ ვახტანგი არ ეგულისხმებინა და ამიტომ შეუსწორებია.

სულხან-საბა ორბელიანს ზოგჯერ კარგად ვერ გაუგია ვახტანგისეული ტექსტი. მაგალითად, ვახტანგს უწერია:

ერთმა მუშამ რომ ანთალის თესლი დასთესოს,
შაქრის ლერწმის სიხარბე არ უნდა ქნას.

სულხან-საბამ ეს ადგილი ასე გალექსა:

ვინცა მუშაკი სთესვიდეს თესლად ნათალსა ხისასა,
შაქრის ლერწამი ვით მომკოს ნახნავსა ზედა ქვისასა?

სულხან-საბა ორბელიანი ზოგჯერ თავის აზრსაც ურთავდა ტექსტში. ერთ არაკში: „ბებერი დედაკაცი და მისი მომაკვდავი ქალი“ მას ეკუთვნის თანამედროვეობისაგან ნაწამები და ტანჯული ადამიანის გულის სიღრმიდან ამოსროლილი მწარე სიტყვები: „მე ესე მინდა, რომე სცნათ: ესეთი კაცი არ არის, რა ჭირი მიადგეს, თავი გასცეს და სხვა, თუ შეიძლოს, სანაცვლოდ თვისი თავისათვის იგი არ გაიმეტოს!“

„ქილილა და დამანა“ ხელმწიფეთა კოდექსს წარმოადგენს. თხზულებაში საგანგებოდაა საუბარი მეფეთა უფლება-მოვალეო-

ბისა და ღირსება-ნაკლოვანებათა შესახებ. მეფე უნდა იყოს კეთილი და ლმობიერი, მოსამართლე და მოწყალე, ხალხის დამხმარე, გონიერი და წინდახედული — ასეთია თხზულების ერთი ძირითადი ხაზი. „მეფენი მაღლის მთისა თავს შეუდარებიათ. თუცა მათ შიგა ოქრო-ვერცხლთა და თვალთა პატიოსანთა ლითონი იპოების, მხეცნი და გესლოვანიცა მძრომნი მუნ იშოებიან“, ამიტომაც საჭიროა მეფემან აწონ-დაწონოს თავისი საქმიანობა, გაზომოს ნაბიჯი. ის არ უნდა იყოს მერყევი და სუსტი, არ უნდა დააფრთხოს საშიშროებამ: „ხელმწიფე კლდეთაებრ ფერხმტკიცე უნდა იყოს, რომე ყოველთა ქართაგან არ შეირყიოს და სხვადასხვა ხმისაგან უძრავი იყოს“. მეფე უნდა იყოს მარად მზად, მარად ფხიზლად. თუ მან სიფხიზლე მოადუნა, სამეფო დაზიანდება. „თუ მეფეს სძინავს, ქვეყანა ვერ დაიძინებს შვებითა“. ის უნდა იყოს ფრთხილი, საიდუმლო უნდა შეინახოს და „გაუსინჯავად თავისი გულის პასუხი არავის უნდა ანდოს“.

ხელმწიფეს მართებს ხელქვეითთა ჯეროვანი დაფასება. სამწუხაროდ, მეფენი „სახელოანთა კაცთა მათისა სიკეთითა არ გააძლიერებენ. ვინცა მათი ნათესავია, ანუ მახლობელი, ანუ სამსახურითა მათთან სიმაღლე ეშოვნოს და მეფედ ნიჭითა ჩვეულ იყოს, — მათაც საქმე გასაჭირი აქვთ“. მეფესთან სამსახური ძნელია, სახიფათოა. მეფეთა „სამსახურსა შინა შიში უამრავია და მწუხარება დიდი სალხინოსაგან უმრავლესია“.

საგანგებოდ აღსანიშნავია თხზულების ტენდენცია — მოწოდება სახელის მოხვეჭისადმი. შექებულია ფაქიზი, პატიოსანი ადამიანი — სამშობლოს მოყვარული და მეგობართ დამფასებელი, სახელოვანი და სახელის მძებნელი.

„ქილილა და დამანაში“ მეგობრობის იდეა წინა პლანზეა წამოწეული. მეგობრის სიყვარული, მეგობრის ერთგულება, მეგობრისათვის თავდადება — აი, ერთი ძირითადი შტრიხი.

კრებულში ხაზგასმულია, რომ საჭიროა ბრძოლით გაკვლევა გზისა, ბრძოლით მოპოვება მდგომარეობისა: „არას კაცს, თუ არ ცდითა, თავისი საწადლის მზე აღმოსავლით არ ამოსვლია და მოუძებნელად კაცსა თვისის ნატვრით მოსავალი ვერ მოუპოვებია“.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა ადამიანის გვა-

რიშვილობას, მის შთამომავლობას, არამედ პირად თვისებებს, განათლებასა და განსწავლულობას.

თხზულებაში ხაზგასმულია მშვიდობის სიკეთე და საჭიროება. ომი დაგმობილია და უარყოფილი. „ჭკვიანთა საუკეთესოდ ესე უთქვამთ: ომსა და ბრძოლას კაცი მოერიდოსო, ომითა რაგინდ თაფლი შეიმზადოს, გემო არა აქვს“.

თხზულებაში მკაცრადაა გაკრიტიკებული ადამიანის მანკიერი მხარეები. დაგმობილია თავისი ბედით უკმაყოფილო და სხვისი ქონების ხელში ჩამგდები ადამიანი („დედაბრის კატა“), გლეხის მტანჯველი მეფე („დიდვაჭრის შეგონება“).

„ქილილა და დამანას“ კანონიკურ რედაქციაში მრავლად გვხვდება აფორიზმი, შეგონება, დარიგება, სენტენცია. თხზულებაში ბრძნული აზრების ოსტატური გადმოცემა ზრდის ნაწარმოების შინაარსობრივ-აზრობრივ ღირებულებას და მხატვრულ მხარესთან ერთად ხელს უწყობს მის პოპულარიზაციას.

სულხან-საბა ორბელიანი არა მარტო დახელოვნებული პროზაიკოსი იყო, არამედ ნიჭიერი პოეტიც. მწერლის შემოქმედების სრული სახის გასაცნობად აუცილებელია მისი პოეტური მემკვიდრეობის გათვალისწინებაც.

სულხან-საბამ თავისებურად იწყო „ქილილა და დამანას“ სათანადო ადგილების გალექსვა. ის ცდილობდა ლექსების ტაეპობრივი შესატყვისობის დაცვას, მაგრამ ზოგჯერ არც დარღვევას გაურბოდა. ის ვახტანგის პროზაულ თარგმანს მასალად იყენებდა, ზოგჯერ მას სხვა შინაარსობრივსა და იდეურ გააზრებას აძლევდა. მისი ლექსი დედანთან შედარებით უფრო ღრმაშინაარსიანია. ხშირად მწერალი ლექსებში აქსოვს თავის პირად განცდა-განწყობილებასაც. ზოგჯერ სრულიად უმნიშვნელო მასალიდან გვაძლევს ბრწყინვალე ლექსს (ასეთია, მაგალითად, „ქალი“).

სულხან-საბა ორბელიანის პოეტური მემკვიდრეობა მხოლოდ „ქილილა და დამანას“ ლექსებით არ ამოიწურება. გარდა ამისა, პოეტს ეკუთვნის ანბანთქება, სამსტროფიანი ჩანართი „ქეთევან დედოფლის წამებაში“, შვიდი მნათობის ბუნების ამსახველი ორსტროფიანი ლექსი, ერთი სასულიერო შინაარსის ფრაგმენტი

და სხვ. საფიქრებელია, ეს მხოლოდ მცირე ნაწილია მწერლის პოეტური მემკვიდრეობისა. დიდი ნაწილი ჯერ კიდევ უცნობია, დაკარგულია თუ მიუკვლეველი.

თავის ლექსებში სულხან-საბა ორბელიანმა ბრწყინვალედ დაიცვა უკვდავი რუსთველის პოეტური ტრადიციები, გააღრმავა მშობლიური ხალხური შემოქმედებითი ტრადიციები, წინ წასწია მხატვრული აზროვნება და მეტყველება, აამაღლა ქართული ლექსის კულტურის დონე. აზრობრივი სიმკვეთრე, გამომსახველობითი ხერხების სიმრავლე, ფაქიზი და დახვეწილი მხატვრული გემოვნება, მაღალი სიტყვიერი კულტურა, სრულყოფილი პოეტური ტექნიკა, აი, რა ახასიათებს სულხან-საბას ლექსს. მისი იდეურად შთამაგონებელი და სულიერად გამამხნევებელი პოეზია ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ბრწყინვალე სამკაულია.

1719 წელს შაჰმა ვახტანგი ქართლს გამოისტუმრა. ვახტანგი ენერგიულად შეუდგა ქართლის მართვას. მან იესეს აპატია დანაშაული, უბოძა მუხრანბატონობა და დანიშნა მდივანბეგად. დაუკავშირდა დავით კახთა მეფეს და მასთან ერთად შეუტია ლეკთა მოთარეშე ბრბოებს.

ვახტანგის აღმზრდელი სულხან-საბა ორბელიანი დაბრუნდა პოლიტიკურ ასპარეზზე, ამოუდგა მხარში მეფეს და მისი მრჩეველი გახდა.

1722 წლის აგვისტოს შაჰმა ვახტანგს შირვანს გალაშქრება და იქიდან ლეკთა განდევნა მოსთხოვა: „შეიყარა სპა ლაშქარი ქართველთა“. ამ დროს მოვიდა ირანის წინააღმდეგ რუსთა ლაშქრობის ამბავიც.

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. რუსეთისა და საქართველოს ინტერესთა თანხვდენილობამ მოამზადა ხელსაყრელი პირობები დაახლოება-დაკავშირებისა და ერთობლივი მოქმედებისათვის. რუსეთი წინა აზიის პოლიტიკურ სარბიელზე გაბედულად გამოვიდა და ქართველთა ორიენტაციაც სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო გახდა.

ქართველი ხალხი განსაცდელში იყო და ეროვნული კატასტროფის წინაშე იდგა. დამპყრობლები მოსვენებას არ აძლევდნენ

ქვეყანას. ქართველობა უძლური იყო გარეშე მტრების წინაშე. თავდამსხმელთა მოგერიება მხოლოდ საკუთარ ძალებზე დაყრდნობით შეუძლებელი ჩანდა. დამოუკიდებლობის შენარჩუნების შესაძლებლობას მოკლებულმა ქართველობამ გადაჭრით დაიწყო ორიენტაციის ძიება, რამაც ჩვენი წინაპრები ადრევე ჩრდილოეთის ერთმორწმუნე ქვეყნისკენ მიახედა. მტერთან მრავალი წლის უთანასწორო ბრძოლამ ცხადყო რომ ფეოდალურად დაქუცმაცებულ საქართველოს თვით არ შეეძლო მაჰმადიანთა გარემოცვისაგან თავის დაღწევა. საჭირო იყო ძლიერი მოკავშირე, რომელიც შეძლებდა სათანადო დახმარების აღმოჩენას. ქართველებს კარგად ესმოდათ რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა. ამიტომაც ორიენტაციის შერჩევის დროს რუსეთის სახელმწიფოს შინაგან ძლიერებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ და სათანადო მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ქართველი პროგრესისტების აზრით, ეროვნული თვითმყოფობის შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო რუსეთთან დაკავშირება. რწმენა, რომ მხოლოდ რუსეთს შესწევს ძალა და უნარი იხსნას ქართველობა განადგურებისაგან, თანდათანობით მტკიცდებოდა რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურ გაძლიერებასთან ერთად.

აღნიშნულ პერიოდში რუსეთს მართავდა ნიჭიერი და ენერგიული გამგებელი პეტრე I (1682-1725). იგი ყოველმხრივ ცდილობდა ქვეყნის განვითარებასა და დაწინაურებას. აფართოებდა რუსეთის ტერიტორიას, ეძებდა ზღვებზე გასასვლელს, ხელს უწყობდა ტექნიკისა და მეცნიერების განვითარებასა და კულტურული დონის ამაღლებას, დიდ ყურადღებას უთმობდა დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობას; ხანგრძლივი დროის განმავლობაში (1700–1721 წწ.) ეომებოდა შვედებს, რათა ხელთ ეგდო საზღვაო გზა ევროპისაკენ; ამავე დროს გულისყურით ეკიდებოდა აღმოსავლეთის საკითხს, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა კასპიისპირა მხარეს, რადგან აქ იყო სააღმშენებლო მასალები, ნავთობი, აბრეშუმი, ბამბა, ხილი, ღვინო და სხვ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სავაჭრო გზას, რომლის ხელში ჩაგდებით რუსეთი იქცეოდა ევროპა-აზიის დამაკავშირებელ სავაჭრო-სატრანზიტო გზად.

გარდა ეკონომიკური მიზნებისა, რუსეთის სამეფო კარს ჰქონდა წმინდა სამხედრო-პოლიტიკური მიზნებიც. მაშინ, როდესაც

რუსეთის საავჭრო კაპიტალი გზას იკაფავდა კასპიის ზღვის სანაპიროებისაკენ, მხედრობა ჩრდილოეთ კავკასიისაკენ ილტვოდა და იქ დამკვიდრებას ლამობდა. რუსეთის ხელისუფალთა მართებული მოსაზრებით, კასპიისპირეთში სამხედრო-პოლიტიკური გამარჯვების მისაღწევად აუცილებელი იყო ამიერკავკასიის ხალხთა მხარდაჭერა და ერთგულება-მოკავშირეობა. ქართველებს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდათ. მათ შეეძლოთ რუსთათვის მიეწოდებინათ არა მარტო სურსათი, არამედ დაეხმარებინათ ჯარი, რომელსაც ჰქონდა მაჰმადიანებთან ომის დიდი გამოცდილება, რომელმაც იცოდა მოწინააღმდეგის ბრძოლის ფანდები და ადგილობრივ ჰავასაც შეჩვეული იყო.

ამრიგად, საქართველო მაჰმადიანური გარემოცვის გარღვევასა და გაძლიერებული მუსლიმანური ბრბოებისაგან თავის დაღწევას ცდილობდა, ხოლო რუსეთი კასპიის ზღვის სანაპიროების ხელში ჩაგდებას აპირებდა. რადგან ორივე ქვეყნის ინტერესი ერთობლივ მოქმედებას მოითხოვდა, პეტრე და ვახტანგი ერთმანეთს დაუკავშირდნენ.

1722 წლის ივლისში პეტრემ ქართველთა მეფეს ბორის თურქისტანიშვილი გამოუგზავნა, ირანის წინააღმდეგ რუსთა მხედრობის გამოსვლა აუწყა და გალაშქრებისაკენ მოუწოდა. ვახტანგს ძალზე გაუხარდა, საჯაროდ მიიღო ქრისტიანობა, რუსებს მიემხრო და ერთგულება შეჰფიცა.

დარბაზის წინააღმდეგობის მიუხედავად, ვახტანგი განჯას მივიდა. თან ახლდა დიდძალი მხედრობა, ქართველები განჯის მიდამოებში დაბანაკდნენ. ერთობლივი მოქმედების გეგმით რუსებს დერბენდი და ბაქო უნდა აეღოთ, ხოლო მათთან შეერთებულ ქართველებსა და სომხებს — შამახია. ქართლის ჯარი რუსებს დერბენდ-ბაქოს გზაზე უნდა შეხვედროდა. ვახტანგი პეტრესაგან ნიშანს ელოდა, მაგრამ ამაოდ.

რუსი მეომრები ერთხანს ძლევამოსილად მოიწევდნენ წინ, დარუბანდიც აიღეს, მაგრამ მალე რთული ვითარება შეიქმნა ჩრდილოეთ საზღვარზე. პეტრემ დერბენდში გარნიზონი დატოვა და თვით ასტრახანისაკენ გაბრუნდა (1722 წლის შემოდგომაზე), ხოლო იქიდან სატახტო ქალაქს მიაშურა. ოპერაცია მომავალი წლისათვის გადაიდო.

განჯიდან ვახტანგი გაწბილებული გამობრუნდა. რუსეთისათვის მხარდაჭერის გამო შაჰმა მას ქართლი ჩამოართვა და 1723 წლის 10 იანვარს კახეთის მმართველს კონსტანტინეს მისცა. კახთ ბატონის წინააღმდეგ დაირაზმა ვახტანგის ერთგულ მებრძოლთა ლაშქარი. მეფემ სახლობა გორს გახიზნა, ხოლო თვით თბილისის დასაცავად გააჩაღა ბრძოლა. კონსტანტინემ ლეკთა დახმარებით 4 მაისს თბილისი აიღო. ამ დროს ქართლს მოადგა ოსმალთა ჯარი. ვახტანგი გაქცეული იყო. ბაქარი და იესე ტაშირს დახვდნენ ოსმალებს და თბილისისაკენ წამოჰყვნენ. 1723 წლის ივნისში ოსმალნი უომრად შევიდნენ თბილისში, დაიჭირეს ქალაქი, შეიპყრეს კონსტანტინე და ქართლი ბაქარს მისცეს. მალე ოსმალთა ბატონობაც აუტანელი შეიქნა, ბაქარმა იწყო ანტიოსმალური საქმიანობა. ოსმალებმა ქართლის მეფობა იესეს მისცეს.

1724 წელს იესე და ოსმალთა ჯარი ვახტანგს მიესია. დამარცხებულმა ვახტანგმა რუსეთს წასვლა გადაწყვიტა.

ძლეულმა ქართლის მეფემ დახმარება სთხოვა მოსკოვს მყოფ დარეჯან არჩილის ასულ ბაგრატიონსა და ასტრახანის გუბერნატორს. ის წერდა: „ჩვენის თავის ამ საქმეზედ წახდენად სიხარულად შეგვირაცხია. თუ მაგათის (პეტრეს — ლ. მ.) დიდებულობის შარავანდედი ან აქ გვარგებს, ან მაქ გაგვიყვანს — კარგია. თუ არა და ჩვენი ქვეყანაცა და ჩვენცა, საეჭველი არ არის, საურჯულოდ გახდება“.

სამშობლოს მძიმე მდგომარეობით გულდასერილმა ვახტანგმა რუსეთს მისვლის ნება მიიღო. 1724 წლის ზაფხულში ქართლის მეფე რუსეთის გზას გაუდგა. მას „გაჰყვნენ ქართველნი ყოვლის სახლიდამ და კახნიცა მრავალნი. ზოგნი უმეტეს დედაწულითურთ“. მხლებელთა რიცხვი ათასორასს აღემატებოდა.

ვახტანგ მეექვსეს თან ახლდა სულხან-საბა ორბელიანიც. მრავალჭირნახულმა აღმზრდელმა და თავდადებულმა სახელმწიფო მოღვაწემ არც ამჯერად მიატოვა თავისი აღზრდილი და შორეულ ჩრდილოეთში წაჰყვა მას.

ცხინვალიდან ვახტანგის ამალამ მდ. ფაწას ხეობა აიარა და რაჭას გადავიდა. იქიდან ჩრდილოეთის გზას გაუდგა, „განვლო მდინარე რიონისა და შეუდგნენ მთასა მაღალსა კავკასიისასა, მსგავსსა ჯოჯოხეთისა, სადაც იყო ჯურღმული მრავალი გამომ-

დინარე თოვლითა და ყინულთაგან. ესრედ ძნიად გასავლელ იყო კაცთათვის, უკეთუ შთავარდნილ იყოსმე ქვესკნელსა ამას შინა უფსკრულსა ყინულისასა ორბი, გინა არწივი, მასცა ვერღა ეძლო მუნით აღმოსვლად, არცაღა თუ ესეოდენსა ურიცხვთა დედაწულთა". მეფის ამალას ყინვაროვანი ზეკარი გადაუვლია. სულხან-საბასათვის უღელტეხილის გადალახვა ძალზე ძნელი იყო.

ქართველებმა გადალახეს კავკასიონი და გადავიდნენ პირიქით მხარეს. იქ მათ ავაზაკნი ესხმოდნენ. მეფემ მრავალი ძვირფასი თვალი და მარგალიტი მისცა მათ და ტანჯვით მიაღწია დიგორს. იქ მივიდა ჩერქეზთა ბატონიშვილი და ვახტანგის ამალა ჩერქეზეთს მიიყვანა, დიდ ყაბარდოში (ვახტანგი სიძე იყო მათი, ცოლად ჰყავდა მეფის ასული რუსუდანი, რომელიც ახლაც თან ახლდა).

ჩერქეზებმა სიძე და მისი ამალა კარგად მიიღეს, „ფრიად ეტრფიალენ",„უმასპინძლეს ერთობით". მეფემ დიდად დააჯილდოვა ისინი, „ძვირფასი საბოძვარი" მისცა. ამალამ განვლო ჩრდილო კავკასიის ველები, ყალმუხებითა და ნოღაელებით დასახლებული ტრამალები, დაღესტნის ვაკე... მეფეს ახლა რუსთა მხედრობა ახლდა მცველად და თანამგზავრად. შემდეგ შეხვდა „უმჯობესი ჯარი, ქვეითოსანი. მოეგებენ მეფესა და თაყვანი სცეს მთავართა მათთა რაოდენითამე თვითეულისა გვარითა საკრავითა, დროშებითა და დაფებითა". ასეთი ჯარის თანხლებით ქართველები მივიდნენ სოლაღს.

იქიდან ვახტანგმა რუსეთის ცენტრისკენ გაგზავნა თავისი წარმომადგენლები, მათ შორის სულხან-საბა ორბელიანიც. ისინი ქართლის საქმეების მოსაგვარებლად ჩრდილოეთისაკენ გაეშურნენ და რამდენიმე დღის შემდეგ მოსკოვს მიაღწიეს.

ქართველები მოსკოვში მრავლად იყვნენ. ცნობილია,რომ 1653 წლის 27 დეკემბერს მოსკოვს მივიდნენ თეიმურაზ პირველის შვილიშვილი ნიკოლოზი და დედამისი ელენე. მალე მათ იქ ყოფნაში მოსკოვში ჩავიდა ქართველი მეფე თეიმურაზ პირველი (1658 წ.) ის იყო პირველი ქართველი მეფე, რომელიც მოსკოვს ეწვია. შემდეგ მოსკოვს ჩავიდა არჩილ მეფეც (1685 წ.). იმ დროს მოსკოვში უკვე რამდენიმე ქართული ოჯახი არსებობდა, ქართული

კოლონია საკმაოდ მომაგრებული იყო. ქართველთა სამკვიდროდ იქცა ს.ვსესვიატსკოე (ამჟამად მოსკოვის ფარგლებშია). ქართველთა საძვალედ დადგინდა არჩილისეული დონის მონასტერი. იქ დაკრძალეს არჩილი, მისი მეულღე, შვილები: ალექსანდრე, დავითი და მამუკა.

ვსესვიატსკოეში ცხოვრობდა არჩილის ასული დარეჯანიც, რომელსაც დიდი სახელი და ავტორიტეტი ჰქონდა. პეტრე პირველი პატივს სცემდა მას. ცნობილია, რომ შვედებთან ომის დამთავრების გამო გამართული ზეიმი პეტრემ დაიწყო ვსესვიატსკოედან, არჩილის სასახლიდან. ზეიმის წინა ღამე, 1722 წლის 30–31 იანვარი, პეტრემ დარეჯანის სასახლეში გაატარა. საფიქრებელია, იქ წარმოებდა მოლაპარაკება ირანისაკენ გალაშქრების შესახებ. დარეჯანი რუსეთის იმპერატორს ქართლის მეფის სახელით ესაუბრებოდა.

დარეჯანის სასახლე ქართველთა სადგომს წარმოადგენდა, შორი გზით დაღლილმა და დაქანცულმა სულხან-საბა ორბელიანმაც მას მიაშურა, დარეჯანს ეწვია, ნატანჯი სხეული ქანცმილეული იყო. მწერალს გზის გაგრძელება აღარ შეეძლო. დარეჯანის სასახლე გახდა მისი უკანასკნელი სადგომი. სულხან-საბა იქ გარდაიცვალა.

ვახტანგი წერდა: „სოფლის ვალი ჩვენთან გარდიხადა და სულხან-საბა ჩვენთან აღესრულა მოსკოვს“, „საბა რუსეთს ჩვენთან მიიცვალა“.

უფრო ზუსტი და გარკვეული ცნობა ლექსიკონის მინაწერს დაუცავს. ის სულხან-საბას ძმას ზოსიმეს უნდა ეკუთვნოდეს და ეჭვს არ იწვევს: „საბა მიიცვალა ქრისტეს აქეთ ჩღკე [=1725], იანვარსა კვ [=26], მწუხრს, დიდს მოსკოვს, სესენცკას, ბატონის არჩილ მეფის სასახლეში და იმავ საყდარს დაემარხა ბრძანებითა და მრავლის ხარჯითა და თან-წაყოლითა და დიდის პატივითა ბატონისშვილის დარეჯანისათა“.

ქართული მხატვრული ლიტერატურის სახელოვანი დიდოსტატი და მგზნებარე მამულიშვილი სულხან-საბა ორბელიანი გარდაიცვალა მოსკოვს, 1725 წლის 26 იანვარს. მისი ძმის დიმიტრი ორბელიანის სიტყვით, „ფრიად მაშვრალი მუშაკი მოკვდა, დაეფლა რუსთ ველსა“.

სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედება მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. სამშობლოსათვის მრავალჭირნახული მამულიშვილი იყო იგავ-არაკული ჟანრის ბრწყინვალე წარმომადგენელი, საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფითი მხარეების პირუთვნელი მამხილებელი, მხატვრული პროზის უბადლო ოსტატი, დოკუმენტური პროზის ფუძემდებელი, ქართული ლექსის რეფორმატორი და ნოვატორი, შესანიშნავი ლექსიკოლოგი და მეცნიერ-რედაქტორი.

„სიბრძნე სიცრუისა“ ქართული მხატვრული ლიტერატურის შედევრია, ხოლო სამოგზაურო-მემუარული ხასიათის თხზულება „მოგზაურობა ევროპაში“ ქართული დოკუმენტური პროზის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. სულხან-საბა ორბელიანი დახელოვნებული მქადაგებელიც იყო. მისი „სწავლანი“ ქართული ჰომილეტიკური მწერლობის შესანიშნავი ძეგლია. ავტორი გვაცნობს თავის პატრიოტულ განცდებს და სახელმწიფოს შელახული ღირსების აღდგენისაკენ მოუწოდებს ქართველობას.

მხატვრული პროზის გვერდით სულხან-საბა ორბელიანმა დაგვიტოვა მაღალნიჭიერად დაწერილი პოეტური ქმნილებანი; იგი გაწაფული რედაქტორიც იყო. „ქილილა და დამანას“ სულხან-საბასეული რედაქცია საუკეთესოდ „გაჩალხული“ და გამართულია. აქ ყველგან შეიგრძნობა გამოცდილი ოსტატის ხელი. განსაკუთრებით აღსანიშნავია სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“ — „სიტყვის კონა“ — ქართული ენის ულევი მარაგის ამსახველი შრომა.

სულხან-საბა ორბელიანმა გაამდიდრა და წინ წასწია ძველი ქართული სულიერი კულტურა. სამშობლოსათვის თავდადებულმა პატრიოტმა მთელი ცხოვრება ქართველთა კეთილდღეობისათვის ბრძოლას მოახმარა. მამულისათვის თავგანწირული და მოძმეთა სიყვარულით გულანთებული სულხან-საბა ორბელიანი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე სამშობლოს საქმეთა მოგვარებაზე ზრუნავდა.

მოგზაურობა ევროპაში

საბელითა მამისათა ძისათა და სულისა წმინდისათა
ფრანცისიდამ წამოსვლა სულხან საბა ორბელიანისა
და იტალიაში შესვლა
ქს ჩღია ივნისის თხუთმეტს

ფრანცისის თემის ბოლოდამ წამოვედით, რომელსა ჰქვიან ტანტიბ ქალაქი. ათი მილი ვლეთ. დაილია ფრანცა. ნისი ერქვა, იტალიის ადგილია, საბიას ბატონის ქალაქია. საბიას ბატონს აქამდინ დუკა ერქვა. ახლა სიკილია მისცეს ამ შერიგებაზე. სპანიის მეფისა იყო. დიდი სამეფოა და მეფედ დაერქვა. საბიას ადგილები დიდი მთები თოვლიანი მოჩნდა. მაგარი ადგილები, კლდიანი, ღრმა ხეობიანი. ხუთი მილი სხვა ვლეთ. ერთ მომცრო ნავსაყუდელი იყო, საბიასავე პატარა ქალაქი, ლაფრანგა ერქვა. მაგარი ციხე იყო, მაგრამ ფრანცისები და ისინი რომ აშლილიყვნენ, ფრანცისებს ზარბაზნით დაეხვრიტათ, ციხე აეღოთ, მაგრამ ვერ დაექციათ. როსცა შერიგება მომხდარიყო, ისევ მიეცათ. იქ სადილად გაველით. თურმე საბიას მეფეს ჩვენი ამბები ყველა შეეტყო. იმ ქალაქის ვოივოდა გამოეგზავნა. აქ დაგვხდა, მაშინვე მოვიდა ჩვენთან, გვიალერსა, საბიას მეფესთან პატიჟი დაგვიწყო: ჩემმა მეფემ ამაზედ გაგამგზავნაო, ახლოა გაისარჯო, ნახოო. ჩემგან რაც მადლი მოეხსენებოდა, ის შეუთვალე. წასვლა ხო არ მოხდებოდა. კაი ღვინოები, ხილები, ნარინჯი, ლიმონი გამოეგზავნა, მაგრამ ბალი და ყაისი მისთანა არსად მინახავს. სადილი ვჭამეთ. წამოველით. ექვსი ზარბაზანი გაყარეს, შილინგი გვიყვეს, რაც მართებდათ, პატივი და ალერსი არ დაგვაკლეს. ამათ მეტიც ქნეს, მასთან მისული არ ვიყავი, მპატიჟეს, არ ვეწვიე და ასე დაგვიხდნენ. ამ საბიას მეფის ქალი იყო სპანიის მეფის ცოლი, რომ ზეით სიკვდილი დავწერე. ათი მილი სხვა ვიარეთ. სამი, ოთხი მაგარი ციხე ჩამოვიარეთ საბიასი, კლდიანი, მაგარი. ტყე ძვირად ჩნდა. ზეთის ხე მრავალი. ვენახოვანი, სახნავი ნაკლები. ქარი პირის-პირ გვცემდა. ნავი მართლა ვერ იარებოდა. მოვედით მონაკო ქალაქსა.

ეს ქალაქი ზღვაში იყო. ზღვაში ერთი მაღალი კლდე შესულიყო თბილისის მეტეხსავითა. სამგნით ზღვა ევლო, ცალგნით ვიწრო შესავალი, მაგარი ციხე, დიდად და ძლიერად გამაგრებული. გარეშემო ორ რიგად ზარბაზანი იდგა. კაი მონასტრები ჩნდა. ის ქალაქი ერთის ხელმწიფისაი იყო. ყმა არა ვისია.ახლა ფრანციცის მეფისათვის ზურგი მიუყუდებია. მე რომ ფარიზს ვიყავი თვითონ ის ფრენჭიფეც ვნახე; თვითონ ბერად შემდგარიყო და ადგილი და ქვეყანა უმცროსის ძმისთვის დაეტოვა. ციხე ქალაქი მაღალზე იყო. ჩვენ ზღვის პირად სახლებში ჩამოვედით. კაცი ებოძა, ავეპატიჟე. მე მომეშურებოდა, ადრე წამოსვლა მინდოდა. ბოდიში და დაღალულობა შეუთვალე, მუსუ რიშარ გავგზავნე. მოვიკითხე. დიდი პატივი ეცა. მაშინვე შვიდი ზარბაზანი გაყარეს. კარის პატივით დაგვხვდნენ. იმ თემს ვიწროობა ეთქმოდა, სულ კლდიან, სახნავი ძვირად იყო, თორემ ზეთის ხე, ხილი, ლეღვი, ლეღსუარი მრავალი იყო, ნარინჯი, თურინჯი. კაი ნავსაყუდელი. მერმე ერთი წინამძღვარი და დარბაისელი გამოგზავნა, ბოდიში მოეთხოვა, ჩემს სახლში მინდა მობრძანებულიყო. მეც რაც მმართებდა შეუთვალე.

ივ ივნისს ადრიან წამოვედით. შვიდი ზარბაზანი კიდევ გასტყორცეს. რამდენსაც ზარბაზანს გასტყორცემდენ, იმდენს ჩვენი მენავენი ვაივარულს დაიძახებდენ. ზარბაზნის მადლის გარდახდა იყო. ქართულად ასე მოვა: იდად მეფესა. იდად ვინც არ იცით, ალხინეო სიცოცხლეს ჰქვიან. კაი სოფლები და მაგარი ციხეები ჩამოვიარეთ. ათი მილი ვლეთ. მოვედით, მისივე ქალაქი იყო, მცირე და მაგარი. საჩვენო ქარი არ იყო. იქ დავდექით. შემკობილი ადგილი იყო. ტურფა სამრეკლოები აეშენებინათ. დიაღ, მოსაწონი იყო. მანტო ქალაქი ერქვა. სახლები სულ ცადქმნილი იყო. ხის სიძვირეს გვანდა. ტყე არსად იყო. სრულ კლდე იყო. სადაც ხე იყო, სულ ხილნარი იყო. სამიოდ მონასტერი ვნახეთ, დიაღ, მოსაწონები, ერთში იყო კაი ნაწილები ტრაპეზში დატანებული. ფერადის მარმარილოთა, ფერადის ამარტებით აეგოთ. ქრისტეს გარდამოხსა გაეკეთებინათ, ასე ეგონა კაცს, ახლა გარდმოუხსნიათო, ჯერ სისხლი არ შეშრობიაო.

იზ ივნისს შუაღამისას წამოვედით და ჯენევიას თემში შემოვედით. იმ ქალაქზე ზედ მობმით იყო კაი შენობაები, მაგრამ ღამე იყო, ვერა ვნახეთ. რა გათენდა. სენერემ ქალაქს ჩამოვედით.

ჯენოვიასი იყო. ოცდაოთხი მილი გვეევლო. კაი ქალაქი და დიდი, მაგარი, დიდი ციხეები და დიდრონი მონასტრები, დიდროვანის კაცის სასახლეები მოჩანდა. ცოტახანს ნავსაყუდელით უმზირეთ, ვსინჯეთ. რა ჯენოვიას თემში შევედით, კლდემ იკლო და ტყემ იმატა. ზეთის ხე, ნარინჯი მეტად განმრავლდა. უფრო გაშლილობაც ეთქმოდა. ამას ქვევით ერთს სოფელში სადილი ვჭამეთ: თორმეტიოდე კვერცხი, ცოტა ახალი ლობიო. მოგვიტანეს ერთი კიბორჩხალა. ექვს ფლურის თხოვა დაგვიწყეს, ძლივ ხუთს მარჩილას დაგვჯერდენ. ესეები ამისთვინ დავსწერე, შეიტყოთ ფრანციცის მეფის ხარჯი, თუ ჩემზე რას გაისარჯა, ან როგორ დამხვდა. ვლეთ იქიდამ, მრავალი მაგარი ციხე და სოფლები ჩამოვიარეთ, მაგრამ დიდს ადგილას ვენახოვანი სულ წამხდარიყო. კედლები აეშენათ, გვერდზე მოესწორებინათ, ზედ ვენახები აეშენათ, მაგრამ სრულობით გაოხრებულიყო. ვიკითხე რატომ წამხდარა-მეთქი. მითხრეს: მიწა არ ვარგებულაო. მაგრამ თუ მიწა არ ვარგიყო, იმდენი აუარებელი ვენახი რად ააშენეს? გეგუთის მსგავსი ალაგები იყო. იქიდამ ვლეთ ცხრა მილი. მოვედით ქალაქსა ფიორტუმორის. ზღვის პირას მაღალი გორა იყო, ზედ ქალაქი აშენებული, კაი დიდი და შვენიერი. სანახავად კაცს იამებოდა. მრავალი დიდი მონასტერი, კაი წალკოტები ჩნდა, ცოტა ამაზე დაცილებით, ნახევარი ეჯი, თუ მეტი, იყო ვაკე ადგილი. ზედ ერთი დიდი ქალაქი იყო: ონელი ერქვა. საბიას ბატონისა იყო. აქედამ ექვსი მილი ვლეთ, მივედით ქალაქსა დინას. ვვლეთ. კაი ქალაქი და კაი შენებულობა, სხვის ადგილებისაგან უფრო გაშლილი იყო. იმ ღამეს იქ ვიყავით. ჯენოვიასი იყო და ფრანციცის კონცოლი იჯდა, მოვიდა და თავისს სახლებში დაგვაყენა. კარგა გარიგებული იყო.

ი ივნისს ათი მილი ვლეთ. ჩამოვლეთ ქალაქი არასიო, დიდი ქალაქი. იქ შემოგვეყარა ლუის მეფის ცოლი, ფრანციაული ქალი იყო. დაქვრივებული იყო. შვილი რომს დაეგდო. წმინდა პაპას თავისი კატარღებით გამოეგზავნა, ფრანციას მივიდოდა. სამი მილი სხვა ვლეთ. ჩამოვლეთ ქალაქი არბენწქო. ზღვის პირას დიდი გაშლილი, ტყიანი ჭალაკი იყო. ზღვაზე დაცილებით, ტყეში იყო მომცრო ქალაქი, მაგრამ მონასტრები მრავალი. გარეშამო მრავალი სოფლები ჩნდა. დიდრონი შენობაები, დიდროვანი ხეობაები. მას ქვევით ქალაქი ქალაქზე. ზღვის პირად — ციხე ციხეზედ.

სოფლები მრავალი. მის მშენებლობის სიხშირეს კაცი გაოცდებოდა. ვლეთ და მოვედით ვანიაი ქალაქსა. მუნითაც ვლეთ. ორივ ადგილის სავალი ოცდა თერთმეტი მილი იყო. მოვედით ფინს ქალაქსა, რომელსა საომარს ქალაქს ეძახიან. მეტად მაგარი და დიდრონი ციხეები — ხუთი, ექვსი გამაგრებული. ორი ხეობა ქალაქის თავს შეიყრებოდა, მაგარი და კლდიანი, ორი ქალაქის ბოლოს. მრავალი კაი მონასტერი. რაც ქალაქები ჩამოგვევლო, ყველას ეს უმაგრეს და უკეთესი იყო და უფრო მჭიდროც იყო. ვლეთ და ჩამოვლეთ ნორი, მომცრო ქალაქი იყო. მრავალი მონასტერი და მცირედ მას ქვეით ლიმონილა ქალაქი და ქვეით დიდი ქალაქი საონა, სად აკეთებენ უმჯობეს ფარფურსა და ჩინურებსა. დიდსა გაშლილს ადგილზედ დიდი ქალაქი ჩნდა. და ზედ მობმით ქალაქი და ციხეები, ახლო ახლო, კაცისაგან დაუჯერებელი იყო. დანახვითაც საკვირველი იყო. რამდენიღაც მილი იყო, შემეშალა, მაგრამ მარჩილიდამ ჯენევიამდე თუ სწორად ივლი, სამასი მილია. ჩვენ პატარას კატარღით ნაპირ-ნაპირ მივდიოდით და უგძე მოხდა. ჯენევიას ველარ შევაწიეთ. ღამემ გვისწრო, ჯენევიას ზეიდამ ერთი სოფელი იყო, იქ დავდექით.

ით ივნისს დილაზე ჯენევიას ქალაქში შემოვედით. ჯენევია ზღვის პირია, გაშლილი, მოგვერდობა. ქალაქი კარგად ჩანს, მაგარი ადგილი და ნამეტნავად გამაგრებული, თავი ქალაქი. ზღუდე ექვსი ეჯია, მაგრამ სხვა დიდი ზღუდე შორს მოუხვევს. არსად მინახავს მის თანა შორს მოვლებული ზღუდე. კონსტანტინეპოლიც ექვსი ეჯია, მაგრამ ჯენოვიასთანა შენებულობა და მისის სახლებისთანა შვენიერი გარედამ არსად გვინახავს, რაც ვნახეთ მეფის სახლებს გარდა. დიაღ, შვენიერი სახლებია. ფრანციისის მხარეს დიდი ლიმენა აქვს და სამს ადგილს ზღვაში გალავანი გაუვლიათ ლიმენის უღელვაობისა თჳსცა. და სულ ზარბაზნები აწყვია სიმაგრისათვის და ფარნები უცხოდ მოყვანილი. მას დუკას ორს წლამდინ დასმენ, მერმე გამოსცვლიან. პოპლიკი ეწოდება ამ გამოცვლისათვის. დიდრონი თავადები სახლობენ. ხან ერთს დასმენ, ხან მეორესა. დიდი თემი დაშენებული და მდინარე სჭერია მის ბატონს. მრავალი კაი ქალაქია, მაგრამ, ეს ქალაქი სხვა ქალაქია. კონსტანტინეპოლი იმტოლია, მაგრამ ამის შენებულობა და სიმდიდრე, სამართალი და სიმშვიდე იქ არც ერთია, არც სიმაგრე. ჯენევიას ეკლე-

სიისა და მონასტრების საქმემ გამაცვიფრა. გარედამ ფრანციცის შენებულობა სჯობდა, მაგრამ შიგნიდამ ამის შენებულობა: და ან ქვები, ან სიმდიდრე, კანდელი თუ სასანთლეები, თუ ტრაპეზები გასაკვირვალი იყო! ვნახე: შავი მარმარილოს ფარდები გაეთალათ და თეთრი მარმარილოს თოკი, და შავი მარმარილო ვითომ ფარდასავით უკუკეცილი და თეთრს მარმარილოში წვერები გაყრილი იყო. ფოჩები ჩამოეშვა. თუ კაცი არ დაჰკვირდის, შავი ატლასის ფარდა ეგონის. ვნახე თეთრს კედელზე დაეხატათ. სანამდინ თვითონ არ მითხრეს, მარმარილოს გათლილი მთელი ხატები მეგონა. სხვა რამდენი უანგარიშო უცხოები: რამდენი უცხო კანდელი, ზოგი ყალიონის სახე, ზოგი არწივისა, ზოგი ანგელოსისა, ან სასანთლე. მათის ვერცხლის სიმძიმესა და სიმრავლეს გავკვირდი. საეპისკოპოსო ეკლესიაში ტრაპეზში სამი წმინდა მარხია. და ერთს სამწირველოში — იოვანე ნათლის მცემლის ნაცარი, იულიანე განდგომილმან რომ დაწვა ისი. მათის ბატონის ბეჭედი აჯდა. ნაწილი იყო. ვერ ვნახე, ვერც შევიტყე რა იყო, მაგრამ ის სამწირველო დიდად პატიოსნად იყო შემკობილი. მე ასე მეგონა, ასი ლიტრა ვერცხლი ნამეტნავი იყო. მარტო კანდლები და სასანთლეები იმ სამწირველოში სხვას გარდაის.

ერთს თიატინის მონასტერში მივედით. მრავალი უცხო ნაწილები და სიმდიდრეები ვნახეთ. მაგრამ ერთის წმიდის ზიარების შარავანდედი ვნახე: ოქროზედ მინანქრად ვაზი და ყურძენი გამოეყვანათ. ერთს სანახავად კმარ იყო!

ერთს სხვა მონასტერში ოთხის წმიდის საფლავი იყო და სხვა ნაწილი მრავალი უანგარიშო. დიდრონი და კაი ქსენონები, მრავალი ჭირნახულები შიგ. დიდრონი მონასტრები საკვირველად ნაშენები. ერთი დიდი თავადი მოვიდა ჩემს სანახავად. დიაღ, კაცთმოყვარეს გვანდა. ჭაბუკი კაცი იყო. ორჯელ მოვიდა. მან მითხრა: თუ გაირჯებიო, ერთს ღვთის საკვირველობასა გაჩვენებო. ის ქსენონიცა მის ხელთ იყო და ეს საკვირველი საქმეცა. ვინც დაიჯერებთ ეს ჩემის თვალით მინახავს, ვინც არა და თქვენ იცით. წამიყვანა, შავი ფარდა რომ დავსწერე იქ. ჯერ წირვა მომასმენინა, მერმე ტრაპეზთან ერთად დაფენილი ფანჯარა იყო. ის გააღეს. ერთს ბროლის კუბოში კარგა ოქროთ გაკეთებული იყო. შიგ ერთი ქალწული ენკრატისი ესვენა. სასნეულოს მოსამსახურე

ყოფილიყო. კატურინე რქმევოდა. ასის წლის მიცვალებული იყო. თერთმეტი წელიწადი იყო ნეტარი შექნილიყო. ჯერ წმიდა არ დაერქმევინათ. მრავალის სასწაულთმოქმედი. ისევ ახალს მიცვალებულს გვანდა. ცოტა ცხვირის წვერი დაეწვა. კარგა შემკული პატიოსნად.

მერმე შემიყვანეს, სნეულები დამატარეს. ერთს მაზმანური ჩოხა ეცვა. თავსაც ისევ მაზმანური თხის ბალანი ეხურა. ქალი საჭმელს უზიდავდა სნეულებს. სამჯერ მე ვნახე თვით. სავსე ხონჩა გამოიტანა სამზარეულოდამ. სნეულებს მიართვა. გამომაბრუნეს. ერთს სახლში დამსვეს. ის ქალი ჩემთან შემოიყვანეს. დაჯდა, მომიკითხა, მიალერსა. ოცდა ორი წლისა იყო ქალწული. და მრავალს ხვეწნიან ჩოხის ჩაცმას. მონასტერში დადეგო. შორს დაუჭირეს. მე ძნელს საქმეში როგორ შევიდეო. ქრისტეს აღთქმა დაუდვა, ვეღარა ვქნაო. რასაც შევძლებ, ასე ვემსახურები. იმისი ადვილი სამსახური ეს არის და მსოფლიური ცხოვრება. ასე სნეულებს მსახურებს. სულ მთლივ ფეხშიშველა, შიშველს ტანს მსხვილი მაზმანური, ქართველი ქვრივები რომ ჩაიცვემდნენ, ისე ჭრელი აცვია. თავსაც ის ხურავს, ერთი მსხვილი საბელი არტყია. ერთი ჯვარცმა გულზე ჰკიდია, ერთი კრიალოსანი. შვიდი წელიწადი ყოველ დღეს ეზიარებოდა. ამის მეტი არც წყალი, არც სასმელი, არც საჭმელი ამის პირში არა ჩასულა რა. ამით ზრდის ღთი. თვალტანათაც კაი იყო. ცოტა ფერი აკლია. ღონეც ასეთი აქვს, მახვათ მსახურებს. მრავალი უცხო სასწაული უქნია: ქრისტე და ყოვლად წმინდა მრავალჯერ უნახავს. ეშმაკი მრავალჯერ მტირალი გაუძია. ექვსი ეჯი ზღვაზე გაუვლია. აქ დიაღ გამოწულილვა იციან. მრავალს თავადსა და მოძღურებს უჩხრეკიათ: ეშმაკური არა იყოს რაო, ან ტყუილათ არ ირჯებოდესო. წმიდა პაპას დაუჭერინებია. რასაც ხანს სახლში შეუგდია, სხვა და სხვა მცველი დაუყენებია, სხვა და სხვა მოძღვარი დაუყენებია. შეუტყვიათ, რომ ეშმაკური და ტყუილი არა ყოფილა. დასტური დაუცემიათ. ერთი დომენიკის რიგისა მოხუცებული ენკრატისი თავს ადგას. ერთი ასეთი ხუცესი მოძღვარია. მისი პატიოსანი რომ წირვად იდგა, სულ ჩახჩახებდა. ჯდომასა და დგომაში არა უჩნდა რა. ასე თქვეს თორმეტი ქალწული ისეთები არიან ამის მოწაფენიო: რომ თორმეტივ საკვირველთ მოქ-

მედიაო. ორნი უცხო მემარხულენი ყოფილან, პაპა გასწყრომია — კვირაში ორი ჯერის ჭამა უბრძანებია. ერთისთვის უწყენია; თუ ორს ჯერს სჭამს, ავად გახდება სადმე. თუ მოუკლო, კარგათ არის სადმე, მაგრამ პაპის ბრძანებას ვერ გადავლენ. ეს ქალი რომ დავსწერე ზეით, ამასაც კატურნია ქვიან, ისევე ამ კატურნიასავით სნეულთ მსახურებს. ერთხელ მასუკან ჩემთან მოისმინა წირვა, ჩემთან ეზიარა მუსუ რიშარის ხელითა, მაგრამ უცხოდ მრავალი იტირა. დიაღ, შესუსტდა.

ავი ქარები იყო. ჯენევიას ხუთი დღე დავყავით. ორჯელ სამჯერ მიველ, ვნახე. ახლაც დაცვითა ჰყავთ ის დომენიკონი ენკრატისი და ის მოძღუარი თუ არა, მისს სადგომს ვერ ვინ შევა! მის დროს სნეულების სამსახურზედ და წირვაზედ გამოუშვებენ. თუ არა სულ დაკეტილს სახლში არის. მერმე მე მიველ იმ თავადის სახლში. დიაღ, პატიოსანი სასახლე ჰქონდა, კაი ცოლი ჰყვანდა, წინ მოგვეგება, დაგვსვეს, გვიალერსეს. მერმე სახლები დამათარეს. მრავალი უცხოები ვნახე: ხატები თუ ან ჯვარები, საკვირველები, სხვა და სხვა რიგად დაწნული ოქროს სკივრები, სხვა და სხვა რიგად გამოყვანილი მოჭრილი ვერცხლის სკივრები, უცხო თვლები, უცხო ჭურჭლები, ძოწის ხეები, დიდრონი შვლის რქის უფროსები. ზოგი ხეზედ შემოხვეული, ზოგი ქვაზედ ამოსული წითელი, ზოგი თეთრი, ზოგი ჭრელი. ძოწები უცხოდ დათლილი. ამარტისა და აქატის ცხოველები, ზოგი ასეთები, რომ ვნახე, რაც ფრანციცის მეფის სახლში მინახავს. შიგ სახლში ერთი მომცრო სამწირველო ჰქონდა უცხოდ, პატიოსნად შემკობილი. ჯენევის ფოლორცები ვიწროებია. ეტლები არ იხმარება. მოაბაებით დადიან. არც ბაზარში ქალები ისხდენ. რიდებაც ერქვათ ქალებისა. ფრანციაში მოსამსახურე და დამხდომი, მეღვინე, მზარეული, სულ ქალია, ბაზარში სრულებით ქალი ზის. დიდ ვაჭრის ცოლები სულ დუქანზე სხედან. დილალი, ამალი, გამსყიდველი ვაჭარი სულ ქალია. იტალიაში თუ არ სოფლის დედაკაცი, რომ ხილი და რიგინდა რა მიაქვს გასასყიდად, თუ არა ვაჭრად ქალი არ არის კბ თიბათვეს წავედით ჯენევიადამ. თორმეტი მილი ვიარეთ. სულობით ასე შენობა იყო გაბმით, სასახლე და წალკოტები, რომ ერთი ქალაქი ეგონებოდა, ჯენეუას ქალაქისა იყო ის სასახლეები და წალკოტები, რომ ხანდახან გავლენ, ილხენენ, უკუიყრიან. ამის

ბოლოს ორი სოფელი იყო. მერმე დიდი ამართული კლდეები, არც შენობა, არც ტყე, არაფერი არ იყო. ორიოდ კოშკი იდგა დიდს ადგილს, ასე კლდე მისდევდა. ამ კლდეში, შუა ადგილს ერთი მომცრო ხევი ჩამოვარდებოდა. იქ მიმართეს მენავეებმა. ერთი მომცრო ნავთსაყუდელი იყო, ერთი მომცრო ციხე იდგა, მცველები იდგენ. სადილად გავედით. კოშკის დაცილებით ზღვის პირს ერთი საუდაბნო იყო. კამარს ქვეშ შეისვლებოდა. უცხო ნაშენები იყო. შიგ ერთი ცივი ასეთი წყარო გამოდიოდა, წისქვილის რუს მეტი იყო. უცხო მარმარილოს სვეტები, სამალავები. ერთი კაი მონასტერი. მრავალი სახლები, ცოტა რამ წალკოტი, ნარინჯი, ლელვი, ხართუთა. კერპმსახურობაში ერთი ეპისკოპოსი ორის დიაკუნით იქ წასულან, განშორებულან, იქ მდგარან. კერპებს იქავ უწამებიათ. სამივე გვამი იქ, ტრაპეზში, ესვენა. ეპისკოპოსის სახელი წმიდა ფუნდუსუ და დიაკვანისა ერთს წმიდა იოლოდიო და მეორეს წმიდა ფგურიო, მაგრამ ერთი წოკოლანტი ბერი იდგა, სხვა არავინ. სამტერო ადგილი იყო. ამის ქვეით დიდს ადგილს კლდიანი. ზოგან ფიჭვნარი იყო. მაღლა წვერებზე ადგილ ადგილ კოშკები იდგა. სხვა არა იყო რა. ზღვის მხრისა და იქით ხომ მრავალი იქნებოდა, კლდის დასასრულზე ციხე იდგა მაგარი და კარგი, შენობაცა კაი. პორტუფენ ერქვა. ორს, სამს ადგილს მაგარი ციხე იყო დიდრონი. ამას ქვეით ერთს ადგილს ძოწის ზღვა იყო. იმ ცოტას ადგილში გამოდიოდის სოფლები, და ის ძოწის ზღვა, ჩვენ რომ ჯენევიას თავიდამ გვანახა, იმისი იყო. რა ჯენოვიას საზღვარი დაილია, მასას საზღვარია. მასა სხვა ფრენჭიფისაა. თეთრი მარმარილო ამის ალაგში გამოდის. ჩვენი გავლა გონებოდა, დახდომა უნდოდა. ქარი ჩვენი იყო. აღარ მოხდა. იმის საზღვარს ალიკორნის თემი აბია. ის დღე და ღამე სულ ვიარეთ.

ოცდასამს ივნისს ალიკორნას მოვედით. ჯენოუადამ ალიკორნა ასოცი მილია. ალიკორნა დიდი ქალაქი არ არის, მაგრამ კაი ქალაქია. ორმოცი ათასი სულია. რა ალიკორნას საზღვარში შევედით, დავაკება შეიქმნა, ოდიშის მსგავსი ადგილი. ტყიანი, ბრტყელი. შორს მაღალი მთები მოჩნდა. იქით, ტყის დაცილებით დიდი მინდორი მოჩნდა. ტყე სულ ზეთის ხე იყო. შენობა უფრო არა ჩნდა ტყეში. იყო თვარა არ ვიცი. ალიკორნა კრანდუკასია. ბერი კაცი, ერთი ვაჟი ჰყავს, ისიც უშვილო. ალიკორნას ქა-

ლაქში ურია მრავალია. ძალიც აქვსთ. იმისთვის, რომ კრანდუკს მრავალს აძლევენ. ლიმენა თავით თვისით არა არის. კაცთაგან გაკეთებულია. სამპირად ზარბაზანი ძეს. ორი ფანარი მაღალი ნავსაყუდელის კარს აქათ იქით. ქალაქის კარზე მარმარილოსი კრანდუკას სახეა და ოთხი ოსმალი ტყვეისა ხელ შეკრული, ჯაჭვებით დაბმული, ფეხის ქვეშ უყრია დაბორკილი. ოთხიოდ ქართველი მოქალაქე იყვნეს. ერთი ტერტერა, სამნი სხვანი. ერთი სომხის საყდარი მიქეს. ვერა ვნახე.

კდ ივნისს ალიკორნიდამ წამოველ. სხვა ქალაქები და გარშემო შენობები ჰქონდა. ალიკორნას არა ჰქონდა ზღვის პირი. გვერდობი — ტყიანი, აქა-იქ კოშკები იდგა. სხვა შენობა არსად ჩნდა დიდს ადგილას. მერე ისევ დავაკდა ზღვის პირი და ტყიანი შეიქნა და მიღმა მოდაბლო გვერდობა. და გვერდობაზე სადაც გორა და მაგარი ალაგი იყო, სოფლები იყო. გვანდა ზღვის პირი მეკობრეთაგან საშიში იყო და ვერავინ დასახლებულიყო. სიმაგრე არა ჰქონდა და სამხრის მხარეს ზღვის პირზე ახლო-ახლო, ზედა-ზედ კოშკები და ზარბაზნები, რომ მეკობრეთ შიშით ნავმა იქ თუ მიაწიოს, მეკობრე ველარ სდევს. ორმოცი მილი ვლეთ. ერთს კოშკში გავედით. მას ღამეს იქ ვიყავით.

ოცდა ხუთს ივნისს ვლეთ და ალიკორნის საზღვარიც გათავდა. ერთი ციხე იყო. ფომბორიოს ფრენჭიფისა და ამის პირის-პირ დიდი კუნძული იყო სამხრის მხარეს. ის კუნძული ნახევარი კრანდუკასი იყო და ნახევარი სპანიის მეფისა. ერთი ციხე გამოჩნდა მაღლობზე. ასე თქვეს, სპანიის მეფისა არისო. ორი ათასი ზარბაზანი ძეს სამპირად. დიაღ, დიდი კუნძული იყო. დიდროვანი მთები ჩნდა. ზოგან მოდაბლო, დამზღვლეული ადგილები. მრავალი შენობა ჩნდა. რკინის ლითონი იქ იყო. ალიკორნას მხარეს, ფომბინოს ციხეს ქვეით, ფომბინოს ქალაქი იყო. ერთი დიდი ყურე ხმელეთისა შემოვიდოდა ზღვაში და მასზედ ესახლა. სამგნით ზღვა ჰქონდა, ცალგნით ხმელეთი. მაგარი ციხეები. ის ფრენჭიფე მომკუდარიყო. ერთის ქალის მეტი არა დარჩომოდა რა. ის თემი მის ამარს დარჩომილიყო. იმას დაცილებით ზღვაში შორი-შორ გორა იყო ამოსული. ორივ ერთმანერთს გვანდნენ.ზედ კოშკები იდგა. ჩვენმა კაფიდანმა ქარის გულისათვის ჩვენი გზა გააგდო. ფომბინოს პირი უნდა ჩაევლო და ისე წარსულიყო. სამხრეთის

კუნძულისკენ წავიდა. ფორტო ლონგონე ერქვა. ერთი ციხე იყო სპანიის მეფისა. მაგარი და კარგი. იქ გავიდა სადილის საჭმელად. სპანიის კაცნი, დიაღ, ფრთხილობდენ. სანამ ორჯელ-სამჯერ კაცი ავიდა, ჩამოვიდა, წასვლის დრო გარდავიდა. იმ დღეს იქ დავრჩით. შუაღამისას წავედით. ის ღამე ვიარეთ. გათენდა. ვიარეთ. კაი ქარი იყო. იმავე მხარეს გავედით. ერთი ხმელეთის დიდი ყურე შემოსულიყო ზღვაში. ორმოცდა ათი მილი გვეცლო, რომ იმას დაუსისწორდით. დიდრონი და მაგარი ციხეები იდგა. ფორტე ერკოლე ერქვა, სპანიის მეფისა ყოფილიყო. აწ ამ შერიგებაზედ იფრადორს დარჩომოდა. იმ ციხეს ქვეით რომის საზღვარი ყოფილიყო, დავაკება და გაშლილი ადგილი. დიაღ, დიდროვანი ვაკე და ტყიანი ქვეყნები ჩნდა უკუწყვეტილი. შორს მაღალი მთები. შენობა მრავალი. მაგარს ადგილებში ორმოცი მილი სხვა ვლეთ. და კაი ქარი გვიქროდა. ერთი ქალაქი ჩამოვლეთ, კოსტანტუ ერქვა. კაი ქალაქი მოჩნდა. შუაღამე იყო. ჩივტავეთია ქალაქს მოვედით. ლიმონაში შევედით. გათენებამდი იქ ვიყავით. გათენდა. ქალაქში შევედით. მოგვეგებნენ, დაგვაყენეს. იმ ქალაქის ვაივადა მოვიდა, გვიალერსა, თავის სახლში გვაწვია. არ მიველ. იმ დღეს იქ ვიყავი. მოვისვენეთ. მუსუ რიშარ და სინორ დომინიკოს მელეთით რომ წავიდნენ. ვაივადამაც ფოსტი გაგზავნა. მე მეორეს დღესაც იქ დავდექი. ისინი რომს მივიდნენ. ჩვენ ადრე მიგველოდენ. იმ საღამოს ვახშამი ვჭამეთ და წავედით. ავი ქარი იყო. ვერ ვიარეთ. შუადღე გარდავიდა. რომის წყალზე ძლივ მივაწიეთ. ორმოცი მილი იყო. წყლის შესართავზე წმიდის პაპის ორი ეტლი დაგვიხვდა. ავი დროაო, წყლით ნუ წამოიყვანთო, ჰაერმა არ აწყინოსო. ივლისსა და აგვისტოში თუ იმ წყალში დაიძინა კაცმა, აწყენს. მისული ჩაგვსვეს ეტლში. ხუთი ეჯი იყო იქიდამ რომი. რომს წმიდა პაპს თავისი ძმისწული კარდინალი ალბან და თავისი ეტლი მოეგებებინა. ადრე რომ მიგველოდენ, ველარ მივედით. და ცოტა გვილოდინეს. თქვეს, რომ დღეს თურმე აღარ მოვაო. დაბრუნდნენ. ღამისა ორ ჟამამდე გამოვიდა. ძლივ რომის ქალაქში შევედით. წმიდის ლაზარეს მონასტერში დაგვაყენეს. რაც ფრანციცის მეფის რიგი და ულუფა და წყალობა გვქონდა, ნამეტნავი გაგვირიგეს.

ოცდა ცხრა თიბათვე იყო, რომ რომს შევედით. წმიდის პეტრეს

დღეობას რომაულის ანგარიშით თერთმეტი დღის წინ გაევლო. ოცდა ათს ივნისს ჩვენთვის მოვისმინეთ. კარდინალები უწინ არავისთან მიევლენ სანახავად, სანამდისინ სხვანი არ ნახავენ.

ერთს მკათათვეს ფრანციცის კარდინალი მოვიდა. კარამდინ არც გამიგება, არც გამიყოლა, ვითამ და ჩემს სანახავად არ მოსულაო. მიალერსა და წაბრძანდა. ორს მკათათვეს წმიდისა ბასილის ბერების პეტი მოვიდა და სხვა ეპისკოპოსები და წინამძღვრები ჩემს სანახავად. შეგვაჭირვეს. მრავალი მოვიდნენ და გვიალერსებდენ.

სამს მკათათვეს წმიდა პაპას ეტლი ებოძა. წადით, ჯერ უწინ ჩემი თავი ნახეო და მერმე მე მნახეო. წამიყვანეს წმიდის პეტრეს ეკლესიაში. მისავალზე შუკის თავს ერთი მომცრო მინდორია. ოთხ პირად მგრგვლად ორმოც-ორმოცი ქვის სვეტია ამართული. თვითო ექვს ადლს უმაღლეა, სამ კამარად შეკრული, მოსწორებული და ზეიდამ სულ წმიდათ სახეები ქვის, გათლილი დგანან. მინდორს შუა ერთი ოთხკუთხი ქვა. ყაბახს უმაღლეა, მთელი, და ზედ ჯვარი ამართული. შიგ ჯვარის ნაწილი ზის. ერთი დიდი წყარო შადრევნად იქით ამოუდის, ერთი აქეთ. და ორი წყარო მინდვრის ბოლოს გამოდის კარგა გაკეთებული. და აღსავალი ხარისხებით მაღალი. და ერთს ქვის სვეტზე წმიდა პეტრეა ქვისა გათლილი და კლიტე უჭირავს. მეორეზე წმიდა პავლე და ხრმალი უჭირავს. ეს დამრჩა. რომის წყალზე ხიდი ძევს. ხიდის თავს წმიდა პეტრე დგას და აქათ წმიდა პავლე მოციქული. და ხიდზე აქათ და იქით ათი ანგელოზი. ზოგს ჯვარი, ზოგს ეკლის გვირგვინი, ასე ათსავ ქრისტეს სავნებელები უჭირავთ. მერმე დიდი შუკა გაიარს და ეს მინდორი და სვეტები და წყაროებია. შუაზე ხიდიდამ მინდვრამდი სულ ბაზარი გაწყობილი. ხიდის თავს პაპის ციხე და ზედ თეთრი მარმარილოს ანგელოზი დგა. ხმალს ქარქაშში აგებს, რომ გრიგოლი დიოლოღოს უნახავს, ისე. ჟამი ყოფილა და განქარვებულა და მისი სახე თვითან აუმართავს. ავედით ხარისხზედ. როგორ ითქმის კაცის ენით მისი შენებულობის საქმე. ამას ოღონდ დაგიწერ. კარის ბჭეში ორი წყარო აქათ გამოდიოდა და ორი იქით. შევედით სასუფეველის მსგავსს ეკლესიაში. სამასი ბიჯი სიგრძე აქვს, ორასი ბიჯი განი. ბიჯი ორის ფეხის გადადგმას ჰქვიან, რომ ხუთი ტერფი გამოვიდეს. შუა დიდის გუმბათის სისწორ წმიდის

პეტრეს საფლავია. ჩაისვლება და უცხოდ შემკობილია. დღეღამე ვერცხლისა, ოქროსა დაფერილი უცხოდ გაკეთებული კანდელები ენთება, არა ზეიდამ დაკიდებული, ხის შტოებსავით, არამედ გარმოსხმული. დიდს საკურთხეველს უკან წმიდის პეტრეს სკამია, მაღლა, რომ ზედ პეტრე მოციქული მჯდარა. ოთხს ღვთის მეტყველს ხელთ უპყრიეს: გრიგოლი დიოლოღოს, წმიდა ამბროსის, წმიდა ჯერასიმეს და წმიდა აგვისტინეს. მარჯვენა მხარეს წმიდა სვიმონ მოციქულის და თადეოს მოციქულის საფლავია ტრაპეზში და მარჯვნივ წმიდა პეტრონილა მოწამე, პეტრე მოციქულის ასული ასაფლავია. მარცხნივ სხვა მოწამე. იმას ქვეით სხვა ტრაპეზში გრიგორი ღვთის მეტყველი ანძიოძორელი ასაფლავია მთელი და იმის პირდაპირ მარცხენას მხარეს გრიგოლი დიოლოღი. გრიგოლი ანძიოძორელს ქვეით სხვა სამწირველოა. იოვანე ოქროპირი ასაფლავია და უცხოდაც შემკულია მისი საფლავი: თუ კანკელი, თუ სამწირველო, ერთი იმისთანა იქ არ არის რა. იმის ქვემოთ სხვა სამწირველოა. კუთხეში ემბაზი დგა პორფირის ქვისა. მე გავზომე: თვრამეტი მტკაველი სიგრძე აქვს, თორმეტი — განი. მისი თავსაბურავი მთელია და ემბაზი ერთი ქვა არის, შეწყობილი არ არის. მარცხენა მხარეს ზეით ორი მოწამეა. იმ დღეს ამის მეტი ვერა დავსწერე რა. ღამე გვესწრა და წამოვედით.

ხუთს მკათათვეს წმიდა პაპასთან წამიყვანეს. საზაფხულო სახლებში იდგა. რომის შუა გულობას არის. წმიდის პეტრეს ეკლესია რომის თავს არის. უფრო მოდაბლო ადგილია. და პაპის საზაფხულო სასახლე მაღალი ადგილია. სასახლის ქება მრავალგან სწერია და თქვენც იცით, რომ პაპის სასახლე უარესი არავისზე იქნება. რაც სახლი შევიარე, სრული წითლის ქამხის ფარდაგები იყო, ოქრომკედის აშიებით ხშირად დაკერებული. და წინ რიგის რიგისად კარის კაცნი და დარბაისელნი დგანან და მერმე მღუდელნი და ეპისკოპოსნი. მაშინ კარდინალი არავინ იყო, ამისათვის რომ ხალვათ გვენახა, გამოჩვენებით არა გვენახა. შემიყუანეს. მომცრო სახლში იჯდა. ერთი კართან გვათაყვანეს, ერთი შუა სახლში და მერმე ფეხს გვაკოცნინეს. თავზე მომეხვია და, ჩოქებით ჯდომა წესია, არ დამაჩოქა, ფეხზე დამაყენა. მე დაბლა ბოლო ვდგებოდი. გვერდს ახლო მომიყვანა. მომიკითხა. მიალერსა. მე მოვახსენე: წმიდავ მამავ მეთქი, რა შენმა შვილმა,

მტკიცე ქრისტიანმა თჳსი საქმე შენზე მიაგდო, მაშინვე გულსავსე შევიქენ, ყველა გამირიგდება მეთქი. მაგრამ სიგვიანე ვახტანგ მეფეს არას არგებს. ავს ალაგს არის მეთქი. მიბრძანა: ჩემი სისხლი რომ მთხოვო, ვახტანგისა და შენის ქვეყნის სასარგებლოდ იმასაც დასაქცევლად მოგცემო. მადლი გარდავუხადე და მოვახსენე: მე ვხედავ, ვახტანგის მოუსვლელობით ქრისტიანობას დააკლდება ჩემს ქვეყანაშია და მოსვლით მართლმადიდებლობას მოემატება მეთქი. თვარა მე სხვა საქმე არა მაქვს რა. მოხუცებულს სიმეონსავით გეხვეწები: აწ განმიტევე მეთქი. გამიცინა და მიბრძანა: მე შენთვის ღმერთს ვეხვეწებიო, დიდი დღე მოგცესო, შენით მრავალი საქმე მინდა გავაკეთოო. წამოველ. საკრიპანტი, კარდინალი და პაპის ძმისწული კარდინალი ვნახე. სამს სახლს გარეთ გამომეგებნენ. საკრიპანტმა წინ დამისვა. იმ სხვამ გვერდს მომისვა. მიალერსეს. საკრიპანტი კიბის თავამდინ მიმყვა. ის სხვა ორს სახლს არ გამოსცილდა.

ექვს მკათათვეს წამიყვანეს. ერთი ყოვლად წმიდის საყდარია რომში, მაღალს გორაზე. რომში ერთი უშვილო დიდებული ყოფილა და სრულ ყოვლად წმიდას თურმე ეხვეწებოდა: ჩემი საქონელი ვის უნდა დარჩესო. მკათათჳს დამდეგს ჩვენება ნახა: სადაც ხვალ თოვლი იდვას, რაერთზედაცაო, იმდენზე ჩემი ეკლესია ააშენეო, შენი საქონელი მასზედ დახარჯეო. იმ ღამეს პაპასაც ასე ენახა და მის მოძღვარსაცა. გაიღვიძეს, ცოლ-ქმართ ერთმანეთს უთხრეს. ორთავ ისე ენახათ. მოძღვართან მივიდენ, უთხრეს. მასაც ისე ენახა. წმიდა პაპასთან მივიდენ. მოახსენეს. მასაც ესე ენახა. ეს ამბავიც მიუვიდათ: ამაღამ ამ გორაზე თოვლი მოსულა, ძესო: თვითონ პაპაც წავიდა. თორმეტი სათხრელი იმან იმუშავა. ყოვლად წმიდის ეკლესია აუშენებიათ. ქრისტეს აკვანი იქ არის. ბეთლემის ბაგა და ქვაბის ქვები იქ არის. წმიდა ჯერასიმე მთელი იქ არის. წმიდა პიოს პაპი მთელი იქ არის. ოთხი მოწამე ტრაპეზში მთელი სხვა არის. იქით, წმიდის ეკატერინე მოწამის ტრაპეზში, ორი წმიდა შიგ ასაფლავია და მრავალი ნაწილები. ორი დიდი პორფირის სვეტი ექვს-ექვსი ადლი იქნება, სისხო სამი ადლი შემოსწვდება. სხვა წინ ერთის მთელის მარმარილოს ქვის პირამიდი მინდორზე უდგას. ოცდა ხუთი ადლი მეტი მგონია, ზედ ყოვლად წმიდა დგას. ძირში დიდი წყარო შადრევნად

გამოდის. ეკლესიაში ოთხი პორფირის სვეტი. კაცი მხარს შემოსტევს. ოთხ-ოთხი ადლი სალხინებელს ტრაპეზთანა აქვს და კამარა შეკრული. ზედ წმიდების საფლავია. ოთხი პორფირის სვეტი ტრაპეზის მარცხნივ, იმავ ტოლი. ეგრევე კამარას ზევით წმიდები ასაფლავია და მარჯვნივ ოთხი პორფირის მსგავსი მარმარილოს სვეტები იყო, და ზედ წმიდათ საფლავები და იმასა და ტრაპეზს შუა ერთი ჭრელი ამარტის სვეტი იყო. სამი ადლი სიმაღლე ჰქონდა. ერთი ადლი სისხოზედ შესწვდებოდა. ზედ სასანთლე იყო, მაგრამ ის სვეტი ფას დაუდებელი იყო. სხვა რამდენი უცხო ქვები და უცხოთ მრავალი რიგი მარმარილოთ ნაშენი ან კედლები, ან იატაკი გასაკვირვალი იყო. სოფიოს კენჭითაც მრავალგან. ზოგი გარედამაც სოფიოთ დახატული იყო, მაგრამ ერთი დახატული ლაზარეს აღგინება იყო. ყოველ იმ თემის ხელოვანი მხატვარი ცდილობს, რომ მისი მსგავსი დახატოს. მაგრამ ვერავის დაუხატავს. ერთი მარმარილოს ქვა იყო. ოთხი ადლი სიმაღლე ჰქონდა და სამი განი, მთელი. ზედ ყოვლად წმიდის ამაღლება მოჭრილი, უცხო საკვირველად გათლილი იყო. ცოცხალს გვანდა. მრავალი საკვირველება ვნახე. იქა ცაში თუ გვერდებშიცა სულ ინდოეთს გაკეთებული იყო. ხათაბანდი ასე რიგი, რომ ჩვენ არ გვინახავს ამგვარი. წმიდის პეტრეს ეკლესიაშიც მრავალგან იყო. იქიდამ წამიყვანეს, კონსტანტინე მეფეს რომ პირველი ეკლესია აუშენებია, შევედით. სვეტები ოთხჯერ ექვსი იყო, ხუთ კამარად შეკრული. სვეტები მთელი არ იყო. ნაგები და სქელი სვეტები. სულ თეთრი მარმარილო სვეტებიცა და კედლებიცა. შუა კამარის სვეტებზე თვითო დიდი თეთრი მარმარილოს მოციქული გათლილი იდგა. ტრაპეზს წინ ოთხს ვეტზე აგრევ მაღლა პეტრეს და პავლეს თავი ესვენა. იქიდამ გამოგვიყვანეს. იმაზე ახლოს იყო პილატეს სახლის კიბე, რომ ზედ მაცხოვარს აევლო, სამს ადგილს ქრისტეს სისხლი დასხმოდა. ზედ ფანჯარა იყო, რომ მუხლი არავინ დაადგას. მუხლის თავით აგვიყვანეს. ფეხს ვერავინ დაადგამს. ოცდა რვა ხარისხია მარმარილოსი, მაგრამ მუხლს გაუცვეთია, იმდენი სული იარება ზედეთ. მაღლა წმიდა წმიდათა დგას. იქიდამ ახლოს იყო, სადაც კოსტანტინე მონათლულა. დიაღ, უცხოთ ნაგებია. ფერადი მარმარილოთი. რვა სვეტი შუაზე, მრგვალად პორფირისა, თვითო ოთხი ადლი მეტია. კამარა შეკრული. შუაზე

ემბაზი. ქვეშეთ ხუთფერი მარმარილო სირჩის ძირსავითა და ზედ ის ემბაზი, ყმაწვილების სისხლით რომ ავსება უთხრეს. მთელი პორფირის ქვა. სიგრძით კაცი გაიმართება, სიმაღლით წელამდი იქნება, განიც მისი შესაფერი. ორი პორფირის ქვის სვეტი ცალს მხარეს სხვა არის, ტრაპეზთან ამავ ტოლი. იქიდამ სხვა მონასტერი იყო. წმიდის ლაზარს ბერებისა. იქ წაგვიყვანეს. რომის ნაპირს არის. თეატროზე ახლოა, სადაც წმიდა ეგნატი აწამეს. იქ იოვანე და პავლე, ორნივ ძმანი მოწამენი. მათი სასახლე ყოფილა, იქავ ასაფლავიან და იდ შავი მოწამე რომ აწამეს, ისინიც იქ ასაფლავიან.

შვიდს ივლისს კაფუჩინების მონასტერში წაგვიყვანეს. წმიდა ფელიქსი, ახალი წმიდა, იქ ასაფლავია და იქიდამ იეზოვიტების მონასტერში მივედით. წმიდა ეგნატე, მათი თავი იქ ასაფლავია. და წმიდა ფრანცისკო ქსავერიოსის ხელი იქ არის, ინდოეთის მოციქულისა. ორივ უცხოდ შემკულია.

რვა ივლისს კარმელიტანების მონასტერში წაგვიყვანეს. იმ წელს აკლდამა ეპოვათ ძველთაგანი. წმიდა მოწამეთ მთელი გვამი ასსამოცი პაპას წაელო. სხვა ხელ უხლებელი და წმიდის ტურეზიას ფეხი იქ იმათ ჰქონდათ. ზედ ამაზედ ფრანციდამ ფოსტა მოვიდა. ყიზილბაშების ელჩი მარჩილიას მოვიდაო და მუსუ რიშარ გამოგზავნეთო და მაშინვე ამაზედ ის მიამა. ეს უფრო ააჩქარებს მეთქი.

9 ივლისს წმიდა პაპას მოვეკითხეთ. ხილი და მოსაკითხი ებოძა. წამიყვანეს, სადაც რომ წმიდა პეტრე ჯვარს აცვეს. რომის წყალს გაღმაა. რა ქალაქი დაილევა, მერმე ერთი პირაღმართი არის, ისე სერსერი მოსდევს, რომი სულ ჩანს იქიდამ. იქ ჯვარს აცვეს. ერთი მომცრო მონასტერი დგას. წოკოლანტები დგანან, მაგრამ ერთს ეკკლესიად ისიც ითქმის. წინ ვაკეზე ერთი დიდი წყარო შადრევნად ამოუდის და უკან ერთი წყაროა, იქვე გამოდის. ერთს პაპას აუშენებია, მაგრამ თითოსა და თითოს უცხოს ნაშენებს ისიც შეედარება. მაღლის ეკკლესიის სიმაღლეა. ცალპირი კედელი სულ თეთრის მარმარილოსი. განიც უნდა ოცდა ათი ადლი ჰქონდეს. მაგრამ რა ხელოვნებაები მოუყვანიათ, კაცს გულს ჭირი უკუეყრება. სამად შუაზე გამოდის წყარო. თვითო თვითოს საწისქვილოს უფროა. და ორი აქათ იქით ნაპირს მარმარილოს

ლომების პირიდამ, და ხუთივ წვლილს აუზებზედ გადმოდის. ის აუზები ანჩქრევს, და ძირს ერთი დიდი აუზია, სულ თეთრის მარმარილოსი, უცხო გვარად მოყვანილი, ღრმა და საცურავოდ ზომიერი, იმაში ჩამოდის და სად მიდის და სად არა აღარ ჩანს. წყალსა და წყაროს შეხედვით თვალის მოსხლეტა დაგზარდება. და უკუ მოიხედავ, რომი სულ ჩანს. ვინ იცის რამდენი რიგი უცხო სასახლე, რამდენი სხვა და სხვა რიგი მონასტერი, რამდენი სხვა-დასხვა რიგი სამრეკლო! მაგრამ რომისა ეს უფრო გამიკვირდა: აუარებელი წყაროები გამოდის ზედიზედ, შუკათა შინა, გინა სასახლებში ან საყდრებში, ან ბაზრებში. საკვირველია, და სადაც პირამიდია, წყარო ძირს სამი ოთხი არ გამოდიოდეს, არ არის. მაგრამ უცხოდ ეს მოუყვანიათ: არა წყარო ერთი მეორეს მსგავსად არ არის. ყველა სხვადასხვა რიგად, უცხო რიგ შადრევნებად არის მოყვანილი და სხვადასხვა რიგს აუზებში, სხვადასხვა რიგს ცხოველებში, სხვადასხვა რიგს თევზებში, სხვადასხვა რიგად კაცებში ამოდის. გამოდის, ჩამოდის ზოგან წვიმასავით, ზოგან მკლავის სისხოსავით, ზოგან სარკესავით უანგარიშო რიგებითა. ფარსაგი სახლი ძვირად არის არ გამოდიოდეს.

ათს მკათათვეს წავედით წმიდა ბრანოს მონასტერში. სადაც დეოკლეტიანეს სახლი ყოფილიყო, აწ ეკლესიად იყო, თურმე ისევ მაშინდელი ნაშენები. როგორც ყოფილა, ისე იყო. სიგრძე და განი სწორე ჰქონდა. ას ოთხმოცდა ათი ბიჯი იყო. ერთი ბიჯი ხუთი ტერფი უნდა იყოს, ისევ განი. სხვა საგრანკოტის ქვის სვეტი იყო ჭრელი, წვლილად დაწინწკლული, მთელი. თვითო ათი აღლი უმაღლე და ორი მხარი და ნახევარი სისხო. სხვას იმის მეტს იქაურს არას დაგიწერ. ერთი სხვა პატარა ეკლესია მაჩვენეს, ყოვლად წმიდის ლავიტონია. ხელოვნობით ის სხვებისაგან უფრო გამიკვირდა, მაგრამ ნაწილების საქმე გასაოცებელი. იმდენი რამ შეეყარა, იმ დეოკლიტიანეს სახლში ერთს ღღესა დეოკლიტიანეს ორმოცი ათასი მოწამე უწამებია. თვითამ სარკმლიდამ უმზერდა სადმე.

თერთმეტს მკათათვეს წმიდა პაპას მღუდელი ებოძა, მოვეკითხე და მოსაკითხავი და საჭმელები გამოეგზავნა. სადილის უკან წამიყვანეს. მონასტრები დამატარეს. მრავალი უცხო სანახავები. მაგრამ ერთი საკერპო ყოფილა: მრავალ ღმერთთ ტაძარს თურმე

უხმობენ, აწ ყოველთ წმიდათ ეკკლესიათ უკურთხებიათ. ისევ მაშინდელი ნაშენი, — როგორც ყოფილა, მგრგვალია, მოვარაყებულია, სამოცდა ერთი ბიჯია. სიგრძე და განი ერთი. ბანი ზეიდამ აქვს. მრგვლად შეკრულია. დიაღ, მაღალი და დიდი. მის მეტი სასინათლო არა აქვს და, დიაღ, ნათელია ერთი კამარა მგრგვალი. ოცდა რვა ყვითლის მარმარილოს სვეტი აქვს. თვითო რვა ადლი იქნება, მთელი შეუწყობელი. სისხო ორი მხარი. თორმეტი პორფირის სვეტი აქვს. თვითო ოთხი ადლი იქნება. სისხო ოთხ-ოთხი მტკაველი. რვა ყვითლის მარმარილოს სვეტი აქვს იმავ პორფირის სვეტების ტოლი. რომ პორფირის ქვა აღარ ჰქონიათ, ის უქნიათ. იატაკში მრავალგან დიდრონი პორფირის ფიქლები ათი მტკაველი მეტი, ნაკლები სხვარიგად. სრულ ფერადის მარმარილოთ ნაშენი. მის კარის ბჭე ორმოცდახუთი ბიჯია. ოთხკუთხი თექვსმეტი სვეტი აქვს ქვისა მთელი. თვითო შვიდი ადლი იქნება. სისხო ორი მხარი. მისის კარის ამყოლები ორი ქვა თორმეტი წყრთა სიმაღლე უფრო მგონია ჰქონდეს. მაგრამ ეს უცხო იყო. ოთხივ ქვა ერთი მთელი იყო. გასინჯეთ, წინ ცოტა რამ, მინდორი აქვს შუაზე. ერთი წყარო გამოუდის. მარმარილოს აუზი აქვს. შუა მარმარილოს ოთხი ვეშაპი. შადრევანი რვად ამოდის. შუაზე ერთი მომცრო პირამიდი. დიაღ, უცხო გაკეთებული, ექვსიოდ ადლი იქნებოდა.

თორმეტს მკათათვეს წავედით. დომინიკანთ ჯერენალი მოვიდა ჩვენს სანახავად. მის სანახავად მისი მონასტერი ვნახეთ. ასიოდ მამანი იდგნენ. მაგრამ მონასტერი დიდი. მასი ეკკლესიაც საკერპო ყოფილიყო. ამისი სვეტები მთელი არ იყო. ნაგები იყო, მაგრამ მრავალი უცხო ხატები და შენებულობა იყო. ან რკინის უცხო ფანჯრები. აქ ქვის უცხო გათლილობაები, რომ პაპების საჯდომლაო იქ იყო და დიაღ, დიდი იყო. ერთი ქალწული ენკრატისი წმიდა კატურინა იქ ესვენა. მათის რიგისა. ქრისტე გამოსჩენოდა, და, როგორც წმიდა ფრანჩისკოსათვის ხუთი წყლულობა ებოძა, ისევ ამისთვის. ისევ მთელი, მძინარს გავს. წინ ცოტა მინდორი ჰქონდა. კაი წყაროები გამოდიოდა აუზში შადრევნულად. წყაროს შუაზე ერთი სპილო იყო ქვისა, გათლილი. და სპილოზედ მომცრო პირამიდი. ექვსიოდ ადლი იქნებოდა. ერთს კარდინალს ერთი საწიგნო სახლი აეშენებინა, დიდი და პატიოსანი. და კედ-

ლის ძირის ძირიდამ მაღლა თავამდი ოთხგნითვე წიგნი ეწყო, უანგარიშო და მრავალი, რომ ვინც მაგისთანა კაცი იყოს, წიგნის სყიდვა არ შეეძლოს, იქ მივიდეს და, რაც წიგნი უნდა იკითხოს, მიართმიდენ, რასაც ხანს იკითხებდა, და გარეთ ვერ გაიტანდა. სამადლოდ ასე გაერიგებინათ. წმიდის პეტრეს ჯვარცმის ადგილის სანახავად რომ ვიყავით, გზაზე კედელში ერთი ყოვლად-წმიდის ხატი იყო დახატული. მრავალს სულ ეჩოქათ, ილოცევდენ. ჩამოვიარეთ, უმრავლესი მოდიოდა. იქ ვერა შევიტყევით რა. მოვედით სადგომს. მეორეს დღეს გვიბრძანეს: ჩვენ რომ მოვედით, იმ დღეს ერთი ათის წლის უსინათლო დედაკაცისათვის თვალი აეხილა და მეორე დღეს ერთი ეშმაკეული გაეკურნა. პირით რკინის კავი წამოეგდო და მორჩომილიყო. მრავალს ენახა თვალითა, ეს ორივე ზედი ზედა.

ცამეტს მკათათვეს წავედით წმიდის ფრანცისკოს პავლინოსის მონასტერში. ორმოცდა ოთხი მონაზონი იდგა. მონასტერი მაღალს ადგილს, მაგრამ უცხო რამ შენებულობა იყო. მრავალი კაი და პატიოსანი ნაწილი და დიდი სიმდიდრე ეკლესიის სამკაულთა. ერთს ადგილს, შორიდან დაგვანახვეს: წმიდა ფრანჩისკოს ეჩოქნა და ილოცევდა. ახლო მივედით: ზღვა იყო დახატული. წმიდა ფრანჩისკო აღარსად იყო. მეორეს ადგილს შევხედეთ: იოვანე მახარებელი სწერდა: არწივი წინ უჯდა. ახლო მივედით: ერთი წალკოტი იყო ხევნარი დახატული. მრავალი უცხო საქმეები იყო იქა. კაის ადგილს კაი წყაროები დიოდა სულ შადრევნად. განაპირებით იყო. კაი წალკოტები ჰქონდა. ამ დღეს მიამბეს: იტალია ქალაქს ერთი კაფუჩინის ენკრატისია ცოცხალიო. ასე წმიდა, რომ ქრისტე გამოცხადებია: ხუთი თავისი წყლულება მიუცემია. ორი ხელს, ორი ფეხს და ძუძუსთან, როგორც წმიდა ფრანცისკო და წმიდა ეკატერინა დომენიკონსა. მართლა ეს ანბავი სწორეა. იმ ქალს ვერონიკა ჰქვიან.

თხუთმეტს მკათათვეს წამიყუანეს ბურგონია ფრენჭიფის წალკოტში. თვითონაც რომში სახლობს. დიდი ფრენჭიფეა. ეს წალკოტი რომის გალავანს აბია. ერთი ფოლორცი შუა ჩაივლის. შევედით კარსა. წალკოტები როგორც ფარიზისა დავსწერე, ესეც მისთანა იყო, მაგრამ ფარიზში ჭანდარი არ მინახავს. აქ რამდენიღაც იდგა: შესავალს კარზე. კედლის ძირს, კედელზე აკ-

რული, რომ კედელი სულ მწვანედ ჩანდა. უფროსი ერთი ნარინჯი, თურინჯი და ლიმონი იყო. დიდი ხეივანი გავიარეთ. ერთი კლდე იყო. ის კლდე დევად გაეთალათ, პირაღრენილი. თმა, წვერულვაში სპონდიოს ქვისა გამოესახათ, კბილები თეთრის ქვისა და პირში დიდი შადრევნად წყარო ამოსდიოდა. აქეთ იქით სხვა წყაროები სხვას ცხოელის პირით გამოსდიოდა. ვიარეთ ხევნებში. მრავალგან სპონდია ქვები გაეკეთებინათ, სულ შადრევნათ წყარო ამოდიოდა. მერმე დიდი ტბა იყო, კარგა გაკეთებული. შიგ იხვი და ფრინველი ისხდა. სამგან შიგ ხმელეთი, კაცის სასხდომელები კარგ გვარად და გარემო კარგი, მუხნარი, რიგით მდგარი. და ირმები თეთრი და მართალი. ირემი ხბოიანები მრავალი, მაგრამ მოწლო ირმები იყო. წამოგვიყვანეს სხვა მხარეს, სულ დაფნი და ბზა იდგა. შუა წვლილი გზები. ხეები კედლებსავით დათლილი. კაცს მზე არ მიადგებოდა. შუა და შუა მრავალი უცხო შადრევანი. აგვიყვანეს. ერთი სასახლე იყო. მართალს გეტყვი, გარედან მისი მსგავსი სასახლე არ მინახავს. უცხო გათლილი მარმარილოები, საცა ძველთაგან ქვა რომში ეპოვნათ, ეშოვნათ. მრავალი კერპის სახე დატანებული. ერთს ადგილს ერთის მთელის ქვისა იყო მთელი ცხენი და კაცი. ცხენი წაქცეოდა და კაცი გადავარდნას ლამობდა. მაგრამ მრავალი უცხო სხვა იყო. მრავალი კერპი, ძველი კრონოს, მისი ამხანაგები: ზოგი მარმარილოსი, ზოგი შავი ქვისა, ზოგი პორფირის. კერპის ღმერთები, ძველი კეისრები მთელი. იმათ ჟამში გაკეთებული, მრავალგვარი უცხოები. თექვსმეტი პორფირის სვეტი იყო ისე აყუდებული. ზედ კერპები ამართული, უცხოდ ნაქმარები. სვეტები მთელი. ზოგი სამი ადლი, ზოგი ნაკლები. მეტი არ იყო. სხვა უცხო და უცხო მარმარილოს სვეტები. ორი ტაბლა პორფირის ქვისა. სიგრძე ორი ადლი, განი ერთი ადლი, ორი ტაბლა შავი ქვა. ოქროსა და ვერცხლისა. ოქროსა და ვერცხლს გამოსცდიან. სარკესავით ელევდა. პარაგონე ქვიან. პორფირის ქვისაგან უნამეტნავესი იყო. ორი ტაბლა, თვალები შეწყობილი ყვავილად. იამანი, ამარტი, ძოწი ეშმი, ლაჟვარდი და მისთანები, დახატული ეგონა კაცს. ერთი მგელი პორფირის ქვისა, გათლილი, ორს ყმაწვილს ძუძუს აწოებდა. რომის ქალაქი იმათ აუშენებიათ. ამგვარები მრავალი რამ უცხო იყო. ზოგი იმ პარაგონის შავის ქვისა კაცები, კერპები იყო. თეთრი იამანის პერანგი

ეცვა, მთელი გათლილი პერანგსავით. ზოგი ჭრელი, მარმარილოს სარტყელი ევლო. ერთი — იმ შავის ქვის ოსტატი. გაეთალათ ჭრელი მარმარილოს აუზი და აუზში შავი პორფირის ქვა გაეწყოთ, სისხლით სავსის მსგავსად, და შიგ ის შავი ოსტატი იდგა, ვითამც თავის სისხლში ირჩობოდა. სხვა კერპი იყო, ერთის მარმარილოს ქვა, უცხოთ რამ გათლილი. ერთის ქვაზე ერთი ქალი გაქცეული კერპის ღმერთი და კაცი მოსწეოდა, დაეჭირა და ის ქალი დაფნის ხედ გარდაქცეულიყო. ენით არ ითქმის საკვირველება, ძველთაგან სახმარები, სხვარიგად უცხო მორთულობა. უცხო ნარინჯის წალკოტები, უცხო ნაზარდი ალვის ხეები, უცხოდ ნაზარდი დაფნები, ჯერნები მრავალი, მათი ნუკრები. სხვადასხვა რიგი კამარები საჭმელითა და სალხინო ადგილებით, და წამოვედით. რაც სანახავები ვნახევით, ვით აღიწერება, მაგრამ რასაც შევიძლებ უცხოებს, ვეცდები დავწერო. დაიჯერეთ, რომი ასეთია. ას წელს სულ იაროს კაცმა, მის საკვირველობას ვერც გაუვიდეს, ვერც დაასრულოს. მაგრამ მე რასაც შევიძლებ, ჩემს ნახულს მართალს დავწერ. ეგება გეგონოსთ ქებისათვის ნამეტნავი დავწერო. უსაცილოდ დაიჯერეთ, რასაც ვწერ, ნაკლებია და მასაც თავს გაუსვლელსა და შეუძლებელსა. დაიჯერეთ, ნახევარს მაშინც ვერ მივსწვდები, რომ ვერ შევიძელ დასწავლა და დაწერა, ნახევარი უფრო დამრჩა.

თექვსმეტს მკათათვეს წავედით წმიდის დომენიკოს სხვას მონასტერის სანახავად. მონასტრისა რა დაგიწერო, ოცდაორი მარმარილოს მთელი სვეტი იყო ეკკლესიაში. თვითო ექვსი ადლი მგონია. თვითო მთელი ქვა და ორი პორფირის ქვისა სვეტი სხვა, სამ-სამი ადლი მგონია. საფლავების ქვა პორფირისა. და ეს იყოს, რას ვაგრძელებ? რომის შენობა ამ წიგნში არ დავა! იქ ვნახე წმიდა პაპის ალექსანდრე მოწამის საფლავი, მასთანვე მღუდელ-მოწამე წმიდა ეგნატიოს და წმიდა სეუდულო და საბიანე ქალწულ-მოწამისა და სერაფია ქალწულ-მოწამის საფლავები, მთელი გვამები. და წმიდის დომენიკოს დარგული ნარინჯები ისევ იდგა, ესხა. მისი ნაღვაწი ადგილები ვნახეთ. იქიდამ იმასვე აკრავს ალექსი კაცი ღვთის მამის სასახლე. მონასტრად არის. წმიდის ჯერასიმეს მამანი დგანან იმაში. წმიდის ალექსის მთელი გვამი ტრაპეზშია და მასთანვე წმიდის ვონიფანტე მოწამის გვამი

მთელი. იმას იქით, სადაც ყოვლად წმიდა გამოეცხადა წმიდა ალექსის, ის ისე გამოყუანილი. და ქვეით ბოლოს იმ სახლის კიბე, რომელსაც ქვეშ წმიდა ალექსი იწვა. იმ კაბის ნატეხი ათიოდ ფიცარი კიდევ იყო. ორს ანგელოზს ეჭირა, მარმარილო გათლილი.

ჩვიდმეტ მკათათვეს — პაპამ ერთს ნემსის ფრენჭიფეს შვილს კარდინალს შაფხა დახურა. იქ წამიყუანეს. ეს კარდინალი ამ თხუთმეტს მკათათვეს შემოსულიყო. მე იმ ბურგონიოს წალკოტში ვიყავ. დიდის დიდებით შემოსულიყო. ორასი ეტლი უფრო შემოყოლოდა. ზოგი წინ მიმგებებელი, ზოგი თანმოყოლილი. მე ვერ ვნახე. და იმ შაფხის დახურვაზე წამიყვანეს. ეპისკოპოსი იყო. სხვა კურთხევა აღარ იქნებოდა. მივედით პაპის სასახლეში. დიალ მრავალი ჯარი მისულიყო. გზა გაჭირდა. ერთი კარდინალი მივიდოდა. ჩვენ ვერ ვიცნობდით. იმან გვკითხა, გვიცნა. თან წამიყვანა. ტკბილად მომეპყრა. შემიყუანა პაპის დიდს სახლში. მაღლა პაპის საჯდომი საყდარი დაედგათ. ხუთს ხარისხს ტახტზე წითლის მძიმე ხარით შემოსული და უცხო ფარდაგები დაეკიდათ. და ქვეითს ხარისხზე, მიღმა მოშორვებით, ორგნითვე კარდინალების სკამები გაეკეთებინათ. შუა რვა. აქათ იქით კარგის ფარდაგებით გარდაფენილი იყო. შემიყუანა. ოთხიოდ კარდინალი იჯდა, და ჩემი მცნობი კარდინალი საკრიპანტი. მესალმენ კარდინალები. უკან ზემო თავს დამაყენეს, დაიწყეს კარდინალებმა შემოდენა. რიგის რიგისად შემოვიდნენ. პირველ პაპის ტახტს თავი მოუდრეკიან. მერმე აქათ და იქით კარდინალებსა და თავთავის ადგილს დასხდიან. თვითო ისფერი მაზარა ესხათ, რომ ადგილზე ხუთს ადლს მეტს მიათრევდენ. ის მისი ბოლო მოსამსახურეს ეჭირათ. მოსამსახურეთაც ისფერი ეცვათ სულ ყველასა, განიერი სამოსლები ანაფორასავით. და თავთავეთს კარდინალს წინ დაუსხდენ ფეხთან. სკამები იყო მათთვისაც. რა კარდინალები შემოვიდენ, ოცდათექვსმეტი იყუნენ და დასხდნენ. პაპის გამოსვლის დრო შეიქნა. დაიწყეს დიდებულთ გამოდენა. მერმე პაპის შინა კაცნი თორმეტიოდ, ისფრით შემოსილნი. ფართო სამოსლები ეცვათ. მხარზე წითელი სამხრეები. ისინი გამოვიდენ, მერმე ჯვარის მტვირთველს ჯვარი ეჭირა. მასუკან დაიწყეს ეპისკოპოსებმა გამოდენა და პაპის ტახტს აქეთ იქით დადგენ ჩამომწკრივებით. ზოგი ჩვენს უკანამდი მოვი-

და და ის ისფრიანი მოსამსახურენი წინ პაპის ტახტს დაუდგენ. მერმე წმიდა პაპა გამოვიდა შემოსილი. წითელი ნაკერი ფილონი ესხა და ყვითელი სტავრის მიტრა ეხურა. გვირგვინი არ ეხურა. ორს კარდინალს აქათ იქით მისი შესამოსი ეჭირათ. აღიყუანეს მაღლა, დასვეს და კარდინალები ერთი აქათ მიუჯდა დაბალს სკამზე, ერთი იქით. ერთმა იმ წინა მოსამსახურეთაგანმა თაყუანი სცა და გამობრუნდა. ცარდინალს ანიშნა, ადგა უფროსი კარდინალი, აქ დაბლა რომ თავს იჯდა, დეკანოზს ეძახიან, მიათრევდა იმ გრძელს მაზარას, პაპას თაყუანი სცა და ხელს აკოცა. ჩამობრუნდა და დაჯდა ისევ რიგზე. ყოველი კარდინალი თვითო თვითო მივიდა და ხელს აკოცეს და გამობრუნდნენ, დასხდნენ. მერმე იმ წინა მოსამსახურეთ ყველამ მუხლი მოუდრიკა და ერთმა წიგნის მაღლის ხმით ავაჯით კითხვა დაიწყო, იმ ახლოს კარდინალისათჳს, ვინ იყო, ვისი შვილი და ქება მისი. და პაპის დივტილა თქვა. ეს რომ გაათავა, ისევ ყველამ მუხლი მოუდრიკეს და გვერდს რომ ორი კარდინალი უჯდა, ისინი ადგნენ, ჩამოვიდნენ ტახტიდამ. გაბრუნდნენ, პაპას თაყუანისცეს. გამობრუნდნენ. კარდინალებს აქათ იქით თაყუანისცეს. ის პაპის მოსამსახურენი წინ გაუძღვენ. ახლის კარდინალის შემოსაყუანად გავიდენ. შემოუძღვნენ შუა. ახალი კარდინალი მოვიდოდა. მაღალი კარგი სანახავი კაციც იყო და აქათ იქით სხვა ორი კარდინალები მოსდევდენ. კარდინალები სულ სკამებზე ისხდენ, იმან აქათ იქით თაყუანი სცა. ის ორივ კარდინალები წინ წავიდნენ. იქავ ავიდენ, პაპას თავი მოუდრიკეს. თავის ადგილს დასხდენ. ეს კარდინალი წააყენეს. პაპას მდაბლა თავი მოუდრიკა. მერმე ტახტის პირს უფრო დიდად თავი მოუდრიკა. მერმე ტახტზე ავიდა, მუხლი მოუდრიკა და ფეხზე აკოცა. ადგა, მერმე ხელს აკოცა. მერმე ორთავ ერთმანეთს ამბორს უყვეს. მერმე კურთხევანი მოართვეს, წმიდა პაპას და კარდინალს, თავის მაზარის კუნკულები აქვთ განიერი, ის დახურეს. პაპის წინ დიდხან პირდამხობით იყო. აღემართა, კურთხევანი წაუკითხა. მოიტანეს ერთი წითელი შაფხა, დახურა პაპამ. გამობრუნდა. ჩამოუარა რაც კარდინალი იყო, ყველასთან მოვიდა. ესენი ადგენ. თვითო თვითომ ამბორს უყვეს და მოულოცეს. გარშემო სულ ასე შემოუარა. და ის ორი კარდინალი თანდასდევდენ და იმათაც კარდინალებს ამბორს უყვეს. მერმე პაპას წინ ჯვარი მიასვენეს.

ადგა, თაყუანი სცა. დაჯდა. მერმე წამოდგა. კარდინალებმა თავი მოუდრიკეს. სხვათ სულ დაიჩოქეს. პაპამ ჯვარი დასწერა ყველგნით და იმავ რიგით წაუძღვნენ, როგორც გამოიყუანეს. მე წამიყვანეს პაპის კარის ეკლესიაში. მრავალი ჯარიც იყო. შემიყვანეს, ზემო დამსვეს. დაღალულიც ვიყავ დიდხანს დგომითა. ცოტა ხანი გამოვიდა. გალობის ხმა მოვიდა. ოციოდ მგალობელი შემოვიდენ. კარდინალები სულ რიგით თან შემოჰყვნენ. პაპის ტახტს მოცილებით ისევ გაღმა-გამოღმა დასხდენ, როგორც იქ ისხდენ. მერმე ის ახალი კარდინალი შემოიყუანეს. კარდინალებს თაყვანისცა. მიიყუანეს ტრაპეზს წინ. პირქვე დაამხვეს. დიდ ხან ისე იყო. მერმე ადგა უფროსი კარდინალი, დეკანოზს რომ უძახდენ, და საკურთხეველში შევიდა. კურთხევანი წაუკითხა. გამობრუნდა. დაჯდა. ადგა ახალი კარდინალი, გამობრუნდა, ყველას თაყუანი სცა და წამოვიდა. მერმე თავის რიგით ყველანი წამოვიდენ.

ით მკათათვეს წავედით ერთის ეკლესიის სანახავად, სადაც იყო ქრისტე რომ სვეტზე დააბეს და სცემდეს. ეკლესია კაი და მშვენიერი და სოფიოთ დახატული. სხვა რათღა დაგიწერო. იქ ვნახეთ ქრისტეს სვეტი, რაზედაც დაებათ. ჭრელი მარმარილო მომწვანო-მოშაო. ორი ადლი ვერ იქნებოდა. სხვა იყო სამი ეკალი ეკლის გვირგვინისა და ერთი თითი ნათლის მცემელისა. სხვა წვრილმანი რაღათ გიწერო. ის სახლი იყო წმიდის ეპრაქსიას მამისა. და წმიდა ეპრაქსიას ნაწილი უმრავლესი იქ იყო. და მისის ძმისა, ისიც წმიდა. სხვა ადგილს წმიდა ზენონ და ვალენტინე მოწამე. ლუსკუმა. მათი ნაწილი მთელი. ქრისტეს სვეტის ძი/რს — წმიდა პასკალო. პაპის საფლავში ჩაგვიყუანეს ქუეშეთ. სამარტვილეში ორიათას სამას მოწამის მთელი გვამი იყო. იქიდამ წაგვიყვანეს ერთ საყდარში. ევსიბი იქ ესაფლავა. კარი ვერ გავაღებინეთ. წამოვედით. სხვაგან წამიყვანეს. ერთი პატარა ეკლესია იყო, შვენიერად აგებული. ტრაპეზში წმიდა ბიბიან ქალწულ-მოწამე და მისი და — წმიდა დემეტრია და დედა მათი წმიდა პრახა ემარხა ერთს ალბასტრის ლუსკუმში. ათი ათას და ერთი მოწამეთ ნაწილი სულ იმაში იდგა. ერთი ხუცესი იდგა. ის ემსახურებოდა, მაგრამ ეკლესიის კარი სულ ღია იყო მლოცავის მიდენითა. შვენიერად აშენებული იყო, მაგრამ პატარა. იმას იქით ერთი საკერპო გვაჩვენეს, უცხო, მაღალი და დიდი. ათი კამარა

ჰქონდა გარშემო. ყველაში კერპები ყოფილიყო. უცხო რამ ნაშენი იყო, დიდი.

კ მკათათვეს წავედით კარდინალის სანახავად. დიაღ ტკბილად და მოწლედ მოგვეპყრა. ალერსს უკან თავისი სახლები დამატარა. უწინ საწიგნე მაჩვენა. მრავალი უცხოდაუცხო წიგნები სასულიერო, თუ სახორციელო, მერმე სხვა საფილოსოფოსო. საწიგნეში შემიყუანა. პლატონ, არისტოტელი და მათი ამხანაგები დახატული. რასაც სახისა ყოფილან, და მათი წიგნები. ოთხიზუთი ამისთანა სახლი წიგნისა სავსე მაჩვენა. წამიყუანა მაღლა, სხუა სახლები მაჩვენა, მაგრამ რა ენა იტყვის! ერთს სახლში სულ ფარფურის უცხო ჭურჭლები და უცხო სახეები: ზოგი წმიდათა, ზოგი უწმიდურთა, ერთს სახლში სულ ჩინური. ჩინეთის მეფე რას სახისაა. მათი კაცნი და ქალნი როგორ მოირთვიან. მათი ქვეყნის ცხოველები, სულ ჩინურისა მთელი. სხვა სახლი — მათი მხატვრობა როგორი რიგია და რას ოსტატობისა. სხვა სახლში სულ მარმარილოს სახეები, დათლილი. ზოგი წმიდათა, ზოგი მსოფლიო. სხვა სახლში ქრისტეს საქმეები. სულ ყველა ვერ გავსინჯე. მარტო შობას დავეცქირე. თვითან კარდინალი დამდევდა. თქვენც მოგეხსენებათ დიდს კაცს მოკრძალება უნდა, მაგრამ კარდინალის სიდიდე არ გინახავთ და რით შეიტყობთ. იმ შობაში იყო, სულ მრთელი ცოცხალსავით. მარიამ სად ძე მიაწვინა ბაგაში, და ზროხები: ზოგი ხბოიანი, ზოგი სხვარიგი. მაღლა ანგელოსნი მფრინავნი. დიდება მაღალი დაწერილი ეჭირათ. იოსები მწყემსთ როგორ ელაპარაკებოდა, ან ანგელოსნი მწყემსთ როგორ ეტყოდეს. მწყემსნი ზოგი ცხვარს სწველვიდა, ზოგი უვლიდა, ზოგი ქრისტეს შობისკენ მირბოდენ. კრავი მიყვანდათ შესაწირავად. როგორ დაიწერება. სხვაგან მოგვთ-მოსვლა. იმავე ერთს მხარეს, როგორ მოვიდენ. ეროდე როგორ ნახეს, მწიგნობარნი რომ შეყარნა. როგორ წამოვიდნენ და თაყუანი სცეს. სულ ცოცხალსავით იყო. და რამდენი უცხო. თვითოსა და თვითოსა უცხოს აიღის, მაჩვენის. ერთი ჯვარცმის ხატი მაჩვენა, ორი მტკაველი თუ იყო. ზედ ჯვარცმა და, აქ კარგა გასინჯე, რაც ჯვარი იმაზე დაეტეოდა, ქრისტეს გვამს გარდა, ჯვარზე, არა თუ ადგილზე, შავშავად რაღაც აჩნდა. ერთი სათვალე მოიტანა. ჩავხედეთ. მართლა სწორე დაწერილი იყო. მე ხომ სხვას ასოს

მეტს რას ვიცნობდი. სამის თავისა სახარებისა, რაც პასექიდამ ამაღლებამდე სწერია, სულ ეწერა. თუ არა, ამისი მოწამე თანა მაქვს. დიაღ, რომ მომეწონა და გამიკვირდა, ერთი იმისთანა პატარა ხატი მიბოძა. სოლომონის ქება ქებათა სწერია. ეს ნახეთ და იმასაც შეიტყობთ და დაიჯერებთ, რამდენი უანგარიშო სხვა გვიჩვენა. სხვას სახლში რაცა უცხო ფრინველი. უფროსი ერთი ცოცხლის მსგავსი. თავისის ფრთით, ბურტყლით. სანამდის ხელს არ ახლებდი, ვერ შეიტყვი, ცოცხალი არ არისო. ერთი სკივრი თავის ხელით გამოიღო და მაჩვენა. აქატი, იამანები და ეშმი. და ამგვარი თვალები დათლილი. მთელი ქლიავი, სხალი, ვაშლი, კომში და მისთანები გარეშემო ეკრა. არ დაიჯერებდი, მართალი ხილი არ ასხიაო. მაგრამ არც სანთლისა იყო, არც შაქრისა, არც ძვლისა, არც გაჯისა. ამ ძვირფასი თვლებისა იყო, ძნელად გასათალი. რამდენი უცხო, ვინ მოსთვლის, თავის ხელით ნამუშაკები: ზოგი ღვინჭილა სხვადასხვა გვარი, ზოგი თავი და უცხო კენჭები. ყვავილოვნად დაეწყო. ამაზედ ნუ გაიცინებთ. მისთანა არც ღვინჭილა და არც კენჭი გინახავთ და შეწყობა უფრო არა. ჩემს უკან, ღმერთმა ქნას, ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქნას. სხვას სახლში შეგვიყვანა. რომ ცოტა ვთქვა, ათასი კიდევ მეტი კერპი: ზოგი რვალისა, ზოგი იამანისა, ზოგი მარმარილოსი. უწინდელი კერპმსახურთ ღმერთები გაუჩვენა. რამდენი უცხო სახლი. მაგრამ სხვას სახლში რაც უცხო სულიერი, ზოგი ფრანციაშიც ვნახე: თევზის უცხო რქები, მარტორქისა რქები, მაგრამ ამის სახლში ერთი თევზის წიბო ვნახე: ოთხი ადლი სიგრძე მეტი იყო, მკლავს უსხო, ბატონის სალაროში ღორის კბილსავით რომ კბილია, ორი მისთანა, მაგრამ იმტოლი ვერ იყო. კაცის თავი გაქვავებული, სოკო გაქვავებული. ეს ქართლშიაც მინახავს. მეც უთხარ ბატონის სალაროში რომ ღორის თავია გაქვავებული, მისი ამბავი. ერთის ქვის გათლილი კაცის თავი თავის ხელით აიღო. ბალიშზე იდვა. მაჩვენა, მართალს მოგახსენებ, არ ეთქვა ქვა გათლილიაო, ხელითაც მჭეროდა, არ დავიჯერებდი, მკვდრის თავისავით იყო სწორეთ, რაც მკვდრის თავი გინახავს. გარედამ გათლა არ მიკვირს მე: ფერი ძვლისა და შიგნიდამ სატვინე. და როგორც მკვდრის თავი გინახავს, ისე იყო. ეს მიკვირს. სხვა სახლში შეგვიყვანა. ძოწის ხეები, სხვაგან თეთრი, სხვაგან შავი, სხვაგან წითელი. ძოწი ჯენ-

ევას დიდებულის კაცის სახლშიაც წითელი და ჭრელი კარგები ვნახე. მერმე მის ადგილში გამოდიოდა. მაგრამ შავი არ მენახა. და მეტად დიდრონი. აქ უცხოები ვნახე: უცხო სადაფები, უცხო ლოფორთქინაები. ამგვარები უცხო, უანგარიშო. ჩვენებური გარეული თხის რქებიც იყო, სხვას გარდა, და ჯიხვის რქები და მრავალი უცხო რამ. სხვა სახლი ცის მზომელობის. სახლი — ქვეყნის მზომელობისა. სახლი — სულ კაცის გვამი დახატული შიგნით, გარედამ. სახლი — სულ ნადირები დახატული. სახლი — სულ უცხო, თუ რაც თევზი, ისევ გველი და ვეშაპი. სახლი — ხეთა და ბალახთა დახატული. სახლი — სხვადასხვა ცხოველთა, სხვადასხვა რიგი მოუგონარი და შეუტყობარი. მრავალი ძველი ჯაჭვი, ხრმალი, ფარები ქარგადანი თუ სხვა რიგები. ლახტები და უცხო საომრები. დავის ჟამისა კეისრებისა, მათი სახეები. გათავებისა დროს ერთი კარი გააღო, შეგვიყვანა. რაც ნივთი, ხილი, რამდენი რიგი ყურძენი, მარწყვი, სხვადასხვა რიგი ვაშლი, სხვადასხვა რიგი სხალი, ნარინჯი, თურინჯი. რას ვაგრძელებ, ყოველი ხილი ახალის მოწყვეტილის მსგავსი, ზოგი ფოთლიანი ეწყო. ხელთ მოგვცა, გაგვასინჯა. მაგრამ არ ვიცი, რისა იყო. მთელი ქათამი გაბტყვნილი, კაკაბი გაბტყვნილი, ახალი ინდაური ქათამი გაბტყვნილი, ერთს მხარეს ღორის ქონი დაყრილი, შიგნით — მართალი მოხარშული ხორცი, ზოგი რა ნაკვეთი. სხვადასხვა ასოები ხელთ გვეჭირა. არას გზით არ შეიტყობდი სხვა რამ არისო. დაიჯერეთ, ასე იყო. სამიოდ უცხოები მეც მიბოძა. ეგებ ნახოთ. ღამე გვესწრა, და კარამდი მომყუა. მიბრძანა: ვიცი, მართლა ვერა გასინჯე რაო. როდესაც გეპრიანება, მობრძანდიო. თავის კაცს დაარიგა: გულნებიერად აჩვენეო. მაგრამ მისის სახლის უცხოები მოსათვალელად განგრძელდების.

კა მკათათვეს წავედით იეზოვიტების მონასტერში. მათი დღეობა იყო. რაც რომში თავი და უკეთესი მგალობელი იყო, სულ იქ შეყრილიყო. სამს მხარეს ორღანო იყო გამართული მაღლა და სამსავ მხარეს მგალობლები გალობდენ. ტრაპეზს აქათ იქით და დასავლეთის კარს ზედათ დიდი საყდარიც იყო, მაგრამ ერთს საუცხოოდ ესეც კმარიყო. ხან თვით ორღანოს დაუკრავდნენ და ხან სამსავე ერთად. მგალობელნიცა ხან თითო-თითო იტყოდა, ხან თითო მხარე, ხან სამივ მხარე ერთად. იმ საშორ იდგენ, და

ეს არ ეგონა კაცს, სულ ერთს ხმაზე არ გალობენო, რომ არ გარდააქცევდნენ, არცა წაასწრებდნენ. მაგრამ ეკლესიის შემკობამ, ფარდაგმა თუ კანდელმა, თუ სასანთლემ, თუ სანაწილეებმა გამაცვიფრა. ერთს პატარას ეკლესიაში უწინ წირვა მომასმენინეს. ერთი მღუდელი სწირავდა და ოთხიოდ ძლივ ვეტიენით. დაიჯერეთ, სხვას გარდა, სამოცდა თექვსმეტი ვეცხლის წმიდანი იყო შექმნილი. თავეთ-თავეთი ნაწილი ეჭირათ, თვარა ეკკლესიისა რით აღირაცხოდა. ოღონდ, ეს მგონია, ვეცხლი რაც ვნახე, უნდა ათასი ლიტრა ნამეტნავი ყოფილიყო. საკვირველი ჯარი იყო. რიგი მოდიოდა და რიგი მიდიოდა. რომში ძვირად დარჩა მაგისთანა თავნაჩენი კაცი და ქალი, ყველა არ მოვიდა. მწუხრიდან მეორეს საღამომდი ის მონასტერი სულ სავსე ყოფილა. არცავინ იცის რამდენი ათასი წირვა იქნა. შუა ღამეს უკან დღემდი უფროსი ერთი მწირავი იქ მოვიდა. იქ წირეს. მრავალი უცხო შესამოსი და ბარძიმი ვნახე. მრავალი უცხო სიმდიდრე. სამი დიდი ტრაპეზი იყო. სხვას ტრაპეზებს გარდა, ერთი აღმოსავლით, ერთი ჩრდილოთ და ერთი სამხრით. სამხრის ტრაპეზი წმიდის ფრანჩისკოს ქსაერიოსის ხელი იყო, ინდოეთის მოციქულისა. და ჩრდილოს ტრაპეზში მათი უფროსი წმიდა ეგნატი მთელი იყო. მისი დღეობა იყო. ის ტრაპეზი და მხარე ორ მილიონად იყო გაკეთებული. და ერთს დუკას ერქვა: ჩემის ფასით აღმოსავლეთის ტრაპეზიც ასრე გააკეთეთო, მაგრამ ჩვენის ქვეყნის კაცისაგან ის გაკეთებაც სანატრელი იყო, რომელსაც მოშლას უპირობდენ.

კბ მკათათვეს ერთი მათი მარიამობის თვე იყო და წმიდის პეტრეს ჯაჭვის თაყვანის ცემა. წაგვიყუანეს. იმის საყდარი დიდი ეკკლესია იყო. და კარგა შემკობილი. რვა სვეტი გრანიტისა ჰქონდა, ოდა ორი თეთრი მარმარილოსი. თვითო ხუთი ადლი უმაღლესი. და მასვე თეთრი მარმარილოსი, უცხოთ გათლილი და მრავალი სხვა რამე. დიდს ტრაპეზ ქუშ შვიდნი ძმანი მაკაბელნი და დედა მათი და ელიაზარი, მათი მოძღვარი, დამარხული. და სხვა ნაწილები, კარგა გაკეთებული. ზეიდამ მარცხენა მხარეს, ტრაპეზზე პეტრეს ჯაჭვი კოლოფიდამ ამოიღეს. გვამთხვიეს. ყელზე მოგვახვიეს. ესრეთ საკვირველი ეს ქნილა: წმიდა პეტრე ერთხელ ჯაჭვით იერუსალიმს დააბეს, ერთხელ ჰრომს. ის იერუსალიმელი ჯაჭვი ევდუქსია დედოფლისათვის მიურთმევიათ

იერუსალიმს მისვლაში და ევდუქსიას აქ რომს, თავისა ქალისათვის გამოუგზავნია. ქალს თავის ხელით პაპისათვის საჩუენებლად მიუტანია. და წმიდა პაპას გაუსინჯავს და რომაულიც მოუტანინებია, ორივე ერთად უნახამს. ერთად რომ დაუდვია, ერთმანერთს გარდაბმია. ეს ჯაჭვი ვნახე. იქიდამ სხვა, ახლა წმიდა ფრანჩისკოს პავლაელის მომცრო ეკკლესია იყო. იქ მიგვიყუანეს, მაგრამ მარტო ტრაპეზზე ოთხმოცდა თექვსმეტი ასეთი ვერცხლის სასანთლე იდგა, მოგეწონებოდა. სხვას სამკაულს გარდა, ერთის წმიდის ზიარების შარავანდედი იყო, უცხოდ რამ გაკეთებული. ეკკლესიის საქმე არ ჩაიწერება. რაც უცხო ვნახე, იმას ვწერ. იქიდამ მიგვიყვანეს სხვა მონასტერში. დიდი და კაი მონასტერი იყო, ოცდა ოთხი ფერადი მარმარილოს სვეტი ჰქონდა. თვითო ექვსი ადლი, მაგრამ ძირი და გვერდები სულ მარმარილო იყო ფერადი. და ტრაპეზს ქუეშ სამარტვილე უცხო გაკეთებული, სულ მარმარილოსი. ერთი მისთანა არ მინახავს. იქ ემარხა: დიდი წმიდა სილიბისტრო პაპა, მთელი; წმიდა მარტიანე პაპა მოწამე, მთელი; წმიდა ფლაბიანე პაპა მოწამე, წმიდა სტეფანოს პაპა მოწამე, წმიდა სუტურო, პაპა მოწამე, წმიდა სტერია ქალწულ-მოწამე, წმიდა სანთინომე ქალწულ-მოწამე, წმიდა კირისკოს ქალწულ-მოწამე, წმიდა მავროს პაპა, წმიდა პაპა, მავროს, ლარგოს, ლარდოს მოწამენი; წმიდა ჩიჩინია მოწამე, წმიდა ანასტასი პაპა, წმიდა ინოკენტი პაპა, წმიდა კვირინე ეპისკოპოსი მოწამე, წმიდა არტემი მოწამე, წმიდა ჩიჩინო მოწამე, წმიდა პოლიონე მოწამე, წმიდა თეოდორე მოწამე, წმიდა ნიკარტოს მოწამე, წმიდა ქრისენტი მოწამე, წმიდა ასატუროს ქალწულ-მოწამე, წმიდა პალინოს ქალწულ-მოწამე, წმიდა მემია ქალწულ-მოწამე, წმიდა ივლიანა ქალწულ-მოწამე, წმიდა თეოფისტა ქალწულ-მოწამე, წმიდა სოფია ქალწულ-მოწამე, ბერძნების სასო და აია სოფიოს თავი, რომ ამაზე ააშენა იუსტინიანე. წმიდა კირიაკი, წმიდა იუსტინა და მრავალი სხვა ურიცხვი წმიდა. მარტინე პაპას რომ ქვა მოაბეს და რომის წყალში ჩააგდეს, ის ქვა და ერთი სვეტი მაღალი, სულ მოწამეთ სისხლით სავსე. წმიდის სილიბისტროს პალატი, სადაც არიოზისათვის შეკრბა მამანი მის ამბავზე, თვარა ის რომს არ იყო. ალექსანდრელი იყო. და წმიდის სილიბისტროს ნაჯდომი ადგილი. ესეები იქ ვნახეთ. იქიდამ მიგვიყვანეს ერთს დომენიკანთ

დედათ მონასტერში. ეკლესია მომცრო იყო, მაგრამ საკვირველად საკვირველი შემკული იყო. სულ ფერადი მარმარილო. ამის მეტი რა გითხრა. ვახტანგის კარის ეკლესიად დავნატრე: მე მიმაძღნობინა მეთქი. მის ტრაპეზზე წმიდის ზიარების კოლოფს ექვსი ლაჟვარდის სვეტი ჰქონდა. თვითო ნახევარ აღლი სიმაღლე და ცალი ცერი და შუათითი თუ შეეტეოდა. მაგრამ მრავალი უცხო ქვები და თვლები: აკატი და მისთანები, დათლილი, დიდრონი. ზოგი მტკაველზედ ნაკლები იყო. მაგრამ თვითო მტკაველი ორი წითელი ქვა იყო. წვლილად ჭრელი, არევით რაც ფერია. დიდ ხანს დახატული მეგონა. იმ სიუცხოე ერთი ვერა ვნახე რა. ვიკითხე იმ ქვას რას ეძახდენ დავაშავე, ველარ მივხუდი. მრავალის უცხოების ნახვით აღარ გვაცალეს საკითხავად. იქ ტრაპეზზე ერთის წმიდის ეკატირინას სახე იყო. თეთრი მარმარილო, გათლილი. ოთხს ანგელოზს ღრუბელზე მჯდომი მიჰყუანდათ. ერთი ქვა მთელი და დიდი ხუთი აღლი უნდა ყოფილიყო. ამას კაცი არ იტყოდა, აგერ არი გამომელაპარაკებაო. შუა დღეს უკან წაგვიყუანეს წმიდა ჩიჩილას სახლში, რომ ჩვენით წმიდა ვიკილა ქალწულ-მოწამეა. ამავ სახლში, სადაც ყოფილიყო, იქავე ეწამებინათ, და ეკლესიად აეშენებინათ. ოღონდ ზეიდამ ხით იყო დახურვილი თვარამ, ან კედლები, ან სასაკურთხეველი, ან სვეტები იყო და სამარტვილეც კარგა შემკული. ტრაპეზის ძირში, როროც წმიდა კიკილია მხედარი პირქვე გდებულიყო. ერთი თეთრი მარმარილო ისე გაეთალათ და ისე პირქვე მწოლარი იყო. სწორად მწოლარი მხედარი გეგონებოდა. ზეიდამ ორი ანგელოსი. ვერცხლისა მურასა გვირგვინი ეჭირათ. და აქათ იქით ორი ოქროს კანდელი იყო. თვითო ორი ლიტრა მგონია. და ასი კანდელი დღე და ღამე გაუწყვეტლად ენთება მისს საფლავზედ. მაგრამ კანდლები სულ დაფერილი. ბროწეული შუა გახეთქილი რომ იყოს, სულ ყველა ისე იყო. ოთხი პორფირის სვეტი — ტრაპეზის სალხინებელზე და ოცდა ორი ფერადის მარმარილოს მაღალი სვეტი ეკლესიაში. და აქათ იქით სხვა უცხო ქვების სვეტები იყო. ჩამიყუანეს სამარტვილეში. მარცხენას მხარეს ერთი თეთრი მარმარილოს აუზი იდგა. ზედ იმაზედ წმიდის ანესა ქალწულ-მოწამისა ტაბლა იდგა, რაზედაც საჭმელს სჭამდა. და იმ აუზში იყო ნაწილი წმიდის დონატო მოწამისა. ერთი კბილი იაკობ ზებედეს ძისა. ნაწილი

წმიდის კოზმან მკურნალის. ნაწილი წმიდის დალმატის. წმიდის სტეფანეს პირველ მოწამის მკლავის ნატეხი, სამოსლის ნახევი. წმიდის კიკილიას სისხლიანი ტილო. ალექსი კაცისა ღვთისა მკლავის ნატეხი და სხვაც მრავალი. შუა სამარტვილეში, ტრაპეზის ძირში, წმიდა კიკილია და მისი ქმარი ტიბერცია და მისი მაზლი ვალლენციონოს. წმიდა კიკილიას ქმარი არ უნდოდა, ძალად დიდს კაცს შერთეს. ქორწილის ღამეს უთხრა: ნუ მომიდგებიო, თვარემ ჩემთან ანგელოსია, დაგარჩობსო. ასე ეგონა ქმარს, სხვა კაცი ყვარობსო. უთხრა: მაჩვენე ის ანგელოსიო და მეცა ქრისტიანი შევიქნებიო. კიკილიამ უთხრა: სანამ არ მოინათლები, ვერა ნახამო. გაგზავნა წმიდა ორბანოს პაპასთან. პაპამ ასწავლა, მონათლა. მოვიდა. კიკილია ილოცევდა. ანგელოსი გვერდს უდგა. მერემე იმან თავისი ძმა მოაქცია. იმანაც ნახა ანგელოსი, და ყველა ეწამნენ. წმიდა ორბანოსცა ეწამა. ერთად მარხიან. სხვა მხარეს, ჩრდილოსაკენ სხვა აუზი იდგა. წმიდა იოსებ მარიამის ქმრის ხელსახოცი, თომა მოციქულის ნაწილი, მარიამ მაგდანელის ჭურჭლის ნატეხი, წმიდის ბასილის ნაწილი, წმიდის სილიბისტროს ნაწილი, ყოვლად წმიდის სარტყლის ნაჭერი, ლავრენტი დიაკვნის სკარას ნატეხი, სტეფანე პირველ მოწამის გვერდი, მაქსიმე, ბენი, ანასტასი მოწამეთ ნაწილი, ანსერმოს ეპისკოპოსის ნაწილი, წმიდის ბენარდეს ლურსმნის სარტყლის ნატეხი, რემიჯიო ეპისკოპოსის ნაწილი. ესები იყო და პონტიანოს მოწამის და სხვა მრავალი. უკან მხარეს შავი მარმარილოს აუზი იყო. იმაში წმიდის გიორგის ნაწილი, ევფემიას ნაწილი, მაკაბელთ ნაწილი, ივლიანე მოწამის ნაწილი, კვიპრიანეს ნაწილი, ანდრიას პატარა ჯვარის ნაჭერი, კიკილიას სისხლი, ყოვლად წმიდის სამოსლის ნაჭერი იყო. იქიდამ შეგვიყუანეს წმიდის კიკილიას აბანოში. სამწირველო იყო იქ ეწამებინათ. ერთს ორმოში ქვაბი იდგა, რაშიაც ზეთით ადულებულში ჩაეგდოთ ეს. დაგვიღამდა. მართლა ვერ გავსინჯეთ. დედათ მონასტერი იყო. ვერც ქალწულნი ვნახეთ. ღამემ აგვაჩქარა. გამოვედით. წმიდის პაპის მონასტერი ვნახეთ, დიაღ ჩქარა. ერთი დიდი მონასტერი აუშენებია. თორმეტი პატრი დგა. ხუთასი კაცი და ქალი. ვინ უძლური და ბერი უპატრონო, ვისი შვილნი გაუარშივდებიან, ჭკუაც არ ექნებათ, უნდა მიიყუანონ. ვისი ობოლია და საწყალი, იქ მიუყვანინ. ქალების სადგომი,

საწოლი და საჭირო სხვადასხვა კარი აქვს. ბერი კაცებისა სხვა, ყმაწვილებისა სხვა და უჭკუოებისა სხვა. მაგრამ უცხოდ გარიგებულით, არ დაიწერებოდა. სმა-ჭამა, ტანთსაცვამი, ქვეშაგები სულ წმიდისა პაპისა არის.

კგ მკათათვეს წავედით წმიდის ფრანჩისკოს მონასტერში. მათი მონასტერი — დიდი და კარგი, მაგრამ გლახანი არიან. მონასტერი კარგი აქვთ, მაგრამ თეთრით გაგლესილი და აქა იქ კარგი ხატები და კაი ჯვრები. სხვა უცხო არა არის რა. იქიდამ წმიდის ურსულას დედათ მონასტერში შევედით. ოცდა რვა ქალწული იდგა. ჩვენ რომ ფრანციდამ ქალწულები გამოგვყვნენ ოთხნი, ისინიც იქ იდგნენ. მომცრო ეკკლესია ჰქონდათ, მაგრამ შვენიერი. იქიდამ წავედით წმიდის აგვისტინეს მონასტერში. სხვა რიგი მამანი არიან, კაფუჩინებსავით შემოსილი, ოღონდ შავი აცვიათ და სარტყელი ტყავისა, თვარა ყოველფერ კაპუჩინსავით აცვიათ, ფეხშიშველი. მათს მონასტერში მიევედით. შუა რომშია. ჯერ წალკოტში შეგვიყვანეს. შანდაკი წალკოტი ჰქონდათ ქალაქს შიგნით, ძნელია. დიდი ადგილი, კაი შადრევნები და უცხო წყაროები. სამოცი იდგენ ეკკლესიაში. შეგვიყვანეს. მომცრობა ეთქმოდა. ოცდა ათი ადლი იქნებოდა, მაგრამ მისს შენებულობის საქმე არ ითქმის, არც მოიგონება. ოღონდ ამას დაგიწერ: ტრაპეზს წინ ერთი მთელი ქვა — ცამეტი მტკაველი, ჩემის ხელით გავზომე, სიგრძე და ერთი ადლი უფრო იქნებოდა სიმაღლე. მთელი აკატი იყო. თუ აკატს იკითხავთ, აინალურიც აკატია. და სადაც ჭრელი იამანი იშოვება, აკატია. წითელი, თეთრი და ყვითელით ჭრელი იყო. და შვიდი, აქათ, შვიდი იქით, თითო ადლი მეტი იმავ აკატის ქვა მთელ მთელი. და სხვა ფერი მარმარილოს აშიები, უცხოდ მოყუანილი იყო. სხვები ძირს იყოს და ორი პარაგონის ქვა, თითო რვა ათას მარჩილად. ერთი მოწამე მარცხენას მხარეს ტრაპეზის ძირში იწვა. ხელთავპარაგონე შავი ქვა. გრანიტის ქვა ქუეს შემოეგდო. სწორედ მძინარეს გვანდა. თოთხეტი წლის ვაჟი წამებულიყო. წმიდა კონკორდიო უცხოდ და პატიოსნად, მთელი და ოღონდ ხორცი შესჭკნობოდა. საღამო ჟამი იყო. ქალაქს გარეთ გაგვიყვანეს. მოგვატარეს მეორე კარამდი, მაგრამ რამდენი უცხო ან პირამიდიანი წყარო ან მონასტრის კარები ვნახეთ, ვინ დასთვლის. გალავანს გარეთ ერთს კედელში მრავალი ძვალი ეყარა

კაცისა. მითხრეს: ვინც უმოძღვრო მოკვდება, ვირზე დააკვრენ, აქ ჩააგდებენო.

კდ მკათათვეს წაგვიყვანეს ისევ წმიდის კიკილიას მონასტერში. წირვა მოგვასმენინეს. იქ ერთი ფრენჭიფის ქალი ქვრივი იყო. კარდინალის დედამ გვნახა, მიალერსა. მერმე მახარა: ხუთი ჩემი ქალნი ქრისტეს შეეწირენო, ქალწულებად დადგენო და ორი ძმისწულიო. და ჩემი ვაჟი კარდინალია. მეც მათ ავბაძდიო, ეს სოფელი გაუშვიო და აქ დავდგეო. მობერო დედაკაცი იყო, ლამაზი ყოფილიყო. მერმე წმიდის ბენედიქტეს ქალწულებმა გვნახეს. ესენი თეთრით იყვნენ მოსილნი. ხორც არ სჭამდენ. ოროცდა ათნი იდგენ. მერმე სხვა სანაწილე გააღეს. გვაჩვენეს. გასაოცარი ნაწილი იყო. მოციქულების ყველას ნაწილი. წმიდის ანდრიას ფეხი, იოვანე მახარებლის ჩოხის ნაჭერი, იაკობის ჩოხის ნაჭერი, წმიდის ფილიპეს მკლავი, თომას ორი თითი და თავის ნატეხი. ყველასი ცოცოტა რამ. დიდი ანტონის თავი. წმიდის საბას თავი. ზოგისა თავი, ზოგისა რა, უანგარიშო, უცხოდ გაკეთებულები. წმიდის ბენარდეს მაშია, წმიდის აპოლონიას რომ კბილები დაგლიჯეს, ის გაზი. მრავალი ურიცხვი და ცხრაასი მთელი მოწამის გვამი იმ ეკკლესიის ძირში ემარხა. ის ეკკლესია ხით იყო დაბურვილი. მერმე გავსინჯე, მაგრამ მრავალი განსაკვირვალი ქვა იყო და უცხოდ ნაქმარი გვერდები: ზოგი სოფიოთ დახატული, ზოგი ბერძნულის ხელითა. ძველთაგან სულ ბერძნული სახეები იყო, მაგრამ საცა მონათვლა ვისიმე ეხატა, სულ თავზე დასხმითი იყო. თურმე ფრანგებს ახლა არ შემოუღია, ძველთაგანვე სცოდნიათ. სვეტები სულ გრანიტის ქვა იყო ორმოცამდი. თვითო ექვსი ადლი. ამავე დღეს, შუადღის უკან, წაგვიყუანეს სხვა იეზოვიტების მონასტერში. დიდი მონასტერი იყო. ას სამოცდა თექვსმეტი მამანი იდგენ. აგვიძღვა მათი წინამძღვარი. შეგვიყუანა ერთს კაი დაფენილს სახლში. რაც ზღვის უცხო თევზი იყო და დიდი ცხოველი, ის გვაჩვენა: კროკოდილო და ვეშაპის ზვლები. ერთის ზურგის მძივის ძვალი გავზომე ვეშაპისა, იონა რომ ჩანთქა. ცალიერი სიმგვრგლე ორს მტკაველს გოჯი აკლდა. აქათ იქით ფხას გარდა, მისი ყბა მაღლა ეკრა. ერთი მხარე სიგრძე მეტი ჰქონდა, ხორცს გარდა, წინ წაშვერილი. ამ გვარები მრავალი უცხო. სხვა კარი გააღო და ზღვის მომცრო ცხოველები სულ მთელ მთელი იყო. სხვა

კარი გააღო: უცხო და უცხო სადაფი, პინა და მისთანები. და სხვა რიგი ზღვის ცხოვლის ქერქები. სხვაში სხვადასხვა რიგი ლოფორთქინის მსგავსი დიდრონი უცხო და უცხო. სხვაში თევზის რქები და კბილები მრავალ რიგი. სხვაში ირმის, მარტო რქისა, შვლისა, ჯიხვისა, არჩვისა, კამბეჩისა, გარეული თხისა და მრავალი უცხო ნადირისა. ზოგი ორი ადლის სიგრძე, ზოგი მეტი, უანგარიშო ამგვარები. რქები დიდროანის ხარის, რქები საკვირველად დიდი. სხვაში: კონსტანტინეპოლის კაცი როგორ მოირთვის, ქალი როგორ. იქაური მაშია საქალო, საკაცო. ურუმული კოვზები, მათი უბის ქვისა და რაც მათს ქვეყანას იშოებოდა და წესია, ის იყო. ბერძნულის ბერების ქუდები, მათი რაგინდარაები. სხვას კარში არაბისა, სხვაში აბაშისა, სხვაში ინდისა და მათი უცხოები. სხვაში — ჩინისა ამგვარები. სხვა კარი გააღო: ინდოური ცხოველები, ნადირები, ომაინი ხმელი და ამგვარები. სხვაში — ჭიქები. ზეთები იდგა. შიგ ჩაეგდო, ისე ეწყო — უცხო და უცხო გველები, უცხო და უცხო მსვენი და ხვლიკები, ღრიანკალები, საკურველები. ძაღლის ლეკვს რვა ფეხი ჰქონდა, სხვა პირუტყვის შვილი, თერთმეტი ფეხი ჰქონდა. უცხო ჭიები. ამგვარები ჰქონდათ. სხვას სახლში ერთის თვის ყმაწვილები მოწყვეტილი, ორის თვისა, სამის თვისა, ოთხის თვისა, ხუთის თვის და მერმე მართალი ყმაწვილი. სხვა სახლში კაცის მუმია და რაც ფრინველია, ყველას ძვალი, გაშიშვლებული. მაიმუნისა, ნასნასისა და წვლილის ნადირების ძვლები. სხვა კარში — თევზის კბილი და სპილოს ძვლის დათლილი ხეები, ყვავილები სხვადასხვა რიგი. ერთი ჯაჭვი იყო სპილოს ძვლისა, მთელი, შეუწებავი. ერთი მხარი ვერ იყო. წვლილი, ერთმანეთში გამოთლილი და ზედ ჯვარი ეკიდა მისსივე. ქრისტე ჯვარცმული და მრავალი ამგვარი, უცხოები. მთელი ჭიქები პირ ვიწრო და შიგ ქრისტე და წმიდები და ყუავილები და აგრევე შიგ სხვადასხვა რიგი კაცები და ლომები და გარშემო სპილოს ძვლის ყვავილები. პირ ვიწროს ჭიქებში როგორ შედვეს! სხვაში უცხო ფიტები თაფლისა, უცხოდ ნაქმარი. უცხო კვერცხები, ზოგი გრძელი, ზოგი აყიროს მსგავსი, ქათმისაგან დიდებული, საცა რამ ამგვარი უცხოები იყო. სხვაგან სპილოს ძვლის დათლილი კაცი და დედაკაცები. ზოგი კერპთ ღმერთები. სხვაგან უცხო მარმარილოს სახეები, დათლილი. სხვაგან პაპების და მეფეების სახეები

და მათი საქმე. სხვას კარს შიგნით უცხო ქვები დატანებული: იამანები, აკატები ჭრელი. ზოგი კაცის სახე გამოყუანილი, ზოგი ფრინველისა, ხეთა და ყვავილთა, თავის აგებულობით ქმნილი, საკვირველები. კაცი გაოცდებოდა. სხვას კარში სარკით იყო მორთული. აქათ იქით — ერთი ბაღი, მწვანეილის წალკოტი, სანამ თვალი მისწვდებოდა. გარდააბრუნა: სულ რაც ხილი იყო, ხილები გამოჩნდა. ისევ გარდააბრუნა: სულ სხვადასხვა რიგი შაქრიელი გამოჩნდა. ისევ გარდააბრუნა: სხვა რამ გამოჩნდა. სანამ თვალი მისწვდებოდა, რამდენჯერ გარდააბრუნა, იმდენი სხვა გამოიცვალა. მერმე ერთი კლიტე დაძრა. სულ იმაში გამოედინა შადრევნები. სხვა კარში ყიზილბაშის მორთვა, ქაშანის ჭურჭელი და მათი საქმე. სხვაგან ჩინის მორთვა და ჩინურის იარაღი, იქ ნასაქმი სხვარიგი. სხვაგან ალბასტრის დათლილი ჭურჭლები. სხვაგან ცუდი თიხის ჭურჭლები. სხვაგან ისრები, ხმლები, ფარები. სხვაგან უცხო ხატები. სხვაგან ძოწები, შავი, თეთრი, ყვითელი, წითელი. სხვადასხვა რიგი ხეები, სხვადასხვა რიგი საქმეები, უანგარიშო. წამოგვიყვანეს. ერთს სახლში შეგვიყვანეს. ერთი მართალი ორღანო, რაც სხვა გვინახავს ორღანო, იყო. ზეიდამ მჭედლები რაცაღას მუშაობდენ. კარი გააღო ამ პატრმა. ორღანოს საბერველს ბერვა დაუწყო. ერთი ჩხირი დაძრა. ერთი ბულბული რომ ყეფდეს, ისე დაიწყო ძახილი და ხანდახან, ბულბულის ხმის გამოცვლაზე, გუგული დაიძახებდა კუკუსა. დაიჯერეთ მართალია. მერმე ორღანოს სათითურებმა უხელოდ ძვრა შექნეს, სამი-ოთხი ხმა ისე დაუკრეს. მერმე სხვას მხარეს სხვა გააღეს. ერთი პატარა ორღანო იყო. სამი კაცი იჯდა და ორი დედაკაცი. ერთი ჭახრაკი ააბრუნა პატრმა. კაცებმაც და ქალებმაც ძვრა და მიხედ-მოხედვა დაიწყეს. ორღანო უკრავდა, კაცები თამაშობდენ და ქალებს სირჩა ეჭირათ, ვითომ ღვინოს სვემდენ, პირზე მიიდებდენ. სხვა კარი გააღო. ერთი ჭახრაკი დაიძრა. სამი კაცი იჯდა. ერთმა სოინარი აიღოკვრა დაუწყო. ერთს ეძინებოდა. სხვას ადგილს ისევ ერთი შავი კაცი იყო, ძაღლის პირით. თვალსა დაყ ბას იძრევდა. ნაღარს უკრავდა. გამოგვიყუანა. ერთი კარი გააღო. სარკის ჩადრი იყო. დავით წინასწარმეტყველი მეფურად მოკაზმული იჯდა. ქნარს უკრავდა. ხმა ისმოდა. მიიხედევდა, მოიხედევდა, თავს მოგვიდრეკდა. წინ ორი კაცი უჯდა, ერთი სანთურს უკრევდა, ერთი ამათს

ტრუმბედას. მაგრამ სარკეში მრავალგან ჩანდა ეს კაცი. მრავალი საკვირველება ვნახე, მაგრამ ამის მეტი ვერ დავისწავლე. მერმე მათი საწიგნე დამატარეს. მერემე სააქიმოში ეს ვნახე ოცი ასეთი პორფირის ქვის ჭურჭელი იდგა, თვითო საპალნე მეტი, ზოგში ცოტად ნაკლები ჩავიდოდა, სრულ თრიაქ-ფარუხით სავეს. იმას ზეით სხვა ჭურჭლის ანგარიში არ მიქნია. მრავალი უცხო წამალი, მაგრამ მათ დამეწერა. ვნახე ვარდის წყლის სახადი. ერთის ცეცხლით შვიდი რიგი სხვადასხვა გამოიხდებოდა. ვნახე სხვა არაყებისა სახადი, ერთის ცეცხლით ხუთი რიგი გამოიხდებოდა. ვნახე სხვა ერთი ძვირფასის არყებისა, ერთის ცეცხლით სამოცდა ექვსი რიგი სხვადასხვა გამოიხდებოდა. ან ხელსაფქვავი, ან ზეთების სახდელი, უცხო რიგები, არ ითქმის.

კდ მკათათვეს წაგვიყვანეს წმიდის პეტრეს საყდარში. ძირს ჩავედით. წმიდის პეტრეს საფლავი ვნახეთ. ზედ ჟამი ვაწირვინე. მაგრამ მისი თქმა და გაკეთება კაცისაგან სათქმელად შეუძლებელია. მერმე მაღლა გუმბათში აგვიყვანეს, რომის ქვეყანა და ზღვა სულ ჩანს შიგ სპილენძის ქოთანში, ლ: კაცი დაეტევა დგომითა. შვიდასი ფეხი კიბე აიარს, რაც დავათვლევინე. ჩვიდმეტი გუმბათია. სხვა არა მოისაზრება რა. მრავალი რიგი სახლები. შიგ უანგარიშო მრავალი ოსტატი მუშაობდა. იქ ვნახეთ სოფიოს კენჭის კეთება, ამის ქვას როგორ ამტვრევენ, როგორ აწყობენ, როგორ ხატავენ. ცალი გუმბათი სულ სოფიოთი არის დახატული, იქიდან შეგვიყუანეს პაპის სამწიგნობროში, მაგრამ ერთი უცხო მას არა შეედრება რა. თავად დიდრონი და გრძელი სახლებია. მერმე, რომელიც კრება არის დახატული, მაშინდელი წიგნები. იმის ძირს წმიდაების კრებისა, თუ მწვალებლებისა თავის ხელით დაწერილი. სადაც იოვანე ოქროპირის წიგნებია თავის ხელით დაწერილი, იმას ზეით ის დახატული. ისე წმიდა ბასილი, გრიგოლი ღვთისმეტყველი, წმიდა ჯერასიმე, წმიდა ათანასე, წმიდა ეფრემ, წმიდა იოვანე დამასკელი. რაც წმიდაა, მისი სახე და მისის ხელით დაწერილი წიგნები. მწვალებლების წიგნები. სხვა ყოვლისა რჯულისა და ყოვლისა ენისა წიგნები იყო. მრავალი ვეძებე ქართული წიგნები, ვერ ვიპოვე, არსად ჩანდა. მაგრამ პაპის სახლები საკვირველი იყო. პაპის სახლების გარდა ის თერთმეტი ათასი სენაკია თავისის ფარდით, სკამით, ტაბლით ყოვლის ერ-

თით გარიგებული. მაგრამ ან შიგნით წალკოტი, ან გარეთ როგორ იქნება? ასეთი წყაროები იყო შიგ წალკოტში, თითო ორს წისქვილს დააბრუნებდა. და რამდენი რიგი უცხო შადრევანი, ან სახლებში, ან კედლებში, ან სვეტებში, ან წალკოტებში. ვინ მოსთვლის? რამდენი უცხო სვეტები, რამდენი უცხო ქვა!

კე მკათათვეს წამიყუანეს. ერთი დომენიკანის დედათ მონასტერი იყო, წმიდის დომენიკოს დღეობაც იყო. მონასტერი მომცრო იყო. მაგრამ ჯარს ძლივ მიუვედით. გარედამ წითლის ქამხის ფარდებით იყო მოფარდაგული. და ქამხას, როგორც ჭრელი აქვს, სულ ისე იყო შეკერილი ოქრომკედით შეკერილი ორ-ორის ძაფით. მაგრამ შიგნიდამ სულობით ცის მეტი კედელი აღარ ჩანდა რა იყო. მაგრამ სულ ასე ხალსად ნაკერი ფარდაგები ეკიდა, უცხოდ და მძიმედ ნაქმარი. შვიდს ადგილს ტრაპეზზე იყო, სულ მყარი ვერცხლი. და სხვა სასანთლე და კანდელი და წმინდა ნაწილთ კოლოფი არ იანგარიშებოდა. მაგრამ ხუთასი ლიტრა მეტი მგონია. მრავალი უცხო ნაწილები. მაგრამ ჯარისაგან ვერა გავიგეთ რა. წამოვედით. ფრანგულის ანგარიშით ხუთი აგვისტო იყო. უწინ რომ ყოვლად წმიდის მონასტერი დავწერე, თოვლის მოსვლა, ის დღეობა იყო. იმ დღესაც პაპას არ შეეძლო, ვერ მოვიდა, თორემ არ დააკლდება. და ზოგი კარდინალი წირვაზე ყოფილიყო. და ჩვენ შუა დღეს უკან, მწუხრზე მივედით. თვრამეტი კარდინალი იყო, სხვას ეპისკოპოსსა და ხუცეს გარდა. დიდი ეკკლესიაც არის. მაგრამ ჯარისაგან ძვრაც არ იყო. მარჯვენა მხარის ტრაპეზზე მაღლა ლუკა მახარებლისაგან დახატული იყო. და ერთს დიდს კუბოში ესვენა. სიონთა ღვთის მშობლის ტოლია. ძე მარცხნივ უზის. თქვენც დაიჯერებთ, პატიოსნად შემკული იქნება. ის კუბოც, დიაღ, კარგათ იყო შემკული. ხუთნი კაცის ტოლ-ტოლი ანგელოსნი იყუნენ. ის კუბო იმათ ეჭირათ. და ორი მომცრო გვირგვინი ეჭირათ, სულ ვერცხლით დაფარული. და ზეიდამ მაღლა: თოვლი რომ მოვიდა, და წმიდა პაპა რომ სთხრის, და ვინ ააშენა, ისინი სულ ვერცხლი. ტრაპეზზე შვიდნი წმიდანი კაცის ტოლ-ტოლი, სულ ვერცხლი. თავეთი ნაწილი ხელთ უჭირავთ ოცდა ცხრამეტი: ზოგი ხელი, ზოგი ფეხი, ზოგი სხვა ასო, სულ ვერცხლით გაკეთებული, იმ ერთს ტრაპეზზე ესვენა. და სასანთლე და კანდელი ვინ იცის, თორემ სხვა მხრისას არას ვსწერ.

ეკკლესია სულ წითლის ქამხით, მძიმე ყვითლის აშიით ახლო-ახლო ჩაკერებული, მოფარდაგებული იყო, სვეტები და კედლები. ექვსს ადგილს მგალობლები იყვნენ. ოთხს ადგილს ორღანო იკვრიოდა. სხვა საკრავი ურიცხვი. მაგრამ მგალობლების სიტკბოთ კაცს ცნობა წაუვიდის. ხან ერთი იტყოდა წვლილსა, ხან ორნი შეაწყობდნენ. ხან ერთი წვლილი და ერთი ბოხი, ხან ოთხნი: ორი ბოხი და ორი წვლილი. ხან სულ ყველა ერთად იტყოდა. მაგრამ ასე შეწყობილი იყვნენ, კაცი გაკვირდებოდა. კაი ჯვარები ოქროსი. საცეცხლურები ოქროსი. შესამოსები ძვირფასებისა. ეს ვნახე. ლოცვა დიდხან იყო.

კვ მკათათვეს წავედით ანდრია მოციქულის მონასტერში. იქაც თიატინები იდგენ, ორმოცდა თექვსმეტი. მაგრამ ერთი ეკკლესია, ან სიდიდით, ან სიკეთით, ან დახატულობით და სიმდიდრით, კიდევ უფრო და გაწყობილობით, არ მინახავს. მრავალი უცხოთ გაკეთებული ნაწილი იყო. ერთი ტრაპეზის საბურავი იყო, ზედ ოქრომკედით შეკერილი. ჯერ იმ საუცხოვე არა მინახავს რა, არ დაიწერება. რა განიშნო? და მრავალი გამოყვანილს ოქროს გვანდა. იქიდამ წაგვიყუანეს. სამი გზა ერთად შეიყრება. შუაზე ორი ეკკლესიაა, ორივ ერთმანეთის მსგავსია. მაგრამ შიგნით გარეთ უცხოდ და საკვირველად აშენებული. წინ გრძელი მინდორი. მთელი ქვისა, მაღალი, პირამიდი. და კაი შადრევნები. დია უკუსაყარი ადგილია ქალაქის კარზე. ახლა შიგნიდამ ქალაქში.

კზ მკათათვეს წავედით ბართლომე მოციქულის მონასტერში. წოკოლანტებს აქვს. რომის წყალი ორად განიყოფა. შიგ შუაზე ორმოცდა თხუთმეტი წოკოლანტი დგას. ეკკლესია კარგია, მაგრამ სხვებსავით შემკული არ არის. ამისათვის რომ კაფუჩინი და წოკოლანტი უფრო გლახანი არიან. და დიდს ტრაპეზსა ჰქონდა ოთხი სვეტი პორფირისა და სალხინებელი შეკრული. და ტრაპეზს ქვეშ მთელი პორფირის დიდი ლუსკუმი. შიგ ბართლომე მოციქულის გვამი და ტყავი ნაწილი. ზოგი გაყოფილია. მარჯვენა მხარეს, ტრაპეზს ქვეშ წმიდა პავლიონოს ეპისკოპოსი და წმიდა ადლიბერდოს ეპისკოპოსი მოწამე და ორი მისი დიაკონი მოწამე ესაფლავა. მარცხენას მხარეს, ტრაპეზში წმიდა თეოდორა რომაელი ესაფლავა და თომა მოციქული. სპილენძის ტაშტით მოეტანათ. მისი ტოლი ზეიდამ ხუროდა. ერთი შიგავ ლუსკუმაში

იყო, ერთი ზეზე. და ერთი ქრისტეს გვირგვინის ეკალი ჰქონდათ. ამის პირდაპირ სხვა მონასტერი იყო. იმავე წყალშუა. ერთი რიგი პატრები არიან შავით მოსილნი. სნეულთ სამსახურია მათი წესი. სამოციოდ იდგენ, მაგრამ მონასტერი მომცრო ჰქონდათ და კარგა შემკული. და ქსენონი მისთანა ვერსად ვნახე, მომცრო იყო. ას ორმოცი კაცისა. და მასთან შემკული ეკკლესიაც ძნელია. კაი ხატები, მარმარილოს სვეტები და ხარიხები. ორღანო ქსენონში, დიაღ, კარგა იყო მორთული. იმ მონასტრის ტრაპეზში ემარხა იოანე გლახაკი და მარინოს, მისი ცოლო, მართა და მისი ორი ყმანი წვრილები, ოთხივ მოწამე და წმიდა ერკონის მოწამე, მთელები. იქიდამ წამოვედით წმიდის პელაგიას მონასტერში. კარგა შემკული მონასტერი იყო, მაგრამ წმიდა არავინ ესაფლავა. ერთს მხარეს ერთი მეფე ესაფლავა. პირდაპირ — დედოფალი, მისი მეუღლე, ერთს საფლავზე ეწერა აჩრდილი, მეორეზე აღარც აჩრდილი. იქიდამ წმიდის ესტატეს სასახლეში მივედით. მონასტრად იყო, მაგრამ ეკკლესია მაგდენად შემკული არ იყო. ახლა ამ პაპას თავისი ძმისწული კარდინალისათვის უბრძანებია, უნდა დიდი ეკკლესია ააშენოს და შეამკოს. წმიდის ესტატეს და მისის ცოლის თეოფისტესი და მათი შვილების: აღაპი და აღაპისტოს ერთს ლუსკუმაში და ზეით წმიდის ევსტატის თავია, კარგა შემკული, და ერთი მკლავი და წმიდის ესტატეს შუბი ნაომარი.

კ მკათათვეს წავედით იმავე დიდს მონასტერში, პაპის სამადლო რომ არის. იმ ღამეს ვერ გავსინჯეთ, მაგრამ ერთი ეკლესია აეშენებინათ, და ჯერ არ დაეწმიდათ, დიახ დიდი ეკლესია იყო, ჯვარის სახედ აეშენებინათ. წინ ქალწულების სადგომი. მარჯვნივ — დედაკაცების სადგომი. მარცხნივ — ყრმათ სადგომი და დასავლეთით კაცების სადგომი. ათას ორასი სული იყო. ამაების სადგომი ასე იყო მორთული თავთავეთი გარიგებულობა: ძირს სასარცხლო, მერმე სადგომი, იმას ზეით წირვის მოსასმენი, იმას ზეით სნეულთ საწოლი. და სნეულს, ვისაც ფეხზე ადგომა შეეძლო, იქიდამ ცოტა წამოდგეს, ეკკლესიაში წირვა მოისმინოს. ვისაც არ შეეძლოს, იქავ სამწირველო აქვს. ამას ზეით სასაქმე. რაც მოხელეა, იქ საქმობდენ, ოთხივ, ზოგი ცალცალკე. სხვასახვა კარი სხვადასხვა მოძღვარი. სხვადასხვა გამრიგები. სხვადასხვა ტრაპეზი. სხვადასხვა სამზარეულო. სხვადასხვა წალკოტე-

ბი. სხვადასხვა წყარო. საქმობდენ იქ მატყლსა და ხელსა და კანაფს სჩეჩდენ. სამ-ოთხ რიგად აწმიდებდენ, ასთევდენ, ქსელევდენ, ქსოვდენ, ტილოს აშიებს ქსოვდენ, სჩეჩდენ, რეცდენ, სთელევდენ და ღებავდენ კაი შალებს, სკლატებსა და მისთანათ. მჭედლები, მეწუღე, მემაშიე, ფეიქრები და ყოველი მოხელე ხურო – ესენი იყვნენ. რაც ობოლი, უპატრონო, საწყალი იყო, იქ იზრდებოდენ. სანამ ათის წლისა შეიქნებოდა, წიგნს ასწავლიდენ. მერმე ვის რა უნდოდა, იმ სახლში შეიყვანდენ. იქ იყო სტამბა წიგნისა, ფარდაგის ქსოვა, მხატვრობა, ამისთანები. წიგნის კრვა. რომელს რა სახელო უნდოდა, იქ ასწავლიდენ. ორმოციოდე გიჟი და დედმამის უარშიო იყო. თვითოს ფეხში ბორკილი ეყარა, დაბმულნი იყვნენ. ჭახრაკს ასთევდნენ ბემბასა. და სამს ადგილს კარი დაკეტილი ჰქონდათ. ერთი მღუდელი მათი მასწავლებელი და მოძღვარი იყო. თვითო სალოცავი წიგნი და თვითო კრიელოსანი ჰქონდათ. სამწირველო იქავ. და დღისით წირვას არ დააკლებდენ, ალოცებდენ, ასთვევინებდენ. მათს საყდრის სასმელ-საჭმელს მისცემდენ. აღსარება-ზიარებას არ აკლებდენ და კვირაში, რამდენიც აქიმს გაერიგიებინა, ცემას არ დააკლებდენ. და ღამით თვითო სენაკში, რკინის ფანჯრებით, შეაგდებდენ. ქვეშაგები მზა და დაუკლეტდენ კარებსა. იქ ვნახე, საიას რომ სჯანდრევდენ. ორი ქვა ერთმანეთზე მობმული. სამი მხარი სიგრძე, სამი მტკაველი განი და ოთხგნითვე სამასი მტკაველი, ნახე რა იქნება! ორი ბიჭი გაურჯელად ხან წინ წასწევდა, ხან უკან და იმით სჯანდრევდენ. იქ ვნახე რკინის საფეიქროსავით გამართული, პაიჭებს ქსოვდენ წინდურსა. თვითო კაცი დღეში ერთს წყვილს მოქსოვდა. საკვირველები იყო. წინდის ჩხირით რომ შეიქმოდენ, ისე ქსოვდენ. საფეიქრო იმგვარად იყო, თუ არ ნახავს კაცი, არ მიიხდომება. წამოვედით იქიდამ წოკოლანტების მონასტერში. ვნახეთ. ერთს მონასტრად ისიც საქებელი იყო. მაგრამ ერთი მომცრო სამწირველო ვნახეთ, ხით გაკეთებული. დიაღ მოგვეწონა. წმიდის ფრანჩისკოს სადგომი ყოფილიყო. წირვა მოვისმინეთ. ერთმა პატრმა ერთი კლიტე მოაბრუნა. ეს ხეები სულ და ფიცრები გამობრუნდა, და სულ ვერცხლით მოჭედილი ნაწილები გამოჩნდა. ორმოცი სანაწილე. თვითოში მრავალი ნაწილი იყო. რახან წირვა გათავდა, ისევ კლიტე მოაბრუნა. ნაწილები შიგნით შევიდა. ისევ ფიცრები გამოჩნდა.

იქიდამ წამოვედით. ერთს მონასტერში შეგვიყვანეს. მართალს გეტყვი, ეკკლესიის საკადრისი ეკკლესიაც იყო. უნახავად გავხედი, მერმე დიაღ, რომ მომეწონა. მითხრეს: ეს ეკკლესია და ამის მონასტერი და სასნეულო სულ მებაღეებმა და მეხილეებმა ააშენეს და გაარიგესო. ვინც იმათი ავად გახდება, იქ დაწვება. ვინც მოკვდება, იქ დაიმარხება. მაგრამ ეს მიკვირს, იმისთანა კაცებმა იმდენი უცხოს მარმარილოს სვეტები, სხვადასხვა ძვირფასი ქვები სად იშოვეს! მე მოჩუენება რამ მგონია. კარდინალი საკრიფანდი ათი დღით უწინვე მობრძანდა ჩემ სანახავად. და დღეს პაპის ძმის წული კარდინალი მობრძანდა, საღამო ჟამ. გვიალერსა. კარდინალი რომ წავიდა, მაშინვე კარების უფროსი მწერალი მოვიდა. პაპის თავი ვეზირია. დიდ ხანს დაჯდა. მრავალი რამ იკითხა. კარდინალებისა და კრების საქმე სულ მის ხელთ არის. ის რომ გარეთ გავიდა, სახლიდამ კარში არ გამიტანა. პაპის ძმისწული ერის კაცი ალექსანდრე მოვიდა. უწინ მე მინდოდა ნახვა. არ მომიხდა. მოვიდა, მომიკითხა, ახლო დამისვა. მითხრა: მე ჩემის თავით არ მოვსრულვარო, პაპის მაგიერად შენდა სანახავად მოველო. პაპამ მიბრძანაო. რაც გეპრიანებოდეს, ერთს მოსამსახურეს მიბოძებდე და მიბრძანებდეო. ყმაწვილი კაცი იყო, კაი შვილი.

კთ მკათათვეს წავედით, დომინიკანი კარდინალი ვნახეთ. და მერმე წმიდის დიდის ანტონის მონასტერში მივედით. მისი მამანი ვნახეთ. კარგი და დიდი მონასტერი იყო, მაგრამ უცხო არ იყო რა. წმიდის ანტონის ცოტა რამ ნაწილი იყო. და მთელი ფრანციცის დოფინოს თემში ასაფლავია. ჩვენ ვერ ვნახეთ. იმ დღეს იფრადორის დესპანი სასეირნოდ გამოვიდა. მზის დასვლა იყო. ასი ეტლი უფრო გამოყვა. ცხენოსანს გარდა, დიაღ, დიდი ჯარი მოსდევდა. მე წმიდის ანტონის მონასტერში მივდიოდი. არ მოვიცადე, მონასტერში შეველ.

ლ მკათათვეს, მათის ანგარიშით ათი მარიობის თვე იყო, წმიდის ლავრენტის დიაკვნის დღეობა იყო. უწინ წაგვიყვანეს სანახავად და იმისი სახლები და საყდარი ვნახეთ. წირვა იქ მოვისმინეთ. იქ იზრდებოდნენ ბერძნისა და სომხის შვილები პაპის სამადლოდ, ვინც გაპარული მოვიდოდა, ან დაჭირებული ყმაწვილი კაცები. ჩვენობას ორმოცნი იყვნენ. მერმე შუა დღეს უკან წმიდის ლავრენტის მონასტერში წაგვიყვანეს. ქალაქს გარეთ ერთს

ეჯზეა. კაი და დიდი მონასტერი. კაი სვეტები, უცხო ქვების გრანიტისა. თვითო და თვითო მთელი ოროცამდი, ხუთ ხუთი ადლი, ზოგი ოთხი ადლი. სალხინებელზე ოთხი პორფირის სვეტი, თვითო სამი ადლი. ქვეშ სამარტვილე. შიგ წმიდა ლავრენტი, დიდი ხნის წამებული, ესაფლავა. მერმე რომ წმიდა სტეფანე მიასვენეს, პირველ მოწამე, წმიდა პაპამ წმიდა ლავრენტისთან ბძანა მისი დამარხვა. რომ მიასვენეს და ლუსკუმას ასწიეს, წმიდა ლავრენტი თვითონ მიწვა ცალს მხარეს და უკეთესი ადგილი წმიდა სტეფანეს დაუგდო. იქ ესაფლავა კიდევ წმიდა მოწამე იუსტინე. მარჯვენას მხარეს ესაფლავა წმიდა კვირიაკი დედაკაცი. ზედ გრიგოლ დეოლოღის სამწირველო აეშენებინა. უცხოს ფერადის მარმარილოთი იყო შემკული. თვითონ მაზე ხშირად ჟამს სწირევდის თურმე. მონასტრის ძირი უცხოდ იყო კენჭებით მოფენილი. მისთანა ვერსად ვნახე. კარგა შემკულიც იყო. ზეით კაი ნაწილები, მრავალი. იქიდამ წამოვედით. იმ დღეს იყო მისი დღეობაცა. წმიდა სოსანა ქალწულ მოწამეს საფლავზე დედათ მონასტერი იყო. მაგრამ დედათ მონასტრების მორთვა და სიმდიდრე არ დაიჯერება. აქ ესაფლავა წმიდა სოსანა. მამა მისი გაბინიო მეფის ძმა ყოფილა. ორივ უწამებიათ. წმიდა ფილიჩიტა დედაკაცი თავისი შვიდი შვილით, მოწამენი, მთელნი. ეკკლესიის ქებას ვერას დაგიწერ. უცხოდ შემკული იყო. წინ კარგა ადგილი ჰქონდა. იქით ერთი წყარო იყო. სამ თვალად გამოდიოდა. თვითო თვითოს წისქვილისათვის მეტი. შუაზე მოსე იდგა, კლდეს რომ კვერთხი ჰკრა და გამოეცა წყალი. და აქათ იქით ისრაილნი როგორ სვემდენ, ან რჩომას როგორ ასმევდენ. საკვირველობა იყო. ორმოცამდი ზარბაზანი მააგდეს. მაგრამ შიგნით რომ დედანი გალობდენ, ფანჯრებს შიგნით, მისთანა არა გაიგონებოდა რა. ყური მის უამეს ვერას ისმენდა. წმიდის პაპის მოსაკითხავი მესამეს დღესა და მეოთხეს არ დაგვაკლდის, მაგრამ ამ დღეს მრავალი უცხო შაქრიელი და შარბათები ებოძათ.

ლ͡ა მკათათვეს წმიდა პაპას ებძანა. ვიახელით, ფეხს ვაკოცეთ. მომიკითხა. მე მეორეს დღეს შენს ნახვას არ დავიკლებო. მაგრამ, შენც ხედავ, არ შემიძლიაო. მრავალი კაი სიტყვა მიბძანა. თავისის ხელით მიბოძა ძელი ჭეშმარიტი, კარგა გაკეთებული აკატის კრიელოსანი და ოქროთ გაკეთებული და ზედ ოქროს ხატი, ცოდ-

ვათ შესანდობლად, ნაწილები წმიდათა. მიბძანა: გამოგიგზავნიო. მიხარიან, რომში დიდი ხმა დაგივარდაო, კარგა იქცევიო და ჭკვიანადო. მრავალი მიალერსა. ნაწილებსა და ჩემს საჯდომს ეტლს გამოგიგზავნიო და ისე წადი ეტლით, წმიდა შვიდი ეკკლესია მოილოცეო, ცოდვათ შესანდობელი. ეს შვიდი ეკკლესია: პირველი წმიდის პეტრესია, მეორე წმიდის პავლესია, მესამე, თოვლით მოსვლა რომ დავწერე, ის, წმიდის ღვთის მშობლისა, მეოთხე რომ დავწერე, იოვანე მახარებელისა, კონსტანტინეს აშენებული, მეხუთე წმიდა ლავრენტი დიაკვნისა რომ დავსწერე, მეექვსე ჯვარის ეკკლესია და მეშვიდე წმიდის სევასტიანე მოწამის საფლავი. ესენი ქვეითად უნდა მოიაროს ორმოცს ჟამზე ერთმა კაცმა მხურვალის გულითა და ყველგან ლოცვა თქვას. და როგორათაც გულით ილოცავს, იმგვარად მიეტევება. მე თავათ ბერი კაცი ვიყავი და სნეული და ავი დრო იყო, სიცხე. პაპამ დასტური არ დამცა ქვეითობისა. შენდობა მიბძანა: მე ისევ შენდობა მომიცემიაო. ჩემის ეტლით წადიო. სადილ უკან წავედით, პაპის ძმისწული იყო, ერთი ქალწული, მის სანახავად. ვინც ეპისკოპოსი იქნება, დაბალის კაცის შვილი ვერ დაჯდება. თვარა ნახეთ, პაპა როგორი დიდის კაცის შვილი იქნება. მაგრამ დაბალიც რომ დაჯდეს, თუ პაპას და, ან ძმისწული, ან დისწული ჰყავს, დიდი კაცი შეირთავს. ეს პაპა დიდის კაცის შვილიც არის. მეთორმეტე კლემენტე იყო და ერთი ძმისწული ჰყვანდა. მართალს გეტყვი, ლამაზიც იყო და სანახავად სადედოფლო და დიდურად ნაქმარი, რომ მისთანა მის ნახვამდი ვერა ვნახე რა საფრანგეთში. და მრავლის დიდს კაცს მეფედ მოენდომებინა. იმას ეს ეთქვა: თუ ბიძა პაპად არ დამჯდომოდაო, ვინც მეფეები მითხოვდენ, მეც შევირთევდიო, მაგრამ აწ ბიძა ჩემს არ ეკადრებაო, ქვეყანა მე მეჭიროს, ან მაშინ შევირთო ქმარიო. და წმიდის ტურეზიას ენკრატისი შექნილიყო. ახლა დაეწყო შენება ერთის მონასტრისა. და მათი ეკკლესია სხვებსავით გარიგებული ვერ იყო. ოღონ წმიდის ზიარების კიდობანზე ექვსი უცხო სვეტი იყო. თვითო წყრთა უცხოს ქვისა. და თვითონ, დიაღ, პატიოსანი ქალი. და თვითონ უფროსად არ დამდგარიყო. ერთი პატიოსანი მოხუცებული ქალი იყო. ზეით ის დასვა, ქვეშეთ თვითონ მიუჯდა. ფანჯარიდამ გვნახა, როგორც სხვათა. იქიდამ წავედით წმიდის ანუსიას საფლავზე. ქალაქს გარეთ ორს ეჯზე იყო. ღამეც გვეს-

წრა. ორმოცდახუთი კიბე ჩავიდოდა ღრმად, სულ მარმარილო. მისი სახლი ყოფილიყო. თორმეტის წლისა იქვე ეწამებინათ. მაგრამ საკვირველად იყო ის მონასტერი შემკული. დიდი ეკლესია, მრავალი უცხო ქვის სვეტები ორ რიგად, ზედ ქვე სვეტები მოყვანილი. იატაკი უცხოდ შემკული. დიდს ტრაპეზში წმიდა ანესა ემარხა. ზედ მისი ხატი იყო ამართული. მაგრამ ის მეუცხოვა, თეთრი აკატის ქვა გაეთალათ და პერანგსავით ჩაეცმიათ. როგორ ქნეს, ის მიკვირს! ოთხი პორფირის სვეტი, თვითო სამი ადლი იყო. მაგრამ რომში მისთანა პორფირი არ მინახავ. სარკესავით ჩნდა. ზეიდამ იმ სალხინებლის კამარაც სულ პორფირის ქვით იყო. წმიდა მერანციანა ქალწულ მოწამეც იქ ესაფლავა. იქიდამ, ზედვე ება, ერთი წალკოტი გაივლიდა. ერთი საკერპო ყოფილიყო ღვინის ღმერთისა, მაშინდელივ ნაშენი. მრგვალი იყო და შუა მოვლით ოროლი სვეტი ჰქონდა მოვლებული. ორმოცი სულ ჭრელი მარმარილო და გრანიტის ქვა. მერმე იმაზე კამარა. და უმაღლეს შიგნით გუმბათი. და სულ კენჭით დახატული. ღვინის ღმერთი და ყურძენი, მისი კრება და მოსთვლობა და წნეხა და მარნები, სმა და სიმთვრალე. შუაზე მდგარიყო იმ ღვთის საფლავად და აეღოთ, კიდურში დაედგათ. ერთი პორფირის ქვა მთელი, ამოჭრილი, თორმეტი მტკაველი სიგრძე, შვიდი განი, ექვსი სიმაღლე და თავსახურავი ისევ მთელი. მაგრამ სიდიდე არ იქნება! გარშემო სულ უცხოდ მოჭრილი იმ ღვინის ღმერთის საქმეები. ის ერთს კუთხეში დაედგათ უცხოობისათვის და ის საკერპო კონსტანტინე მეფის ქალს წმიდის კოსტანტიას ეკლესიად მოექცია. თვითონ სნეულება დამართებოდა. წმიდას ანესას შეხვეწოდა. მოერჩინა. ამისათვის ის საკერპო ეკკლესიად მოექცია. თვითონ იქ დამდგარიყო. დედათ მონასტერი აეშენებინა და იქ დამდგარიყო. და წმიდა შექმნილიყო. და წმიდა ატტივა ქალწულ-მოწამე და წმიდა არტემია ქალწულ-მოწამე იმ შუაზე ესაფლავა. ზედ ტრაპეზი იყო. საწირავია იქიცა. მაგრამ წმიდის ანესას საფლავზე მრავალი კანდელი ენთებოდა, სულ ბროწეულის სახე. მაგრამ ერთი ხუცესი მსახურებდა, და ორსავ ადგილსა სახუცო იყო, მონასტერი არ იყო.

ა მარიამობისთვეს წავედით წმიდის სევასტიანეს მონასტერში, აღმოსავლის მხარეს, ძველს რომს იქით ერთს ეჯზე კიდევ უშორ იყო, მივედით, შევედით მონასტერში. დიდი და კარგი, მაგრამ

სხვებისთანა შენებულობა არ იყო. შუა დიდს ტრაპეზს ქვეშ წმიდა სტეფანე პაპა მოწამე ესაფლავა. მარცხენას მხარს ტრაპეზში წმიდა სევასტიანე და ძირს წმიდის სევასტიანეს სახე, მარმარილო გათლილი, ისრები შიგ ეჩარა, მკვდარი. ასე ეგონა, აწ მოუკლავთო. მარჯვენა მხარეს ტრაპეზე ესვენა. რომიდან რომ პეტრე გაიპარა, წინ ქრისტე შემოეყარა. ჯვარი ეკიდა, რომ მივიდოდა. პეტრემ ჰკითხა: უფალო, სად მიხვალო? ქრისტემ უბრძანა: მეორედ კაცთათვის რომში მინდა ჯვარს ვეცვაო. პეტრე გონებას მოეგო. ქრისტე აღარსად ჩნდა და ორივ ფეხი ქვაზე აჩნდა. იმ ქვაზედ ფეხები აჩნია ქრისტესი. წმიდა პეტრე და პავლე უწინ იქ საფლავებულან სამას წელიწადს დაბლა სამარტვილეში. და თვითო მათი კბილი იქავ დაუსვენებიათ, იმ ტრაპეზზე იყო. სხვადასხვაგან დაუმარხავთ წმიდის ურბანოს პაპის მოწამის თავი, ანდრია მოციქულის მკლავი, წმიდას ლუკას მოწამის თათი, წმიდის როკოს მკლავი, წმიდა კალინიკე პაპის მოწამის თავი, წმიდის ქრისტეფორეს მკლავი, წმიდა ვალენტინა ქალწულ-მოწამის თავი, წმიდის სებასტიანეს მკლავი, წმიდა რომის პაპის სტეფანეს თავი, წმიდის სევასტიანეს მინაქრის სვეტის ნატეხი და ორი დიდი სკივრი მრავალი ნაწილი. ასსამოცდა ექვსი ათასი წმიდის ნაწილი ძესო. აქედამ წაგვიყვანეს. წმიდა პეტრე-პავლეს საფლავი ვნახეთ. გამოგვაბრუნეს. სხვა კარი გააღეს. ჩაგვიყვანეს სანთლებითა. ძველის რომის დრონი რომ ყოფილა, ქრისტეანენი იმაში დამალულან და წმიდა პაპები. და ვისცა აწამებდენ, იქ დამარხვიდენ, მოიპარიან. სიარული მოგვეწყინა. აქათ იქით ზოგან ოთხი საფლავი იყო ერთმანეთზე, ზოგან სამი, ზოგან ერთი. მრავალი გამოესვენებინათ, სხვაგან დაემარხათ. და უანგარიშო და კაცთშეუგებელი შიგავ არის. ვისიც სახელი სცოდნიათ, საფლავის ქვაზე სწერია, ვისიც სახელი არა სცოდნიათ, ერთი ხურმის ფოთელი ქვაზე მოჭრილია და ერთის ჭიქით თავისი სისხლი თავით უდგას. ზოგს და ზოგს მარტო ხურმის ფოთოლი აქვს. მრავალი კარია მიწით ამოვსილი. თუ სანთელი გაუქრა, კაცი გზას ვეღარ გაიგებს. შიგ საყდრები არის. სახლები უანგარიშო. იქიდამ წამოვედით, გზაზე, სადაც ქრისტე პეტრეს შემოყროდა, იმ ადგილს ერთი მომცრო ეკკლესია აეშენებინათ. და იმ ქვის მაგიერ, ერთს მარმარილოს ქვაზე ქრისტეს ფეხის სახე გამოეყვანათ, იმ ქვის

ზომაზე და ის დაედვათ და ზედ რკინით გარდაეჭედათ ნიშნად. და აქათ ქრისტე ჯვარაკიდებული, ეკლის გვირგვინიანი, ნაცემი, დასისხლებული იმ დღესავით იდგა. და იქით პეტრე დახატული იყო. ის დღე გეგონებოდა რომ გენახა. სადილს უკან წავედით წმიდის ფილიპე ხუცის საფლავზე. ას თექვსმეტი წელიწადია რომ მიცვლილა. რომელიც პირველ საკვირველ მოქმედი გსმენიათ, ისე საკვირველთ მოქმედია. სიცოცხლეში კაცის ცოდვის სიმყრალე თურმე აწუხებდა. და მრავალი უცხო სასწაული უქნია და დღესაცა იქს. ორმოციოდ ხუცესი იდგა. მისი ხუცები უფრო სხვარიგად იქცევიან. მაგრამ, რომ შეველ მის მონასტერში, გაკვირვება დამეცა. ან ეკკლესიის სიკეთე და შემკობა, ან ნაშენობა, ან სიმდიდრე. და კანდელი და სასანთლე ნაწილი მგონია შვიდასი ლიტრი ვერცხლი იყო. თოთხმეტი მთელი კაცის ტოლ ტოილ ვერცხლის წმიდაები. მაგრამ ყველას ვერას თავს გაუალ და მას იტყვით: ყველას ასე სწერს, თურმე ტყუისო. სხვა სხვარიგი და წვლილი უანგარიშო. ამას დაგიწერ: წმიდა გრიგოლ საკვირველთ მოქმედის თავი და წმიდა ეგნატი ღმერთშემოსილისა ისევ ბერძნულის გვირგვინით, ბისოვნით, ომფორით. ნაწილები კაცის ტოლები და წმიდის სფირიდონ საკვირველთ მოქმედის მარჯვენა მკლავი იქ იყო. უცხოდ მორთული მონასტერი, მომცრო. გაუწყობელი წალკოტი. შვიდი, რვა შადრევანი. მაგრამ უცხო ქვები და აკატები, ან პარაგონის ქვები. გამიკვირდა. თეთრი იამანები, ზედ თავისის ბუნებით. ხეები, ყვავილები შავად ამოსული. თვითო მტკაველი მეტი და ნაკლები. მრავალი სხვა ფერი. გავოცდი. იმ წმიდის ფილიპეს საწირავი ადგილი, სენაკი, საწოლი, ლოგინი, ქვეშაგები, წიგნები სულობით ნაწილად ჰქონდათ, პატივით. მისი გული უცხოთ მოჭედილი და მორთული. ამისთანები მრავალი. ძელი ცხოვრებისა და სხვა მრავალი. აქიდამ წმიდის როკოს მონასტერში მივედით. წმიდა როკო ფრანცას ასაფლავია. მაგრამ ერთს ეკკლესიად ისიც ღირს იყო. უცხოდ შემკული იყო. ქსენონებიც იყო.

ბ მარიამობისთვეს წავედით იოვანე მახარებელის მონასტერში რომ დავსწერეთ, კონსტანტინე მეფის აშენებული, წმიდის პაპის ეკკლესია და სადგომი ის არის. პაპა მისი ეპისკოპოსია. პირველ რომში აშენებული, ქრისტიანობაში, ეკკლესია ის არის.

და მერმე რომ წმიდის პეტრეს საფლავი აუშენებიათ, რომელიც პაპა იქ დამდგარიყო, ის თავისი სასახლე ობოლთათვის დაუგდია. რაც რომში ობოლი ქალია, უპატიოსნო, და, თუ ვისმე პატრონს შენახვა არ შეეძლოს, იქ მიიყვანს. რვაასის ქალის ადგილია. ხან მოემატება, ხან დააკლდება. ჩემობას ოთხასი იყო. პატარას მოიყუანენ, ყოველს საქმეს ასწავლიან: წიგნსა, სჯულის საქმეს, მერმე ხელოვნობას. ენკრატისები ადგანან, მოძღვრები და მწირველები. ყოლის ფერით გარიგებულია. სასმენელად, სასიცოცხლოდ. რომელიც მოინდომებს მონსტერში შევა, რომელიც მოინდომებს ქმარს შეირთავს. სასაქმოს სულ პაპა მისცემს: სასმელს, საჭმელს, ტანსაცვამს. და რასაც ასაქმებენ, ოთხი მონასტრისაა, ერთი თავეთი. რახან გავლენ, ას მარჩილს მზითევს გაატანს. ოცს წლამდინ ვერ გათხოვდება. ოცის წელიწადისა რომ შეიქნება, თვითონ რაც უნდა იქს. ას მორჩილს მისცემენ. იქ ვერავინ შევა. ოღონ ჩვენ პაპის ბრძანება გვქონდა და მისი კაცი დაგვიძღოდა. კარები დაგვიღეს, სამზარეულო, სამუშაო, სარცხლო ყველა გვიჩვენეს. თორემ, როგორც სხვა დედათ მონასტერი, ისეა, ვერავინ ნახავს. ვინც თავის დისა და შვილის სანახავად მივა, ფანჯრიდამ ნახავს. ჩვენის გულისათვის იგალობეს. მაგრამ გავკვირდი. მრავალი კაი ხელსაქმარი ვნახე მათი გაკეთებული. ზეით რომ ვაჟი ობლების მონასტერი დავწერე, მათს ტანისამოსს ესენი დაჰკერვენ და რეცხენ. ვისაც ქმარი მოუნდება, მათგან შეირთვენ. იქიდამ წამოვედით. წმიდის კლემენტოს რომის პაპის მონასტერი ვნახეთ. ძველი და დიდი ხნისა იყო. წმიდა ეგნატი მოწამე, იოვანე მახარებლის მოწაფე, იქ ესაფლავა. ახლა ეს წმიდა პაპა აკეთებდა, რადგან ამასაც კლემენტოზ ერქვა. რაც ძველი იყო, აახლებდა. კაი მონასტერი. სოფიოთი დახატული. კაი მარმარილოს სვეტები. კარდინალების სასხდომი სულ თეთრი მარმარილო, უცხო გათლილი. იქიდამ წამოვედით. წმიდის ფრანჩისკო რომაელის მონასტერში მოვედით. წმიდა ფრანჩისკო ქმრიანი ქალი ყოფილა. ასეთი წმიდა ყოფილა, რა ლოცვად დადგის, ანგელოსები უგალობდენ. ახლაც უცხო საკვირველთ მოქმედია. ის ეკკლესიაც უცხოდ იყო შემკული და დიდად. და გარეთ და შიგნით საკვირველად გაკეთებული. მრავალი უცხო ქვები და თავისთავით იამანები ვნახე ბუნებით დახატული. და უცხო ალაბასტრები ჭრელები. მისი

საფლავი შუა ტრაპეზს წინ, უცხოდ შემკული. და ლუსკუმა სულ ვერცხლისა, დაფერილი. და ზედ მისი სახე ვერცხლისა გამოყვანილი, მძიმედ დაფერილი. ცალს მხარეს პეტრე, სვიმონ მოგვი რომ ჩამოაგდო, ქვაზე ეჩოქა, ის მუხლები ზედ აჩნია, ქვები ეტანა. მრავალი უცხო ხატი და მარმარილო მოჭრილი სხვა იყო. მაგრამ ერთს სამწირველოში ექვსიოდ სასანთლე იყო ხისა. თვითო ანგელოსს ეჭირა. ყოლის უცხოსაგან ის უკეთ მომეწონა. უცხო რამ გაეკეთებინათ. იქიდამ წამოვედით. წმიდის მარტინას საფლავზე მიგვიყვანეს. ქალწულ-მოწამე იყო. ეკკლესია ჯვარის სახე იყო. და ყველა ამას ცდილობდა, მე უკეთესი ავაშენოო, მე უფროსი ხარჯი ვქნაო. და მეც მიკვირს: სად გამოვიდა ამდენი უცხო ოსტატი. სხვას იქაურს უცხოვებს არას დაგვიწერ. სამარტვილეში ჩაგვიყვანეს. როგორც ზევით საყდარი იყო აშენებული, ქვემოთაც ისე იყო. მაგრამ, როგორც შავს ქვას, ცუდს, ბროლი სჯობს, ისე ზეითს ქვეშეთი სჯობდა. ოცდა ხუთი უცხო სვეტები ფერადი მარმარილოსი. მაგრამ უფროსი ერთი ლურჯი იყო. შიგავ ეპოვათ ეს ქვები. და რამდენი უცხო აკატის ქვა, დიდრონი, ან იასპი, ან ლაჟვარდი იყო, არ ითქმის. ოთხს მხარეს: ერთში ესაფლავა წმიდა საბიანა ქალწულ-მოწამე, მეორეში დეოროთია ქალწულ-მოწამე, მესამეში თეოდორა ქალწულ-მოწამე, მეოთხეში ეფემია ქალწულ-მოწამე. იმას წინ, საკურთხეველის ძირში, წმიდა მარტინა ქალწულ-მოწამე და კონკორდი კაცი მოწამე და ეპიფანე კაცი მოწამე. სამნივ ერთად. ამასთან საფლავზე სულ იასპი და აკატი და ლაჟვარდი იყო შემკობილი. მაღლა ერთი ხატი იყო ყოვლადწმიდისა. ქრისტე ეჭირა და მარტინას წინ ეჩოქა. და ზეით კიდე ის სამნი მოწამენი იდგენ, თეთრის აკატისა, მთელი, გათლილი. გასინჯეთ რა სასჯელი უნდა, ან რა ფასისა იქნება. სადილს უკან წავედით. წმიდის პეტრეს ეკკლესიას იქით ერთი ეკი ნამეტნავი იყო. სხვა კარმელიტანების მონასტერში წმიდა გრიგოლი დიოლოღის სასახლე. და დიდად ჰყვარებოდა ის სასახლე, ის ადგილი. მისი ნაჯდომი სკამი და ადგილი ეკკლესიაში. დიდი ეკკლესიაც იყო. აქათ იქით ექვს-ექვსი სვეტი ნაგები ჰქონდა. ძირი უცხოდ შეწყობილი. კენჭები უცხოს, სრულ კაი ქვისაგან, ზოგი სოფიოთ, გვერდები ზოგი დახატული ძველადბერძენთაგან. სალხინებელზე ძირს ოთხი პორფირის სვეტი. თვითო სამი აღლი.

და ზეით კამარაში სალხინებელში ოცდარვა პორფირის სვეტი თვითო ნახევარ ადლი. და იმას ზეით რვა პორფირის სვეტი იმავ ტოლი. ერთი ტრაპეზს წინ, ორი სახარების საკითხავს წინ, ერთი სამოციქულოს წასაკითხავს წინ, ერთი სამოციქულოს წაკითხვის წინ, ერთი მარჯვნივ. სხვა ტრაპეზა წინ — და ერთი მარცხნივ. პორფირის ქვები იყო. სიგრძე თვითო თორმეტი მტკაველი, განი ექვსი მტკაველი. მაგრამ სხვა ქვები მისი უმცროსი ფორფირი, თუ ალაბასტრი, თუ აკატი ურიცხვი. მარმარილოსა და გრანიტის სვეტები. პარაგონეს ქვები. ამგვარები. და იქიც ჩაისვლებოდა ეკკლესიას ქუეშ, როგორც წმიდა სევასტიანეს საფლავზე იყო დარანი და ჩასავალი. ჩაგვიძღვენ სანთლებითა. უანგარიშო მოწამეთ საფლავები და ნაწილები. სულ ფეხით ზედ ვიარებოდით. შვიდასი მთელი გვამი სახელწოდებული ამოელოთ, ტრაპეზს ქუეშ მიელოთ. ზოგი სხვაგან მიეცა წმიდა პაპას და სხვა ისევ იყო. ჯერ გზებიც არ გაეხსნათ. წმიდა ეკლესტინე პაპა მოწამეც იქ ეპოვათ და მრავალი სხვა. წმიდა გრიგოლი დეოლოღი თურმე ამისთვი ეწყობოდა იმ ადგილს. შიგ სხვა მრავალი უანგარიშო. მაგრამ მოჭედილი და შემკობილი ნაწილიც უცხო მრავალი გვაჩვენეს. უცხო ბროლის სასანთლეები, უცხო ბროლის ჯვარები, ამგვარები მრავალი რამე.

დ მარიამობისთვეს წავედით, იოანე მახარებელი სადაც ადუღებულს ფისში ჩაეგდო ნერონს. გზის შუა გულზე ერთი მომცრო, მრგვალი სამწირველო იყო. ოთხი, ხუთი კაცი თუ დაეტეოდა. და ტრაპეზს ქვეშ ის ქვები იყო. სხვა არა რა. ოღონ ტრაპეზი მარმარილოსი იყო და კანდელებით შემკული. იმ გზის იქით სხვა იოვანე მახარობლის ეკკლესია იყო, დიდი და ძველი. სვეტებიც კაი ჰქონდა. წამოვედით. ერთი საკერპო ყოფილიყო. სიმართლის ღმერთს ეძახდენ თურმე. ერთი დიდი ქვა იყო. კაცის თავი, პირი ღია. იმაში ვინც ხელს შეჰყოფსო, თუ მტყუანიაო, მოუჭირებს და მოსტეხს. ამაზე ღმერთს ეძახდენ. თურმე ის ქვა იქავ იდვა. და ის საკერპო ეკკლესიად მოექციათ, მართლის ღვთის დედისად. კაი ეკკლესია იყო. იმ კერპისას თურმე ასე იტყოდენ. ერთს კაცს ცოლი გაუბოზდა. შეეტყო და შესწამაო. დედა კაცმა შორს დაიჭირა. ქმარმა უთხრა: თუ მართალი ხარო, სიმართლის ღმერთს პირში ხელი ჩაუყაო. დედაკაცს რა ღონე ჰქონდა. ორის დღის

უკან პირობა მისცაო. თავის მუსაიბი იპოვნა, უთხრა: ჩემმა ქმარმა ასე მომიდვა, სიმართლის ღმერთთან მიგიყვანო. თუ ხელს ჩაუდებ, ხომ მომტეხსო. იმ კაცმა უთხრა: ნუ გენაღვლებაო, მე სხვა გლახურად მოვირთვი, თავს მოვიგიჟებო, გზაზე დაგხვდებიო და გიჟურად გაკოცებო. შენ სიმართლის ღმერთს ასე უთხარიო: რაც შენ რომ ნახე, ის კაცი, რომ მაკოცაო, და შენ გარდა თუ ვიცოდე ვისთანმე, ჩემიმც ხელი მოუჭამიაო. და ამით მორჩებიო. ისე ქნა დედაკაცმანო, და მას უკან პირი აღარავის მოუჭირაო. მაგრამ ის კერპი იქავ საყდრის კარის ბჭეში ძეს.

იოვანე მახარებლის ქვაბის ადგილს ახლაც ერთი იმ გვარი დარანი გამოჩენილიყო, მოწამეთა რომ დავსწერე, ოთხიოდ ზანდუკი სავსე ნაწილი პაპასთან წაეღოთ. და სხვა კარი ისევ დაებურათ. არავინ იცის რა არის, რა არა შიგა. ოღონდ ეს იციან, ისიც სიმარტვილეა დიდი. იქიდამ სხვა საკერპოში მიგვიყვანეს. გარშემო სულ სვეტები ყოფილიყო ზეიდამ კამარა. მზის ღმერთს ეძახდენ თურმე და აწ სიმართლის მზის დედის ეკკლესიად ეკურთხებინათ. მომცრო ეკკლესია იყო. იქიდამ მოვედით მარიამ მეგვიპტელის ეკკლესიაში. მომცრობა ეთქმოდა, მაგრამ ძველი და კარგი ნაშენები იყო. სომხები ვინც მივლენ, იქ დადგებიან. იქ სმენ და სჭამენ. ვინც მოკვდება, იქ დაემარხებიან. გრიგოლი პართეველია დახატული და მისი სატანჯველები.

ე͡ მარიამობისთვეს პაპის მქადაგებელი ვნახეთ, წავედით. და იქიდამ გამოვბრუნდით, წმიდა გრიგოლ დეოლოღის სახლი ვნახეთ. მონასტრად იყო. მრავალი კაი სვეტები იყო და ძირი უცხო მოფენილი, ხათაბანდად. ზეიდამ ხით იყო დახურული. იქ ვნახეთ ტრაპეზს ქუეშ მრავალი ნაწილი წმიდათა. სხვას ტრაპეზს ქუეშ — წმიდა მოწამე პანტელეიმონ, სხვას სამწირველოში — წმიდა სილივია, წმიდის გრიგოლის დედა დამარხული. წმიდის გრიგოლის ტაბლა, რომ გლეხებს პურს აჭმევდა და ანგელოსი დაუჯდაო, წმიდის გრიგოლის საწოლი და სალოცავი სახლი. წმიდა გრიგოლის რომ ყოვლად წმიდის ხატი გამოელაპარაკა, ის ხატი. იქიდან გამოვიარეთ, სადაც წმიდა პეტრე და პავლე საპყრობილეში ება, ის ვნახე. ერთმა წარმართმა პავლეს ხელი უწია და პირი ქვას მოახვედრა. სახეზედ გამოჩნდა ის ქვა. წმიდა პეტრე და პავლე რომ იმ ხაროში იყვნენ, რასაც წყლით ნათელს სცემდენ, ის წყალი.

ვ მარიამობისთვეს წავედით წმიდის ბალბინა ქალწულ-მოწამის მონასტერში. მისი საფლავი იქ იყო. და წმიდა კვირინე, მამა მისი, მოწამე, და სხვა. წმიდა ურბანოს პაპა მოწამე, და წმიდა ფილიქსიმონ მოწამე, და წმიდა აღაპისტოს მოწამე, წმიდა მავნოს მოწამე, წმიდა იანვარა მოწამე, წმიდა ბიკენტი მოწამე და ხუთი სხვა მოწამე; მთელი სახელები არ იციან. და ერთი დარანის კარი იყო შიგ მრავალი მოწამე. ჯერ კარი არ გაეღოთ.

მარიამობისთვეს წავედით ერთს მონასტერში რომ რომის დარბაისლის შვილებს ზრდიდენ. ყოველს ზნეობას ბერები ასწავლიდენ. ის დღე მიცვალების უკან კვირა დღე იყო, ყოველის იმ დღეს იქ შეიყრებიან კარდინალები და ეპისკოპოსები და დიდრონი თავადები ყმაწვილების სანახავად, რომ ვის არ უსწავლია ნახონ. ადრიან მივედით. წინას დღეს კიდეც მოვიდენ ორი დიდებულთ შვილი. და მაწვიეს იქა, მათის წინამძღვრის მაგიერ. შევედით. წინამძღვარი კარზედ დამხვდა. სულ მონასტერი, გზა, სახლი, თუ სამწირველოები დიდად შეემკოთ, სულ კაის არშიებითა და წითლის ქამხით მოეფარდაგათ მძიმედ. ზედათ თავს ოთხ რიგად ხარისხად მგალობელთა და საკრავთ მკვრელთ სასხდომი იყო, შუა სამი მგალობელი იჯდა, მაღლა ცხრა ჭიანურის მკვრელი. იმას ქვეით ცხრა კიდევ მომცრო ჭიანურის მკვრელი. იმას დაბლა, მგალობელს აქათ იქით. ოთხი დიდს ჭიანურს უკრევდა, ერთი წინწილსა და ერთი ხუთძალსავით, გრძელი რამ საკრავი იყო. ერთი მხარის ტარი უფრო ჰქონდა, სიგრძე შვიდიოდე ალყა ება, და ხელს ახლო მრავალი ალყა. დაბლა შუა საქადაგო, მაღალი საფსალმუნე იყო. დაედგათ ხუთი სკამი კარდინალისათვის აქათ და ხუთი იქით. კარდინალების უკან ცოტა რამ გზა დაეგდოთ, გასასვლელი. ეპისკოპოსების სკამები იდგა სულ სიმრგვალეზე ორმოცამდი. და მათს უკან ზედა სამპირად წინამძღვრებისა. და კედლებში, მაღალ დაბლობით ოთხ პირად, სულ თავადებისა სადგომი. შევედით. ერთის კაის ადგილს ჩვენ დაგვაყენეს. მოვიდენ მგალობელნი, დამკვრელნი. თავის ადგილს დასხდენ. მოვიდენ კარდინალნი და ეპისკოპოსნი. ყველანი თავის ადგილს დასხდენ. აგრევ თავადნი. და დაუწყეს კვრა, მაგრამ კაცის ყური შეიშლებოდა, ის სამი მგალობელი შეუხმობლად თვითო თვითო გალობდა. ერთი წვრილ ხმა, ერთი საშუალი, ერთი ბოხი. მაგრამ მოსაწონი იყო. რა

ერთი ხელი იგალობეს, ერთი ყმაწვილი წამოაყენეს: კარდინალებს ყვავილი ჩამოურიგა: თვითო აბრეშუმისა, თვითო მართალი ყვავილი. აქათ იქით თაყუანი სცა და შედგა საფსალმუნეზე და ყოვლად წმიდის მიცვალება ლათინურად იქადაგა. გაათავა. აგრე მგალობელთ ყოვლად წმიდის გალობა იგალობეს. რა დაასრულეს, მერმე მეორე ყმაწვილი წამოდგა. ეს უფრო იყო. იმან აგრევ კარდინალებს აქათ იქით თაყუანი სცა, ავიდა საფსალმუნეზე და ყოვლად წმიდის ამაღლებაზე იქადაგა. მერმე ისევ მგალობელთ დაიწყეს გალობა. და მესამეზე ერთი პატარა ყმაწვილი შედგა. იმან ყოვლად წმიდის მარჯვნით ღვთის დადგომისათვის ბერძნულად იქადაგა, ბერძნის შვილიც იყო. წამოვედით სადილს უკან. პაპის სამადლოდ რომ ბერძნის, სომხის და არაბის შვილები და სხვათა იზრდებიან, იქ მივედით. ისევ კარდინალები მოვიდენ და ეპისკოპოსები, მაგრამ სიმდიდრე იმ უწინდელებისა უფრო ჩნდა. დასხდენ. ჯერ ერთი ყმაწვილი შედგა, იქადაგა და რა გაათავა, ამათში მგალობელი არავინ იყო, გათაებას უკან პირდაპირ ცამეტი ყმაწვილი კაცი ისხდენ. შუა უფროსად ერთი ეთიოპელი შავი იჯდა. ადგა კარდინალებს თაყუანი სცა და ღვთისმეტყველება დაიწყო. და სხვამ სიტყვა უგო. დიდ ხანს ილაპარაკეს. მერმე ეთიოპმა მათის ენით ყოვლად წმიდაზე ქების ლექსები თქვა, მისგან გამოთქმული. და თქვა: მე ეთიოპი ვარო, ამა და ამათგან, ამ ადგილისაო, სახელი თავისი. და კარდინალებს თაყუანი სცა დიდად. სამმა პატარა ყმაწვილმა ისევ ყვავილები ჩამოურიგეს და ყოვლად წმიდის ამაღლების ხატები. კარდინალებს ორ-ოლი მიართვეს და სხვათ თითო. მერმე სხვა ადგა. აგრევ დაიწყო მეტყველება და ყოვლად წმიდაზე ლექსი თქვა. და თქვა: მე ლათინო ვარო და დაჯდა. სხვამ თაყუანი სცა და ლექსი თქვა აგრევ: და მე რუსი ვარო. დაჯდა. სხვამ: მე ბერძენი ვარო. და სხვამ: მე მეგვიპტელი ვარო. სხვამ: მე ნემსა ვარო. სხვამ: მე ბოშნაღი ვარო. სხვამ: არაბი ვარო. სხვამ: მე სომეხი ვარო. სხვამ: სპარსი ვარო. სხვამ: მე ებრაელი ვარო. სხვამ: მე თურქი ვარო. სხვამ: მე ასური ვარო. ასრე ყველამ თვითო თვითო სხვადასხვა რიგისი ენა და ლექსი და სიტყუა იბურნეს. მათმა ეპისკოპოსმა კიდეც მიხუმრა: ქართველი გვაკლია, ყმაწვილები გამოგზავნეო, ასე ვასწავლიო და იქავ გამოვგზავნიო. მაგრამ ეს არც ხუმრობა იყო. მართლა

მთხოვა პაპის ბრძანებითა. მერმე ის სამი ყმაწვილი წამოდგენ. იმათ იდავეს დიდხან და არ მესმოდა რას ამბობდენ, მაგრამ კაი რამ იყო. გაათავეს, და წამოვედით.

თ მარიამობისთვეს წავედით. ერთს კარდინალს ერთი მონასტერი აეშენებინა. ეკკლესია პატარა იყო, ორი მღვდველი იდგა. რაც ღარიბი და გამოვარდნილი ლოტრანი, თუ სომეხი, თუ ასური, რაც მწვალებელი მოვიდის, იქ შეინახევდენ. ასმევდიან, აჭმევდიან, ჩაცმით, დახურვით, სჯული ასწავლიან და გაუშვიან. ორმოცდაერთი წელიწადი იყო რომ აშენებულ იყო. სამი ათას-ოთხას ოთხმოცდა თორმეტი სული მოუქცევიათ და ქრისტესათვის შეეწირათ. ჩემობას სამოცამდი იყო, მაგრამ ყველა ვერ ვნახე. ზოგი გარეთ იყო.

ი მარიამობისთვეს წავედით წმიდის ათანასე ალექსანდრელის მონასტერში. სულ ბერძნები იდგენ. მონასტერიც კაი და პატიოსანი და კარგა შემკული ჰქონდათ. ოღონდ სვეტები და უცხო ქვები არა იყო რა, მაგრამ თეთრის მარმარილოთ ნაგები. მრავალი კარგი ნაწილები. ტრაპეზი კარგა მორთული. ზიარების კოლოფი უცხოდ გაკეთებული და ბერძული კანკელი. ბერძულად წირეს, მაგრამ დიაღ, გაკრძალვით და კარგა წირეს. ამათი რიგი კარგა მომეწონა. ასე კარგა იქცეოდენ. კაი წალკოტი ჰქონდათ რომში. კაი უცხო შადრევნები. იქიდამ წამოვედით წმიდის ბენედიქტეს მამათ სანახავად. ვნახეთ და მრავალი უცხო ხატები, სულ სირმით ნაკერი, ვნახე და იმათი ტილო, რომ არ დაიწვის ცეცხლში. მისი ძაფები მაჩუქეს. ტილო კი არ ჰქონდათ. კაი ნაწილები.

ია მარიამობისთვეს წმიდა პაპას წმიდის კლემენტო მოწამის თავი ებოძა, ნაწილი მთელი და ეტლი თავისი შვიდს ეკკლესიაში სალოცავად.

იბ მარიამობისთვეს წავედით შვიდაის ეკკლესიის სანახავად. უწინ სალამო ჟამს წმიდის პეტრეს ეკკლესიაში მივედით. მეორე დღეს ადრიან წმიდის პაულეს ეკკლესიაში წავედით. ძველის რომიდან ეჯი და ნახევარი იქნებოდა. რომის წყალზე ახლა დიდი ეკკლესია იყო, მაგრამ აგურით ნაშენი იყო და ზეიდამაც ხით დახურვილი. ოთხმოცდა ათი თვითო ქვის სვეტი ჰქონდა. თვითო ექვს ადლს უმაღლე, ზოგი რვა ადლიც იყო. ორ მხარის უფრო სისხო. ზოგი გრანიტი, ზოგი სხვა ქვა. ოცდა ოთხი სვეტი.

ტრაპეზებზე პორფილი იყო, მაგრამ მომცროები. ოთხ-ოთხი ადლი იქნებოდა. ტრაპეზი სულ სოფიოთ დახატული. და ზოგი გარეთი წვეთს წაეხდინა. ძველი ეკკლესია იყო. სულ ბერძნის დახატული. სამი ნაბიჯი სიგრძე სდ განი. ნახევარი წმიდა პეტრეს გვამი და ნახევარი წმიდის პავლესი. ერთს პეტრეს ეკკლესიაში და ნახევარი წმიდის პავლეს ეკკლესიაში. და თავები ორისავ წმიდის იოანე მახარობელის ეკკლესიაში, წმიდის მოციქულთ საფლავში, შუას ადგილს წმიდის პეტრესავით. მაგრამ წმიდის პეტრეს ეკკლესიაში ღრმად ჩასავალია და აქ ხარისხედად ასავალი. და მერმე ქვეით ჩავა. ეს მაღლა დამარხული წმიდის პეტრეს ეკკლესიაში წმიდა პეტრე მარჯვნივ არის და წმიდა პავლე მარცნივ. და წმიდა პავლეს ეკკლესიაში — წმიდა პავლე მარჯვნივ და წმიდა პეტრე — მარცნივ. მარცხენას მხარს სხვა ტრაპეზია შემკული. და იქ ერთი ჯვარცმა ასვენია. ერთი დიდი ქვრივი ყოფილა, სახელად წმიდა ფეჩიტა რქმევია. იმას გამოლაპარაკებია, იმ ენკრატისს, ქრისტე მრავალგზის გამოსცხადებია. იატაკი უფროსი ერთი სოფიოთ და ფერადის მარმარილოთ არის. იქიდან წავედით. მართ ერთი ეჯი ვლეთ. მივედით, სად წმიდა ვიჯენსი და ანასტასი ეწამებინათ. კაი ადგილი იყო და კაი ეკკლესია იყო. მრავალი ნაწილი. ქრისტე შობის მჭერის ნაჭერი. სადა ქრისტე მიაწვინეს, მის ადგილის ნაკვეთი. ძელის ნაწილი. ქრისტე მკუდარი რომ ჩარსავზე დაასვენეს, მისი ნაჭერი. ქრისტეს საფლავის ქვის ნატეხი. ყოვლად წმიდის სამოსლის ნაკვეთი. ნათლის მცემლის სამოსლის ნაკვეთი. წმიდის პეტრეს კბილი. მოციქულების ყველასაგან ნაწილი. წმიდის კლემენტის მოწამის ნაწილი და მრავალი სხვისა იყო. წმიდა ფოსიოს და კოსტა მოწამე. იმას იქით სხვა ეკკლესია იყო, ზედავ ახლო, ზეცის კიბეს ეძახიან. რომ წმიდა ბენარდეს ჩვენება უნახავს, იქ ჟამს სწირევდა. სალხინებლიდამ სულნი ზეცას აღყვანდენ. და წმიდა ზენონ და ათას სამას ოთხი მოწამე იქ ესაფლავა. იმას იქიდამ, სადაც წმიდის პავლეს თავი მოკვეთეს, ისიც ზედავ იყო. კაი ეკკლესია. და სადაც წმიდა პავლე მდგარიყო და ქვაზე თავი მოეკვეთა, იმაზე რკინის ფანჯარა ევლო. და თავი სამს ადგილს დაცემულიყო. ერთს ადგილს პირველ რძე ამოსულიყო. იქიდამ შემხტალიყო, სამი ადლი ვერ იყო, სხვაგან დაცემულიყო. იქ სისხლი ამოსულიყო. იქიდამ შემხტალიყო, ოთხი

ადლი მეტია, იქ დაცემულიყო. იქ წყალი ამოსულიყო. ახლა სამგანვე წყალი დგა კაი სასმელი. სხვადასხვა გემო აქვს. არსად გადის. სამი ტრაპეზი იყო, კარგი მორთული. ორი პორფირის სვეტი. რვა ფერადი მარმარილოს და ორი გრანიტისა. იქიდამ წავედით. ერთს ადგილს წმიდა პაპას ერთი მღვდელი დაეხვედრებინა. ერთს დარანში ჩაგვიძღვა. რაც წმიდათ მოწამეთ დარანი გვენახა, უდიდე და უმრავლესი იყო. სულ ცადაქნილი ქვითკირი. ზოგან და უფროს ერთი გაგლესილი გაჯითა. და სულ დახატული ეკკლესია, თუ გზები. მოწამე მრავალი ყოფილიყო. ებძანა, რაც მოინდომოს, მიართვითო. მრავალი ვიარეთ. მაგრამ სახელიანს მოწამეს ვერსად შევხვდით. წმიდა ნაწილი მრავალი იყო. მაგრამ მოწამის ნიშანი ეს არის: ერთს ჭიქით თავით სისხლი უდგას და ზედ ზოგზე სახელი სწერია. ან არა ხურმის ფოთელი, ან ჩიტი, ან ჯვარი ზის. ერთი პატარა ყმაწვილი ვიპოვეთ, მოწამე, ნიშნიანი, მოვთხარეთ. სულ დამიწებულიყო. მერმე იმავ ტოლი მოვთხარეთ, ისიც დამიწებულიყო. შვიდი ეკკლესია. ბევრი საქმე უნდა. ხუთიოდ მოწამის ნაწილისაგან სულ მიწიანი წამოვიღე. ორი მოწამის სისხლი ჭიქას ზედავ აჩნდა ახალს სისხლსავით. და ერთის მოწამის ერქებში ვიპოვეთ, მის საფლავში. მოწამე კი ამოეღოთ. ის დარჩომილიყო. სამი ბაზმა მათ გვერდით ნანთები თიხისა. ჯვარის მონასტერი ამ დღის მეტათ არ მენახა. დიაღ კაი მონასტერი და უცხო კარგა გარიგებული. სულ სოფიოთ ძირი მოფენილი. და ელენე დედოფლის დაბლა სამწირველო, როგორც იერუსალიმს არის. დიაღ, მოსაწონი იყო. რომელსაც ეკკლესიაში მივედით, უფრო და უფრო გვეუცხოვა.

იგ მარიამობისთვეს კარდინალი საკრიპანტი ვნახე. და სადილს უკან ორი ეპისკოპოსი მოვიდენ ჩემს სადგომს და წამიყუანეს. წავედით. ერთს კაცის სახლში შემიყვანეს. ერთი მარმარილოს საფლავი მაჩვენეს. კარგა გათლილი და თავსარქველით. შიგ ერთის კაცის ძვლები ყოფილიყო და ძველი თეთრი და მისთანები. ერთი, სხვისი ტილოს ხეში რომ იქნება, მისთანა იყო. ორის კაცის სიგრძე ვერ იყო. განიც ადლი იქნებოდა. ისიც იმაში დებულიყო. დაუწყეს სანთელს ღვენთება. გალიფეს, მოუკიდეს ცეცხლი. სანთელი სულ ამოიწო. ის ტილო გარეცხილსავით დარჩა. მერმე ნაკვერცხალი დაუყარეს. პატარა საბერველით უბერეს. აეგზნო

ნაკვერცხალი და გარეცხილს გვანდა. ცეცხლმა ვერ დააკლო რა. ათასი მარჩილი ეძლია ფრანჩისის ცარდინალს და არ მიეცა. მე რით შევიძლებდი სყიდვას, თვარა ვახტანგ მეფისათვის კაი ძღვენი იყო. ის ფრანჩაგვისაგან არის. ამიანტოს ჰქვიან. წიგნებში ქვად არა სწერია. ხედ სწერია. ის ქვაც მინახავს. ყეენს გამოეგზავნა ვახტანგ მეფისათვის, ამისი ხელსახოცი ეგება მიშოვნო სადმეო.

იდ მარიამობისთვეს. ოცდა ხუთი მარიამობის თვე იყო. წმიდის ბართლომე მოციქული დღეობაც იყო და წმიდის ლოდოვიკოსის დღეობაცა, ფრანციის მეფისა. ამათი გვარი წმიდა შექნილა. მის ეკკლესიაში წაგვიყუანეს. წირვაზე ოცდა თოთხმეტი კარდინალი იყო, სხვა ეპისკოპოსსა და ჯარის გარდა. ნახეთ რა იქნება. გზაც გაგვიჭირდა. თავად შუკაში ეტლებისაგან, მერმე ეკკლესიაში ჯარისაგან. ფრანცისებმა გვიცნეს. მოგვეგებნეს. სხვა კარიდამ მაღლა აგვიყუანეს, იქ დაგვსვეს. სულ ჩნდა ყველა. ეკკლსია არა და ეკკლესიას გარეთ ფოლორცებიც სულობით მოეფარდაგათ. და ეკლესია წითლის ქამხით, სულ ყვითლის ოქრო მკედის აშიებითა. დიდი ტრაპეზი მთელი ვერცხლი იყო, უცხოთ გამოყუანილი. და წმიდა ლოდოვიკოს, წმიდა დიონოსე არიოპაგელი, წმიდა დამიანე და წმიდა კარლოს ვერცხლისა შექნილი, მთელები. ორს სამეფო გვირგვინი, ორს საეპისკოპოსო მიტრა, პატიოსნის თვალებითა. მათი ჯვარებიცა და გულსაკიდი ხატები, დიაღ, კაი ხატები იყო. შიგ მათი ნაწილები ისხდა ცოცოტა და სხვა ნაწილებიც. კარგა გაკეთებული. დაბლა წმიდის ლოდოვიკოს სამწირველო იყო. ისიც, დიაღ, პატიოსნად შემკული. რაც რომში კაი მგალობელი იყო, იქ შეკრებულ იყო. მაგრამ სულ ყველა ერთად იდგა, საკურთხეველის პირდაპირ წირვას ხედავდა. წინ მწუხრზედაც და მეცხრე ჟამის ლოცვაზედაც სამჯერვე მიველ. ახლო იყო. მგალობლების ქება უწინვე დამიწერია, მაგრამ ეს გამიკვირდა. ნაღარა და ქნარა სხვას საკრავებში გაერივათ. ასე უკრევდენ. ჭიანურსა და წინწილას აწყობდენ და მგალობლების ხმა კარგა აბანებდენ.

იე მარიამობისთვეს წმიდა პაპას ებძანა ჩემი წირვა მოისმინონო და ჩემგან ეზიარნენო. წავედით. მისი წირვა მოვისმინეთ. პატარა სამწირველო ჰქონდა შინა, იქ წირა და გვაზიარა ვინც ვიყავით. მერმე ლიტანია თქვეს. შეგვიყუანეა თავის სადგომში. დაბძანდა. მიბძანა წმიდის ღვთისმშობლის სახლის ნახვა. გინდა

მიმიწერიაო, რომ ჩემს სასახლეში დაგაყენონო და რაც პატივი კრანდუკას, რაც სხვისათვის უქნიათ, ის პატივი დაგდვანო და, რაც საჩვენებელია, ყველა გაჩვენონო. მადლი გარდავიხადე. და მიბძანა: დღეს დაგვიანდა, ვიკითხეო, გლახები სადილად სხედანო, და სამშაბათს მოდიო, იმათ გაჩვენებო. დღეს წადი, ჩემი სასახლე ნახეო. წმიდის პეტრეს ეკკლესიასთან ამას წინათ რომ პაპის სასახლეებში შესვლა დავსწერე, მაშინ საწიგნე და მოსამსახურეთ სახლები ვნახეთ. თვარა პაპის სასახლეები არ გვინახავს. წავედით. შევედით. ან სასახლეები, ან სხვადასხვა რიგი ფარდაგები, ან ხატები უანგარიშო და კაცის გუნების მიუწდომელი იყო. არც დაიწერება მაგრამ ხატების მეტი საუცხოვო არა იყო რა. სამიოდ დიდი სახლი ფერადის მარმარილოთი იყო აგებული, როგორც ეკკლესიებისა დამიწერია და კარის ეკკლესია დიდი და კარგად შემკული. და ორი სხვა მომცრო სამწირველო იყო. როდესაც პაპა თავისთვის ჟამს სწირევდა, მრავალი უცხო სახლები დაგვატარეს. მაგრამ ვინ გაუვიდოდა. მერმე ერთს გრძელ სახლში ჩაგვიყუანეს. უნდა ორასი ადლი უფრო ყოფილიყო. ათი ადლი განი იქნებოდა. პაპის სასეირნო ადგილი. ცალ მხარეს ძველის სჯულის მოქსოვილი ფარდაგები ეკრა, ცალ მხარეს წარმართთა ამბები. ცა უცხოდ შემკული. იმის იქით თავსა ფარღია, თავი ახდილი. აგრე პაპის სავალი ადგილი. იმავ სიგძე. და ზედ დიდი წყარო შადრევნად ამოყვანილი სამსართულს სახლს ზეით. იმას აქა და იქით წალკოტები. ერთი შიგნით სასახლეში და ერთი გარეთ, დიდი სასახლის გვერდით. შიგნით სასახლეებში რომ წალკოტები იყო, ამ გძელის სახლების იქით თავს, წალკოტის თავს, სამპირი სასახლე იყო, სამპირი თალარი. ზეით კი ვერ ავედით. და იმ სახლებში ძველი კეისრების სახეები და წარმართებისა მრავალი უცხო და ფიცრისა გაკეთებული. რომის ეკკლესია წმიდის პეტრესი და პაპის სახლები საზამთრო და საზაფხულო და წალკოტები, როგორც იყო, სულ მისი ანდაზები. და რომის პირამიდების სახეები. ერთი პირამიდი მთელ ერთი ქვისა თეთრის მარმარილოსი ოცს ადლზე მეტი იყო. და სისქე სამი მხარი. ჩვენ რომ მონასტერში ვიდექ, იქ ეპოვნათ და პაპას წაელებინა. ამართვას უპირობდენ. მისი ჭაბრაკები, როგორ უნდა აემართათ, ან როგორ გაეკეთებინათ, სულ იქ ვნახეთ. მერმე იქი-

დამ ჩაგვიყუანეს ერთს ეზოში. რაც ძველი კერპების ღმერთები ყოფილიყო სხვადასხვა რიგი, იქ იყო. მერმე წალკოტები და შადრევნები გვაჩვენეს, დიაღ, უცხო და კარგები. მაგრამ ფრანცისი მეფისთანა ვერ იყო. ოღონ ნარინჯის სიმრავლე ამისი ურიცხვი იყო. და წყაროები დიდრონი. და ერთს აუზში ხომალდი იყო. და იმ ხომალდის შადრევანი არ დაითვლებოდა. და უანგარიშო სხვადასხვარიგი იყო. ეს იქ ვერ ვნახე. მერმე სადაც საომარი საჭურველი აწყვია, ის გვაჩვენეს. მაგრამ ერთის დიდის მეფისათვის სანატრელი საუნჯე იყო. პოლოტიკი, თორნი და ზუჩი და შესაჭურავი. თოფი, თუ ტაბანჩა, თურგანი, თუ მისი იარაღი და წამალი. ხმლები, შუბები, აფთები უანგარიშო იყო.

ივ მარიამობისთვეს კრანდუკას ელჩთან წავედით. წინა დღეს იქ მოსულიყო ჩემს დასაპატიჟებლად. კრანდუკას ბრძანება მოსვლოდა, თუ აქა წამოვიდეს, შემატყობინეო. მე სადგომს არ დავხვდი. პაპის წირვაზე ვიყავ. მერმე იქ მოვიდა, პაპის კარზე. სალამი მომცა. სადგომს გიახელო. კრანდუკას მაპატიჟებული ვარო. ვერცარა იქ უმუსაიბე. სადგომს მიველ. ეტლთან მომეგება. ამიყუანა. დიდად მიალერსა. ქართული ამბები და წმიდებისა მკითხა. ეტლში თითონ ჩამსვა. დიდხან გამომყვა ეტლთან. ამას დიდ მეფეებს არ უზამდა. ამისათვის ვსწერ, სტუმრის პატივი ასე უნდა. მერმე კარდინალი ლატრიმურ მოვიდა. მეორედ მნახა.

იზ მარიამობისთვეს წმიდას პაპასთან წავედით. მის პატარა სამწირველოში ხუცესმა წირა ჟამი. პაპა მარჯვენას მხარეს მოფარებით იჯდა. მე ვერ ვხედავდი. ჩემის მეტი ეკკლესიაში არავინ იდგა. მისი ძმისწული უფროსი კარზე ეჩოქა. დიაღ, კაი ვაჟკაცი იყო. ამის მეტად არ მენახა. წირვას უკან მოვიდა. მიალერსა, უკაცრავად ვიყაო, ვერ გიახელო. დიდხან დაჯდა ჩემთან. ქვეით მომიჯდა. მერმე პაპამ დაგვიძახა. მივედით. კიბით ჩასავალი იყო. ხელი მომკიდა დიდხანს. მითხრა: გაირჯებიო, მაგრამ მიმზირეო. ეს საქმე წმიდა გრიგოლის დიოლოღის დაწესებული არისო. მასუკან სულ ყოვლის დღეს ასე უნდა იქნასო. საკრიპანტი კარდინალი მისდევდა, მერმე მისი ძმისწული კარდინალი, მერმე მე, მერმე მისი ძმისწული კარლო და მერმე მისი ძმა ალექსანდრე, მერმე დავით და მერმე პაპის მოსამსახურენი. ჩავედით ერთს მომცროს სახლში. პაპის წესია, ყოველ დღე თორმეტი გლახა იჯდა. იმ დღეს

ცამეტი გლახა იჯდა. ვერ შევიტყევ როგორ მომხდარიყო. ტაბლა უცხო ყვავილებით შეემკოთ. თავს პაპა იდგა. არდაგი მოირტყა. იმისთანა მე დამაყენა, მერმე საკრიპანტი კარდინალი. არდაგი ერტყა. მერმე პაპის ძმისწული კარდინალი, მერმე ალექსანდრე და ორი სხვა არდაგებითა. სხვათ მოატანინა საჭმელი. უწინ პაპას მოართვიან. პაპა ორს გლახას მიართმევდის. მერმე კარდინალებმა იმ სხვათ ჩაურიგიან. მერმე პაპამ ტაბლა აკურთხა. ყველამ დავიჩოქეთ. ჯვარი დაგვწერა. გლახებმა ჭამა დაუწყეს. ხუთი რიგი საჭმელი მოიტანეს. დიაღ, საბატიურად სჭამდენ გლახები. დიდი ხანი გამოვიდა. მერმე ხილი მოიტანეს. პურსაც პაპა უჭრიდა, ხორცსაცა იმ ზეითებსა. და ქვეითებსა სხვანი. და ღვინოსაც პაპა მიართმევდა. ის ზეით გლახა ყმაწვილი კაციც იყო და გვანდა საქციელიანი იყო. რამდენჯერ პაპა ღვინოს მიართმევდა, ადგის, თაყუანისცის, დაჯდის, დალიის და ჭიქა პაპას არ მისცის. მაგრამ არა ქნის, ააღებინის, ხელით გამოართვის. მერმე ბოლოს ჩაბრძანდა და იქიდამ ღვინო ყველას ჩამოურიგა. მერმე ხილის ჭამის დრო რომ მოვიდა, ერთმა ხუცესმა პურები შემოიტანა, პაპას მოართვა, დაიჩოქა. პაპამ ლოცვა წაუკითხა. აიაზმა ასხურა. გლახები ააყენა ფეხზე და ის პური თითო თითოს ჩამოურიგეს, იმათ წინ დაიწყეს. მერმე ხილი ჭამეს. მასუკან შაქრის ქადა ჩამოურიგეს. ისიც წინ დაიწყეს. სხვა საჭმელები აიღეს. მერმე პაპამ ტაბლა აკურთხა. ხელი დაიბანა. არდაგი შემოიხსნეს. ისევ ბოლოს ჩაბძანდა. თვითო ნახევარი მარჩილი და თვითო ამინაშატი უბოძა, თავის ხელით ჩამოურიგა. მერმე გლახები ადგენ. ყველამ ფეხზე აკოცეს. წამოვიდნენ. მე ისევ თან წამიტანა. ჩემთვის უღირსი სიტყვა მიბრძანა: რაც გინდა მთხოვეო. მადლი გარდავიხადე. ჩემი სათხოვარი ყვალა უთხოვრად აღმისრულდა-მეთქი. მომეხვია. მაკოცა. ფეხს ვაკოცე. გზის საქმეები დაგვარიგა. გამომისტუმრა. მიბრძანა: ასე მალე არ გაგიშვებდიო, მაგრამ ვახტანგ მეფის უკითხავად წამოსულხარო, რომ დამეჭირე, იმას გულს დააკლდებაო, და წადი მისი საქმე მოიჭირვეო. ას სამოცი იქაური სკუთი ებოძა, სამასი მარჩილია, გზის ხარჯად. გამოის ერთის წმიდის მართას დედათ მონასტერი მაჩვენეს. მომცრო ეკკლესია იყო, მაგრამ უცხოდ შემკული იყო. სულ მოწერილი, მარმარილოთ იყო აშენებული. კედელი, სვეტი, თუ ხატის ყდები. უცხოთ გამიკვირდა. ენკრატისები

გალობდენ, მაგრამ მათი გალობა საკვირველი რამ არის. ამავ საღამოს წავედით სულის წმიდის მონასტერში. პაპის სამადლოა. ერთის ეპისკოპოსის ხელთ არის. შიგა დგას. დიდის ფრენჭიფის შვილია. მიმიძღვა, დამარონინა. უპატრონო ექვსასი სნეული იწვა კაცი. და იმ კაცების სახელი ზედ გზაზე იყო. ვინც ავი დედაკაცი დაორსულდება შვილს ვერ წაიხდენს. იქ გზაზე ერთი ჭახრაკია. იმაში რბილად აგია. შიგ ყმაწვილს შეაწვენენ. მოაბრუნებენ, ზარს დაჰკვრენ. ქალები წავლენ. [ის ავადმყ]ო ფის მომვლელი წაიყვანს ამ ყმაწვილს. სხვა ჭახრაკია. იმაში ჩააწვენს. მოაბრუნებს. დედაკაცებში გაიყუანს, რომ დედაკაცი კაცს ვერ ნახავს სალაპარაკოდ და კაცი დედაკაცსა. იქ თორმეტი ძიძა იყო. ცამეტს ჩჩვილს ყმაწვილს ზრდიდენ. რომ ყმაწვილი სამის ოთხის კვირისა შეიქნება, გარეთ მისცემენ სხვას ძიძასა. თვეში მარჩილი აქვსთ. და ოთხს წელიწადზე ამათვე მოაბარებს. თუ ქალია ქალებში გაურევენ, და თუ ვაჟია, ზოგს გარეთ ოსტატს მიაბარებენ, ზოგს იქავ შემოიყუანენ, იქ ზრდიან. ჩემობას შვიდასი ქალი შინ იყო მონასტერში და ორმოცდა-ათი ვაჟი და ცამეტი ჩჩვილი. სამი იმ დღეს მოეყვანათ, მე რომ მიველ. და რვაასი ქალაქში ებარა. ეს სულ პაპას სასმელ-საჭმლითა და ტანსაცმითა, წამლითა, აქიმით, ჯარათი. იქ აკეთებდენ ქალები საქალოს ხელობასა და კაცები საკაცოსა. მათი მოძღვრები და გამდელები გაუყრელად იქ უდგას. წალკოტები, შადრევნები გარიგებული. თუ ქალი მონაზონად შედგა, თუ ქმარი შეირთო, მათ ას მარჩილს ზითვად მიცემენ. და ბუშს ბუშსა შერთვენ, მართალს მართალსა.

რ ო მ ი თ წ ა მ ო ს ვ ლ ა. [მეორე დღეს] ი͡ მარიამობისთვეს ქათმის ყიულობისას წამოვედით რომიდამ. რომით წამოსვლას ავი ჰაერი აქვს. ასე თქვეს: თუ ამ ორმოცს მილის გავლამდი ვინც დაიძინებთო, სიკვდილის საშიშიაო. სამს თვეს ზაფხულს ასრეაო. ვიარეთ გრძელი გზა. შენობა შორიშორ იყო. ჰაერის აობისათვის სოფლები შორიშორ. ერთს სოფელში სადილისათვის ჩამოვხედით. მომცრო და ღარიბი სოფელი იყო. ფრანგულის ანგარიშით ოცდაცხრა იყო, ნათლისმცემლის თავის კვეთა. იმ სოფლის კაცთა პატარა რამ ნაწილი ნათლის-მცემლისა ჰქონდათ. დიდებას გამოასვენეს. პირველ ერთი ქრისტეს ჯვარცმის ხატი მოჰქონდათ, მერმე ორმოცი თეთრით შემოსილი კაცი,

სულ თეთრი კელაპტრით. ორ-ოლი და ორ-ოლი მოდიოდა. მერმე ერთი ნათლის მცემლის დროშა და მას უკან სხვა ჯვარცმა და ორმოცი შავით შემოსილი კაცი აგრევე სანთლებითა და ხელთ ჯვარები ეჭირათ. და მერმე ფარნები მაღალი. და ერთს შემოსილს მღვდელს ხელთ ნაწილი ვერცხლის კუბოთ ეჭირა, აქათ-იქით შემოსილი დიაკვნები და მერმე კაცის ჯარი მოსდევდა. მერმე ქალნი საკრავებითა და გალობითა. ერთს პატარა სოფელში მისთანა საქმე მომეწონა. ორმოცი მილი ვლეთ და ღამე გვესწრა. ო ს ტ რ ი კ ო ს მოვედით.

ით მარიამობისთვეს ადრიან ავდექით. ვლეთ. ავი ჰაერიც გათავდა. შენობა შენობაზე შეიქნა. ვენახი ზეზე, ქუეშ სახნავი, ციხე ციხეზე. სოფელი გამბით. საკრიპანტი კარდინალის ქალაქი გამოვლეთ. მაგარი და კაი ქალაქი იყო. ნ ა რ მ ა ერქვა.

იე მილი სხვა ვლეთ და მოვედით ქალაქსა თ ე რ ნ ა ს. მოდიდო ქალაქი იყო.

იდ მილი სხვა ვლეთ და მოვედით ქალაქსა სპოლეტოს. მ: მონასტერი იყო. ეპისკოპოსი იჯდა. მის ადგილს კაცთ სიკეთე ეტყობოდა. ამდენს მონასტერს ინახავდენ. კაფუჩინების მონასტერში დავდეგით. იმ ღამეს ერთს იქაურს თავადს სამი რიგი მოსაკითხავი გამოეგზავნა.

კ მარიამობისთვეს დილაზე ერთს თავადის ცოლს თავისი ეტლი გამოეგზავნა: უცხო სტუმარი ბრძანდებიო, ქალაქი ამით გამოიარეო. იგ მილი ვლეთ. ორიოდ კაი ქალაქები გამოვლეთ და მოვედით ქალაქსა ფოლინიოს. დიდი და კარგი ქალაქი იყო, ეპისკოპოსი იჯდა. იქაც კაფუჩინებისას დავდექით. წმიდის სახლის ის გზა იქიდამ გაბრუნდებოდა.

კა მარიამობისთვეს წავედით. რა ცოტა ხანი ვლეთ, ზეთის ხე მოაკლდა. მერმე ვენახოვანი მოაკლდა. მთის ადგილს ავედით. სხალ ნარი დიდგორი რამ არის, ამგვარი ადგილები იყო. მერმე დაღმა დავეკიდენით. ერთი ხევი ჩაივლიდა. ხევის თავს ციხე იყო. არც აქათ იყო გასავლელი, არც იქით. შიგნიდან გრძლად სოფელი დაკროდა. ბოლოსაც ციხე იყო. ვ ა ლ ჩ ი მ ა რ ა ერქვა. იდ მილი ვლეთ, იმ დღეს იქ ერთის კაცისას ცოტა რამ ვჭამეთ. იმ სახლში ერთი ქალი იყო. დედა მისი ასეთი უცხო მოყუარე ყოფილიყო, რომ მომკუდარიყო, რაც საფრანგეთში კაფუჩინის მონ-

ასტერია, პატრს თვითო ჯამი ეწირა და უმწირველოს ას-ასი მამაოჩვენო ეთქვა. ეს ქალიც დედის საქციელს ცდილობდა. იდ მილი სხვა ვლეთ. ერთს კაპილიონში მივედით. იქ დავდეგით.

კბ მარიამობისთვეს თ მილი ვლეთ. კაი ადგილები. შენობა შენობაზე. ვენახოვანი. ზოგან ხან ბაბილო. ხან ხარდანი. ჩავლეთ ქალაქი ტოლეტინო. ეპისკოპოსი იჯდა. ეს ქალაქები, სულ თემი სულობით პაპისა იყო. მეცხრამეტე მილზე მივედით ქალაქს მ ა ჩ ე რ თ ო ს. ეპისკოპოსი და ვოივადა იჯდა. იქ სადილი ვჭამეთ. ერთი წოკოლანტის მონასტერი იყო გზაზე, დიაღ, მოსაწონი და კარგა შემკული. ლორენტოს ვოივადაც იქ იყო. მოვიდა. გვნახა. ბოდიში მოიხადა. ფოსტა გაგზავნა ჩვენის დახვედრისათვის. კაი ადგილები. ზეთის ხე მრავალი. შენობა ხშირი, მობმით. იდ მილი სხვა ვლეთ. მივედით ქალაქს რ ა ღ ა ნ ა ტ ო ს ა. დიდი და კაი ქალაქი იყო. იქიდამ ნ ი რ ე ტ ო ს ქალაქი სამი მილი იყო. მივედით იმ ღამეს ლორენტოს. სხვაგან დადგომა მინდოდა. არ მომეშვნენ. წმიდის პაპის სასახლეში დამაყენეს. დია კარგა გვიმასპინძლეს.

კგ მარიამობისთვეს წაგვიძღვენ წმიდა სახლის სანახავად. მისი საქმე კაცისაგან შეუტყობარია, ხუთასი წელიწადია, რომ ნაზარეთით წამოსულა. რა იერუსალიმს თათარი მისჯრია, ეს მაშინვე ანგელოზს აუღია. ზღვის პირია. ზღვა სამოცი მილია განი. ზღვას გაღმა დამდგარა. მერმე შეცილებულან, და ლორენტო ოხერი ყოფილა. ერთის კაცის მიწაში დამდგარა. მერე ორნი ძმანი შეცილებულან, და იქიდამ ამდგარა. ერთის ცხენის გაჭენებაზე ჯვარედინი გზა ყოფილა. იქ დამდგარა, რომ გზა ყოვლის კაცისა არის. მერმე გარშემო მოჭრილის მარმარილოს კედელი მიუდგამსთ. შიგნით ქვა და ტალახია. ხუთი ადლი განი ექნება, ცხრამდი სიგრძე. იქიდამ ვერც ქვას, ვერც ტალახს ვერავინ წაიღებს. ზეით ხით ყოფილა დაბურვილი, ის მოუშლიათ; კამარა შეუკრავთ კანდელებისათვის, თვარა ისევ არის, როგორც ყოფილა. წინ აღმოსავლეთისკენ ბუხარია. მოციქულებს ბუხარს ზეით სარკმელი გაუკეთებიათ. და ლუკა მახარობელს ლიბანის სარგოსაგან ყოვლად წმიდა გაუთლია. ძე ხელთ უჭირავს. ის დაუსვენებიათ. და წინ ტრაპეზი ქვისა გაუკეთებიათ გარშემოსავლებად. და ტილოზე დახატული, ლუკა მახარებელისაგან დახატ-

ული ჯვარცმა, ისევ ნაზარეთით თან მოჰყოლია. და ყოვლად წმიდის მარიამის წამოსასხამი, მოწითლო შალი, თელი. და ჯამ-ნალბაქი — უფრო ყოფილა, მაგრამ სართულის ქცევაში დაკარგულა. სამი ჯამი და ერთი ნალბაქი, რაშიაც იესო ქრისტე და დედამისი სჭამდენ. მისის ნაგვის მეტს ვერავინ რას წაიღებს. ნაგავსაც მოპარვით ვერ წაიღებენ, თუ მცველებმა არ მისცეს. იმ სახლზე გარედამ ერთი დიდი და საშინელი ეკკლესია აუშენებიათ. ხუთი სამწირველო აღმოსავლეთისაკენ აქვს, სამი აქათ და სამი იქით სხვა და ექვსი სამხრით და ექვსი ჩრდილოთ. თორმეტი დიდი სვეტი აქვს. და გუმბათი სახლის სისწორედ აქვს. წმიდა სახლში სამოცდათორმეტი დიდი კანდელი ჰკიდია. ხუთი დიდი ოქროსი და მომცრო ოქროსი და ვერცხლისა სხვა. მაგრამ ის ხუთი, მე ასე მგონია, ხუთ-ხუთი ლიტრა ოქრო უფრო იყოს. ორი ოქროს დიდი სასანთლეა. ასე მგონია, ათ-ათი ლიტრა უფრო იყოს. და სხვა უანგარიშო, კარები — და, აღმოსავლის მხარეს, ბუხარი სულ მთლივ ვერცხლით მოჭედილი, დაფერილი, კარგა გამოყუანილი. სხვა სასანთლეები და ანგელოსები ოქროსი და ვერცხლისა. უანგარიშო, ათასი ლიტრა ვერცხლი მეტი მგონია. მაგრამ ის ყოვლად წმიდის ხატი რომ შეუმკვიათ, როგორ ითქმის! დედასა და ძესა ორთავ გვირგვინი ალმასისა. ყოვლად წმიდას ოტხი რიგი ქამარი სულ ალმასისა არტყია. სამი ასეთი ზურმუხტი ზის, რომ ფასი არ დაიდება. და სხვა რამდენი, ან თვალი, ან მარგალიტი, ან ალმასის ჯვარები, ან ზურმუხტის ჯვარები, უანგარიშო. იმ ხატის სისწორ მაღლა კედელში ორი წითელი იაგუნდი ზის. ხახულის ღვთის მშობლის თვალს უფროსი არის და უკეთესიცა. და ყვითელი და თეთრი იაგუნდი, დიდროვანი, ურიცხვი. მერმე იმის სალაროში შემიყვანეს. რაც იქ ეკკლესიაში ტრაპეზები დავსწერე, იმის ბარძიმ-ფეშხუმი და კანდელი და სასანთლე იმ ტრაპეზზე ეწყო. და სხვა სამკაულმა გამაოცა. უანგარიშო გვირგვინები. უფროსი ერთი ალმასისა, სხვა ზურმუხტისა, იაგუნდისა, სხვა მინანქარი, სხვა ოქროსი. რკინის გვირგვინიც ვნახე, უცხოდ რამ გაკეთებული. რამდენი უცხო რიგი ქამრები. სულ გულქანდად. უანგარიშო სხვადასხვა რიგი ყელის ჯაჭვები, უცხოდ ნაქმარები. საყურეები ძვირფასები და ურიცხვი. სხვადასხვა რიგები ღილები, უანგარიშო, სულ ალმასისა. სხვადახვა რიგი ნაქმარი ჯვარები

ალმასისა, იაგუნდისა და ზურმუხტისა. მრავალი ბეჭდები ფასდაუდებელი და უანგარიშო. ყელსაბამები სხვა და სხვარიგი. გულები უცხო რიგებად გაკეთებული. შუბლის საკრავები, უცხოდ რამ ნაქმარები. ალმასის ხატები, საკვირველები. ზოგი მურასა, ზოგი თვალზე მოჭრილი, ზოგი თავის ბუნებით ნაქმარი. ხომალდები, გულქანდები. გულქანდა ალმასისა. ზოგი მურასა, ზოგი ოქროსი, ზოგი ვერცხლისა. დიდროვანი ლალები, იაგუნდები, ალმასები, დიდი მარგალიტი ერთი და სხუა მარგალიტები მრავალი. დიდროანი ზურმუხტები და ერთი დიდი ლოდი ზურმუხტის ქანიდამ გამოღებული. მრავალი დიდრონი ზურმუხტი ეკრათ. ორთავა არწივები, ზოგი ალმასისა, ზოგი იაგუნდისა. გულქანდა გულქანდად. ქარვისა და ძოწის კანდელები, სასანთლეები, ჯვარები, ხატები, ხატები უცხო და უცხოები. სკიპტრები სამეფო, მურასაები. ვერცხლის რვა დიდი სასანთლე. თვითო ხუთი ლიტრა უფრო იყო. ქალაქების სახე ვერცხლისა, ციხეები. ქალები ვერცხლისა. ვაჟები, ანგელოსები. ხილი და ყვავილები უცხოდ ნაქმარი ვერცხლი მინაქრად. კირილეისონები მურასა ოქროსი. მუშაბაღი უცხო თვლების, დათლილი ძოწისა, ქარვისა აკატისა. მრავალი ყელსაბამები, სალტეები, უცხოები. ყოველი რამ უანგარიშო იყო. მომარგალიტული შესამოსლები, ალმასით, გულქანდად შემოსილები. სხვადასხვა რიგები ნაკერი და ნაქსოვი რაღა ვთქვა: ფარდაგები ალმასით, გულქანდა. სადედოფლო სამოსლები ალმასისა, სულ გულქანდა. ბარძიმი, ფეშხუმი, სასანთლეები ზოგი ალმასითა და თვალითა, ზოგი მინაქარი, ზოგი ოქრო და ვერცხლი. უანგარიშო ტაშტი, წურწუმა. ზოგი ოქროსა, ზოგი ვერცხლისა, ზოგი ლაჟვარდისა, მურასად გაკეთებული, ბროლისა, ძოწისა, აკატისა. ამისთანები გულქანდა უცხოები. კანდელები, უცხო მნურასები, ალმასით და თვალებით. მარგალიტით გაკეთებული — ყვავილები. წმიდის ზიარების შარავადები, ზოგი ალმასისა, ზოგი იაგუნდისა და ზურმუხტისა, ზოგი მინაქარი, ოქრო და ვერცხლი. რამდენი წმიდის ზიარების ბარძიმი აკატისა, ლაჟუარდისა, მურასა ოქროსი და ვერცხლისა. ესეები სულ მეფე-დედოფალთაგან შემოწირული. და ვის ან ზღვაში გაჭირებოდა, ან ხმელზე, მათის ხვეწნით სასწაულისათვის, ძღვენი. და ვის თვალი სტკივდებოდა, ვის ფეხი, ვის სხვა ასო. ალმასით გულქანდა, ზოგი სხვილი თვალებით გულქა-

ნდა. ზოგი დიდრონი ალმასი. ამას გარდა, უცხო ერთი ხატი ვნახე, ბუმბულით დახატული, რომ კაცი არ დაიჯერებდა, თუ ხელოვანს მხატვარს არ დაუხატავსო. ერთი მარგალიტი ვნახე უცხო რამ. თვით ბუნებით. ნავში ყოველად წმიდა იჯდა, ძე ხელთ ეჭირა. ისეთი მარგალიტი იყო. გოჯის ოდენი. ეს ასე მოსულიყო მარგალიტის ლითონში. ერთ ხანად ვეღარ ეპოვნათ. შემოხვეწოდენ ლარეტის ღვთის მშობელსა: ერთს წელიწადს რაც უკეთესი ვიპოვოთ, შენ შემოგწიროთო. წლამდი ვერა ეპოვათ რა. წელიწადზე ეს მარგალიტი ეპოვათ. მაშინვე იქ გაეგზავნათ. იმ წელიწადს ამდენი მარგალიტი ეპოვათ, ვერ ასვლოდენ და ვერც ფასი დაედვათ. ამდენი საქონელი ამისთანა სასწაულებს შეუყრია. მრავალი უცხო რამ ვნახე, მაგრამ ვერ დავისწავლე. მისი ჯაბახანი ვნახე. კაი და მრავალი იარაღი. მაგრამ ვნახე დიდი და მძლავრი. ერთის ბუწინის პირი წახსნეს. ერთის პირიდამ სამი რიგი ღვინო წამოასხეს, სამფერი. სამსავ სხვადასხვა გემო ჰქონდა.

კე მარიამობისთვეს ლოტერიადამ წამოვედით. იმავ გზაზე მოვედით ტოლეტინო ქალაქსა. ახალი წმიდა ნიკოლოსის მკლავები იქ იყო. ამ წმიდის ნიკოლოსის დედ-მამა უშვილო ყოფილან. წმიდის ნიკოლოსის ვედრებით ეს მისცემია და აგვისტინიანთ მონაზონი შექმნილა. მერმე წმიდა შექმნილა. ახლა თუ იტალიაში ერთი რამ ავი განსაცდელი მოუვა, მკლავი სულ გასისხლიანდება. მაგრამ ჩვენ ვერ ვნახეთ, საქმე იმგვარად მოგვიხდა. მისი ვოივადა იქ არ იყო.

კვ მარიამობისთვეს ლბ მილი ვლეთ. მოვედით სოფელსა ვაზანოლის.

კზ მარიამობისთვეს ზ მილი ვლეთ. მოვედით მასვე ქალაქსა უოლინიოს. სადილს უკან თ მილი ვლეთ. ორი კაი ქალაქი გამოვლეთ და მოვედით ასიის ქალაქსა. იქაც დიდი ეპისკოპოსი იჯდა და ვაივადაც. იქ ემარხა წმიდა ფრანცისკო.

კ მარიამობისთვეს უწინ მიგვიყვანეს წოკოლანტების მონასტერში. იქ უოფილიყო მამის მისის სახელი. და გვაჩვენეს, სადაც წმიდა ფრანჩისკო შობილიყო, ან მამა სადაც დაეტოვებინა. ისე იყო გამოსახული. იქიდამ ჩაგვიყვანეს წმიდის კლაროს საფლავზე. დედათ მონასტერი იყო. იქ ვნახეთ წმიდის კლაროს საფლავი. წმიდა ფრანცისკოს რომ ჯვარცმა გამოეგზავნა, ის ჯვარცმა ბერ-

ძნისაგან იყო დახატული. წმიდის ფრანჩისკოს სარტყელი, მისის სამოსლის ნაჭერი, წმიდა კლაროს სამოსლის ნაჭერი, მრავალი ნაწილი სხვა. გ წმიდა ლუკა მახარებელის დახატული ხატი და ჯვარი. ნაწილი მოსეს კვერთხის ნაჭერი. წმიდა პეტრე-პავლეს თითი. მერმე წაგვიყუანეს წმიდის ფრანცისკოს საფლავზე. უცხო რამ შენობა იყო. დიაღ, დიდი საყდარი და სამი ზედაზედ ძირს აკლდამასავით. იმაში წმიდა ფრანჩისკო და მისი ამხანაგები ათი-თორმეტნი ესაფლავა. მაგრამ წმიდა ფრანჩისკო ფეხზე დგას. მრავალი უცხო ნაწილი, რკ კომენტვალი დგას. მრავალი უცხო კანდელი, სასანთლე. დიდი მორჭმა ვნახეთ. იქიდამ წავედით ერთს ეჯზე. დაბლა მინდორზე ყოვლად წმიდის მონასტერი იდგა. მეტად დიდი ეკკლესია იყო. წმიდა ფრანცისკოს რომ იანვარში ვარდი მოეკრიფა და შენდობა ეშოვნა, იქ იყო ის ადგილი. შუა ეკკლესიაში იყო მომცრო სამწირველო. და მარცხნივ წმიდა ფრანცისკოს საწოლი, სადაც მიცვლილიყო და სადაც ანგელოსმა ქრისტესთან მიიყვანა და მარიამ და ქრისტე ეჩვენა. იქიდამ თ: მილი ვლეთ და მოვედით პერუჯა ქალაქსა. დიდი ქალაქი. კ მილი მისი გარშემო. მაღალს მთაზე პაპის სასახლე. კეისარიც მრავალჯერ მჯდარა იქ. ორმოცდა თორმეტი მონასტერია მის გალავანს გარეთ. კაცნი კარგა საქციელ და დიდად მქცევნი.

კთ მარიამობისთვეს მისი ვაივადა მოვიდა. კარდინალის რიგში რომ მისცემენ. გვნახა. თან გამომიტანა. მიმიძღვა დიდს ეკკლესიაში. ყოვლად წმიდის ბეჭედი მაჩვენა. ეს ბეჭედი ურიათ ტაძარში ყოფილა, ვისაც ქორწილს უზემდენ, ამით დასწინდევდენ. მარიამიც იოსებს ამ ბეჭედით დაეწინდეს. თუ არა მეფეს ან კარდინალს, ან ასე უცხო სტუმართან ერთად მოსულთ, არავის არ აჩვენებენ. შვიდის კლიტით არის დაკეტილი. ერთი ვაივადას აქვს, ერთი მდივანბეგსა, ერთი მოურავსა, ერთი ეპისკოპოსს, ერთი დეკანოზს და ორი სხვათა თავადთა. ერთად უნდა შეიყარნენ და ისე გააღონ, მაღლა გუმბათში ოთხს ანგელოსს უჭირავს ერთი დიდი ვერცხლის ღრუბელი. და მრავალი სერაბინი გარშემო სულ დაფერილი. და იმ ღრუბელზე ერთი ოქროს კუბო დგა კარგა შემკული. და იმ კუბოში ჰკიდია თეთრი იამანი მთელი, გათლილი. და მაზე რასაც ბეჭედს მოუსმენ, ვისაც აქვს, ცოლ-ქმარი რომ მოძულონი იყუნენ, შეაცვა, შეუყვარდებათ. თვალის ტკივილს უშველის.

მრავალს სასწაულს იქს. იქიდამ წმიდის ბენედიქტეს მონასტერში წაგვიყუანეს. უცხო რამ მონასტერი იყო. გამაკვირვა მისმა შენებულობამა. მერმე ვაივადა იქივ სადგომამდი მომყვა. მერმე იმ ღამეს წამიყვანა თავის სასახლეში. პაპის სადგომში იდგა. ის ქალაქი სულ შეიყარა. წვიმის სიმრავლე იყო. დიდებაზე გამოვიდენ. რაც დიდი კაცი, ან ხუცესი თუ ბერი იყო, ან ჩინებული კაცი, სულ თეთრი ეცვათ. თვალის მეტი არა უჩანდათ რა ქალებს; პირჩამოფარებულნი სულ ფეხსიშველანი, თავზე ეკლის გვირგვინები ებურათ. ხელთ დიდრონი სანთელი. ზოგს დიდი ჯვრები ეკიდა მძიმეს ძელისა. ზოგი მათრახითა და შოლტით იცემდა ბეჭებზე, რომ ვნახეთ, სისხლმა ამოატანა. ამგვარად მრავალი ილოცეს ეკკლესიის კარს. შესტირეს ღმერთს. მეორეს დღეს დარი დადგა.

ლ̃ მარიამობისთვეს პერუჯიდამ წამოვედით. კ̃ე მილი ვლეთ. გზაზე ერთი დიდი ტბა იყო. თევზი ისხდა. გარშემო კაი სოფელი, ქალაქები იყო. იმ ტბიდან ცხრა ათასი სკუტი შეუა წელიწადში პაპას. ერთი სკუტი ოთხი აბაზია. ამ საღამოს პაპის თემი დაილია. კრანდუკას თემში შევედით. კამუჩია ერქვა.

ლ̃ა მარიამობისთვეს ვლეთ ი̃ე მილი. კაი ადგილები. ზეთის ხიანი, ვენახოვანი. ხშირად შენობა. ქალაქები მრავალ. ერთს ქალაქში სადილი ვჭამეთ. არეცო ერქვა. ძველი ქალაქი ყოფილიყო, დიდი. და უფროსი ერთი გათლილის ქვით ნაგები. ერთი დიდი ეკკლესია იდგა. დასავლეთის მხარეს კარისაკენ სამოცდა თექვსმეტი ქვის სვეტი ჰქონდა. ეკკლესიაზე სამრეკლო აეგოთ, ხუთ სართულად სამრეკლო მოუყვანიათ. ორმოცი სვეტი სამრეკლოს ჰქონდა. შიგნით კი არ მინახავს როგორი იყო, რომ გამესინჯა. იქიდამ ი̃დ მილი ვლეთ. მოვედით სოფელს.

ა̃ ენკენისთვეს ი̃ბ მილი ვლეთ. ოთხი კაი ქალაქი გამოვიარეთ სოფელს გარდა. შიგ ასე ახლო-ახლოს ქალაქები გამიკვირდა. უფროსი ერთი გათლილის ქვის. კუთხე და კარი-ფანჯარა, მრავალგან სვეტებიც ქვისა იყო სახლისა. ერთის სახლისა დავთვალე. თორმეტი დიდი ქვის სვეტი. ძირს ფლორენცა იყო. თოთხმეტი ზეით, ქვისა მთელი. იქიდამ მილი სხვა ვლეთ სულ აღმართ-აღმართი. მოვედით ქალაქსა ფლორენცას. ფლორენცა ყვავილს ჰქვიან. და მართლა ქალაქის ყვავილი იყო. არც მეტად დიდია,

მაგრამ დიაღ, შვენიერი ქალაქი. უფროსი ერთი გათლილი ქვა, განიერი ფოლორცები. დიდი მდინარე ჩამოუდის.

ბ ენკენისთვეს იოანე გვალვერტო მონაზონთ პეტი ებოძა კრანდუკსა. თავის მონასტერში წაგვიძღუა. იქ დაგვაყენა. ეს წმიდა იოვანე ერის კაცი ყოფილიყო. დიდი კაცი და მდიდარი. ერთს მის ამხანაგს მისი ძმა შემოკდომია, მის დახელებას ცდილა. ერთს ადგილს მიმავალა. შეუტყვია, ჯარით წინ დასხდომია. პარასკევი დღე ყოფილა. იმ კაცს, რომ უნახავს, შებმა არ შეეძლო და გარდაეხვეწა. ეტლიდამ გამოსულა და დაუჩოქია. შეგცოდეო მართალია. სიკუდილს მემართლები, მაგრამ დღეს ქრისტეს ჯვარცმის დღეა, ამას აპატიეო. ეს რომ უნახავს, გარდმოჭრილა ცხენიდამ, ყელს მოხვევია, ქრისტეს გულისათვის შემინდვია, დღეის იქით ძმა ხარ ჩემი. წასულა, ქრისტეს ჯვარცმის წინ დაუჩოქია და უთქვამს, მე შენი მცნება აღვასრულეო. ვინც შემცოდა, შეუნდეო. აწ ამას გეხვეწები: ჩემოდენი შენთვის არავის შეუცოდებიაო და შენც მე შემინდეო. ჯვარიდამ ქრისტეს თავი მოუდრეკია. რა ეს უნახავს, თავისი სიმდიდრე გლახისათვის გაუყვია. მონაზნად შემდგარა. მათის რიგის მამანი არიან. და კაი მოწყობილობა ჰქონდა. მდიდარს მონასტერს გვანდა. კარგრიგად დაგვაყენა. ცოტა მოვისუენეთ. მოვიდა. წაგვიძღუა. შუა ქალაქში ერთი დიდი ეკკლესია იყო. დიდობითაც დიდი იყო, მაგრამ გარედამ ნაშენი მისთანა არც ფრანციაში მინახავს, არც იტალიაში. ეკკლესია, თუ სამრეკლო გარედამ, თავით ბოლომდი, სრულობით ფერადი მარმარილო იყო. შეწყობილი. ზოგი სულ წმიდანი მოჭრილნი. შევედით შიგნით. შუაზე, დიდს გუმბათს სისწორს, ერთი ეზოსავით მოვლებული იყო, საკურველად ნაშენი. სიმრგვლეზე ოთხჯერ ექვსი კამარად იყო, სამად გაყოფილი. შუა სვეტი სამი ფერადი მარმარილო იყო. აქეთ იქით ხუთ-ხუთი სვეტი და შუა შუა კარებსავით ჰქონდა. სხვა კანდელისა და სასანთლის სიმრავლე, ურიცხვი. იქიდამ სხვა ეკკლესიაში მიგვიძღვა. დიდი ეკკლესია არ იყო, მაგრამ შიგნიდამ ერთი ამის უკეთესად შენებული და შემკული ვერ ვნახე. გარედამ გათლილი შავის ქვით იყო. ის ეკკლესია მარიამ ყოვლად წმიდის იყო. ერთი რიგი მამანი არიან. მარიამის მსახურნი ქვიანთ. ასიოდ ის მონაზონნი იდგენ გარეთ. კაი მინდორი ჰქონდა. გარშემო სულ გათლილი ქვის სვეტები, კამარა მოვლებული. შუა მომცრო კოშ-

კი. ზედ კრანდუკა ცხენზე მჯდარი. ტყვიისა შექმნილი. ოთხსავ ყურეს მინდორი. შადრევნები ამოყუანილი. მაგრამ უცხო რიგი შადრევნები იყო. იქიდამ სხვა გზაზე წამოგვიყუანეს. მრავალი კაი სასახლე, სრულობით თლილი ქვა. და კარები სულ რკინისა სასანთლეები და რკინის უცხო ფარნები ლამპრებისათვის. ერთს ადგილს ვნახეთ ერთის მთელის ქვის ცხენოსანი კაცი, გათლილი. სხვა ქვეითი შესჭიდებოდა. ქვეითს ხანჯალი შეეცა. და ცხენი წაჩოქებოდა. და ქვეითს გარდმოსწვდომოდა. თავსა სჭრიდა.

გენკენისთვეს ჩვენის მონასტრის უფროსმა ჯერ თავის მონასტერში ჩამიყუანა. წირვა მოგვასმენინა. დიაღ, კაი ეკლესია იყო. როგორიც ეკლესიები რომში ვნახეთ, ერთი ისიც იყო. ფერადი მარმარილოთ შიგნიდამ ნაშენი. სადილ უკან კრანდუკასთან წაგვიყუანა. დიდურად და მდიდრულად ვნახეთ. კაი დიდი სასახლე, სრულობით გათლილი ქვისა, ოთხ-ხუთ სართულად. შესავალს კარს რა შეიარდი, ერთი მაღნიტის ლოდი იდგა. მეტად დიდი, ათი საპალნე უნდა ყოფილიყო. თვითონ დაბალს სახლებში იდგა. დარბაისელნი მოგვეგებნენ. შეგვიძღვენ. სამი-ოთხი სახლი შევიარეთ. ერთს სახლში დაგვხვდა. მოვიდოდა. თავის საჯდომს სახლს არა გვანდა. მომცრო კაცი იყო. შავი ტანისამოსი ეცვა. სანამ არ მითხრეს, ვერ ვიცან. ულვაშები ესხა სულ მთლივ. იმ ჟამად იქ ვერავისი ვნახე. მიალერსა, ტკბილად დამხუდა. ფეხზე ვილაპარაკეთ. ერთს სახლს გარეთ გამომყუა. წამოვედით მისი შვილის სანახავად. მის მეტი შვილი არა ჰყავს. ისიც უშვილოა. თავი ხელთ არა აქვს. ას ორმოცი ბიჯი კიბე ამარონინეს. დიდხან კარზე ვიდექით. მერმე შეგვიყუანეს. ისიც ფეხზე დამხუდა. ტკბილად მიალერსა, შინაურად. და გამოყოლით არც ბიჯი წამოუდგამს. მომცრო მსუქანი კაცი იყო. თვალთ არა სჭირდა რა. წამიყუანეს მისის წალკოტის სანახავად. წალკოტების ქება, ამბები ფრანციცისა დამიწერია, მაგრამ ამისი ეს სჯობდა. სულ ნარინჯი, თურინჯი იყო აუარებელი, ღობესავით. თუ ჭურჭელში ნადგომი, თუ თალარსავით დახურვილი, ერთს რიგზე სხრტესავით გარდაეგრიხათ — გარდმოეგრიხათ. ადლნახევარი თუ იყო სიმაღლე. გრძლად დიდს ადგილს და სულ ხშირად ნარინჯ თურინჯი ესხა. ის დიაღ მომეწონა. კარგ გვარად იყო, წამიყუანეს. ხევნებს აქათ და იქით — ორ რიგი ალვის ხე. თვითო სწორედ ასული

და თვითო გაფანჩული იდგა. და წინ დაბალი ბზა ეგდა. აქათ და იქით დახურვილი დაფნა ალვის ხეებზე. და მისთანა იყო, შიგ გზა გაიარდა, მზე არ დაადგებოდა. დაბლა შუაზე ერთი აუზი იყო, დიდი. და შიგ აუზში ერთი კაი ნარინჯისა და ყვავილების წალკოტი იდგა. კარგა მოდიდო იყო. და შუაზე სხვა აუზი იყო. და ჯვარედინად გათლილი ქვა იდგა. აუზი თევზით სავსე იყო. და ჯვარედინს ქვაზე მარმარილოთ აგებული კაცის სიმაღლე იყო. ორი კაცის მხარს შემოსტეხდა. ზედ ერთი კაცის სიმაღლე გრანიტის ქვა იდო. იმავ სისხო. და ზედ იმ ქვაზე ერთი მარმარილოს ქვის ტაშტი იდგა. იმათის ადლით ოცდა თექვსმეტი ადლი იყო მთელი. იმათი ადლი სამი მტკაველი და ოთხი თითის დადებაა. ეს ქვა დიაღ გამიკვირდა. იმ ტაშტში ერთი დიდი ლოდი იდვა. სამგნით სამი კაცი გათლილი მჯდომარე და ხელთ სხვადასხვა ცხოველები ეჭირათ. და იმ შუა ლოდზე ერთი კაცი ფეხზე მდგარი. ამ დიდს აუზს აქედამაც ხიდი ჰქონდა გასავალი და იქიდამაც, ბრტყელი ხიდი. და აქათ იქით მაღალი რკინის ხარიხა ევლო. და ამ დიდს აუზსაც მაღალი ხარიხა ევლო. ხარიხის გარ ერთის გზის ოდენი სრულ ჩაწყობილი კენჭები ევლო. და მისავალს ხეივანზედაც აქათ იქით სრულ ისევ იმ სიგანე ჩაწყობილი კენჭები იყო. ზეით ამ ხეივანში ერთი კენჭებით ჩაწყობილი ვარდის სახე იყო. იმას ზეით ერთი კლიტე იყო. და აუზის ხიდს აქათაც კარი ჰქონდა, იქათაც. რკინის ფანჯარის კარს აქათ იქით პატარა სახლი იყო. კაცი შევიდოდა. დგომითაც გაიმართოდა. ერთი კაცი შევიდა იმაში. რაცაღა კლიტე მოაბრუნა. ჯერ იმ შუა აუზში იმ კაცებსა და იმ ცხოველებში ამოედინა შადრევნები. მერმე იმ დიდს ქვის ტაშტის გარშემო მრავალი წვლილი, მაღალი შადრევანი ამოედინა. მერმე ხიდზე ზედ ახლო-ახლო ათ პირად ორასამდი შადრევანი ამოედინა. მერმე რაც ხარიხა იყო, ან ხიდზე, ან ხიდის გარშემო სულ ახლო-ახლო შადრევნები ამოედინა, მაგრამ თითოში ხუთი-ხუთი. მერმე რაც კენჭი დაფენილი იყო ჩაწყობით, ვინ იცის რამდენი ათასი, შადრევანი ზოგი აღმა, ზოგი განზე ამოედინა. ეს სულ დიოდე. და ჩვენ უმზერდით. მერმე ხეივანში რომ ვარდივით კენჭი ჩაწყობილი ვთქვი, იმას ზეით კლიტე მოაბრუნეს. იმ კენჭებში უანგარიშო შადრევანი ამოედინა. მერმე ის დასწყდა. შუაზე ერთი მაღალი შადრევანი ამოედინა

და რახანს იდინა, სულ თოფის შილინგივით ხმა იყო ზედაზედ. მერმე ის მოშალეს, ერთი თასმის ფავარა ჩაურჭეს. სადკენაც უნდოდა, ვისაც ხელთ ეჭირა, ეს დიდი შადრევანი იქით მიუშვის. ვისი გაწუწვა უნდოდის, გაწუწის. ორმოც ადლზე სადაც უნდის, იქ შეასხის. მერმე ის თასმა ამოაძრო. სხვა რკინის ფავარი დადვა. ამოუშვეს შადრევანი, წვიმა რომ მოდიოდეს, იმ გვარად. და ზევიდამ იდინა, ჰაერში რომ თოვლი ჩამოდიოდეს, ისე ჩნდა. ძირს ყველა წყალი იყო, მაგრამ ჰაერში ამგვარად ჩნდა. მერმე ხოშკაკალა რომ მოდიოდეს, იმ გვარად გამოჩნდა. მერმე წაგვიყვანეს სხვა მხარეს. უცხო ფრინველების და პირუტყვების სანახავად. სირაქლემები იყო და თეთრი ფარშამანგი, თეთრი ხოხბები მრავალი, მაგრა წვრილი იყო. ეთიოპიური ცხვრები იყო. დიდრონი რქები ჰქონდა, მოდრეკილი ყბამდის. ფარაოს ქათმებს ეძახდენ. უცხო რამ ფრინველი იყო. ათი თხუთმეტი თუთი იყო: ზოგი წითელი, ზოგი მწვანე, ზოგი ჭრელი, ზოგი თეთრი სხვადასხვა რიგი, მაგრამ წითელი უფრო მრავალი იყო. ვარხვი, იხვები, კარაპები, მაჩვები. მკითხეს: გინახავაო? მე უთხარ: მრავალია მეთქი, და ეუცხოვათ. ასე უცხო ნადირის მოყუარე არიან. ჯერნის რქები იყო და იმისთანა სხვა რქები იყო, ჯერნისას გვანდა, და ორის ჯერნის რქის სიგრძე იყო, და მოგრეხილი. მითხრეს: ერთი რიგი ნადირიაო, ეს ფეხზე ასხიაო. მერმე საქიმოს სახლში შემიყვანეს. მრავალი უცხო რამ იყო. მაგრამ მე რომ არ მენახა, ერთი რისღაც რქა იყო. ჯერნის რქის მსგავსი, მაჯის სიმსხო. ერთი მხარი და ნახევარი იქნებოდა, შავი და მოხრილი, ჯერნის რქასავით დაჭდეული. სხვა კორკოდილო და მარტორქის რქა და მაგისთანები მრავალი. ერთი გველი იყო, ორი მხარი სიგძე და მკლავის სისხო. კბილები ორ რიგად ესხა. ასე თქვეს, ინდოურია. მრავალი რამ ამ გვარი მძრომელი იყო. მაგრამ ერთი მიხაკის ასხმული ხომალდი გაეკეთებინათ: ნავით, აფრით, ანძითა და თოკებითა. დიდი ხელოვნება ეხმარათ. მრავალი უცხო ფარფური და წამლები და ქვები ვნახეთ.

ჯ ენკენისთვეს წავედით კრანდუკას სასაფლაოში. დიდი ეკკლესია და კარგა გარიგებული იყო. და მარცხენას მხარეს მათის სასაფლაოს კარი შევიდოდა. კარგა შემკული საფლავები იყო, ხელმწიფურად შემკული. მერმე კრანდუკა რომ ეკკლესიას აშენებს, იქ შემიყვანეს: მრავალი ფერადი მარმარილოს სვეტი

იყო, კარგები. მაგრამ ორი შავი პარაგონე ქვის სვეტი იყო. გამაკვირვა. ოთხ-ოთხი ადლი უმაღლე იყო. ორი კაცის მხარს თუ შემოსტევდა. ის საკურთხევლისათვის უნდოდათ. ას და თერთმეტი წელიწადია აგებენ. საკურთხევლისათვის სრულ ხელი არ უხლიათ, და ნახევრამდი სხვა ძლივ აშენებულა. არც მწვე მომცროა. კაი მოზრდილი ეკკლესიაა, მაგრამ შიგნით სვეტი არა აქვს. მრავალგან ზურმუხტი, ლაჟვარდი და ძოწი უხმარებიათ ყვავილებშია. და სხვა სრულობით აკატი, ფერადი იამანები, ფერადი ეშმი შეუწყვიათ ყვავილად, ნადირად, თუ ფრინველად, რომ კაცს დახატული ეგონებოდა. ამ საქმემ დიდად გამაკვირვა. რვა კუთხე ეკკლესიაა. თვარა ფერადი მარმარილო, გრანიტის ქვა, ალაბასტრი, პორფირი და პარაგონის ქვები ნახმარია, მაგრამ ასე რიგად, რომ არ ჩაიგდება. ან საფლავებია და ან ხატებს უკან არის ნახმარი. ერთი ახალი ვაჟი კაცი იყო მისი ოსტატი. ოცის წლისა თუ იყო. ან ცოტად მეტი, ან ნაკლები, მაგრამ გვარიანს რასმე გვანდა. ტრაპეზად ერთი წითელი ჭრელი იამანი იყო, სამ ადლ ნახევარი, ორი ადლი განი, მთელი. და რამდენი უცხო ქვები სხვა იყო, ვინ მოსთვლის. ორი სასთაული გაეკეთებინათ ქვისა და შიგ თვალები მოეყვანათ. მაღლობზე დაედგათ. ზედ კრანდუკას სახეები იდგა. გარშემო ალმასი, ზურმუხტი და იაგუნდი ისხდა. და აქათ იქით პირს სხვა დათლილი თვალები: ზოგი სეილალი, ზოგი სრავი, ზოგი თილია, ზებერჯა და მისთანანი. და ექვსი მისთანა სასთაული სხვა უნდა გაკეთებულიყო. ტრაპეზისა და საკურთხევლის შემკობა ამას იქით როგორი მოვა, ის თქვენ გასინჯეთ. იმისი სასთაულებზე გვირგვინები იდვა გულქანდად. კაი თვალები შეწყობით ჩასხმული ნახევარს ზეით სრულად. და საკურთხეველი სამი კედელი იყო. მის ძირს ჩაგვიყვანეს. კამარა შეკრული დიდი ეკკლესია იყო. ის ზედ მოეყვანათ. დაბალი კამარა შაეკრათ. ხელს ვერ შეაწვდენდა კაცი. იქ ერთი ქრისტე ჯვარცმული და ცალგნით ყოვლად წმიდა, ცალგნით იოვანე მახარებელი, მარმარილოსი, გათლილი იყო. სწორედ ცოცხლები გეგონებოდა. იქიდამ დომინაკაანთ მონასტერში მოვედით. და ერთ მონასტრად სიდიდით, თუ სიმდიდრით, თუ მორჭმით, ისიც კარგი იყო. მონასტრების ქება ხომ დაიწერება, ვერც კაცის გუნება მისწვდება. სამოცდა თოთხმეტი დედათ მონასტერია ფლორენციაში, მამათ

მონასტერსა და ეკკლესიას გარდა. მერმე იმავ დიდს ეკკლესიაში მივედით. დღეობა იყო წმიდის ზენონისა. მისი თავი და სხვა ნაწილები ვნახეთ.

ე ენკენისთვეს წავედით ერთს სხვას მონასტერში. წმიდა ანტონინე მთელი იქ იყო დამარხული. იქ ვილოცეთ. გამოვბრუნდით. სამადლოთ რომ ქალებს ზრდიან მონასტერში, ვის უნდა მონაზონად შედგება, ვის უნდა გათხოვდება. იმათგან, რომელიც გასათხოვარი იყვნენ, გამოესხათ და მოდიოდნენ. პირველად ერთი ვერცხლის ჯვარცმა მოჰქონდათ. ზედ გრძელი ომფორივით დრამა ეკიდა საუფლოები, შეკერული. და ექვსი კაცის უმაღლე სასანთლე ვერცხლისა აქათ იქით. მერმე ერთი ხის ჯვარცმა მოჰქონდათ. და ორასამდი შავით შემოსილი კაცი, თვალები უჩანდათ, სხვა არა რა, ორ-ოლი და ორ-ოლი. თვითო დიდი თეთრი კელაპტარი ხელთ ეჭირათ. მერმე სხვა ჯვარცმა მოვიდოდა და ოთხასამდი აგრევ თეთრით შემოსილი, თვალის მეტი არა უჩანდა რა, სრულ ორ-ოლი. მერმე სხვა ჯვარცმა მოვიდოდა. და სრულ მამანი და ძმანი, ორასი უფრო იყო. ორ-ოლი მოდიოდნენ: ზოგი იეზოვიტი, ზოგი ბენედიკტენი, ზოგი სხვა რიგი. სრულ ყველა ერთ ხმად გალობდენ. მერმე შემოსილი დიაკვნები. და ერთი დიდი დროშა ყოვლად წმიდის მარიამისა მოჰქონდათ. მერმე ის საქორწილო ქალები. ორმოცდა თორმეტი იყვნენ. ორ-ოლი აგრევ, სანთლებით. სულ იისფრები ეცვათ და თეთრი წმიდა ტილოს ლეჩაქები ებურათ. ერთნაირად იყუნენ მორთულნი. მერმე შემოსილნი მღუდლები მოდიოდნენ, დიდროვანის სანთლებითა და ფილონებითა. მერმე ერთი კუბო იყო, გაეკეთებინათ მოაბაზე. და ზედ ყოვლად წმიდა იდგა, მორთული. კაცის თვალი მის უკეთეს ვერას ნახავდა. ხელ გაპყრობით მლოცავი, ცოცხალი გეგონებოდა. მღუდლებს მხარზე ედვათ მოაბა. მას უკან ჯარი მოდიოდა: ქალი და კაცი, რომ შუკაში არ ეტეოდა. ჩვენ ეტლით ვიდექით და გამოგვიარეს. უმზერდით. კაცს ენახა, იტყოდა, ქრისტიანები არიანო, თვარა ამ ქალებზე ამდენი რათ ირჯებიანო. ის ქალები წაიყუანეს, ერთს სასახლეში დააყენეს, მოძღვრით, გამდლით, მასწავლებლითა. იქიდამ ვინ ვის ითხოვდა, ზითევს ზოგს ას მარჩილს, ზოგს მეტს მისცემდენ და ქორწილს უზემდენ. ამავ დღეს წმიდის პაპის ჯანიშინი მობრძანდა, გვნახა. დია კაის კაცს აქებდენ ყოველი სული. ყმაწვილი

კაცი იყო. ასე ამბობდენ: კარდინალობას მისცემენო. ფლორენცის მთავარ ეპისკოპოსი მოვიდა. და ერთი სხვა ეპისკოპოსი მოვიდა. მაგრამ ასეთი კაცი იყო, გულები დაგვტაცა, ზედ მიიკრა.

ვ͡ენკენისთვეს სხვა კაი მონასტრები მოვილოცეთ, დიაღ შემკული.

ზ͡ენკენისთვეს წაგვიყუანეს ერთს ყოვლად წმიდის მონასტერში. დიაღ დიდი და კარგი შემკული მონასტერი იყო. ერთი წმიდა ლუკა მახარობლის დახატული ხარება იყო. მის სანახავად, თუ არ დიდს მეფეს მის ძმასა და შვილს, არ აჩვენებდენ. ასე მოატყდა ის ქალაქი, რომ მისი გახსნა შეიტყუეს, გზა ველარ ვიშოვეთ. სამჯერ კარზე მივედით. ვერ შევედით. მერე კრანდუკას მეთოფეებმა ძლივ გზა გვიშოვეს. მე შემათრივეს. ვერც მოენე, ვერავინ შემომყუა. გარედამ ვერცხლით მოჭედილი, კარგად და უფერავად და კაი თვალები, დიდრონი ისხდა. ის ჩამოუშვეს ძირისაკენ, ჩავიდა. მართ ორი ადლი განი ჰქონდა და სიგძე უფროსი. მერმე ოქროთი დაფერილი კარი იყო და მრავალი კაი და ძვირფასი თვალი იჯდა. მაგრამ ერთი ლურჯი იაგუნდი იჯდა ერთის შუათანა ვაშლის ტოლი. მართლა კაი ფერი და წყალი ჰქონდა. ხუთი დიდი წითელი თვალი სხვა იჯდა. არც ლალი იყო, არც იაგუნდი, მაგრამ კარგი რამ თვალები იყო, ცუდი არ იყო რა. ხუთი ყვითელი იაგუნდი, დიდრონი. გამიკვირდა, კაი წყლისა და ფერისა. სხვაც მრავალი ზურმუხტი, სხვა თვალი. მერმე ის კარი ჩამოუშვეს. მერე ბროილს კარი ჰქონდა. ისიც ჩამოუშვეს. ყოვლად წმიდა და გაბრიელ დახატული. მაგრამ ძველობა, მაგდენი რომ მართებდა, არ აჩნდა. გაბრიელ წინ მდგომი, მარიამ მაღლა იხედებოდა. მერმე ისევ დახურეს და დაკლიტეს. წამოვედით. იმ დღეს ჯარის ჯრილობით ერთი დედაკაცი და ერთი ყმაწვილი მომკუდარიყო. მერმე კრანდუკას საუნჯის სანახავად წაგვიყუანეს. თავად სახლები ასე რიგად მორთული იყო, კაცი ამას იტყოდა: სამეფო სასახლე უნდა იყოსო. ორ პირად, გრძლად, ერთი ცხენი დაიღალებოდა, სულ გათლილი ქვის სვეტი. მერმე მაზე საოსტატო სახლები და იმის ზეით საუნჯის სახლები. ცოტა რამ გვაჩვენეს, მაგრამ საჩვენებლად კმარიყო. გარშემო სულ დერეფანი და ძირს ვინ იცის რამდენი ასი კერპი, ან ძველი მეფეთ სახეები იყო, გათლილი: ზოგი მარმარილოსი, ზოგი ალაბასტრის,

ზოგი პორფირისა, ზოგი პარაგონისა, საკვირველები. და ზეით დახატული ხატები: ზოგი მეფეთა, ზოგი კრანდუკას გვარისა, ზოგი პაპებისა, ზოგი კარდინალებისა, ზოგი ხვანთქრებისა და ოსმალოებისა, და სხვაც ვისიც ამისთანები. ერთს სახლში შეგვიძღვენ. რაც საფრანგეთში ხელოვანი მხატვარი კაცი, თუ ქალი გამოსულიყო, თავეთის ხელით თავეთის სახე დახატული იყო. იქიდამ სხვა სახლში შეგვიყუანეს. მრავალი უცხო ფარფური, დიდი ბადიები, დიდი ლანგრები, დიდროვანი ქვები, სხვა ჯამები, თეფშები და ფიალა, ღმერთმან იცის, ჩვენ რომ სქელს ბალღამს ჩინურს უძახით, ისინი ეგვიპტურს ჭურჭელს ეძახიან. დიაღ, კაი და დიდრონი ჭურჭლები იყო. იქიდამ — სხვა სახლში უკეთესები და უმრავლესი. მერმე იქით წაგვიყვანეს. ხუთიოდ სახლი გვაჩვენეს. მაგრამ რას იტყვის კაცის ენა: თავგაუსვლელი სრულებით მურასა გულქანდა, ისე ოქროთ ბროლი, იამანი, ეშმი, აკატი, მთელ-მთელი დათლილი ხომალდები, ჭურჭლები, ფრინველები, ჯამები, ტაშტები, ალთაფები ლაჟვარდისა, მთელები. ასეთები ვნახე, სხვის მეფისაში იმ სიდიდე ჭიქის ჭურჭელი ვერ ვნახე. ერთი მარგალიტი ვნახე, თავი ვერცხლისაგან მოებათ და ტანი მწოლარე ლომის მსგავსი იყო. ერთი სხვა მისი უფროსი მარგალიტი იყო. მაგრამ ფერად ისი სჯობდა. ტრედის კვერცხის ოდენი ვერ იყო და უსწოროც იყო. მაგრამ ზურმუხტები და ყვითელი იაგუნდები დიდრონი და კარგ ფერები ვნახე. ერთი ინდილალის ქრისტეს სახე გაეთალათ და ინდილალის ფიალა. და მაგისთანები, უცხოები მრავალი. და უცხო რიგი ხატები: ზოგი ძვლისა, ზოგი ფერადი თვალებისა, შეწყობილი ვნახე. კაბა ლაჟვარდისა ეცვა, წამოსასხამი პორფირისა, პერანგი თეთრის იამანისა. მთელი გათლილი. ამ გვარად მრავალი ტანისამოსი ფერად ფერადად და ქალების ლეჩაქი ტეტრის იამანისა. ვნახე: სკივრები, ფერადი იამანები და თვალები ხილის მსგავსად დათლილი, სხალი, ვაშლი, ყურძენი, გაპობილი ბროწეული, ქლიავი, ბალი თავეთის ფოთლით, შტოდ შეწყობილი. ვნახე: სკივრები, ყვავილები დათლილი, მთელს ყვავილსავით გამოყუანილი, ფრინველი დახატული. ვნახე: ტაბლები, ფრინველი, სულ თვალები შეწყობილი, დახატულსავით. ვნახე: ქალაქები, ზღვები, ხომალდები, ციხეები, ლომები სულ თვალი დათლილი, შეწყობილი დახატულსავით. ვნახე: ხატი ხარებისა, შობისა, მოგვთ მოსვლისა.

მარტო ყოელად წმიდა ფერადის თვალებით შეწყობილი, როგორც ვერცხლით გამოყუანილი, მორტალს ცოცხლებსავით. ვნახე: წვლილის კენჭებით დახატული ხატები, კაცის სახეები, თევზის სახეები. ვნახე: სახლი სადაფებით აშენებული და სხვადასხვა გვარი ხე და ყვავილი გამოყვანილი, არა თუ გათლილის სადაფით, არამედ მთელ მთელის სადაფით. ვნახე: ქარვის ჯვარები, ხატები, სკივრები, ტაშტები მთელი, ფიალები მთელი, კათხები მთელი და სხვა. შეწყობილი ქარვის ხომლი, ოცდა ოთხი სანთელი აენთებოდა. ქუეშ სულ ხატები, წმიდათ სახეები ჩნდა. ქარვის მთელი კოლოფები, საათის ბუდეები, შეწყობილი, სასანთლეები, თევზის კბილის უცხო ჯვარცმები, პილოს ძვლის უცხო და უცხო გარდამოხსნები, უცხო და უცხო ხეები, ყვავილები, ხატები, ჯაჭვები, ქვეყნის ზომაები. ამგვარები მრავალი უცხო. ვნახე თავის ბუნებით ფერადი ხეები, შეწყობილი, ყვავილები და ფრინველები. ერთს უცხოდ იქ ესეც უცხოდ ჩნდა. ვნახე უდის ხე, ხუთს ადლამდე სიგრძე და აქაიქ შტო მოკლეები ჰქონდა. სისხოც წვივის სისხო იყო. იამანის გათლილი ხატები ფერად-ფერადი ეშმისა და მისთანები. ფირუზის გათლილი ხატები, პორფირის ქვებისა, წმიდა ხელად ნაქმარი. სხვა მინაქარი და ოქროსი და ან მაგვარი, უანგარიშო. იქიდამ ჩაგვიყუანეს საოსტატო სახლებში, სადაც ამეებს აკეთებდენ, ქვას როგორ ხერხევდენ, როგორ ყვავილებსა და ხილებს სჭრიდენ, როგორ წყალს აძლევდენ, ხეს როგორ სთლიდენ, რკინას როგორ აკეთებდენ, ძვალს როგორ სთლიდენ, იამანს როგორ სჭრიდენ, ესეები გვაჩვენეს: როგორ აწყობდენ, როგორ აკეთებდენ. ერთს სახლში შეგვიყუანეს. ეკკლესიის ქება რომ დავწერე, მისი ტრაპეზი და ზიარების კიდობანი, იქ იდგა. ზოგი გაეკეთებინათ, ზოგს აკეთებდენ, ზოგისა ნიშანი იყო, ისე უნდა გაეკეთებინათ. მრავალი კაი თვალი, ზურმუხტი დიდრონი, ყვითელი და ლურჯი იაგუნდი ისხდა. თვარა ფერადი აკატი, იამანი და ეშმი სულ ის იყო, შეწყობილი. ზოგი საუფლო, ზოგი ყვავილად, ზოგი ძველის სჯულისა სახედ. მოციქულები მთელ-მთელი სხვადასხვა ქვისა. სხვის ქვის პერანგი, სხვის ქვის სამოსელი, სხვის ქვის წამოსასხამი, სულ პატიოსანი ქვებისა, რომ გეგონებოდა კაცს ფარჩის ტანისამოსი აცვიაო. და თავთავეთი სატანჯველი ხელთ ეჭირათ. მაგრამ ამის მეტი სხვა სალარო არა გვინახავს რა. და სრულებით ასე ამბო-

ბენ: კრანდუკას ეკკლესია და სალარო არას მეფეს არა ჰქონდეს. მაგრამ ეკკლესია ნახევარზე გათავებული არ არის. და სალარო ამის მეტი არ გვინახავს, მაგრამ რაც ვნახე, ერთის მეფისთვის დიდი საქონელია, თუ გასინჯავთ.

ენკენისთვეს ისევ კრანდუკამ გვნახა. გამოგვესალმა. ერთს კარს გარეთ გამომყუა. ალიკორნამდი ნავი და, რასაც ხანს ალიკორნას ვიდეგით, ხარჯი დაგვიწერა და გამოგვისტუმრა. იქიდამ წაგვიყუანეს ახალ წმიდა მარიამ მაგდანელის საფლავზე. დედათ მონასტერი იყო. კაი ეკკლესია, ფერადის მარმარილოთი აშენებული. ეს მარიამ მაგდანელი ფლორენციაული თავადის ქალი ყოფილა. მარიამ მაგდანელის ლოცვით მისცემია. მისი სახელი დაურქმევია. ქმარი აღარ უნდომებია. წმიდის ტერეზიას რიგის ქალწული შექნილა. მრავალი უცხო სასწაული უქნია. ქრისტე მრავალგზით გამოცხადებია. ას და ათის წლისა მიცვლილი იყო. ოღონდ ხორცი მოშავებოდა, თორემ არც ცხვირი, არც რაი არ წახდომოდა რა. ისევ მთელი, მძინარესავით ბროლის კუბოში, ოქროთ მოჭედილში, ესვენა. უცხო და ძვირფასი მურასა გვირგვინი ეხურა. კაი ძვირფასი ბეჭედი ეცვა. კაი ჯვარცმა მურასა გულზე ესვენა. პირი, ხელები და ფეხები უჩანდა. და სხვა კაის ზარბაბებით შემოსილი იყო. იმათმა ენკრატისებმა გვნახეს. გვიალერსეს. იქიდამ წამოვედით. კრანდუკას სამხეცოში შეგვიყვანეს. ოთხი ლომი იყო. ერთი ხვადი, დიაღ დიდი. სამი უმცროსი ძუ. ხუთი ვეფხვი იყო. ორი დათვი. ოთხი შველი. ორი მგლის დიდის ქოფაქის შვილი, მგლებს უფრო გვანდა და შავი იყო. ოთხი ტურა იყო. ყაჯირი არწივი. ამისთანები. დიდრონი ქოფაქები. მართ იმ ძუ ლომებს უფრო იყო. დიაღ დიდრონი იყვნენ. ლომებსაც ეტყობოდა, საძალოდ ნაქმარი რამ იყო. მათი ადგილიც კარგა გათლილი ქვით გაკეთებული, გარიგებული იყო. მერმე სამადლო ადგილი გვაჩვენეს. ერთი ქსენონი. სხვებიც იყო, მაგრამ ჩვენ ეს ერთი ვნახეთ. ათასის სნეულის ლოგინი იყო. მაგრამ ჩვენობას ოთხას სამოცდა ექვსი სნეული იწუა. ვაჟკაცნი ცალკე, ბერი კაცი ცალკე და ყმაწვილები ცალკე, ქალები ცალკე, ბერები ცალკე, დედაკაცები ცალკე, საპატიო კაცების ლოგინი სხვაგან იყო. კარგი მორთული ორის მეტი არა ვინ იყო. მისი სააქიმო და საჯარაო გვაჩვენეს. მაგრამ სააქიმომ გამაკვირვა. მე ასე მგონია, ასი ქვევრი

თვითო საპალნისა სულ მალამო იყო სხვის გარდა, მე ხომ მეტი მგონია, სხვას წამლებს გარდა. თორმეტი კაფუჩინები მსახურებდა. ხუცები არ ვიცი რამდენი და ასი მონაზონი ქალწული, რომელიც ავანტყოფთა მომვლელთაგანი არიან. იმ ქსენონზე მათი მონასტერი ახლო იყო. და რიგით გამოვიდიან. და მსახურებდიან. ერთი ეპისკოპოსის ადგილს მყოფი ხუცესი იყო მათი თავი. იმავე ქსენონში ჰქონდა კაი სასახლე, კარგა გარიდებული, მომცრო სამწირველო თავისთვის. კლიტეები მას ებარა. და მრავალი მოსწავლე სხვა იყო. ზოგი აქიმის შეგირდი, ზოგი ჯარასი, რომ ტანსა და ფეხსაცმელს, საჭმელს მონასტერი აძლევდა. და სნეულებს ისინი მსახურებდენ, და სასწავლოსაც ასწავლიდენ: წიგნსა, ფილოსოფოსობასა, აქიმობასა, ჯარაობასა, სიმდაბლესა, სნეულ მოვლასა, წამლის კეთებასა, მზარეულობასა და მის რიგებასა, რაც იქ სამსახურია. თორმეტი კაფუჩინი ექვს-ექვსი უძილოდ გაუყრელად იყვენენ: აღსარება, ზიარება, ნუგეშინის ცემა, მოთმინება — ამას ასწავლიდენ და უქადაგებდენ. უსასოდ არავინ იყოს. ორი მკუდარი ესვენა. იმ დღეს დახოცილიყვენენ. ფლორენცა მართლა გასინჯვით ვერ ვნახეთ, ხანი არ დაგვცალდა.

ფ ლ ო რ ე ნ ც ი ი დ ა მ წ ა მ ო ს ვ ლ ა. თ ̃ენკენისთვეს დილაზე ჩვენის მონასტრის ეკკლესიაში შეგვიყვანეს. ზეით რომ წმიდა იოვანე დავწერე, მტერს რომ მიუტევა და ჯვარცმამ თავი მოუდრიკა, ის ჯვარცმა გვაჩუენეს დიდის საქმითა, გალობითა და სანთლებითა. მაღალი ჯვარი იყო, დახატული ბერძნის რიგით. თავი ისე მოდრეკით ჰქონდა. წმიდის იოვანეს ნაწილიც გვაჩვენეს. ორივ კარგა შემკული. წამოვედით, ნავით ალიკორნისაკენ. მრავალი კაი ქალაქები და სოფლები ჩამოვლეთ მრავალი შენობა შენობაზედა, მონასტერი მრავალი. ზოგან ზეთის ხე აკლდა. ოცდა ექვსი მილი ვლეთ და ერთს კაპილიონში დავდექით.

ი ̃ენკენისთვეს ვლეთ და კაი შენობები, კაი ქალაქები ჩამოვლეთ. დავაკება ადგილი იყო, ოდიშის მსგავსი. შენობა შენობაზე. სრულ ბაბილო და ზეთის ხე. ხე მრავალი. აქათ იქით მრავალი კაი შენობა ჩნდა. ვლეთ ი ̃ზ მილი. მოვედით ქალაქსა ფისას. ზემო ფლორენცის ამბავში ერთი ეს დაგვრჩა: შუა ქალაქში მდინარე დიდი ჩამოდის. ოთხს ადგილს ხიდი ძეს, ხუთ-ხუთ, ექვს-ექვსი კამარა. მაგრამ ერთი ხიდი ვაკეთ იყო დახურული. კამარის

სიმგრგუალე ძლივ შეეტყობოდა. განიერი კამარები ჰქონდა. ასე ოსტატობით აეშენებინათ. და კრანდუკას სასახლე მდინარეს იქით ქალაქს გაცილებით იყო. მისი ციხე თავს ადგა. სულ ქალაქი ხელქუეშ ჰქონდა და წალკოტი გვერდით და იმ სასახლიდამ ციხეში ასე შევიდოდა კრანდუკა, ვერავინ შეიტყობდა. გზა გვირაბით ჰქონდა. და მდინარეს აქეთ ქალაქში კრანდუკას საუნჯე იყო, ორი მილის სიშორესა. ასე მოერთო კრანდუკას. სასახლიდამ სრულობით ბაზარი წამოეყვანა, ერთს ხიდზე გამოეტარებინა, სალარო-სათვის შემოეყარა ზედ ბაზრის თავზე. ასე გზა მოერთოთ: უნდა ეტლით მოვიდოდა, თუ უნდოდა ქვეითად საუნჯეში შევიდოდა.

ფ ი ს ა ს მოვედით. ფლორენცასავით მდინარე შუა ჩაუდიოდა. ოღონ კრანდუკა ფლორენცას იჯდა, თორემ ქალაქი ის უარესი არ იყო. სხვაგან ვერსად ვნახე, და ფისას მრავალი სასახლე გათლილის მარმარილოსი იყო. ბაზრების სვეტები უფროსი ერთი გათლილი იყო. მთავარ ეპისკოპოსი იჯდა. მისი ეკკლესია ვნახე დიდი ჯვარის სახედ აშენებული. გარედამ და შიგნიდამ სრულობით მარმარილო იყო. იატაკი თავით შიგნიდამ სამოცდა თორმეტი. თითო ქვის მაღალი სვეტი ძირს ჰქონდა. ორსართულად იყო დახურვილი. და ზეითი ვერ დავთვალე უფრო მოკლე და უმრავლესი სვეტები იყო. ორმოცდა თექვსმეტი მარმარილოს სვეტი დიდის კარისაკენ ჰქონდა გარედამ. და გარშემო ზოგი მარმარილოსი, ზოგი პორფირის სვეტები, მრავალი, ვერ დავთვალე. ერთი იქაური წმიდა ესაფლავა. სახელად წმიდა რანიგრო ერქვა. შიგნით შევიდოდით, ისე გვეუცხოვის, გარეთ გამოვიდოდით, შიგნით შესვლა აღარ მოგვინდის. მრავალი დიდროვანი ვერცხლის სასანთლე კანდელები, ხომლები, ჯვარები, ხატები ძვირფასები. და ტრაპეზი სულ მთელი ვერცხლი. ზეიდამ ზიარების კიდობანი, ვეჭვობ სამოცი ლიტრი იყო. იქით ერთი სასაფლაო აეშენებინათ, ნოეს კიდობნის ზომაზე, სულ მარმარილოთ. სამასი წყრთა სიგრძე, მისი განი და სიმაღლე. უცხო მარმარილოს სვეტი ორას ოცდარვა ჰქონდა. სიწლოდ წვივის სისხო და სიმაღლე ხუთი ადლი. უცხო რიგებად დათლილი. დიაღ მომეწონა. იქ ვისაც დამარხვენ, ახალი მკუდარი ოცდა ოთხს ჟამზე დაფხეკილი ძვლები შეიქნება. იერუსალიმიდამ მეკეცის აგარაკის მიწა მოუტანიათ და ის ჩაუყრიათ. იმისგან არის. იქიდამ გამოვედით. სანათლოს ეძახდენ, ერთს ეკკლესიაში

შეგვიყვანეს იქავ. ისიც სრულობით მარმარილოთ ნაგები იყო. შიგნით და გარეთ ოცდა-ათი სვეტი მარმარილოსი სანათლავს ჰქონდა. შუა დიდი ემბაზი იყო, შეწყობილი პორფირისა. იქით ერთი საქადაგო იყო. ცხრა სვეტზე იდგა. სამი პორფირი, სამი მარმარილო და სამი გრანიტი. ზედ საქადაგო თეთრი ალაბასტრი იყო. საუფლოები უცხო მოჭრილი. და კიბე პორფირისა ჰქონდა. გარედამ ოცი მარმარილოს სვეტი ძირს ჰქონდა. სამოცი მისი უმცროსი ზეით ჰქონდა. იმას ზეით ხუთი გუმბათად მოეყუანათ. დიაღ სასიამოვნო სანახავი იყო. იქიდამ გამოგვაბრუნეს. უკან სამრეკლო ედგა. ისიც სრულებით მარმარილო იყო, რვა სართულად აშენებული. მაგრამ რვა რიგი სრულ ახლო-ახლო თეთრი მარმარილოს სვეტი მოეყუანათ. თითო რიგზე ორმოც-ორმოცი. და სამრეკლო ასე წახრით აეშენებინათ. კაცი შეშინდებოდა, აგე წაიქცევაო. ეს ამდენი შენობა ამ ოსტატობით მოეყვანათ. იქაც მრავალი რამ უცხო იყო. მაგრამ მგზავრი ვიყავით. არ გვეცალა სანახავად. და ავდარიც ძალიან იყო. თვარემ ერთი ეკკლესიის ქება თქვეს, იმაში ერთი საკვირველიაო, მისი ტრაპეზიო ოთხმოცი ათას სკუთად გაკეთებულიაო.

ალიკორნიდამ მოსვლა. ია. ენკენისთვეს ფისადამ წამოვედით. ფისას წყალი ალიკორნას ზეით ხუთს ეჯზე ზღვას შეეყრება. რადგან ეს ასე სიშორე გაუსინჯავთ, ალიკორნიდამ ზღვა გაუჭრიათ. კრანდუკას ოცს მილზე ერთი რუ მოუტანია. ფისას ქალაქის ბოლოს ფისას მდინარისათვის შეურთავს. იმ მდინარიდამ ნავები თუნდა მდინარით წავლენ, თუ უნდათ ზღვის რუთ წავლენ. კარები აქვს შებმული. თუ უნდათ ასწევენ, თუ უნდათ ჩამოუშვებენ. ასე არის მორთული. ნავს ასწევენ ჭახრაკითა და კარზედ გარდაათრევენ. და კაცნი იქიდამ მოუვლიან, ჩასხდებიან და ალიკორნას ისე წავლენ. ან სამი კაცი შეებმის, ან ორი. თუ მძიმეა, ოთხი. ჩვენც ცამეტიოდ კაცი ვიყავით ჩვენის ბარგითა და ნუზლითა. სამი კაცი მიგვათრევდა, ხან ნიჩბით. იმ ზღვის რუზედ ადგილ-ადგილ ხიდები იდვა. ოცი მილი შვიდს ეჯზე ცოტარამ ნაკლები იქნება. ოცდაერთი მილი შვიდი ეჯია. ასე დიდი ადგილი გაეჭრათ. ამისთანა შენობებს ცდილობდენ და ძნელს გააადვილებენ. მოვედით ალიკორნას. უწინ რომ დაეწერე: ალიკორნის გარეთ შენობა არა ჩნდა, ზღვა-ზღვა მოვიდოდი, მაგრამ ხმელეთისაკენ კაი

შენობები ყოფილა. ალიკორნას გარ სრულ ზღვა ავლია. კაცის ხელით არის გაკეთებული. ხიდები ძეს, ზოგან ხიდით შეისვლება, ზოგან ნავებით შიგ ქალაქშია. დიაღ კაი ქალაქია. ბერძნის საყდარს მივედით. ბერძნები ვერავინ ვნახეთ. სომხის საყდარს მივედით. დიაღ კაი ეკკლესია იყო. კარგა აშენებული, შვენიერი. არას ადგილს სომხებს მისთანა შვენიერი ეკკლესია არა აქვსთ. სხვებიც მრავალი უცხოები იყო. მაგრამ რადგან ვერ ვნახე, აღარც დავწერე. საქმემ არ მოგვიხდინა ნახვა. არა თუ ჩემი საქმით, სოფლის საქმით.

ოცდახუთს ენკენისთვეს ალიკორნიდამ წამოვედით. ალიკორნელი ფრანცისის მეფის კონცული მრავალს გაისარჯა ჩვენზედ. დია კაი კაცი იყო. ფრანცისის ნავში ჩაგვსხა. ჩვენ მალთას გვინდოდა მოსვლა და ის ხომალდი სიკილიის ქვეყნისაკენ მივიდოდა, მისინა ქალაქს. და იქ უნდა მივსულიყავით და იქიდამ სხვა ნავით მალთას წავსულიყავით. ორასი მილი გაგვიმრუდდა. კაცის თავს შვიდი მარჩილი გამოგვართვა, თავის სასმელ-საჭმელით, კარგა ხელის შეწყობით. სხვა მეხომალდე კაცის თავს სამოც მარჩილს გვთხოვდა, უსაჭმელოდ.

კვ ენკენისთვეს ქარმა პირს დაგვიწყო ცემა. ვეღარ ვიარეთ. ალიკორნიდამ მისანამდი ექვსასი მილი იყო.

კზ ენკენისთვეს ქარმა გაგვაბრუნა. ზეით რომ სპანიის მეფის ციხე დავწერე, იმ ლიმენაშიე მივედით.

ოცდა რვა ენკენისთვე იქ ვიდექით.

კთ ენკენისთვეს გამოვედით, კიდევ ქარი პირს გვცემდა. მერმე ისიც ჩავარდა. უქაროდ დავრჩით.

ოცდა ათი ენკენისთვე ცუდად ვიდექით.

ა ღვინობისთვესა საღამოს ცოტა რამ მრუდი ქარი იდგა. ვიარეთ. აღგვიღელდა დიდად.

გ ღვინობისთვემდე დღე და ღამე სულ დიდი ღელვა იყო. დიაღაც. სამს ღვინობისთვეს წირვის დროს ღმერთმან შეგვიბრალა: კაი ქარი ადგა. ვლეთ. ხან ქარი მრუდი, ხან არც სულა.

ვ ღვინობისთვეს მისინას მიმართეს, მიახლოვდენ გამობრუნდა ქარი. სხვას ქალაქს მიმართეს. სიკილია დიდი სამეფოს კუნძულია. შვიდასი მილია. მისი გარშემო კაი ადგილი. პალერმო ქალაქს მიმართეს. ქალაქი დიდი და ზღვის პირი ვაკე. კაი ადგილები, მაგრამ მთა გორი, ხშირი და უნაყოფო, უხეო, კლდიანი.

ზ ღვინობისთვეს შუადღეს უკან, ფრანცისის კონცული იჯდა, ის გამოვიდა. ხომალდში გვნახა. წაგვიყუანა ეტლითა. ქალაქში შეგვიყუანა. მრავალი დიდი და კაი ქალაქი ვნახეთ, მაგრამ ერთს ქალაქად დიაღ მომეწონა. უფროსი ერთს გალავანიცა და სახლებიც თლილი ქვა იყო. ქალაქის შუა გულზედ ერთი მგვრგვალი ალაგი რვა კუთხედ გაეკეთებინათ. ოთხს კუთხეს თვითო მარმარილოს სახე იყო. და ოთხს კუთხეს ოთხნითვე გზა შევიდოდა. ქალაქს ოთხს მხარეს თვითო კარი ჰქონდა. ასე სწორად იყო ეს გზები. შუადამ ოთხივ კარი ჩნდა — სულ ბაზარი. იმ მგრგვალს ადგილთან ზედ მარჯვნით, ერთი წყარო იყო. სამი ხარისხი აივლიდა. გარ მარმარილოსი რვა კაცი იდგა. მერმე ცხრა ხარისხი აივლიდა. ოთხგნითვე ოთხ-ოთხი მარმარილოს კაცი იდგა. ზოგს ისევ, ან ქალი, ან კაცი უდგა. ზოგს სხვა პირუტყვი და ან კაცი და იმ სხვას მხარეს კაცამდი განზე სამი კაცი სხვა იყო. ერთი შუაზე იწვა. აქათ იქით იდგა იმ ხარისხებს გარშემო მარმარილოს სპილო, მარტორქა, ლომი, ირემი და რაც უცხო ნადირებია გარ იდგენ. მერმე მაღლა ვაკე იყო. კალოს ოდენი. შუაზე დიდი აუზი შეკრული. შუა მაღალი ქვა, კარგა ყვავილოვნად გათლილი. ზედ ერთი ტაშტივით მარმარილო. ოთხი ფრინველი გარშემო ისხდენ. და შუა მაღალი ქვა და აგრევ ტაშტი და ოთხი იხვი იჯდა. და შუა მაღალი ქვა და ზედ კაცი მარმარილოსი. თავში დიდი წყარო გამოსდიოდა და რაც ან კაცი, ან პირუტყვი ვთქვით, ყველას პირში შადრევანი გამოსდიოდა. სამს ადგილს მათის მეფის სახე იყო: ერთი მარმარილოსი და ორი ტყვიისა, სხვისა და სხვისა.

ჯერ მოგვიყუანეს თიატინის ეკკლესიაში. დიდი ეკკლესია იყო და ოცდა რვა მარმარილოს სვეტი ჰქონდა, თვითო მთელი. თვითო ექვსი ადლი სიმაღლე. მგონია შვიდი მოჭრელი მარმარილო იყო. და ათი ყვითლის მარმარილოს სვეტი. თვითო ორადლნახევარი იყო. ზეიდამ და გვერდები უცხოდ დახატული. უცხო კანდელები, დიდრონი, უცხო სასანთლეები.

მერმე მიგვიყუანეს იეზოვიტების ეკკლესიაში. ეს უდიდესი ეკკლესია იყო. მაგრამ სვეტები კედლისა იყო. აქათ იქით ათ-ათი კამარა იყო. მაგრამ სვეტებზე სულ ფერადი მარმარილო ეხმარათ და კედლებზედაც. მაგრამ როგორ ეხმარათ. ფრინველში დაეთა-

ლათ. ვინ გველის მჭამელია, გველი ეჩარა, ვინ ჩიტისა ჩიტი ეჭირა, რომ მართლა ფრინველის მსგავსად, სად ხილის მსგავსი, ხილის ფერი მარმარილო და ფოთოლი და ყვავილები. სულ ყვავილებისა და ხილის მსგავსი კედლებსა და კედლებს ზედა. დავითის ფსალმუნები. კაცი თეთრი მარმარილოსი. მრავალი უცხო საქმე ვნახეთ. ცა კარგა დახატული. იატაკები, იმისიცა და სხვებისაც, სრულებით ფერადი მარმარილო შეწყობილი. დიდრონი კანდელები და სასანთლეები, მრავალი უცხო მარმარილოს ხატები.

იქიდამ მივედით საეპისკოპოსო ეკკლესიაში. ეკლესიის გარეთ დიდი მინდორი, სულ ქვაფენილი. გარეთ შემოზღუდული და ზედ პაპებისა და წმიდების სახე მარმარილოსი ამართული. შუაზე მომცრო შადრევანი. შუა მარიამ ყოვლად წმიდა მარმარილოსი. შეევედით. ცხრა სვეტი აქათ, ცხრა იქით. სვეტები თვითოზე ოთხ ოთხი მარმარილოს სვეტი იყო ერთად შეყრილი. დიაღ, საამოვნო იყო. საკურთხეველები — უცხოდ შემკული სრულ ფერადის მარმარილოთ შეწყობილი: ზოგი ხილის მსგავსად, ზოგი ყუავილის სახედ. თვარა ხატები უმრავლესი. ერთი წმიდის ზიარების კიდობანი სრულობით ლაჟვარდი ქვით იყო აშენებული. ოთხი ადლი სიმაღლე, აგრევ სიმგრგვლე, რომ მთელი ლაჟვარდის სვეტი თვითო სამ-სამი მტკაველი. და სხვა სრულობით ლაჟვარდის იყო. ნაგები კანდელები, სასანთლეები დიდრონი. თვითო ათის ლიტრის ვერცხლისა, ნაკლები ზოგი. ღამე გვესწრა. მართლა ვერ ვნახეთ რა. ამ ქალაქის მეფის ქალს ლოზოლა რქმეოდა. ჩვენის ენით ვარდუად გამოითარგმნება. ქალაქს ზეით ერთი კლდიანი მთაა, იქ დამდგარა ქალწულად და მრავალი მოღვაწება უქნია. წმიდა შექნილა. იქ მიცვლილა. ნაწილი ცოტა რამ საეპისკოპოსო ეკკლესიაში იყო და საფლავი იმ მთაში. კაი მონასტერსა აქებდენ, დიდად სასწაულთ მოქმედსა. ჩვენ ვერ ვნახეთ. პალერმოდან ნახევარ ეჯი იყო, მაღალს კლდიანში. გვერდში ერთი სხვა ქალაქი იყო და იქ მთავარ ეპისკოპოსი იჯდა. და პალერმოს ეპისკოპოსი იჯდა. ამ კუნძულს შიგნითაც კაის ადგილებს აქებდენ: ტყიანს და სახნავ სათესსა. თვარა რაც ჩვენ მთა გორი დავინახეთ, სულობით უნაყოფო იყო და კლდიანი.

თ ღვინობისთვეს ადრე კაი ქარი მოვიდა. ღვთის სახელზე წამოვედით მისინასკენ. მალთას მისვლა გვინდოდა. ამ ქალაქიდამ

ორასი მილი იყო. მაგრამ ხომალდი ვერ ვიშოეთ. ას ორმოცდა ათი მილი პალერმოდამ მისინა იყო და მისინიდამაც ორასი მილი მალთა. გზა დაგვიგრძელდა. მისინას მივედით. მაშინვე ფრანცისის კონცული მოვიდა. დიაღ გაისარჯა. ტკბილად და კარგა შეგვეყარა. წავიდა წმიდის ბასილის მონასტერში. ბასილიანი მონაზნები იდგენ. მათი უფროსი და ერთი სხვა მოიყუანა. წაგვიყუანა. იქ დაგვაყენა.დიდი და კარგი ქალაქი იყო. ათი თორმეტი მაგარი ციხე იყო ნაშენი, რომ ერთი სახლი ეგონებოდა. და ის დიაღ მომეწონა. სამეფოს სახლამდი სულ ასე იყო. არ გაიცნობოდა მეფის სასახლე რომელი იყო, დაბლის კაცისა რომელი. უფროსი ერთი გათლილი ქვისა.

ი͡ღვინობისთვეს კონცულს ეტლი გამოეგზავნა. ქალაქის სანახავად წაგვიყუანეს. ჯერ მიველ კონცულის სახლში. კაის გარიგებით ცოლშვილი მოგვაგება. კარგა დაგვხვდა. მერმე წაგვიყუანეს, ერთ მონასტერში მიგვიყუანეს. დიდი ეკკლესია იყო. კვ სვეტი ჰქონდა მარმარილოსი, მაგრამ მთელი არც ერთი იყო, შეწყობილი იყო, მთელს გვანდა. სოფიოთ დახატული იყო საკურთხეველი. ერთი ყოვლად წმიდის ხატი გვაჩვენეს, კარგა შემკული, დიდი იყო, კაცის სიმაღლე, მრავალი პატიოსანი თვალი ივჯდა ვერცხლით მოჭედილი. იმისი ასე თქვეს: წმიდა პავლე მოციქული რომ მოვიდა აქ პირველადო და ქრისტე ქადაგაო, მაშინვე მოიქცენ ჩვენი მამანიო და ერთი მხატვარი და კაცები გაგზავნეს წმიდა მარიამ ღვთისმშობელს შეეხვეწნენო: ერთი შენი საფარველი გვიბოძეო. ეს ხატი მაშინ დახატესო და სამიოდ სტრიქონი წიგნი ღვთისმშობელმა დაწერაო: მე ვარ თქვენი მფარველიო. მასუკან ამ ქალაქში არც ჟამი გაჩენილა, არცარა მაგისთანა საძნელო დამართებიაო. ის წიგნი პაპის სალაროშია. მე მართალი არ ვიცი, ამათ ასე თქვეს. იმ ხატის სასვენი სულ ფერადი მარმარილოთ ყვავილით შეემკოთ. დია კარგა შეწყობილი იყო. მრავალი კაი წყაროები შადრევნად ამოსული იყო.

ი͡ა ღვინობისთვეს ბასილიანთ თავეთი ნაწილები გვიჩვენეს. ჯვარი ნაწილი, დიდი და კარგა გაკეთებული, ორს ოქროს ანგელოსს ეჭირა. წმიდა იოვანე ოქროპირის თავი, თვალებს ზეით კარგა შემკული, წმიდის ბასილის ნაწილი უცხოთ და კარგა შემკული, კაი გვირგვინი და ომფორი სულ მურასა. მთლად წმიდა

ბასილი გამოეყუანათ ვერცხლისა და გულში ნაწილი უჯდა. წმიდა აგათას მკლავი, წმიდის ქრისტეფორეს ცერი, წმიდის ბასილის ძმის წმიდის დემეტრიას ნაწილი, წმიდის ბარბარას ბეჭი, იმათის რიგისაგან წმიდის თომას თავი, სამის მოწამის სხვა თავი, ორის თავეთის რიგისა წმიდისა სხვა თავი, მრავალი სხვა ნაწილი გვაჩვენეს. კაის ხელის შეწყობით ვყვანდით. ზღვის სრუტი მომცრო იყო. გაღმა იტალიის ბოლო იყო, მაგარი ადგილი. კალაბრია ერქვა. კლდიანი, ტყიანი. მრავალი ციხე-სოფლები. ანაპოლის ქვეყნის თემი იყო. ახლა ეს სიკილია საოიას დუკისათვის მიეცათ. საოიას დუკის ამბავს რომ ამბობდენ დაუდერაგი კაცი ყოფილა. ორჯელ-სამჯერ იფრადორს მისდგომია, ორჯელ-სამჯერ ფრანცისის მეფესა. ამ შერიგებაზე ეს ასე მიუცემიათ. ჩვენ რომ მოვედით. ორის კვირით გაგვასწრა. ისე საოიაში წავიდა. მოსულ იყო ამ სიკილიისათვის ოთხასი ათასი სკუთი გამოერთმევინა. ამ მისინელთ ერთი ალმასით გაკეთებული გვირგვინი მიურთმევიათ და ოცდა ათი ზარბაზანი მისინისათვის გამოერთმია. სხვა ქალაქებს სხვა ძღვენი. თემი ემდუროდა. მაგრამ პაპას ერთს რაღაცას საქმეზე სიკილიის მონასტრების დაკლეტა ებრძანა... იმ მეფეს ეს სწყენოდა. შეეყარა თავისი მრჩევლები და არა მონასტერი არ დაეკლეტინა. კაფუჩინებს არ დაეჯერებინათ, ყველას დაეკლიტათ, სადაც კაფუჩინი იყო ის მოეხსენებინათ: სულის საქმეზე პაპის მორჩილი ვართო და ხორციელზე თქვენიო. კაფუჩინებს გასწყრომოდა. ვერავინ მივიდოდა. და მრავალი გაეყარა, რომს წასულიყვნენ. ზოგი საპყრობილეში დაება ოცდა ორს დღესა.

იგ ღვინობისთვეს წავედით. კონცულს ეტლი გამოეგზავნა. კაი მონასტერი ვნახეთ მამათა, მაგრამ ერთი სხუა დედათ მონასტერი ვნახეთ. დიაღ შვენიერი და ტრაპეზი სულ შეწყობილი. ყვავილად და ფრინველად ლაჟუარდი, მარჯანი და ფერადი იამანი იყო. მერმე აქიდამ სხვას დედათ მონასტერში მივედით. დიაღ, უცხო მონასტერი იყო. ეკკლესია მთლივ მაღლა კამარის ფეხამდი იმ ტრაპეზსაით ძოწი, ფერადი იამანი და ლაჟვარდი და აკატი იყო. ზოგი ყვავილი, ზოგი ფრინველი და ზოგი ნადირი. დიაღ, უცხო და ძვირფასი იყო. ოცდა ოთხი ფერადი მარმარილოს სვეტი ჰქონდა. თვითო ოთხი ადლი კედელზე მიყრდნობილი. მრავალი უცხო ნაწილებიც იყო, ორგანვე. მერმე აგვიყვანეს მაღლა იეზოვიტების

მონასტერში. დიდი ეკკლესია კარგი იყო, მაგრამ სხვებისთანა ვერ იყო. მონასტერი უცხოდ გარიგებული და უცხოთ ნაშენი. მრავალი უცხო ხატები, ზოგი მარმარილოსი, ზოგი ჩინურისა და ფარფურისა. ერთი პატარა ეკკლესია იყო. იმაში მრავალი უცხო ნაწილი იყო: სამოცდა თორმეტი ზოგი თავი, ზოგი მკლავი, ზოგი სხვა ასო იყო წმიდანებისა. მოციქულთ ნაწილებიც იყო. ცოცოტა წმიდათ ტანისამოსები. მათს წალკოტს ღობეთ სრულ ნარინჯი და თურინჯი ევლო, როგორც ფრანცისულს წალკოტში ბზა დაგვიწერია, ისე სრულებით ნარინჯი, თურინჯი იდგა. უკეთესს კაცის თვალი ვერას ნახავდა, როდესაც მონასტერში მიევდით წალკოტებს სრულ ღობედ ნარინჯი, თურინჯი ევლო. დიაღ, სასიამოვნო იყო. მრავალი წყარო და უცხო შადრევნები. რომს გარდა ამდენი წყარო ერთს ქალაქში არ გვინახავს. ჩვენ რომ წმიდის ბასილის მონასტერში ვიდეგით, ადგილად, დიაღ, კაი ადგილი იყო, მაგრამ ეკკლესიაცა და მონასტერიც სხვები სჯობდა. ქალაქზედაც შორ იყო. მაგრამ აღმოსავლეთისაკენ ზღვა ჰქონდა და დასავლეთისაკენ მთა და გარშემო სულ ნარინჯის წალკოტი. დიაღ, კარგა მოწყობილი იყო. კაი კაცნი იყვნენ. კარგათაც შეგვიწყეს ხელი. დიაღ კარგა გვეპყრობოდენ. რვა დღე იმათში დავყავით, მრავალი ხარჯი ქმნეს ჩვენ ზედა, ისარჯნენ.

ივ ოქტომბერს წამოვედით. მისინას და კალაბარიას შუა ერთი ზღვის სრუტი იყო. გაღმა კალაბრია იყო, რომ დაილევა იტალია და ბოლო კალაბრია — ანაპოლის თემი, ერთი კაი ქალაქი ჩნდა. რჯა ერქვა. სხვა — მრავალი მთები, კლდიანი ტყიანი. მრავალი ციხეები მოჩნდა. დიაღ, მაგარს ადგილს გვანდა. იმ სრუტის განი იყო მილი ოცი. სიგრძე — სამოცი მილი. ვლეთ და კაი ქალაქები და ციხეები ჩამოვლეთ. პალერმოდან რომ წამოვედით მისინას ღამით ზღვაში, ერთი მთა დარჩა, ვერ ვნახეთ. ეტნის ცეცხლი ამოდიოდა. ის შუა ზღვაში იყო ცალკე კუნძულად.

იზ ღვინობისთვეს სხვა ეტნის მთა გამოჩნდა. შუა დიდი კვამლი გამოდიოდა. ცეცხლი არა ჩნდა. ნახევრამდი ის მთა სულ დათოვლილი იყო. და იმას ქვეით ხეები ხილნარი და დაბალზე შენობა იყო. ასე თქვეს: თოვლი მუდამა სძესო. სხვაგან თოვლი არსად იყო. და ის ცეცხლი ისე ამოდის. ორომოცს წელიწადს უწინ იმ მთას ერთს ადგილს პირი გაეღო. ერთი ცეცხლი გამო-

სულიყო. დიდი ადგილი ზღუამდი ზღვაზე ჩამოსულიყო. სამს მილზე ზღვა გაეშრო სულ შავს წიდასავით ქვით აევსო და ის პირი ისევ დაბურვილიყო. მრავალი საკვირველება იმ ცეცხლის გამოსვლაზე. წმიდათაგანი სასწაულები. ადგილი ხირხატი, ქვიანი, ნახიდურის და აღმართების მსგავსი იყო. დია კაი ქალაქები. ციხეები. მრავლად ლეღვსულელი, ხურმა, ზეთის ხე — მრავალი. ინდოური, ქათამი მრავალი ჰყვანდათ.

ი ღვინობისთვეს ღამიან ვიარეთ მომცროს ნავით. მივიდოდით. სადილად ერთს ლიმენაზე მოვედით. კლდე იყო შეკაფულივით, დიაღ,დიდსა და გრძლად მიგრეხილ-მოგრეხილი. მეთევზენი ნადირობდენ. ასეთი ღვინო იყო ატენურის ღვინის მსგავსი. სხვაგან არ გვენახა. იმ ადგილებში სულ კაი ღვინო იყო. საღამოს გ უ ს ტ ა ს მოვედით. კაი ქალაქი ყოფილიყო. ოცდა ორს წელიწადს უწინ ძვრას დაექცია. სრულობით გაესწორებინა, მერმე აეშენებინათ, მაგრამ სხვის ნაშენობისთანა ვერ იყო. კუნძული იყო. გარს ზღვა შემოვლიდა. ერთგნით ხიდი იდვა. ოთხი ხუთი დიდი მაგარი ციხე იყო. მიველით იქ. კაფუჩინები მოგვეგებნენ: თავის მონასტერში დაგვაყენეს. კარგა მოგვეპყრნენ.

კ ღვინობისთვეს წავიდნენ. კაფუჩინები ორი უფროსი კაცი მოიყუანეს. ნავით წაგვიყუანეს. ზღვას გაღმა შაქრის ლერწამი გვაჩვენეს. მრავალი იდგა, ერთს წელიწადს ერთს მხარეს, მეორეს წელიწადს, წვერების დარგვა თურმე უნდა, მეორეს მხარეს დარგვენ. იქავ წახდებაო. მერმე მიგვიყუანეს სადაც შაქარს ხდიდენ დეკემბერს, იანვარს და თებერვალშია. და გიორგობის თვეს ძლივ დამწიფდება ლერწამი. როგორ ფქვემდენ ლერწამსა და როგორ ხარშავდენ, სად გასწურავდენ და სად მოადუღებდენ და თეთრს შაქარს როგორ აკეთებდენ, ესეები გვაჩვენეს. მაგრამ ეს ქვეყანა აღმოსავლის მხარესაა. იმ ძრვას დიდრონი ქალაქები დაექცია, მრავალი სოფლები. ას ორმოცი ათასი სული მომკუდარიყო. სხვას წასახდენებს გარდა. სამოცი მარტოკა კაფუჩინი მომკვდარიყო.

კ გ ღვინობისთვეს ვლეთ თერთმეტი მილი. და რაც ჩამოვლეთ ქუეყანა უნაყოფო, კლდიანი, უცხო, უშენობო. ავი დარი შეგვექნა. სირაკუზას მისვლა გვინდოდა, იქ დამდგარ ვიყავით. ცოტად უკუ იდარა. მენავეებმა გასწიეს. სირაკუზა ჩამოვიარეთ მიღმად და

დავინახეთ. კაი ქალაქი მოჩანდა. ორგნითვე ნავსაყუდელი შემოვლებული. ოთხი-ხუთი დიდი და მაგარი ციხე. მაგარი გალავანი. მაგრამ მიწის ძვრის წახდენას ძალა ექნა აღმოსავლის მხარისათვის. სირაკუზას თემი დიაღ წაეხდინა, მისი გარშემო. სირაკუზას ზეიდამ კაი ხეობა მოსდგემდა. მთანი ტყიანნი, მინდვრიანნი. ასე თქვეს: მიწა ძვირად არისო: მაგრამ სადაც არისო, სიკილიაში მიწა ცოტა მრავალს მისცემსო. მრავალი შენობა ჩნდა. კაი ადგილს გვანდა. რა გამოვსცილდით, აგვიღელდა. თორმეტი მილი სრულებით ღელვაში ვიარეთ. ერთს ლიმენაში მოვედით. იქ დავდექით.

კლ ღვინობისთვეს კაი დარი გათენდა. კვირა იყო. წირვის მოსმენა გვინდოდა. ერთი მომცრო სამწირველო იყო. ერთი ხუცესი იდგა. ჩვენმა მწირველებმა წირვა მოინდომეს. იმან უთხრა ერთის სეფისკვერის მეტი არა მაქვსო, იმას ვერ მოგცემო. სადილობისას მრავალი სული მოვა იქ წირვის მოსასმენელათა. თუ გინდა მოიცადეთ, მოისმინეთო, თუ არა, რა ვქნაო. სხვაგან კაცი გავგზავნეთ ეკკლესიაში. ვერც იქ ვიშოვეთ სეფისკვერი. მენავეებს კაი ქარი ჰქონდა. გამოიზიეს. იმ დღეს უწირავი დავრჩით. ვიარეთ. ქვეყანა დავაკდა. შენობას მოემატა. ტყე, ნაყოფი განმრავლდა. კაი ქალაქები, სოფლები მოჩნდა. ჩამოვიარეთ. ერთს ლიმენაში გამოვედით ამისთვის, რომ ქარი წინააღმდეგი შეგვექნა. იქ ერთი ჩალის ქოხი იყო. შიშით ვერავინ დადგებოდა. ბარბაროზთ მეკობრეთაგან შიში იყო. დავდექით. მაღლიდამ ჩამოვიდენ. გვნახეს. ჩამოვიდნენ ქალები, კაცები, ხუცები, გვნახეს. ერთი მესტვირე მოვიდა. ერთის გულით შვიდს სტვირს უკრავდა. ორს სათითები ჰქონდა, ხუთს არა. ზილი და ბოხი შეეწყო. ორღანოს მსგავსი იყო. სამიოდ ჟამი ვიძინეთ. კაი ქარი ამოვიდა. წამოვედით. საშიში ადგილი იყო. ყველა გვიშლიდა ცოტას ნავით წასვლას. თავად ავი საღელავი ადგილი იყო. მერმე — ეთიოპისა და ოსმალის მეკობრე მრავალი. მალთისელთ მტერნი არიან. შეგვიბრალა ღმერთმა. გათენდა. მალთა გამოჩნდა. ორმოცი მილი დარჩომილიყო. არც არა მეკობრე, არც არა ღელვა.

მ ა ლ თ ა ს მ ი ს ვ ლ ა. ოცდა ხუთი ღვინობისთვე ოთხი ჟამი დარჩომილიყო, მალთას მივედით. მალთას ამბავი რომ დავსწერო, ძნელია, როგორც არის, მის დაწერა.

მალთა კუნძულია — მელიტონი, რომ წმიდა პავლე მოციქულს

ხელზე გველმა უკბინა, მრავალი გველით და მას უკან კაცს ვეღარ უკბენს. მრავალი ხუთოც იპოება. მასუკან მთელი გველი, გაქვავებული გველის თვალი, ენაები, თავი გაქვავებული მრავალი. კურნებაც შეუძლია. მალთა სამოცი მილია სიმგრგვლე და შიგ სამოცი სოფელია. მალთას ქალაქი აღმოსავლეთის მხარეს არის, ზღვის პირს. უწინ ზეით ყოფილა. ხვანთქარი სამჯერ თითონ მიხდომია. ერთხელ კიდეც აუღია, მაგრამ გამოუქცევიათ. მიმშველე მრავალი მიშველებია. მასუკან ზღვის პირად აუშენებიათ. ზღვის პირს ერთი კლდეა ვაკე. უფლის ციხის მსგავსი, ადვილი საჭრელი. და ერთი ნავსაყუდელი ერთს მხარეს მოუვლის, მეორე — მეორეს მხარეს. და მერმე ოროლად გაიყოფა. ორივ ქალაქს უკან თავებს მოიკრებენ ახლო-მახლო და ორი სხვადასხვა მხარეს მიდგებიან. სულ კლდეა. ერთი კარი ზღვიდამ შევა, ერთი ხმელეთიდამ. ორივ კარები, კლდე გაუხვრეტიათ დიდს ადგილსა, და ისე შეისვლება. შესავალზე ორგანვე ხიდები დაუცთ. ქვეშეთ კლდე ჩაუჭრიათ. ხიდს როცა უნდა აიღებენ, როსცა უნდა გასდებენ. ჯაჭვებით არის გამართული. ხმელეთის გზისკენ, ხიდს იქით, ერთი კაი მინდორი აქვს. მინდორსა და ქალაქსა შუა ორს ალაგს კლდე გაუჭრიათ. ორი ფილისკინა შემოუვლიათ რომ მეტად ღრმა და განიერი. მინდორს უკან, ზღვის სრუტეებიც ახლო-ახლო მოვა. ერთი მაგარი ციხე შუა გაუბამთ და კარი გვირაბად ჩაუტანიათ. ეტლები შევა, გამოვა. იმის ქვეით გალავნები: ზოგი ციხის მსგავსად, ზოგი წალკოტები აუშენებიათ, და მაღალი გალავნები მოუსწორებიათ და ხეები დაურგავთ, რომ ფოლორცები ასე დაუქსაქსავთ, მშვიდობაში, თუარ იქაური კაცი, ვერსა გაიგებს, ძნელად შევა, არამთუ მიმხდომმა კაცმა რა გააწყოს. ზღვის ორსავ ნავსაყუდელი პირზე სულ გარშემო სხვა სოფლები აუშენებიათ. ერთი ქალაქად გაუხდიათ. შიგ სრულ ახლო-ახლო ციხეები დიდრონი დაუტანებიათ. ოცდა ცამეტი ციხეა. და ახლა ჩემობას იმ სოფლებს გარს სრულ გალავანს ავლებდენ, ციხედ ამაგრებდენ. ხვანთქრის მოლოდინს ჰგონებდენ. ქალაქი არც დიდია, არც მომცრობა ეთქმის. მაგრამ აქ რაც შენობა დამიწერია, სრულობით გათლილი ქვაა. ქალაქი, გალავნები, ციხეები, გაღმა სოფლები, მისი გალავნები, თუ ფოლორცის ქვაფენილი, გაუთლელი ქვა არსად იპოება. ციხეებში, თუ გალავნებზე სულ ასე ზარბაზნები აწყვია, ორი კაცი შუა თუ

გაუარს. წყალი შორიდამ აქვს მოტანილი. მაგრამ ასეთი ჭები მოურთავთ, ერთის წლის წყალი შეინახება. და ამას გარდა რაც წვიმა მოვა სრულ ხეებში აქვს ადგილი შესანახავი. სიკილია ახლო აქვს. შუა სამოცი მილია ზღვა. ალიკორნა ექვსასი მილია. და მარჩილია ცრაასი მილი. ჯერევიაც ახლო, ალიკორნიას ზეით. მალე მიეშველებიან.

კვ ღვინობისთვეს მათს უფროსთან წაგვიყვანეს. გრან მაგისტოს ეძახიან, რომელ გამოითარგმანება: დიდი ოსტატი. ვინც მალთის ელად დადგება, დიდის თავადის შვილი უნდა იყოს, ან მეფისა, ან დუკასი, თვარა შვიდს თაობას აქათ, თუ მათს სახლში ან ვაჭრის ქალი, ან უგვაროს კაცისა შესულა, ვეღარ შეიქნება მალთისელად. ის დიდი ოსტატი — სპანელი ფრენჭიფე იყო, სამოცდა თხუთმეტის წლისა, მაგრამ სიბერე მეტათ დასჩენოდა. თავი ხელი სულ ძალზე უკანკალებდა. მოგვიძღვნენ. მათი სახლები სულ თლილი იყო. მისი სასახლე ხომ უკეთესი იქნებოდა. მრავალი ჯარი იდგა. დაბლა გავლეთ და კიბეზე ავედით. რიგის რიგისად მალთისელნი გამოგვეგებნეს. გვისალმნენ. რა მაღლა ავედით ერთს დიდს სახლში, აქათ და იქით, სრულ მალთისელნი იდგენ. შევლეთ — და სხვა სახლი უპატიოსნესი და უცხოს ფარდაგებითა. და უპატიოსნე მალთისელნი იდგენ წყობითა. შევლეთ სხვა სახლი. აგრევ მათი უკეთესი და მათგან უხუცესნი იდგენ. და სხვა სახლში — მხცოვანი და ძველად მისულნი დგენ. და რომელი მიგვიძღოდა. ის მალთისელი ფრანცისი იყო. რასა წამს მივედით, მაშინვე მოვიდა და გვნახა. დიდს ოსტატს ჩამოღმა ის იყო. ისიც მეტად ბერი კაცი. ხელმოკიდებით იარებოდა. მიგვიძღვა დიდის ოსტატის კარზე. დიდი ოსტატი კარზე გამოგვეგება. შეგვიყვანა. დაჯდა. წინ დამისვა. სწორედ მომიკითხა, მიალერსა, ჩვენი ქვეყნის ამბავი მკითხა ჩემის მგზავრობისა. და წამოვედით. სადაც ვიყავით, იქიდამ აგვყარეს. კაფუჩინის მონასტერში დაგვაყენეს.

კზ ღვინობისთვეს მოვიდნენ რიგისრიგით მალთისელნი დიდებულნი და გვნახეს.

იე ღვინობისთვეს ერთი მალთისის ხომალდი და ერთი არაბის ხომალდი ღამით შეყრილიყვნენ. არაბის ხომალდში ხუთას კაცი მჯდარიყო და სამოცი ზარბაზანი. მალთისისაში ცოტანი. არაბისას ეკითხა: ვინ ხართო? მალთისელებს ეთქვათ: ჯენეველნი

ვართო. ამათ ეკითხათ. იმათ სიცოტავით აეგდოთ: ჩვენ ზღვისანი ვართო. იმ ღამეს ვერა გაეგნოთ. რა გათენდა, ეცნათ ერთმანეთი. დაეშინათ. ის არაბის ნავი მთლიე დანთქმულიყო. ზარბაზნები წყობით ეკრათ. და ამათში ორი საპატიო კაცი მალთისელი და ხუთი დაბალი კაცი მომკვდარიყო. იმ ხომალდისა ხუთასისაგან შვიდი კაცი მორჩომილიყო. ცურვით მოეწიათ, თოკებით ამოეყვანათ. ოთხი ქრისტიანი ტყვე რომ მათ დაეტევებინა და სამი არაბი. მათი ახალხანის ომები მრავალი მიამბეს, მაგრამ ერთის ოთხის წლისა მიამბეს. ასევ ორის ხომალდის შეყრა: ერთი მალთისელისა და ერთი ჯაზაირეთისა. მაშინც მალთისელებს ასევ გამარჯვებოდა და მათი რეიზი მცურავი დაეჭირათ. იმ რეიზს ერქვა: მარტო მე ამ ხომალდითაო შვიდასი ქრისტიანის ხომალდი წამიხდენიაო. ეს ამისთვის დავწერე, რომ ამ დიდს საქრისტიანოსაც ასეთი მტრები ჰყვანან. მაგრამ მალთისელები დიაღ კაცნი არიან. ქრისტიანთ მტერთ ასე უზმენ. ღმერთმან იმდენი დღეგრძელება და ცხოვნება მოგცეთ, რამდენი ასი ათასი ტყვე, ან იმ ქალაქში, ან კუნძულში და ან ნავებში ჰყვანდესთ. ქართველნიც ვნახე: ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურული, მეგრელი, რომ თათრისათვის წაერთმიათ. ენა ისევ კარგი იცოდნენ. აფხაზმა რატომ იცოდა, ის გამიკვირდა, ქართული.

კ ღვინობისთვეს ლიმენას გაღმა გაველ პაპის ჯანიშინის სანახავად. გაღმა ციხეები რომ იყო, მალთისის ქალაქს პირდაპირ, უბრძოლველს სოფელს ეძახიან ამისათვის, რომ ხვანთქარი რომ მოსულა, მაშინ ეს ქალაქი მაღლა საბლებულა. ყველა აუღიათ და ის ციხე ვერ აუღიათ. ახლა ეს ქალაქიც დაბლა ჩამოსახლებულა, უმაგრესსა და მის პირდაპირ ადგილსა. და ის ციხეებიც უფრო გაუმაგრებიათ და დიდი ქალაქი შექმნილა, იმ მხრის ნავსაყუდელი ექვს შტოდ განიყოფა, გრძლად, რომ უფროსი ლიმენი არც კი მინახავს, სივიწროეს გარდა, რომ თოფი ყველგან გაუწევს, და გაღმა ერთი შენობა შექნილა, რომ სამს ლიმენას სულ გარ შენობა შემორტყმია. დიდრონი ციხეები და ქალაქი სრულ თლილი ქვა. გალავნები, წალკოტის კედლები, — სრულ თლილი ქვაა. მე ასე მგონია, ეს თლილი ქვებით შენობა გაძრახ ექნათ. კლდეს სჭრიან. რაც დაღრმავდება გარდასავარდნელი შეიქნება. და მოჭრილით კედლებზე აგებდენ. ორ რიგად მაგრდება. მაგრამ ქალაქს გარეთ

მინდორი და კარი რომ დავსწერე და გზები დაქსაქსული, იქიც სამს ადგილს ისევ თვითო კარი გაუხვრეტიათ კლდეში, რომ ეტლები შევა-გამოვა, და ზედ ზარბაზნები მოურთავთ. და სრულ ის კუნძული საცნაური, თუ რაც კედლებით დაუქსაქსავთ, რომ კაცს გაუკვირდება.

ლ ღვინობისთვეს ერთმა მალთისელმა უფროსმა კაცმა გვიწვია სადილად. ფრანცისი იყო. ქალაქს გარეთ ერთი მომცრო ნარინჯის წალკოტი ჰქონდა. კაი სასახლე ზღვაზე წაკიდებული. და კარგა დაგვხვდა. მერმე წაგვიყუანეს სადაც წამალს ნაყვენ. დიდი სახლი იყო. სად გვარჯილას ადუღებდენ, სად გოგირდსა და გვარჯილას ნაყდენ. დიდი ორი გელაზი იყო. თორმეტი როდინი იყო სინისა და როდინის სანაღელი იყო ხისა. ერთის ჯორით ჭახრაკს აბრუნებდენ. თორმეტს ადგილს წამალი ინაყებოდა. ერთს დღეს ხუთი ყანთარი დაინაყებოდა. თვითო ყანთარი ოცდა ათი სტამბოლის ბათმანი იქნებოდა. თვითო ბათმანი ორმოცდა რვა თუხტი რომ ხუთი ცხენის საპალნე უფრო მოვა. ერთს სხვას ახალს აკეთებდენ: როდინს ხისასა და როდინის ქვას სინისასა. ასე თქვეს: ეს ორს იმდენს დანაყსო. და ჩემობას მზა არ იყო. კარგა გვიალერსა.

ლა ღვინობისთვეს დიდმა ოსტატმა გვაწვია. თვითონ თავს იჯდა. ერთი მე და სამი უფროსი მალთისელი. ერთი ის გუშინდელი მასპინძელი იყო. დაგვსხა. ჩვენ ოთხნი მოქვემოთ გაღმა-გამოღმა ვისხედით. სხვა ვერავინ დაჯდა. მოსამსახურედ სრულ დიდრონი მალთისელნი იმსახურებოდენ. ზოგნი ისე გარ თავს გვადგნენ. მისი ფიალა და ნალბაქი მისი დანა-კოვზები ოქროსი იყო. სხვა სრულ ყველა ვერცხლისა. და უცხოს ფარდაგებით მოფარდაგული სახლები. და სხვა ხარჯი და ულუფა არა დაუხარჯავს რა. სადილს უკან სხვა მალთისელი იყო. ისიც ფრანცისი. იმას უდარბაზე. დია კაი მორთული სახლ-კარი ჰქონდა, ზღვაზე წაკიდებული. მრავალი რამ კაი ენახეთ მის სახლებში. მაგრამ გრძელი ამბავი თავის საწყენია. ერთი საკრავი ენახე მის სახლში. ზღვის საკრავს ეძახდენ. სამკუთხი ჩანა ჰქონდა ექვს მტკაველამდი ჩანის სიგრძე, თავი წვრილად წამოსული. ხელიც გრძელი ჰქონდა. ხუთ ძლის სისხო. ჩანა და ხელით მაღალს კაცს უმაღლე იყო. ერთი ალყა ება ლერწამის კალმის სისხო. და ჭიანურსავით ძუით

უკრავდა. ტარის კერძო მარტო ცერს ხმარობდა. ზედ ალყაზე რვას ადგილს ქაღალდის ნიშანი ეკრა, ფარდის მაგიერ. მართალს მოგახსენებ, არც უცხოობით, არც სიტკბოთი და არც სიმაღლე-სიმდაბლით უკეთესი საკრავი არ მინახავს. სხვა საკრავებიც იყო: წინწილი, ჭიანური. მაგრამ ერთის ალყით, ერთის თითით კრული, დიაღ მეუცხოვა და ყველასაც სჯობდა. არვიცი, ეგები უცხოობამ მაჩვენა ისე ტკბილად და არ იყო. მაგრამ მე ხომ ასე მგონია. მალთისელების უფროსი გრან მაგისტრო, რომელი დიდს ოსტატად გამოითარგმნება, ყველაზე უფროსობს. და იმას გარდა შვიდი თავი კაცნი არიან: სამი ფრანციისი, ერთი იტალიელი, ერთი ნემსა და ორი სპანისა. იმ შვიდთა თითოს სამსამი შედეგი ჰყავს, რომ ოცდა ერთი იქნება. ამ ოცდა ერთს კაცს გულზე დიდრონი ჯვარები აკერია როგორც უფროსსა. და თავნი ესენი არიან. ამათგან გამოირჩევა დიდი ოსტატი, რომ მოკვდება, შვიდში, რომელიც სჯობს. ეს ოცდა ერთი კაცი გამოირჩევს: რომელსაც თერთმეტი თანმოხმე ჰყავს ის დაჯდება. ნაკლებით არ იქნება. ამ ოცდა ერთს თავს კაცს ზოგს ასი ახლავს მალთისელი, სულ დიდებულთ შვილი, ზოგს ორმოცი, ზოგს ათი, ზოგს ორასიც. ნამეტნავი კაცის გუნებაზე და სიკეთეზე ჰკიდია. ჩემობას თქვენს ახლა სამი ათასი იქნებიანო და ხან მოემატებაო და ხან დააკლდებაო.

ორს გიორგობისთვეს წამიყუანეს, იმათი ქსენონი მაჩვენეს ერთს უფროსს მალთისელს ებარა. სამასი სნეული იწვა. ამ სნეულებს სხვა მოსამსახურე ვერ მსახურებს. შვიდს დღეს ეს შვიდი თავი მალთისელნი, თავისის უნცროსის თავადის შვილებით ემსახურებიან, მაგრამ, დიაღ, სუფთად და პატიოსნად. მეც მამსახურეს. მათში გამირიეს. მაგრამ სამსახურებელი და ჭურჭელი სულ: ქვაბი, სინი, თეფში, ჯამი, სნეულის შარდის გასასველელი ამდენის კაცისა სრულ ვერცხლი იყო. ზოგმა უფროსმა კაცებმა გვაწვიეს. მრავალი სიმდიდრე ვნახე. მათს სახლში ვინც მათი მოკვდება, ოთხი წილი საქონელი იოვანე ნათლის მცემლისა არის და ერთი წილი თუ უნდა ნათესავს მისცემს, თუ უნდა სხვას საქმეზე დახარჯავს. ვინც ამათში მრავალს ომსა და საჯილდოს იქს, დიდი ოსტატი სოფელს მისცემს. ასე თქვეს: ორი წლის მოსავალს თავისთვის დაიჭერსო. ჩემობას თორმეტი ათასი თათრის ტყვე თქვეს, რომ იყო. ან სნეულისა, ან ტყვეს, ან მაგისთანა მწირსა და

მოსრულეს სულ ნათლის მცემლის თეთრი ინახავს სასნეულოში. ის დამავიწყდა: მრავალი რიგი საჭმელი იყო, სხვადასხვა რიგი. და რაც სნეული იწვა თითო ფიცარი ეკიდა. ნიშანი რომ ეწერა საჭმლის ჭამაზე. წამოდგა აქიმი, ნუსხა ხელთ ეჭირა და უკითხავდა: ამ სნეულს ეს საჭმელი მიართვით, ამას ესო და იმ საჭმელს მიართმიდენ. ტყვეების სასნეულო სხვა იყო და დედაკაცებისა, სხვა ცალ-ცალკე.

დ ნოემბერს წამიყვანეს, ნათლის მცემლის ეკლესიაში. ის რის მალთისელთ ბატონი. დიაღ, კარგი ნაშენები და შიგნითაც უცხოდ მოყვანილი იყო. ცხრამეტი სამწირველო იყო. თვითოს სამწირველოს ტრაპეზი მთელი ვეცხლი იყო და ოროლი სასანთლე ასეთი, თვით ოცს თუმანს ვერ გამოვიდოდა. სხვასა სანთლისა და კანდლის რიცხვი ვინ იცის არ ამიღია. ვერც გაუელ. პირველ მომიყვანეს მარცხენას მხარეს სამწირველოში. დიაღ, კარგა მორთული იყო. ერთი ყოვლად წმიდის ხატი მაღლა ესვენა, დიდი, და ძე არ ეჭირა. კარგა შემკული მურასად. იმისი მითხრეს: პირველ ეს მალთისელნი როდოსს მდგარან და იმის მთაში უპოვიათ. როდესაც აქ ჩამოსულან, თან წამოუყვანიათ. და არც იცოდნენ ვისი დახატული იყო. მერმე დიდს ტრაპეზთან მიმიყუანეს. იქ მარმარილო გათლილი ქრისტე და იოვანე ნათელს სცემდა. რომიდამ მოეტანათ. დიაღ, უცხოდ გასაკვირვალი იყო. ცოცხალი მეგონა. და მასუკან მარჯვენას სამწირველოზე მიმიყუანეს. იქ ესვენა წმიდა მოწამე კლემენტოს მთელი. ეს სხვა მოწამეა. ესეც წმიდა პაპას მოეცა ამათთვის. და იმას ზეით მრავალი მოჭედილი: წმიდის კლარას ხელი, თუ თავი, თუ სხვა ნაწილები. იქიდამ ეკკლესიაში ჩაგვატარეს. სამწირველოები ვნახეთ. და ბოლოს კარისაკენ ერთი კარი გააღეს იქ შეგვიძღვნენ. მრავალი უცხო რამ ვნახეთ: ჯვარის ნაწილი დიდი და მაღალი, ოქროთ მინაქრათ გაკეთებული. ჯვარის ნაწილი ცოტა იჯდა, მაგრამ ჯვარი დიდი მურასად შემკული. მრავალი კაი თვალი. დიდი წინ საძღოლი ჯვარი ოთხი: ორი ოქროსი მურასა, ორი ვერცხლისა უცხოდ გამოყვანილი. ქრისტეს აკენის ნატეხი მომცრო, ვერცხლით გაკეთებული. მრავალს ანგელოსს, ზოგს ეჭირათ, ზოგი გარ ეხვია. უცხოდ და საკვირველად ნაქმარი ერთი, უკეთესი არცარა მინახავს, ზიარების შარავანდედი წმიდას ნათლის მცემელს თავზე ადგა,

ალმასით გაკეთებული. ზიარების შარავანდედი ყირმიზის იაგუნდით გაკეთებული. სხვა უცხო ზიარების შარავანდედი, დიდი, ორი ლიტრა ოქრო მეტი მგონია, უცხოდ ნაქმარი და ვერცხლის კუბო, ორს დიდს ანგელოსს ეჭირა. და მაღლა დიდი გვირგვინი, ვერცხლისა. აგრევ ანგელოსებს ეჭირა. სხვა ზიარების შარავანდედი სხვა მინაქრად პატიოსნად გაკეთებული. ბარძიმ-ფეშხუმი ოქროსი, მინაქარი სამი,სხვა ოქროსი. ორი ვერცხლისა. არ დამითვლია. ჯვარი ბროლისა, ზედ ჯვარცმა და ოთხი მახარებელნი, მინაქრად ნაქმარი. ყელსაკიდი სხვა ჯვარი, კაის თვალებით და სხვილის მარგალიტით. ყელსაკიდი კიდევ სხვა ოქროს ჯვარი. ყელსაკიდი იუდას აღებულის ვერცხლისაგან. ორი, თითო აბაზისტოლი იქნებოდა, ბეჭედი, სურასა. დიდი სხვა, მურასა. გულსაკიდი დიდის თვალებითა. ყავარჯენი საპისკოპოსო, კარგა შემკული. მიტრა ექვსი: სამი მურასად თვალმარგალიტით, სამი სირმით შეკერული. წმიდის ნიკოლოზის მარჯვენა მკლავი მურასად შემკული. წმიდის იოვანე ოქროპირის მკლავი, მურასად შემკული. დიდის ანტონის მკლავის ნატეხი, შემკობილი. წმიდის ილარიონის ნაწილი. წმიდის ეკატერინე ალექსანდრიელის ქალწულ-მოწამის მარჯვენა მკლავი, კარგა შემკული. ქრისტემ რომ ბეჭედი შეაცვა, ისე ზედ აცვია. წმიდის სტეფანე პირველ მოწამის მკლავი. წმიდის სტაქოს თავი. წმიდის სილოვანეს მკლავი. წმიდის პიოს, რომ-პაპის სამხრე, წმიდის ურსულას ნაწილები. რაც ვერ დავისწავლე სხვა. ვეცხლის დიდი ზანდუკი, ბროლით გაკეთებული. მრავალი წმიდათ ნაწილები. ვეცხლის ყუავილები უცხოდ მოყვანილი. ოქროსი ერთი. და ვეცხლის საცეცხლურები. ოქროსი და ვეცხლისა კანდელები, უანგარიშო. სხვა ვეცხლის ზიარების შარავანდედი, უცხოდ ნაქმარი. ძოწით შეწყობილი. ზიარების შარავანდედი, საკვირველი, ოქროთ მოჭედილი. სახარებები, კონდაკები და მისი ვეცხლის სკამები. სხვა სახლში შეგვიყვანეს. მრავალი უცხო შესამოსები. თითოს ფერისაგან ცხრა ხელი. ზოგი ნაკერი, ზოგი სტავრა, ხარა ხავერდი, ზოგი ქამხა. ერთი ვერცხლის ხომლი იყო, მოშლილი, არ ეკიდა. ორი ათას ორას სკუთად გაეკეთებინათ. ოთხმოცი სანთელი აენთებოდა. სხვა კანდელები, რაც დაეკიდებოდა, არ ვიცი. ერთი იმისთანა სხვაგან ვერსად ვნახეთ. იქიდამ გაგვაბრუნეს სხვა მხარეს. ცხრა კლიტით დაკლეტილი იყო. ერთი იმ დიდს ოსტატს

ჰქონდა, ერთი დეკანოზს და შვიდი კლიტე შვიდი თავი მალთისელი რომ დავსწერე, იმათ. გააღეს. მაღლა ერთი ვერცლის კუბო იყო. გამოასვენეს ოქროს კუბო, ბროლით გაკეთებული. მერმე ის გახსნეს. გამოასვენეს წმიდის ნათლის მცემლის მაჯას წინ მარჯვენა ხელი მთელი, უნაკლულო, რომელიც ხელი ქრისტეს თავზე დაადვა, ძვირფასად შემკობილი. ამას გვამთხვიეს. ის იმისი დეკანოსი ხუცესია და სხვა ხუცებიც მრავალი იყო, მაგრამ ის დეკანოსი მთავარეპისკოპოსის პატივში არის. და იმისი უმცროსი ხუცები ეპისკოპოსის პატივში. სამიოდ დიდის საქმით არის. მერმე თავის სასახლეში აგვიძღვა. სასახლისას ვერსა დაგიწერ. ზედ სასახლის ერდოზე ერთი ასეთი ნარინჯის წალკოტი ჰქონდა, გავკვირდი. ბოლოს შადრევანი ამოდიოდა. გათლის ქვის თალარი ედგა. სამგნით ზღვას უმზერდა. შუა ქალაქში იყო. ქალაქის თავს დასჭვრეტდა. მრავალი კაი ყვავილი უყვაოდა. სხვას მზარეს ისევ ერდოზე ვაზის ტალავარი ჰქონდა. ერთს საკვირველად ესეც იყო. მალთაზე ბარბაროზნი ახლო არიან. ას ოთხმოცდა ხუთი მილია.

მალთადამ მარჩილია ცხრა ასი მილია.

მალთადამ ჯენევია რვა ასი მილია.

მალთადამ ალიკორნა შვიდასი მილია.

მალთადამ რომი ექვსასი მილია.

მალთადამ ანაპოლი ოთხას ორმოცდა ათი მილია.

სიკილია ნაპოლისა და მალთას შუა კუნძული ძეს.

მალთადამ სიკილია სამოცი მილია.

მალთადამ კონსტანტინეპოლი ათას ორასი მილია, მაგრამ ათას ოთხასად უნდა იანგარიშოს, ამისათვის რომ მრავალი კუნძულია და გზა მიუხვევს, მოუხვევს.

მალთადამ კანდია, რომელსა თურქნი გირითს უხმობენ, ექვსასი მილია.

მალთადამ ზმირინი ცხრაასი მილია.

მალთადამ როდოს კუნძული, რომ მალთელები პირველ იქ მდგარან, იერუსალიმს უკან ცხრა ასი მილია.

მალთადამ კვიპრეს კუნძული ათას-ასი მილია.

ერთს დღეს მოვიდა ისევ ფრანცისი, წალკოტში რომ გვაწვივა. წამიყვანა, ქალაქს გარეთ გალავნები დამარონინა და კარები და მათი შემოსავლის სიმაგრეები მაჩვენა. სამას გალავანს გარეთ

სამიათასამდი მუშა უდგა. კლდეს ჰკაფდენ. განით ორმოც ადლამდი იქნებოდა და სიგრძით სულობით გარშემო. ასე სიღრმე უნდა ჩაეჭრათ, რომ კაცი უხიდოდ ვერ გამოსულიყო. და ნაჭერს ქვას გალავნებზე მუშაობდენ, უცხო რიგად რასმე ამაგრებდენ, რომ რომელიც გალავანი აელოთ, შიგნიდამ ეომათ. მაგრამ გალავნები თავად კლდე იყო ჩაჭრილი. მერმე თლილის ქვით ასეთი კედლები, რომ ზარბაზნისაგან არა გეწყობოდარა. იმ დიდებულს მუსუ დესამსონ ერქვა. კიდევ წაგვიყვანა თავის სახლში სადილად. კარგა დაგვხვდა. ეს ოთხმოცის წლისა იყო და ისევ ვაჟკაცისავით შეძლება ჰქონდა. არც კბილი აკლდა, არც თვალ, არც ყურ. ეს თავის ვაჟკაცობას წასულიყო კონსტანტინეპოლის დასაწვავად. თანადოს რომ მისულიყო მიპარვით, მრავალი ნავი ხლებოდა, იქ ხონთქარის ხომალდებია, ისინი იქ დახდომოდა. შემბულიყვნენ და გამარჯვებოდა. იქიდამ წამოელო დიდი ყალიონი იბ, ხომალდი ლც, ჩექთურა ორმოცდა თექვსმეტი, სხვა ნავები ასი, და სამი კაფიდნის მანუნა სამი და გამობრუნებულიყო. მშვიდობით მოსულიყო. მერმე სხვა წასულიყო იქავ. თანადოს მიხდომოდა და იმასაც დიდი ზიანი ექნა. თანადოო კონსტანტინოპოლზე ახლოა, თეთრის ზღვის სრუტის პირში. ტაძრად მიყუანება დღეს მათი უფროსი ნათლისმცემლის საყდარს გამოვიდა. ორმოცი ზარბაზანი მეტი გასტყორცეს.

კგ გიორგობისთვეს ფრანგულის ანგარიშით ოთხი ქრისტეშობის თვე იყო, — წმიდის ბარბარას დღეობა. იმავ წუხრსა და მეორეს დღეს ორასი ზარბაზანი მეტი, მგონია, გასტყორცნეს. იმავ ბარბარობას დღეს ის გამარჯვებული ხომალდი მოვიდა, რომ ბარბაროზნი დაენთქა, და ცოტაბანს უკან სხვა მეკობრე მოვიდა. ერთი ბარბაროზის მეკობრე ნავი შემოჰყროდა, შებმულიყვნენ. მეორედ დაერჩინათ, მოიყვანეს. ასი კაცი იჯდა შიგ.

კდ გიორგობისთვეს წაგვიყუანეს ძველს ქალაქში, სადაც წმიდა პავლეს ექადაგა. კაი შენობა იყო. შუა ადგილია იმ კუნძულისა, მაღალი გორა. ზღვა ყოლგნით ჩანს. კაი წყაროები გამოდის. წყალი მალთას იქიდამ მიდის. შვიდი მილია მალთადამ ის ადგილი. შუა ადგილს ერთი მომცრო, მაღალი ადგილია. წმიდა პავლე იქ მდგარა და იქ უქადაგია. იმისთვის გარ გათლილი ქვის ფანჯარა მოუვლია და შუაზე მარმარილოს გათლილი პავლე

დგას, ხელგაშლილი, ქადაგებასავით. კაცს ეგონებოდა, აგერ ხმას ამოიღებსო. იმას იქით ერთი კაი ეკკლესია, დიდი, წმიდის პავლესი, სადაც გველმა უკბინა, კარგად შემკული. და იმას იქით სხვა მომცრო ეკკლესია იყო, წმიდა პავლესი. იმას ქუეშ ჩაგვიყვანეს. ერთს ტრაპეზზე წმიდა პავლე იდგა მარმარილოსი, მქადაგებელი. და მეორეს ტრაპეზზე წმიდა ლუკა მახარობელი. ხელთ ყოვლად წმიდის ხატი ეჭირა, მარმარილოსი. ვითამ ხატევდა. სამს თვეს იქ მდგარან ორნივ მოციქულნი. იმას შიგნით ერთი პატარა ქვაბია. წმიდის პავლეს და წმიდის ლუკას ხატები ესვენა. მაგრამ წმიდას პავლეს თეთრი მიწა იქ ითხრება. მრავალი ქვეყნის კაცნი მიდიან, ჰკაფენ, სჭრიან სპალნეებით მიაქვსთ და ისევ პატარაა, როგორც მაშინ ყოფილა.

კზ გიორგობისთვეს ფრანგულის ანგარიშით რვა დეკემბერი იყო, ანას მუცლად ღება. მალთას დიდი ჟამი ყოფილა. მრავალი მოწყვეტილაო. წმიდის ანნას შეხვეწიან, აღთქმა დაუცთ. მაშინვე ჟამი გაქარვებულა. ციხეს გარეთ მინდვრის ბოლოს ანნას მუცლად ღების ეკკლესია აუშენებიათ. მომცრო და დია ტურფა. და ყოველს იმ დღეს ნათლის მცემლის დიდ ეკკლესიაში დიდს დღესასწაულს გარდაიხდიან და შუას დღეს უკან დიდებას გამოვლენ, იმ საყდარს მოვლენ. პირველად კაფუჩინების დროშა გამოვიდა და ოროლნი კაფუჩინები მოდიოდნენ. მერმე კომენტვალისა, მას უკან კარმელიტანისა, მას უკან აგვისტინისა, მერმე წოკოლანტისა, მას უკან დომენიკანისა. სრულ ოროლნი მოდიოდნენ. მერმე ნათლისცემლის ხუცები, შემოსილნი. დროშა არა ჰქონდათ. ჯვარი მოუძღოდათ, მერმე უფროსი ხუცესი მიტრითა და ყავარჯნითა ერთს მღუდელს, შემოსილს, ცალი ფილონის კალთა ეჭირა. მეორეს მეორე. იმას უკან გრამსტრა მოვიდოდა. წინ ორი ჯვარი შემოსილს მღუდლებს ეჭირა, მოუძღოდენ. უკან რაც მალთისელია, რაც იქ იყო, თან მოსდევდა. მალთისელნი, საპატიო კაცის შვილნი, სამი ათასი იქნება. ოთხი ათასი სოლდათი ჰყავსთ. მე რომ მიველ ტყვე თორმეტი ათასი თქვეს. და ას და შვიდი ჩემობას მოიყვანეს. რასაც ქრისტიანეს დაახელებენ, არ დაატყვებენ: თუ უნდა გაუშვებენ, თუ უნდა შეინახავენ. თათარი ტყვედ ჰყოლოდათ. ერთი აფხაზი, ოთხი გურული, ერთი გუგუნავა სეხნიას შვილი იყო. დედაკაცებიც გურიელი, მეგრელი დორჩომოდათ. კაის პატივით ინახავდენ.

წამოსვლა უნდოდათ. მე დაუშალე. რომ მოდენა დაიწყო ჯარმა ყველგან ზარების ცემა შეიქნა. და რა დროშები ქალაქის კარს გამოვიდა, დაიწყეს ზარბაზნის სროლა. ასე ნელა ისროდენ, თვლა დაესწრობოდა. ასი ზარბაზანი გასტყორცნეს. მერმე დასავლეთის მხარეს ნავსაყუდლის ხომალდებმა დაუწყეს სროლა. მოვიდენ ეკკლესიაში. ილოცეს. გაბრუნდენ. სამხრის ნავსაყუდელში მე რასაც ხომალდს ვხედავდი, იმათ ზარბაზანი არ გაუგდიათ, მაგრამ იქით სხვა ნავსაყუდელი იყო. დიდრონი ხომალდები იმაში იდგა. ოთხი სხვა ციხე იყო. დაუშინეს. თვლა არა და ზარბაზნის სროლაც აღარ გაირჩეოდა. ორი დიდი ციხე ხმელეთის კარს აქათ-იქით არის. ორსავ ბანზე სრულ ზარბაზნები წამოაწყვეს. მერმე ისინი ერთს ამ ციხიდამ გამოაგდებდენ, მეორეს იმ სხვიდამ მოგვიანოდ ისროდენ. მათ თვალსაც დაასწრებდა კაცი. მე ორმოცდა ათამდი ვთვალე და წამოველ. მწუხარის არ მელოცა. და რამდენი ესროლეს, არ ვიცი. მალთაში არიან თორმეტის წლიდამ უზემოესი, რაც ეზიარებიან, ორმოც და ჩვიდმეტი ათას ორმოცდა ცამეტი სული ქალი და კაცი.

კზ გიორგობისთვეს ფრანცისის მეფის ხომალდი მოგვივიდა, კონსტანტინეპოლეს წასაყუანი.

ოცდა რვა გიორგობისთვეს წაველ. გრამესტროს გამოვესალმე. და სრულ დიდრონი კაცები და პაპის ჯანიშნი მოვიდენ, გვნახეს და ეპისკოპოსმანცა. მალთა, დიაღ, თბილი ადგილია. დეკემბერში იასამანი და ყვავილები ჰყვაოდა. ლელეს გასცვივდა ფურცელი, თვარა ვენახს ისევ ესხა. არც თოვლი, არც თრთვილი, არც ყინვა არ იცის იქაურ ზამთარ. რა ჩრდილოს ქარი აქროლდება ცოტარამ სიცივე შეიქნება. ზაფხულ მეტად ცხელს ამბობენ. სულ კლდეა, ვაკე და ყორე. მრავალი გველი და ვერას ავნებს კაცსა. უნაყოფო. სადაც წალკოტია, ნარინჯ თურინჯი დგა, თვაოა უწალკოტოთ ხე არსად არის. ზამთარი სულ მწვანეა. ბალახი ზაფხული არ იქნებაო სიცხისაგან. მალთას პირდაპირ რომ ბარბაროზთ თემია, სამი დიდი ხელმწიფე ზის, რომ ხვანთქარს არ ემორჩილებიან. აქთ თავს თუნის ხელმწიფეა, ხვანთქარის მესაზღვრე და უარშიო და მალთისაც მტერია. და მრავალი მეკობრე ნავ იარება. იმას იქით ალჯერი არის და მერმე მორაგო ფრანცისის. ზეით ოლანდისის პირდაპირ ფრანცისის მეფე. და მორაგოს ბატონს თავისის ხე-

ლით სამოცდა ათი ათასი კაცი მოუკლავს. მათში დიდი სახელი სადმეა. მეტად ცხელს ქვეყნებს ამბობენ. შავნი არიან.

ე დეკემბერს წამოვედით მალთადამ. გრამასტროს დიდი კატარღა ებოძა ჩვენის ხომალდის გასატანად ამისათვის, რომ ნავსაყუდელიდამ თუ ხომალდს ასე არ გასწიეს და ზღვამდი არ შეიტანეს, თუ ქარი არა სცემს, ვერ გავა. ქარის სრულებით თავათ ჩვენი არ იყო. მერმე ნავსაყუდელით არ გაისვლებოდა. ორასი კაცი იქნებოდა ნიჩბის მზეველი. გაგვიყვანეს. გავედით ვიარეთ და ვერ ვიარეთ. იმ ღამეს სრულებით დავრჩით ცუდად.

ვ დეკემბერს იქავ შევედით. მალთას რომ ქარი წინააღმდეგი იყო და შვიდსაც იქავ დავდეგით.

დეკემბერს ღმერთმან კაი ქარი გვიბოძა. წამოვედით. შუა დღე და ის დღე, ის ღამე სულ ჩვენი ქარი გვიქროდა, კაი, მერმე გაძლიერდა. ხომალდს ჩქარა ატარებდა, მაგრამ ძლიერად ღელავდა. მორია გამოვიარეთ და ვლეთ. ხან ქარი სრულებით დადგა. ნეღრა პონტო გამოვლეთ. ჩრდილოსკენ დარჩა. და სარდენია, რომელ არს კრიტელ და ნა მასტაკი და კანდია. რომელსა თათარნი გირითს უხმობენ, სამხრეთისაკენ დარჩა. გამოვეთ ქიო, რომელსა თათარნი სახიზს უხმობენ. აქ გამოდის თეთრი კევი.

ქარი ძლიერი იყო. ის ღამე შიშით ვიბრუნეთ. ზმირინს აღარ მიგვიშვა. გათენდა. გამოვბრუნდით.

ჩვიდმეტს დეკემბერს მიტილინის კუნძულში შემოვედით. უცხოდ დიდი გრძელი და კაი ნავსაყუდელი ჰქონდა. სხვა კუნძულები, რაც მოჩნდა უნაყოფო, უხეო. და ეს სულ ზეთის ხე. სხვა ხენი მრავალი, სრულობით შეფოთლილი. ზაფხულივით საამოვნო იყო.

კა დეკემბერს კაი ქარი ადგა. გამოვედით ნავსაყუდლით. სამოცდა თხუთმეტი მილი იყო ზმირინამდე. შუადღემდე სამოცი მილი გამოვლეთ. ქარმა იკლო. შუადღეს უკან ღამით ერთ ჟამამდე ნავსაყუდლამდი ვერ მოვაწიეთ. ზმირინის ქალაქს ქვეით ციხეა. ციხეს მოშორებით ზღვა ჩააგდეს. დავდეგით. იქიდამ აღარ დავიძარით. კაფიდანი ნავით წავიდა ქალაქში. ზმირინის ზღვა. ერთი ყურე უკუდწყვეტილია. თხუთმეტი მილი იქნება, განიც დიდი, და ზმირინის ქალაქი მე ვერ ვნახე, კაის ადგილს, ყოველი ქვეყანა მხრად არის იმაზე. ასეთს ადგილს მგზავრი არ დააკლ-

დება. ქალაქი აგრე დიდი არ არის. მიღმადამ ჩნდა: კარგა ვერა, მაგრამ ვისგანაც შევიტყევით სიდიდე მაგდენი არა აქვს. და სხვა რიგად ყოვლის ქვეყნის მგზავრი იქ იპოვება. გარშემო მთები. კიდეც წამოეთოვლა შუამდე. მთებზე თხელი თოვლი მოჩნდა. დაბლებზე არ იყო. დაბალი სრულებით ზეთის ხე. გვერდობი და გორები შემწვანებული ხეებითა. უფროსი ერთს ფოთელი ესხა. ისევ ზაფხულის მზგავსი იყო. სიცივეც შევიტყევით. მერმე შობას ღამეს თოვლიც მოვიდა ამდენი, რომ ხომალდებზე ხელით მოიხვეტებოდა. მომცრო ქალაქი კაის ქალაქს გვანდა. მაგრამ ან უწინ რომ კუნძულში ვიყავით, ან ამ ქალაქის გარშემო შენობა არსად ერქვა. უწინდელი კუნძული სახიზის ტოლია. მისი ზომა ზეით დამიწერია. მაგრამ შენობა ერთს ადგილს ექვსიოდ, მეორეს ადგილს ათიოდ კომლი კაცი ჩნდა. სხვაგან თუ რამდენი იყო არ ვიცი. რაც არ მინახავს არ დავსწერე. გარედამ ზმირინის გარეშემო რაც ჩნდა, დიაღ, დიდი და კაი ადგილი ჩნდა, მაგრამ ხუთი ექვსი სოფელი არა ჩნდა. ერთი მოჩნდა. ასამდი კუამლი, თუ მეტი, თუ ნაკლები იქნებოდა. ორ უბნად იყო, სხვა ათსა თუ თხუთმეტს კუამლზე მეტი არა მგონია. მაგრამ ადგილი, მიწა, ნაყოფი სანატრელი და სადაც თათარს მიუწევია, იქ ღვთის ნათელი აღარ დამდგარა. ამას გაუოხრებია. ნეტავი ნახოთ და ვინც ნახავთ ჩემს სიმართლეს მაშინ შეიტყობთ. ეს რაც ვნახე ხომალდიდამ, თვარე იქ მიწაზე არ გავსულვარ. იმ კუნძულში კი გავალ. მრავალიც ვიარე. ამ ზმირინის თათრები უფრო სიკეთის ხმას იგდებენ. ქრისტიანს პატივს სდებენ. ძალს ვერ უზმენ. კაცთ სიკეთითა, თუ ფრანგების სათნოდ იქმონენ, თქვენ გასინჯეთ. საფრანგეთის გზაც დიაღ არის, პირდაპირ არის.

კზ დეკემბერს წამოვედით ზმირინიდამ და იქავ ახლო ნავსაყუდელში დავდეგით. ქარი არ გვივარგოდა.

კთ დეკემბერს კაი ქარი იდგა. წამოვედით. ო͂ მილი ვლეთ. ბიტილიმის ქალაქს მოვედით მასვე კუნძულს შინ მივდეგით, მაგრამ იმ ნავსაყუდელში სხვას გარეთ ქალაქიც იყო, არც მომცრო და არც ციხე. ფაშაც იჯდა. ადგილი კარგი და შვენიერი. შენობა ცოტა რაღაც იყო იქავ. უფრო ერქვა შენობა. მაგრამ ქალაქი კაის ადგილს იყო. ანადოლი ახლო და სხვა კუნძულები. მიწა და ადგილები მოსაწონი და სანატრელი. და შენობა მეტად ცოტა.

ლ დეკემბერს წამოვედით. ბიტილმიდამ გამოველთ სრუტი. ბიდლიმის კუნძულში იყო ზეთის ხეოვანი, ნარინჯოვანი. მაგრამ შენობა ძვირად. მარჯვნით ანადოლი. ანადოლზე ახლო ვიარებოდით. ნაყოფიერი და კაი ქვეყნები იყო. ის ღამე სულ ღელვა იყო. კონსტანტინეპოლის სრუტთან რომ მოვაწიეთ, გათენდა.

ლა დეკემბერს სრუტში ვეღარ შევედით. ქარი პირისკენ იყო. იქ ერთს ადგილს ღუზა ჩააგდეს. დადგენ. ავი ქარი ქროდა. სხვაგან წასვლა აღარ იქნებოდა. ის ღამე, მეორე დღე, ერთი იანური სულ დღე და ღამე ძლიერი ღელეა იყო. ავდარი, ნისლიანი, ასეთი ღელვა იყო. ღუზაჩაგდებული ხომალდი დიდს ადგილს დაძრა. ათს იანურამდი ხან ცოტად დაწყნარდის ზღვა და უფროსი ერთს სრულებით ღელვა იყო. ათს იანურას ცოტა რამ ჩვენი ქარი ამოვიდა. ვიარეთ სრუტისკენ და შევედით, ღვთის ძალითა, პირველს დარდანელს ციხეთა, რომელ არს გალმა-გამოღმა პირველითგანვე ქრისტიანობის ჟამთასა. ხოლო არს დარდანელის ციხით მთაწმინდამდე მილი სამოცდა თხუთმეტი. პირველის დარდანელით ამ მეორეს დარდანელამდე, რომელი აწ თურქთ აუშენებიათ, არს მილი ათორმეტი კონსტანტინეპოლის მხარეს.

ია იანუარს შუა ღამე დაიწყო ისევ იმავ ქარმა, წინააღმდგომმა, ქროლა. დავრჩით სრუტეში, მაგრამ ღელვის შიში აღარ გვქონდა.

იგ იანუარს ამოვიდა ჩვენი ქარი. ვიარეთ და გამოვლეთ კალი პოლი და მოვახლოვდით მარმარას. კალი პოლი ერთი მომცრო ძველი ქალაქია, ზღვის პირს, ურუმელში. და მარმარის ზღვაში ერთი კუნძულია, მაღალი მთა, თეთრი მარმარილო გამოდის, ანადოლის მხარეს. იქ ქარი ჩავარდა. ის დღე, ის ღამე იქ ვიდექით ცუდად. მაგრამ, დიაღ, კაი ქვეყნები მოჩნდა. შენობა ძვირად. და სადაც სოფლები იყო ცოცოტა, თათართაგან აოხრებული.

იე იანუარს ვლეთ ცოტა რამ და მარმარას გამოვცილდით. და ისევ ქარი ჩავარდა. ხანდახან ამოვიდის, არ ერქვა.

იზ იანუარს ქარი გვერდისა ჰქროდა. ღამე ბნელი და ნისლიანი ვიარეთ. ავი კაფიდანი გვყანდა, ბრიყვი და შეუსმინარი. კონსტანტინეპოლეს მივახლოვდით. ღამით ნავსაყუდელში ვერ შევიდოდით. ქარი იქიდამ იყო. იქავ ტრიალი დაიწყეს გათენებამდი. თურმე ბნელში ველარ გაიგეს რა. ხმელეთი ახლო იყო. ჩვენი ხომალდი ლიას მოხვდა და შიგ დაეფლა. ღმერთმან შეგვი-

წყალა, ქვა არ იყო. არც რიყე, თვარა ხომალდი გასქდებოდა. ჯერ შუაღამე ვერ იყო. გაისარჯნენ. ღმერთმან ქარიც დააწყნარა, თვარა წავხდებოდით. ხან ზარბაზნები ბოლოზე დააყარეს, ხან ღუზაები ჩაყარეს და თოკით ზივეს. შეგვიბრალა ღმერთმან, გათენდა და ხომალდიც მოგლიჯა. წამოვედით. კონსტანტინეპოლეს მივედით. იედი-ყულასთან დავდეგით.

ით იანუარს დილაზე დესპანს ნავი ებოძა, ენგიჩრები. გამოვედით ხომალდიდამ. კონსტანტინეპოლის სამი კუთხე შემოუარეთ. იქიდამ კარგა გავსინჯე. ხომალდიდამაცა. დიდი ქალაქია და მრავალი შენობა, მაგრამ საფრანგეთიდამ მოსულს აღარას მოგვეწონა. ოღონ ადგილი მისთანა არსად არის, თვარა შენობა და სხვა რამე არად გვეჩვენა. გარ გალავანი უფროსი ერთს დაქცეული, დაძველებული, ახალი ნაკეთები არცადრა. ოღონ იედი-ყულა, შვიდივ კოშკი. რუსის ელჩი რომ იქ შეიყვანეს, მაშინ გაუთეთრებიათ, გაუგლესიათ სხვა რიგად. შიგნით არ შევსულვარ. არც მინახავ, მაგრამ გარედამ რაც ჩნდა, გავსინჯეთ და შიგნითაც მნახველის კაცისაგან შევიტყევით, რაც შეიტყობოდა. მოვედით და დესპანმა იქვე ჩვენს სადგომს დაგვაყენა კაის ხელის შეწყობითა.

გ მარტს ხვანთქარმა ნაღლი მანქანა ქნა: მორაზე გალაშქრა.

ექვსს მარტს საღამოს კონსტანტინეპოლეს სუკუდარას, პერას, გალატას, რაც მინარი იყო, ყველაზე ჩირახოვანი ქნეს ხვანთქარის გამარჯვებისათვის. მაჰმადის შობის ღამე არისო.

თ მარტს გალატასაკენ ნავსაყუდლის სასახლეში დაჯდა. რაც ნავის რეიზი იყო, ხალათები ჩააცვა. და კაფიდან ფაშა გადგა. მრავალი წვრილი ნავი შეიყარა, ხვანთქრის წინ შეგროვდენ. დიდხანს იდგენ. მერმე საომარმა კატარღამ დენა დაიწყო. ოცდა ათი დიდი და მომცრო კატარღა იყო. მრავალი ზარბაზანი გავარდა. კაი შილინგი იქნა. იდ დიდი კატარღა იყო. სხვა მომცრო. ერთი დიდი გალიონი. ას ოცი ზარბაზანი ძესო, ათას ხუთასი კაცი არისო. ამ გალიონისა ასე მითხრეს: თხუთმეტი წელიწადია აშენდაო და პირველი მგზავრობა ეს არისო. მეტად შვენიერი გალიონი იყო. იმ დღეს ორი დიდი გალიონი სხვა უკან მიყვა. და ყველანი შავი ზღვის სრუტეში დადგენ.

კ მარტს გადგა კაფიდან ფაშის უფროსი გალიონი და ხუთი კატარღა თან ახლდა. სხვა თავწვრილად წავიდა.

თ აპრილს ხვანთქარს ქალი ეყოლა. და ადრანიდამ ამბავი მოვიდა: სამი დღე სულ შილინგი იყო, ზარბაზნის სროლა. ზედ ვაჟის ყოლის ამბავი მოვიდა. ათს დღეს სულ ზარბაზნის სროლა იყო. სამი დღე ქალისათვის, შვიდი ვაჟისათვის.

კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე პ ო ლ ი ს სიმგრგვლე არის ექვსი ეჯი, რომელ არს თვრამეტი მილი.

კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე პ ო ლ ე ს და გალატას და პერას და უსკუდარას არიან ხარკის მიმცემი თხუთმეტის წლიდამ სამოც წლამდი:

ბერძენი სულ ორმოცდა სამი ათასი,
სომეხი — ჩვიდმეტი ათასი,
ურია — თორმეტი ათასი,
ფრანგი სულ — ორი ათასი,
ქრისტიანი სტუმარი — ოთხი ათასი,
ტყვე კატარღისა თუ სხვა — ორი ათასი,
თათარი — ოთხას სამოცდა თხუთმეტი ათასი.
ფრანგი და თათარი ხარკს არ მისცემს.

ჩვიდმეტი თთვე კონსტანტინეპოლეს დავყავ და მაისის ცამეტს წამოვედით. ფრანცისის დესპანმა საგძალი ხარჯი გაგვირიგა. და ერთი ჭანეთის ათინელი რეიზი იშოეს. ოთხასი მარჩილი მისცა: ესენი ქობულეთს გურიას გაიყუანეო და გურიელს მიაბარეო. და ამათი წიგნი მოგვიტანეო, მშვიდობით მისვლისა. და ეს პირობა გამოართვა, რომ ოცის თავის მეხომალდის მეტი არავინ ჩასვას ჩვენს ხომალდშია. წამოგვიყვანა. რა კონსტანტინეპოლის სრუტს გამოვედით, შავი ზღვის შემოსავალზე, მოიყუანა თათრები, ენგიჩრები, ენჩიგარ აღა და სულ ჩვენი ხომალდი ასე თათრით აავსო. მე ზეით ვერც კამარად, ვერც ადგილი ვიშოვე. დაბლა ხომალდის ფსკერში ჩემს პაქსიმადზე ვიჯდი და ვიწვი. მაშინვე შევიტყევ სიმუხთლე, მაგრამ რა მექნა. დაბრუნების ღონე აღარ იყო. და ტკბილის სიტყვით გვატყუებდა. კარგი ქარები დაგვიდგა. მეათე დღეს ათინას მის სახლებთან მოვედით. მითხრა: შინ გავალო, ორსაოდ დღეს მოვისვენებო. ამ თათრებს ხომალდიდამ ამოუშვებ, თავთავეთვის წავლენო და შენ მშვიდობით ქობულეთს მიგიყვანო. რომ არ დამეჯერებინა, რა მექნა. გავედით. თათარი ამოიყუანა, სრულ გაუშვა. უკან ტრაპიზონის ფაშას შეატყობინა, წინ გონიის

სანჯახსა, რომ ამისთანა დიდი კაცი მოვაო. მრავალი საქონელი მოაქსო და ფრანგები მოჰყავსო. ელჩები არიანო. ესენი დაიჭირეთო. მე თან სამი პატარა კაფუჩინი თბილისის ქალაქისათვის და ერთი პატრი იეზოვიტი შირვანისათვის მომდევდენ. და ერთი ზანდუკი ისპანის, პალიოზისა, ფრანცისის დესპანმა გამომატანა, ისპაანს გასაგზანი. და ბურსელი ვაჭარი, ხოჯა აივაზი ჩალაბი ერქვა, შვილიან თან მომდევდა, განჯას აბრეშუმის სასყიდლად. ოთხი დღე იქ დაგვაყენა. მასუკან გვითხრა: მე გურიას ხომალდს ველარ წამოვიღებო, აფხაზი აშლილია, მეშინიანო და თუ გინდათ, პატარას ნავით წადითო, გინდა გურიას, გინდა ახალციხეზედაო. რაღა მექნა. ერთს ნავში ხოჯა აივაზი და მისი ამხანაგები ჩასხდნენ. ერთში ჩვენ და პატრები. წამოველით. ზღვის პირ ცოტა ხანი ვლეთ. აგვიღელდა ზღვა და ორივ ნავი ერთმანეთს მოსხლიტა. იმათი ნავი ხოფას გააგდო და ჩვენი ნავი იმას ქვეით. იქ მეტყვე თათრები იყვნენ, იმერეთიდამ ტყვეები მიჰყუანდათ კონსტანტინეპოლს დასასყიდლად. თუ ისინი იქ არ დაგვსწრებოდნენ, სრულ წაგხდებოდით. მოგვეშველნენ. გავედით. ოთხი დღე იქ ვიდეგით. სრულ დღე და ღამე ძლიერ ღელვა იყო. მოვიდნენ ჭანები. დაგვიჭირეს. მრავალი გვსარჯეს. ოცი მარჩილი წაგვართვეს. ზანდუკები დაგვიმტვრიეს, ტყუილად მებაჟობა იჩემეს და მრავალი გვაჭირვეს. მე ჩემი ზრუნვა არა რა მაქვნდა, მაგრამ სამთა მათ იტალიელთა მამათათვის ვიყავ დაღონებული, რამეთუ უცხონი იყუნეს და ენა არ იცოდნენ. და ხვანთქარისაგან ბრძანებულ იყო არა წამოსვლა შავთა მათ ზღუათა იტალიელთა და დასავლეთის კაცთა. ოთხი დღე და ღამე მუნ ვიყავით. მეხუთე დღეს წამოველით. ნავებით მოვედით ხოფას. იქ გონიის სანჯახი დაგვხვდა. ნავები წინ მოგვაგება. დაგვიჭირეს. წაგვიყვანეს. მიგვასწრეს ერთის სახლში. აღარც აივაზა გვაჩვენეს. დაგვიჭირეს ჩვენ და პატრები და ერთს ადგილს დაგვაყენეს. მაშინ ახალციხის ფაშის დისწული იქ მოსულიყო. ალიბეგ, ჩვენი მცნობი იყო. რა შეიტყო ჩემი სახელი, კაცები გამოეგზავნა. ჩვენი თავი და პატრები და ჩვენი საქონელი ყველა წაართვა და თავის სადგომს მიგვიყუანა დიდის პატივით. იმ ღამეს აივაზი ჩალაბი მოვიდა, მითხრა: ეს ალიბეგ ხვალ კონსტანტინეპოლეს მივაო. ხომალდი მზათა ჰქონდა. რა ეს წავა, უკან დაგვეწევიან და უარეს იქმონენ. ახლა ამან

მოგვარჩინა. ცოტა რამ მივართვათო, მიზეზი არა დავიდვათ რაო. მომეწონა და ოთხმოცი მარჩილი იმ გონიის ბეგს მივეცით. და დილაზე ალიბეგ ცხენები გვიქირავა. ერთი ფაშეს კაცი თან გამოგვატანა და გამოგვისტუმრა. იავაზა იქავ დარჩა. ჩვენ არტანუჯისაკენ წამოვედით. ის დღე ვიარეთ საღამო ბინდზედ ჩხალას მოვედით. იქ დავდეგით. იმ გონიის ბეგს ალიბეგ წასული ენახა, ევლო ის ღამე. მეორე დღეს დილაზე უკან მოგვეწია. მე მითხრა: შენ შენი ბარგი გადაარჩიეო, ეს ფრანგები მე მომეცო, ხვანთქარის ყადაღა არისო. მე შორს დაუჭირე: როგორ მივცემდი. დაგვიჭირეს ყველაყანი. ბარგი და კარავ-მოფენილობა სრულ აიკლეს. ჩვენ ენგიჩარებს მიგვცეს. ქვეითები გონისაკენ გაგვგზავნეს. მე მაცხელებდა. აგვატარეს ერთი უცხო პირალმართი. სულს იქით გზა აღარ მქონდა: ბერი კაცი და სნეული და მაცხელებდა. სამოცი ფლური უბეში მედვა, ისიც წამართვეს. ამაში აივაზა ჩალაბი მოსულიყო. ეშულლა: ვის კლავ, ვინ გგონია, რას გიზმენ, არ იციო? მოვიდა ჩემთან. მაღალს წვერზე მთის თავზე დაგვაყენეს. ოთხასი მარჩილი უქადა ჩვენის გაშვებისათვის. თვითან ჩამობრუნდა ვერცხლის მოსატანად. იქ იმათ მძევლად პატრი ითხოეს. ისინი და ჩემი მოსამსახურენი გამოვგზავნე. მე მზევლად დავდეგ და ჩემთან კანდელაკის შვილიც დაიჭირეს. წამოვიდა აივაზა. სანამ ამ მთას ჩამოიევლიდა და თეთრს ამოიტანდა, დაბინდდა. წაგვიკრეს ხელები, თეთრი მოგვატყუეო, და ამ ღამეს გონიისაკენ გაგვგზავნეს. წვიმა და ნისლი. ღამე და ავი დაღმართი. ეშმაკისაგან თუ გაივლებოდა. რას ჭირით ჩავიარეთ, ენით არ ითქმის. შუაღამისას ერთის კაცის სახლში შევედით და მაშვრალთ წაგვეძინა. ორი პალნიანი ცხენი გამოეგზავნათ. დაგვაღვიძეს. შეგვსხეს, წამოგვიყვანეს. ერთი ენგიჩარი მოგვეწია. უბელო ცხენს იჯდა. წვიმაში საწვიმარი წამართო, თვითონ ქუეშ დაიდვა. მე სიცივემ და წვიმამ უარესი მიყო. მოგვიყვანეს აივაზა ჩალაბთან. სანამდის ჩვენ მთიდამ ჩამოვდიოდით, ორი პატრი სხვა თათრებს დაეჭირათ. წაეყვანათ. ჩამოველ, შევიტყევ. თავზარი დამეცა. ჩვენ გამოგვისტუმრა აივაზა ჩალაბმა და თვითონ წავიდა. სამოცი მარჩილი იმ პატრებისათვის მისცა და მოასხა ისინიც. ვიარეთ. ნიგალის ხევში ხან იქ გარდაგვიდგნენ წინა და დაგვსაჯეს და ხან იქ. თეთრი სულ აივაზა ჩალაბისა იხარჯებოდა. არტანუჯს მოვედით. ისაყ-ფაშას

ცოლი კარგა მოგვეპყრა, კარგა დაგვაყენა. სავახშმო ებოძა. ერთი თავისი აღა იმან გამოგვატანა. არტანს რომ მოვედით, მაშინ ახალციხეს ასლან-ფაშა იჯდა, ისაყ-ფაშის ბიძაშვილი. არტანს წინ გადაგვიდგა, ექვსასი მარჩილი იმან წაგვართვა. სხუა რამდენი რამ წამართვა. ძაღლებიც არ გამოგვატანეს. მოვაწიეთ ჩვენს ქვეყანას. მოვედი აბოცს.

მაშინ ქართლში მეფედ იასე იჯდა, გიორგი მეფის ძმის წული ცოლად შეერთო. არ ერგებოდა. ნათესაობაც შეეშალა. და ვერც ჩემზედ იყო კაის გულითა. მე ვალი მრავალი მემართა ბურსელის ვაჭრებისა. რომ რაც გზაზე წამართვეს, მათგან ავიღე და იმერეთს მათ აღარ გამიშვეს. ჩემს ძმასაც კაცი გამოეგზავნათ, ქართლში ჩასვლა დაეშალათ. მაგრამ ღონე აღარ იყო. ჩამოველ. მეფემაც კაი პატივი მცა, მაგრამ ასრე სრვა გახშირებულიყო, მრავალი სული ამოეწყვიტა. და თბილისიც აყრას და ხიზვნას აპირობდა. ჩემი მოვალეები განჯას აბრეშუმისათვის მიეშურებოდენ. ივლისის თვე იყო. ქართველი ეპისკოპოსნი და სამღვდელონი რომს წასვლისათვის გამიმტერდენ და ასე შეკრეს ყოველი: ჩემი ნათესავი და მოყვარე და მეფე-დარბაისელნი, ვერავინ შემომეწია. ვალის მიცემაც გამიჭირდა. თბილისს ერთი დავრდომილი ნათლი დედა მყვანდა, კათოლიკე მართლმადიდებელი. მან დაიწყო სიარული. მას ავს დროს თავისის მოყვარებისა და მეცნიერთაგან, რაც ვალი მემართა, სულ მოაგროვა და მოვალეები გაისტუმრა.

მერმე სამღვდელოთ შფოთი აღძრეს ჩემზედ. კრება და ბოროტის ქნა მოინდომეს. მაგრამ მეფე ვერ აიყოლიეს. სამი თვე კიდევ იბატონა და მერმე მეფე ბაქარ დასჯდა მეფედ. ვისთვისაც ესოდენი ჭირი მენახა და ვისაც მეფობას ვსცდილობდი., ათხუთმეტის წლისა იყო. მოატყუეს. მცხეთას, ჩემი სიყვარული და სამსახური სულ დაავიწყეს, კრება მიყვეს და წმიდის პაპის გინება მომიდვეს. მე მართლმადიდებლობა ვერ უარვყავ. და მრავალი ავი მოინდომეს, მაგრამ ღმერთმან ყოვლისაგან დაგვიხსნა. მეფემაც პატივი მოგვაპყრა და მათი ვერაგობაც გაცუდდა. ვახტანგ მეფეს სმენოდა, დიდად სწყენოდა და ყოველნი დაეტუქსა.

ლექსიკონი

ა

აარონინებს — ამატარეს, ამიყვანეს
აბანებს — ბანს უწყობს (გალობაში)
აბაში — აბისინიელი, ეთიოპიელი
აბაძდება: ავბაძდი — მივბაძე
აბია — მოსდევს, ზედ არის მიბმული
აგრევ — ისევ, ასევე, აგრეთვე
ადლი — სიგრძის საზომი ერთეული, დაახლოებით—მეტრი.
აეგზნება — აენთება
აეპატიჟება: ავეპატიჟე — ზევით მივეპატიჟე
ავაზი — ავაზა
ავაჯი — მაღალი ხმა, გაგრძელებული
აკატი — აქატი, ძვირფასი ქვა
ალაბასტრი — „ქვა მარმარილოს მჯობი, ჭურჭლად გასთლიან“ (საბა)
ალთაფა — ხელსაბანი ჭურჭელი სპილენძისა
ალყა — სიმი საკრავისა
ამალი — ზურგით ტვირთის მზიდავი
ამარტი — ძვირფასი ქვა, ყვითელი ეშმი
ამიანტოს — „ხე... მსგავსი ქვისა, ცეცხლისაგან განულეველი, მისის ძაფთაგან ტილო მოიქსოვება“ (საბა)
ამინაშატი — ლითონისაგან ჩამოსხმული გამოსახულება წმინდანისა
ამყოლი — კარის ჩარჩოს გვერდი
ანდაზა — თარგი, ნიმუში
ანჩქრევს — ანძრევს, ამოძრავებს (წყალს)
არდაგი — ტილო; წინსაფარი
ასთავს: ასთევდენ — ართავდნენ
ასთევევინებს — ართევევინებს
ასური — სირიელი, ასურელი
აფთი — გრძელტარიანი ბრტყელი მახვილი
აღემართება — ადგება (დამხობილი)

აღუყვავდება — აუყვავდება
აყირო — გრძელყელიანი გოგრა
აყრდნობილი — მიყრდნობილი ქვევიდან ზევით
აშლილი; აფხაზი აშლილია — აფხაზებში არეულობაა, მღელვარებაა
აწვევს; გვაწვია — მიგვიწვია, დაგვპატიჟა
აწმიდებს — წმინდას, წვრილს ხდის, აწვრილებს
აჭირებს; გვაჭირეს — ჭირი გვანახეს, გაგვაწვალეს
ახალხანის ომები — ახლახანს რომ ომები იყო
ახლორე — ახლოს

ბ

ბაბილო — მაღალი ვაზი, მაღლარი
ბადია — დიდი ჯამი
ბაზმა — ზეთის პატარა სანათი, ლამპარი
ბათმანი — მარცვლეულის (ან ფქვილის) საწყაო (დაახლოებით ნახევარი ფუთი)
ბარბაროზი — ბარბაროსი, წარმართი, არაქრისტიანი, ველური
ბარძიმი — საეკლესიო ფეხიანი მაღალი ჭურჭელი (იხმარება ზიარების შესანახად)
ბარძიმ — ფეშხუმი — ბარძიმი და ლითონის თეფში
ბატონი — პატრონი, გამგებელი, თავი (ქალაქია)
ბენედიკტენი — ბენედიქტელი, ერთ-ერთი მონაზნური ორდენის წევრი
ბზემპალი — ბუჩო, მონახვეტი ბზე, ჩალა-ბულა
ბისონი — ძვირფასი ქსოვილისაგან შეკერილი მეფეთა და მღვდელმთავართა სამოსი
ბუწინი — ხის ჭურჭელი
ბჭე — სახლში, ტაძარში შესასვლელი, რაზეც კარია ჩამობმული

გ

გაგლესს: გაუგლესიათ — გაულესავთ
გაიგებებს: არ გამიგება — საშუალება არ მომეცა გავგებებოდი, შევგებებოდი.

გაიცნობა; არ გაიცნობოდა — არ იცნობდა, ვერ იცნობდით

გაკრძალვით — წესზე, რიგზე

გალიონი — სამხედრო გემი

გალიფავს — გასანთლავს

გამოვარდნილი — სხვა მხრიდან, სხვა ქვეყნიდან გამოქცეული, გადმოხვეწილი

გამოიზევს; გამოიზიეს — გამოიწიეს, წამოსვლა დაიჭინეს

გამოიტანს; გამომიტანა — გამომიყვანა

გამოწულილვა — გამოწვლილვა, დაწვრილებით გამორკვევა

გამრიგე — ქონების გამრიგებელი, მნე

გარ — გარს, გარშემო

გარდაუდგება; გარდაგვიდგენ — დაგვიხვდნენ წინ, გადაგვეღობენ

გარდმობრუნდება — დადუღების შემდეგ აიმღვრევა თხლის არევის გამო (ღვინო)

გარდმოსწვდება; გარდმოსწდომოდა — ზევიდან მოსწვდომოდა

გარემოიღებს; გარემოვიღე — გადმოვიღე

გარემოსხმული — გარეშემო დაკიდებული, დამაგრებული (კედლებზე)

გარიგებით — წესრიგით, ლაზათით

გარიგებული — გაწყობილი, მოწყობილი, მოწესრიგებული

გასატანად — გასაყვანად, გასაწევად, დასაცურებლად (გემისა)

გუავა; ვინ გაუვიდოდა — ვინ აუვიდოდა, ვინ მოუხერხებდა რასმე

გაურიგდება; გამირიგდება — გამიკეთდება, გამომივა

გაფანჩული — ტოტებგაშლილი

გაქარვდება; გაქარვებულა — გამქრალა, მოსპობილა

გაყრის: გაყარეს — გაისროლეს, დაცალეს (ზარბაზნები)

გაძრახ — განზრახ

გელაზი — ზეთის სახდელი დიდი ქვა

გვარჯილა — თოფისწამლისთვის საჭირო ასაფეთქებელი ნივთიერება

გვედობი — გვერდობა, დაქანებული ადგილი, ფერდობი

გომფისი — ხის წებო

გრა მაგისტრო: გრამასტრო, გრან მაგისტრო, გრამსტრა, გრამესტრო — დიდი მაგისტრი, დიდი ოსტატი, უფროსი

გრანიტი — მთის მაგარი კრისტალური ქანი, საშენი მასალა

გულსავსე — კმაყოფილი, გახარებული

გულქანდი — მოვარაყებული ყელსაკიდი, ლითონისა და ფერდადი ქვებისა

დ

დააბამს — საპყრობილეში დაება, საპყრობილეში ჩაესვა

დააგდებს — დატოვებს, მიატოვებს

დაარონინებს: დამარონინა — დამატარა

დაახელებს — ხელში ჩაიგდებს, მოიხელთებს

დაბალი: დაბალი კაცი — დაბალი წოდების კაცი; მდაბიო, უგვარო

დაეცქირება: დავეცქირე — დავაცქერდი

დაიბურება: დაბურვილიყო — დახურულიყო

დაკლეტა — დაკეტვა

დაკლეტილი — დაკეტილი

დალალი — შუამავალი ვაჭრობაში

დამზღულეული — ჩამომზღვლეული, ჩამოშლილი

დარანი — გამოქვაბული

დარბაისელი — სამეფო დარბაზის წევრი, დიდებული, წარჩინებული

დასტაცებს: გულები დაგვტაცა — ძალიან მოგვეწონა, ჩვენი გული მოიგო

დაუსისწორდება — გაუსწორდება, დაუპირისპირდება

დაუცს — დაუდვია, გაუკეთებია (თილისმა)

დაფერილი — მოოქრული ან მოვერცხლილი

დაქსაქსავს: დაუქსაქსავთ — მრავალი განშტოებით გაუყვანიათ

დაშენებული — გაშენებული, დასახლებული

დაჭდეული — რაზედაც ჭდეებია, ჭდეებიანი

დაჭირებული — გაჭირვებული

დახელება — ხელში ჩაგდება

დესპანი — მოციქული, ელჩი

დია — დიდად, ძალიან

დიდება — დროშების გამოსვენების, მსხვერპლის შეწირვის და ა. შ. რელიგიური ცერემონიალი გალობით

დივტილა — ქება, ხოტბა
დომენიკანი — წევრი ერთ-ერთი ბერ-მონაზონთა ორდენისა: დომენიკანელი
დუკა — დიდი თავადი, მთავარი
დღეინდელად დღემდე — დღემდე, დღევანდლამდე

ე

ემბაზი — ბავშვის სანათლავი ჭურჭელი
ენგიჩარი — ჯარისკაცი (თურქეთში); იანიჩარი
ენკრატისი — მონაზონი ქალი
ერქებში — ცერის ბეჭედი
ესე ეს: ესეები, ესენი
ესწრა: ღამე გვესწრა — ღამემ მოგვისწრო
ეშმი — ძვირფასი ქვა; იასპი, ამარტი
ეშულლება — ეჩხუბება, ედავება
ეჩემება: არად გვეჩემა — არაფრად მოგვეწონა
ეწყობა — ეთვისება
ეჯი — სიგრძის საზომი ერთეული, დაახლოებით 4,5კმ.

ვ

ვაივადა — ვოივადა
ვაკეთ — ბრტყლად, სწორად
ვარცხლი — საფქვილე, ალა
ვარხვი — წყლის ფრინველია ერთგვარი
ვენახოვანი — ვენახიანი ადგილი, ვენახი
ვითამცა — ვითომც
ვლო: ვლეთ — ვიარეთ
ვნება — წამება (ქრისტესი)
ვოივადა, ვოივოდა — ქალაქის თავი, მოურავი

ზ

ზარბაბი — აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილი, ოქროთი ნაკერი, ფარჩა
ზაბერჯა — ძვირფასი ქვა მწვანე ფერისა
ზეგარდმო — ზევიდან, ზეციდან მოვლენილი

ზედავ — ზედვე
ზედათი: ზედათ თავს — სულ ზევით, ზევითა ნაწილში
ზედეთ — ზედ
ზედ მობმით — ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთის მიყოლებით
ზევს: ზივეს — სწიეს
ზეზე — ზევით, ზევიდან
ზითევი — მზითევი
ზილი — წვრილი ხმა (გალობაში)
ზურნაკი — სტვირი, სალამური
ზუჩი — საომარი რკინის ქუდი

თ

თავეთი — თავისი, თავიანთი
თავთავეთი — თავთავისი, თავთავიანთი
თავნაჩენი — გამოჩენილი
თავსარქველი — თავსახური, სახურავი
თავს გაუსვლელი — თავგაუსვლელი, აუწერელი
თავწვრილად — დაწვალიკებით, ერთმანეთის მიყოლებით
თანმოხმე — მომხრე (არჩევნებში ხმის მიმცემი)
თეატრო — წრისებული ნაგებობა, სადაც იმართებოდა მსახიობთა გამოსვლები და სადაც (ქრისტიანობის გავრცელების პირველ ხანებში) ქრისტიანებს აწამებდნენ
თეთრი — ვერცხლის ფული; ფული საერთოდ
თვინიერი — გარდა
თიატინები — ერთ-ერთი სამონასტრო ორდენის წევრები
თიბათვე — ივნისი
თილია — ძვირფასი თვალი
თორნი — ტანზე ჩასაცმელი ქავშანი
თრიაქფარუხი — თრიაქი, ოპიუმი
თუთი — თუთიყუში
თურგანი — „მოდიდო თოფი“ (საბა)
თურე — თურმე
თურინჯი — ერთგვარი ციტრუსოვანი მცენარე
თუხტი — წონის ერთეული

ი

იაგუნდი — ძვირფასი ქვა სხვადასხვა ფერისა

იამანი — ძვირფასი ქვა; აკატის ნაირსახეობა

იანუარი — იანვარი

იასპი — ძვირფასი ქვა მოწითალო ფერისა

იდად — ალხინეო; სიცოცხლეს ჰქვიან (საბა)

იეზოვიტები — იეზუიტები; ე.წ. „იესოს საზოგადოების“ ორდენის წევრები

იმსახურებოდენ — მსახურობდნენ

იმტოლი — იმოდენა

ინდილალი — ერთგვარი მინერალი

ისფერი — იისფერი

ისფრიანი — ვისაც იისფერი აცვია

იჩემებს — დაიჩემებს

კ

კათხა —ხის მოზრდილი სასმისი

კალამი: ლერწმის კალამი — ლერწმის ტოტი

კანდელი — ზეთის ლამპარი

კაპილიონი — სასტუმრო

კარავა — მოფენილობა — კარვები, ბანაკი

კარაპი — ბატის მსგავსი ფრინველი; აკაური

კარი — სასახლე (რომის პაპია)

კარმელიტანები — ერთ-ერთი მონაზნური ორდენის წევრები; კარმელიტები

კაფიდანი — კაპიტანი

კაფუჩინები — ერთ-ერთი მონაზნური ორდენის წევრები

კაცთშეუგებელი — ადამიანისთვის გაუგებელი, აღურაცხელი

კელაპტარი — დიდი სანთელი

კეცი — თიხა

კირიელეისონი — კრიალოსანი; ზონარზე ასხმული მძივები (ლოცვის დროს მარცვალ-მარცვალ ჩასათვლელი)

კმარ იყო: სანახავად კმარ იყო — სანახავად ღირდა, ნახვად ღირდა

კოდი — მარცვლეულის საწყაო (2-დან 4 ფუთამდე)

კომენტვალი — ერთ-ერთი მონაზვნური ორდენის სახელწოდება

კონდაკი — საეკლესიო საგალობლების წიგნი

კონცოლი, კონცული — კონსული; ერთი სახელმწიფოს წარმომადგენელი სხვა ქვეყნის რომელიმე ქალაქში

კორკოდილო — ნიანგი

კრული — დაკრული

კუამლი — კომლი, მოსახლე

კუერთხი — კვერთხი, ჯოხი

კუნკული — მონაზვნის თავსაბურავი

კურთხევანი — საეკლესიო წიგნი

ლ

ლეღუსულელი — ერთგვარი ლელვი; სიკომორო

ლეღსუარი — ერთგვარი ეგვიპტური ლელვი

ლია — ლამი, საფლობი ტალახი

ლიბანი — ერთგვარი კედარი

ლიბრა — წონის ერთეული; 500გრ.

ლიმენა — ზღვის უბე, ნავსადგურად გამოყენებული; ლიმანი

ლიტანია — საყოველთაო ლოცვა

ლოტრანი, ლუთერანი— ქრისტიანული რელიგის ერთ-ერთი მიმართულების წარმომადგენელი

ლოფორთქინა — ლოკომოტივი

ლუსკუმი, ლუსკუმა — „მაღალი საფლავი“ (საბა); „ლარნაკი, მიცვალებულის ნაწილების დასაცავი კუბო“ (ა. შანიძე)

მ

მაზარა — წამოსასხამი, მანტია

მაზმანური — ბალნისაგან მოქსოვილი (?) (შდრ. საბა: მაზმანი — ბალნის მსთველი)

მალთისელი — კუნძულ მალთის (მალტის) მცხოვრები

მანუნა — ნავია ერთგვარი (თურქმაუნა)

მანქანა, მანქანება — ფარული ხერხი, ეშმაკობა, ხრიკი

მარჩილი — ვერცხლის ფული (უდრიდა სამ აბაზს)

მარჯანი — მოწითალო ფერის ძვირფასი ქვა
მაღალდაბლობით — წოდებრივი იერარქიის, თანამდებობათა მიხედვით
მაღნიტი — მაგნიტი
მაშვრალი — დაღლილი, დაქანცული
მაშია — ფეხსაცმელი
მახვათ — მარჯვედ (ს. იორდანიშვილი)
მეთოფე — თოფით შეიარაღებული კაცი
მეკეცე — თიხის ჭურჭლის მკეთებელი
მემარხულე — ვინც მარხვას ინახავს
მესაზღვრე — მოსაზღვრე, მომიჯნავე
მეტიოდ — ცოტა მეტი
მეტყვე — ტყვის პატრონი
მეცნიერი — ნაცნობი; მცოდნე, სწავლული
მეწამული — წითელი
მეხომალდე — ხომალდის პატრონი, მეზღვაური
მზეველი — მწეველი, მომქნევი
მთლივ — მთლად, მთლიანად
მიაძღნობინებს: მიმაძღნობინებს — ნეტავი მივუძღვნიდე
მიეჯრება: მისჯრია — მჭიდროდ შემორტყმია
მით — იმიტომ
მიიხდომება — მისახვედრი იქნება, მიხვდებიან
მილი — მანძილის საზომი ერთეული (დაახლოებით 1, 5კმ.)
მიმშველე — მშველელი
მიმხდომი — მიმხტომი, თავდამსხმელი
მინარი — მინარეთი; მეჩეთის კოშკი
მინაქარი — მინანქარი, ემალის ნაკეთობა
მიტრა — მღვდელმთავრის გვირგვინი
მიუდგება: ნუ მომიდგები — ჩემთან ნუ დაწვები
მიღმა, მიღმად, მიღმართ — იქით, მოშორებით, შორიახლო
მიყუანებული — მიყვანილი
მიცვალება — ერთ-ერთი საეკლესიო დღესასწაული
მიჰრიდებს: თავი არ მიჰრიდა — არ მოერიდა, არ გაეცალა
მიჰყოფს: ხელს ნუ მიჰყოფ — ხელს ნუ ახლებ
მოაბა — საკაცე, ტახტრევანი

მოატყდება — მოაწყდება, თავს მოიყრის რამესთან

მოაფარდაგებს: მოეფარდაგათ — ფარდაგებით მოერთოთ, მოეფინათ

მობერო — სიბერეში შესული, მობერებული

მობლარდნილი — გახვეული, შეხვეული

მობმით, ზედმობმით — ერთიმეორეზე მიყოლებული, გადაბმული

მოენე — ენების მცოდნე

მოეშურება: მომეშურებოდა მომეჩქარებოდა, წამოსვლა მეჩქარებოდა

მოიქცევა — დაბრუნდება, მობრუნდება; ქრისტიანულ სარწმუნოებას მიიღებს

მოიღებს — მოიტანს, ახლოს მიუტანს, მიუახლოებს

მოიყვანს: შიგ თვლები მოეყვანათ — შიგ თვლები ჩაესხათ, თვლებით გაეწყოთ

მოიჭირვებს — გაიჭირვებს, გაჭირვებით გააკეთებს

მომარგალიტული — მარგალიტით შემკული

მომგებელი — მშოვნელი, შემძენი

მომცრობა — სიპატარავე

მორჭმა — სიმდიდრე, დოვლათიანობა

მოსთვლობა — მოკრეფა, მოწევა, მორთვლა

მოსრულე — მოსული, გადმოხვეწილი, უთვისტომო

მოურთავს — დაუწყვია, დაუმწკრივებია

მოუშავდება: მოშავებოდა — ცოტათი გაშავებოდა

მოქვემოთ — ცოტა ქვემოთ, ქვევითკენ

მოძულო — მოძულე, მტერი

მოძღვარი — მასწავლებელი

მოწერილი — მოხატული

მოწლედ — გულთბილად, ტკბილად

მოწლო — ოდნავ წვრილი

მოხელე — თანამდებობის პირი; ხელოსანი

მსოფლიო, მსოფლიური — საერო, საერისკაცო, არა სასულიერო

მურასა — მოოჭვილი, ძვირფასი ქვებით მოჭედილი, შემკული, მურასად შემკული, მოოჭვილი

მუსაიბი — მეგობარი, ამხანაგი

მუსუ — მუსიე (ფრანგ.) „ბატონი“.

მუშაბაღი — კედელში დატანებული ძელი სიმაგრისათვის (საბა)
მცდელი — ვინც ცდილობს რასმე
მძრომელი — ქვეწარმავალი
მწვალებელი — სარწმუნოებისაგან განდგომილი; ურწმუნო, ერეტიკოსი
მწვე — ძალიან
მწიგნობარი — წიგნის მცოდნე, მწერალი
მწირველი — წირვის დამსწრე, მორწმუნე
მწუხრი — საღამო; საღამოს ლოცვა
მხარი1: მხრად არის — დასამხრისია, მარჯვედაა
მხარი2: სიგრძის საზომი ერთეული — სამი ადლი

ნ

ნავი — გემი, ხომალდი
ნავსაყუდელი — ნავსადგური
ნაზირი — სამეფო კარის ერთ-ერთი დიდი მოხელე
ნათელს სცემს — ნათლავს
ნათლის-მცემელი — იგულისხმება იოანე ნათლის-მცემელი (ვინც „ნათელ-სცა“ ქრისტეს)
ნაკვეთი — ნაჭერი
ნალბაქი — ლამბაქი
ნანთები — რაც ენთო, რასაც ანთებდნენ
ნარინჯოვანი — ნარინჯის (ციტრუსოვანი მცენარე) ბაღი
ნასნასი — ერთგვარი პატარა მაიმუნი
ნაქმარი — შექმნილი, გაკეთებული, ნაკეთები, ნამოქმედარი
ნაღარა — ლითონის საცემელი საკრავი, ტყავგადაკრული
ნაღლი მანქანა (არაბ.-სპარს.) — ადგილიდან დაძვრა
ნაშენობა — ნაგებობა, ნაშენი
ნაწილები — ადამიანის გამომშრალი, მუმიფიცირებული ძვლები
ნახიდური — ადგილი, სადაც წინათ ხიდი იყო
ნემსა — გერმანელი (შდრ. რუს. немец)
ნუსხა — სია

ო

ომაინი — მომცრო მტაცებელი ფრინველი, ბოლოკარკაზი
ომფორი — ეპისკოპოსის მოსასხამი
ონე — კარგი ცხენი
ორღანო — საბერვლიანი საკრავი; ორღანი
ოსმალი — თურქი, ოსმალო

პ

პალატი — სასახლე
პალნიანი — კურტნიანი (პალანი — სახედრის, აქლემის კურტანი)
პაპა (რომის) პაპი; — კათოლიკური ეკლესიის მეთაური
პარაგონე — საშენი ქვა (მარმარილოსავით)
პასექი — აღდგომა
პატივი: პატივში არის (საეკლესიო) ხარისხი, წოდება აქვს
პატრი — კათოლიკე მღვდელი
პაქსიმადი — ორცხობილა
პეტი — უფროსი. მეთაური
პილო: პილოს ძვალი — სპილოს ძვალი
პინა — „სადაფსა ჰგავს და გრძელია (თევზი)“ (საბა)
პინაგი — პინაკი, ჯამი
პირამიდი — ქვის მაღალი სვეტი
პირაღმართი — აღმართი
პოლოტიკი — მკერდისა და იღლიის დასაცავი ჯავშანი
პოპლიკი — „გადაყენებული, გამოცვლილი დუკა“ (ს. იორდანიშვილი)
პორფილი, პორფირი — ძვირფასი საშენი ქვა ვულკანური წარმოშობისა

ჟ

ჟამი1: ჟამი ვაწირვინე — ჟამის-წირვა შევასრულებინე
ჟამი2: — შავი ჭირი

რ

რაგინდარაები — სხვადასხვა რამეები, სხვადასხვა ნივთები
რვალი — ბრინჯაო
რიგება — მოწყობა, მოწესრიგება
რიგი — წესი, რიგი
რიგისრიგით — რიგის რიგისად, რიგრიგად, რიგრიგობით
რიდება — მორიდება, კრძალვა
რომპაპა — რომის პაპი

ს

საბატიურად — როგორც საპატიო ადამიანს შეეფერება
საგრანკოტი — საშენი ქვა ერთგვარი
სადაფი — მარგალიტის ნიჟარა
სათითები — თითის დასაჭერი, თვალი (სტვირისა)
სათითური — თითის დასაჭერი; კლავიში
საია — სადა, უჭრელო (ქსოვილი)
საკერპო — კერპის ტაძარი, ბომონი
საკურველი — საკვირველი
სამარტვილე — მოწამეთა სასაფლაო
სამპირად — სამ წყებად, სამ რიგად
სანაყელი — სანაყი, ქვასანაყი
სანაწილე — ჭურჭელი წმინდა ნაწილების შესანახავად
სანთური — საკრავია ერთგვარი; ჩანგი
სანჯახი —ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ოსმალეთში
საოსტატო — სახელოსნო
სასარცხლო — სამრეცხაო
სასვენი — დასასვენებელი
სასთაული — ბალიში
სასინათლო — სინათლის შესასვლელი ხვრელი; სანათური
სასნეულო — საავადმყოფო
სატვინე — ტვინის სათაესი თავის ქალაში
საუდაბნო — უდაბური, დაუსახლებელი
საქციელიანი — წესიერი (ადამიანი)

სახელო — ხელობა
საჯარაო — სადოსტაქრო, საოპერაციო
სეილალი — ძვირფასი ქვა ერთგვარი
სერსერი — ერთმანეთზე გადაბმული სერები (გრძლად წაზიდული გორები)
სინა — ბრინჯაო
სინორი — სინიორი, ბატონი (იტალიაში)
სიწლოდ — სიწვრილით
სკიპტრა — სამეფო კვერთხი
სკლატი — მაუდი
სკუთი — იტალიური ფულის ერთეული (ოთხი აბაზი)
სოინარი — ერთგვარი საკრავი; შედგება სტვირებისაგან
სოფიო, სოფიოს კენჭი — მოზაიკა, სხვადასხვა მოყვანილობის ფერადი კენჭები
სპანელი — ესპანელი
სპონდიოს ქვა, სპონდია ქვები — კლდის ქვა, წყლის მოქმედებით შექმნილი
სრავი — ძვირფასი ქვა ერთგვარი
სრვა — მუსვრა, ჟლეტა
სხრტე — ერთმანეთში გადაგრეხილი ცოცხალი ხეებისაგან გაკეთებული ღობე
სჯანდრავს: სჯანდრევდენ — ტკეცდნენ, აუთოებდნენ (ქვის ან ხის სპეციალური ხელსაწყოთი

ტ

ტაბლა — ხის ან ქვის სუფრა, მაგიდა
ტალავარი — „საჩრდილობელი“ (საბა)
ტანბაჩა — დამბაჩა
ტერტერა — სომხების მღვდელი
ტრუმბედა — საყვირი; ჩასაბერი საკრავი

უ

უარშიო — „კაცის გაუწყობელი“ (საბა), შეუგუებელი, შეუთვისებელი
უბელო —უნაგირდაუდგმელი, შეუკაზმავი (ცხენი)

უგებს: სიტყვა უგო — უპასუხა, მიუგო
უდი — „ხეა სუნნელი“ (საბა)
უდიდე — დიდი, უდიდესი
უზემოესი — უფრო ზემოთ მყოფი; უფროსი, უხნესი
უკუკეცილი — უკან გადაკეცილი, უკნისკენ დაკეცილი
უკუიდარა — ისევ დარი დადგა, გამოიდარა
უკუსაყარი: უკუსაყარი ადგილი — გასართობი, შესაქცევი ადგილი
უკუწყვეტილი, უკუდწყვეტილი — უკან შეწყვეტილი, დაბოლოებული
უმაღლე — უფრო მაღალი; უმაღლესი
უმწირველო — წირვის გადაუხდელი, წირვის მოუსმენარი
ურუმული — ოსმალური
უსაცილო — აუცილებელი, ნამდვილი
უსახო — არაჩვეულებრივი, უზომო, გასაოცარი
უსხო — უფრო მსხვილი, უმსხვილესი
უქადა — შეჰპირდა
უშენოებო — უშენობო, დაუსახლებელი
უცხოდაუცხო — ძვირფასი და ძვირფასი
უცხოობა — სიმშვენიერე, სიკარგე
უწია — გაუწვდინა, მიჰყო (ხელი მოსაკიდებლად)

ფ

ფავარა — შადრევნის მილი; შადრევანი
ფანჯარა — ხარიხა, რიკული, მოაჯირი
ფარსაგი — საკმაოდ კარგი, ხეირიანი, „საშუალ კეთილისა და ავისა“ (საბა)
ფარფური — ფაიფური
ფარღია — თავახდილი, ფარღალალა
ფარშამანგი — ფარშავანგი
ფეშხუმი — „თეფში“ (საბა), ლანგარი
ფილისკინა — ციხის, ქალაქის გარშემოვლებული ღრმა თხრილი წყლით სავსე. თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა
ფილონი — „სამღდელო სამოსი“ (საბა)
ფლური — ოთხი გრამის წონის ოქროს ფული

ფოთელი — ფოთოლი
ფოლორცი — შუკა, ქუჩა
ფრანციაული — საფრანგეთის მკვიდრი; ფრანგი
ფრანცისი — ფრანგი
ფრენჭიფე — მთავარი, უფროსი; პატრონი

ქ

ქამხა — აბრეშუმის სახეებიანი ქსოვილი
ქანი — მადანი, სამადნო
ქარგადანი — ტყავის ფარი
ქვაბი — გამოქვაბული, მღვიმე
ქნარა — ქნარი
ქსენონი — „სასნეულო სახლი" (საბა); საავადმყოფო
ქუშტი — მრისხანე, მოღუშული, ქუში

ღ

ღვინობისთვე — ოქტომბერი
ღვინჭილა — წერილი ნიჟარა

ყ

ყადაღა — აკრძალვა, აღკვეთა
ყაისი — ჭერამი, გარგარი
ყანთარი — ცალსასწორი
ყაჯირი — მტაცებელი ფრინველი, ძერძერუკი
ყველაყა — ყველა, ყველაფერი
ყირმიზი — წითელი
ყიულობა — მამლის ყივილის დრო
ყოფილი — რაც იყო მომხდარი
ყუმური — ყუმიდან (ეოლიური კოლონია მცირე აზიაში) მომდინარე; ყუმისა (ჭურჭელი)

შ

შანდაკი — „ვრცელსა და იწროს საშუალო" (საბა); ვაკე
შაფხა — კარდინალად კურთხევისას თავს დასახურავი (წითელი ქსოვილისა)

შაქრიელი — „შაქარი სხვადასხვა რიგად შემზადებული“ (საბა), ტკბილეულობა
შედეგი — „მაზედ ნაკლები“ (საბა); ხელქვეითი, მორჩილი
შემოსტევს — შემოაწვდენს, შემოახვევს
შენებულობა — ნაქმნარობა, ნაკეთობა, არქიტექტურა, შენობები
შესაჭურავი — საჭურველი, იარაღი
შესცემს — ჰკრავს, აძგერებს, შეარჭობს
შესცილდებიან — შეეცილებიან ერთმანეთს, წაიჩხუბებიან
შეუტყობარი — გაუგებარი, შეუცნობელი, შეუტყობელი
შეუწყობელი — არა შეწყობით (ნაგები); მთლიანი, ერთიანი
შილინგი — „სასიხარულოსა საქმესა ზედა ზარბაზანთა და თოფთა სროლანი“ (საბა)
შტო — განტოტება

ჩ

ჩავარდება; ქარი ჩავარდა — ქარი ჩადგა
ჩამოვარდება: ხევი ჩამოვარდებოდა — ხევი (დიდი ღელე) ეშვებოდა, ჩამოდიოდა
ჩანა — ალყებიანი საკრავის ქვედა ნაწილი
ჩარსავი — ზეწარი
ჩემობას — ჩემი იქ ყოფნისას, ჩემსობას
ჩექთურა — თოკით საწევი ნავი
ჩინი — ჩინელი
ჩირახოვანი — ჩირაღდანი, ილუმინაცია

ც

ცადაქნილი — დახრილი, დაქანებული ჭერი
ცალგნით — ცალი მხრიდან; ცალ მხარეს
ცისმზომელობა — ასტრონომია
ცოცოტა — ცოტ-ცოტა
ცხოვნება — ხსნა, გადარჩენა, ცხოვრება, სიცოცხლე

ძ

ძალი — სიმი, ალყა (საკრავისა)
ძელი — ძელი ცხოვრებისა, ქრისტეს ჯვრის ხე

ძეს — ძევს, დევს, არის

ძოწი — წითელი მარჯანი; ძოწის ზღვა—სადაც ძოწი იპოება (გენიუს ზღვა)

წ

წაგვიკრეს —შეგვიკრეს, შეგვიბოჭეს

წარსაგებელი — ხარკი

წიდა — „რკინის და ილეკროს ნადნობი“ (საბა)

წინდური — მსგავსი, წინდისებრი

წინწილი — საკრავი, ლითონის ორი თეფში, ერთმანეთზე შემოკვრით საჟღარუნებელი

წოკოლანტი — მონაზონთა ერთ-ერთი ორდენი იტალიაში

წურწუმა — წყლის ჭურჭელი (ხის ან ლითონისა)

წუხრი — მწუხრი, საღამო

წყრთა — სიგრძის საზომი — იდაყვიდან თითებამდე

ჭ

ჭახრაკი — ხრახნილით საბრუნავი მოწყობილობა, მანქანა

ჭიანური — ძალებიანი, ხელით ასაჟღერებელი მუსიკალური საკრავი

ხ

ხარა — აბრეშუმის ქსოვილი ერთგვარი, უსახო და ტალღებიანი

ხარისხი — საფეხურებიანი კიბე (ქვითკირისა)

ხარისხედი — კიბური, საფეხურებიანი

ხარიხა — მოაჯირი

ხევნარი — „ხიანი ადგილი“ (საბა)

ხელი — სახელური, ტარი

ხეოვანი — ხეებიანი ადგილი, ხეებით დაფარული

ხეში — ტილოსმაგვარი ერთგვარი ქსოვილი

ხვანთქარი — ოსმალეთის მეფე; ხონთქარი

ხვარბალი — ხორბალი

ხვასტაგი — საქონელი, პირუტყვი

ხირხატი — ქვიშანარევი, მოუსავლიანი ადგილი

ხომალდი — დიდი ნავი
ხომლი — საკიდარი სასანთლე, ჭაღი.
ხუთო — ერთგვარი ქვა, შხამიანის (გველისა და მისთ.) ნაკბენის წამლად ხმარობდნენ
ხუთძალი — ხუთი ძალის (ალყის, სიმის) მქონე საკრავი
ხუცესი — მოხუცებული, უფროსი, მღვდელი
ხუცი — მოხუცებული, ბებერი

ჯ

ჯაბახანა — იარაღის საცავი, საწყობი
ჯამ-ნალბაქი — ჯამი და ლამბაქი
ჯანიშინი, გამგებელი, აქ: პაპის ნაცვალი, მოადგილე
ჯარა — დაჭრილისა და ნაღრძობ-მოტეხილის მკურნალი; ქირურგი
ჯარაობა — ქირურგობა, ქირურგია
ჯარი — ხალხი (შეგროვილი, თაქმოყრილი)
ჯერანი — ქუციკი
ჯერენალი — ორდენის უფროსი, გენერალი
ჯვარის მტვირთველი — დამჭერი
ჯრილობა — ვიწროდ, მჭიდროდ თავყრილობა, შეჯგუფება, შეწყვეტა, შეხლა

ჰ

ჰყვარობს — უყვარს

ტექსტი (გამოსაცემად მოამზადა, ვარიანტები, საძიებელი და შენიშვნები დაურთო რ. ბარამიძემ) და ლექსიკონი (შეადგინეს ბ. საბაშვილმა, მ. ჭაბაშვილმა, პ. გაჩეჩილაძემ) გადმობეჭდილია წიგნიდან: სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი ოთხ ტომად, I, გამოსაცემად მოამზადეს ს. ყუბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ, თბ, 1959, გვ. 151–245, 319–361

სარჩევი

რედაქტორისაგან 5

ლევან მენაბდე — სულხან-საბა ორბელიანი 7

სულხან-საბა ორბელიანი — მოგზაურობა ევროპაში 83

ლექსიკონი 189

დიდი ქართველები

ლევან მენაბდე

სულხან-საბა ორბელიანი

●

სულხან-საბა ორბელიანი

მოგზაურობა ევროპაში

© ს.ს. „საქპრესა“

დიზაინერი თეა ინწკირველი
კორექტორი ნინო ნიკოლაიშვილი